

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები



„ზამთრის“ გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1971

კრებულში ქვეყნდება საქართველოს ახალი ისტორიის (XIX ს.) საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიები, კერძოდ, გამოკვლევები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, კლასობრივი ბრძოლისა და საზოგადოებრივი აზრის ხასიათის შესახებ.

ზოგი რამ XVIII — XIX სს. მიჯნაზე რუსეთში მოღვაწე
ქართველ მხედართმთავართა შესახებ

სახელგანთქმული მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის პირად ცხოვრებასა და სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებული ფაქტები ისე მცირე რაოდენობითაა დღემდე ცნობილი, რომ, ვფიქრობთ, ამ მიმართულებით ყოველი დეტალი, შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეც კი, არ იქნება ინტერესს მოკლებული. ასეთების რიცხვს ეკუთვნის ბაგრატიონის მამიდაშვილის ნიკოლოზ გოლიცინის მოწმობა პეტრეს შთამომავლობისა და მის მიერ სამხედრო სამსახურის დაწყების შესახებ. ეს 1853 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებული მოწმობა, რომლის სრული ტექსტი სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერების განყოფილების ისტორიკოს შჩედრინის არქივში (ფონდში) ინახება, წარმოადგენს ვინმე ალექსანდრე ვასილის ძის თხოვნის პასუხს. იგი თხოვდა ბაგრატიონის უახლოეს ნათესავს, ეცნობებინა მისთვის ყველაფერი, რაც კი იცოდა მან ბოროდინოს გმირის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

ნიკოლოზ გოლიცინის ამ, ბევრი არაზუსტი ცნობის შემცველ, საპასუხო წერილში მოთხრობილია ერთი საინტერესო ეპიზოდი, დაკავშირებული ბაგრატიონის პირველ ნაბიჯთან იმ სფეროში, რომელსაც მან მერმე მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა.

როგორც ჩანს, წერილი გოლიცინს ადრე გენერალ ა. დანილევსკისათვის მიუწოდებია, რომელსაც იგი 1845 წელს, ნამდვილი ავტორის დაუსახელებლად, საკუთარი ხელმოწერით გამოუქვეყნებია. „როდესაც ა. ი. დანილევსკიმ, — წერს ამით უკმაყოფილო ნ. გოლიცინი, — გადაწყვიტა 1812 წლის სახელოვან გმირთა ცხოვრების აღწერა, მე მას ერთი სტატია მივაწოდე, რომელშიაც ვლაპარაკობდი იმის შე-

სახებ. თუ როგორ მიიღო თავადმა პოტიომკინმა ბაგრატიონი სამხედრო სამსახურში... მაგრამ გენერალმა დანილევსკიმ, რომელიც ასე მალე არ ფიქრობდა შესდგომოდა ბაგრატიონის გმირობის აღწერას, გამოაქვეყნა ჩემი წერილი თავისი სახელით, მგონი 1845 წელს გ. კუკოლნიკოვის „რუსულ ილუსტრაციაში“ სათაურით: „ანეკდოტი ბაგრატიონზე“¹.

აი ეს „ანეკდოტი“, ფაქტიურად კი ნამდვილი ამბავი პეტრე ბაგრატიონის პირველი ნაბიჯების შესახებ სამხედრო საქმეში. „თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, — ნათქვამია 1853 წლის 13 ოქტომბერს ნიკოლოზ გოლიცინისაგან ალექსანდრე ვასილის ძისადმი გაგზავნილი წერილის დამატებაში, — ჩავიდა სანაქტ-პეტერბურგს 18 წლის ასაკში, 1782 წელს, თავისი მამიდის ანა ალექსანდრეს ასული გოლიცინას, წარმოშობით გრუზინსკაიას (ბაგრატიონის) მიწვევით და დაბინავდა მასთან. ერთხელ, იმყოფებოდა რა სტუმრად თავად პოტიომკინთან ავარაკზე, რომელიც 13 ვერსით დაშორებულია დედაქალაქიდან, ა. გოლიცინამ თხოვა ბრწყინვალე თავადს მიეღო ახალგაზრდა ბაგრატიონი თავის მფარველობაში. პოტიომკინმა იმ წუთშივე გაგზავნა ფელდგერი მის მოსაყვანად. მაგრამ ღარიბი ყმაწვილი, რომელიც ის-ის იყო ჩამოვიდა შორეული ქვეყნიდან და არ მოელოდა ასეთ პატივს, ვერ ბედავდა პოტიომკინთან გაცვებით ტანისამოსში გამოცხადებას. ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანა იგი გოლიცინის „დოქორეცემი“, დიმიტრი კარელინმა, რომელმაც ათხოვა მას თავისი „კაბა“ (კოსტუმი). ბაგრატიონმა, როგორც ვარეგნობით, ისე ლაპარაკით, მიიქცია ბრწყინვალე თავადის ყურადღება. ამ უკანასკნელმა იქვე, მისთვის მინიჭებული ხელისუფლებით, განამწესა იგი სამსახურში ოფიცრის ხარისხით და გაგზავნა ჯარში.

დადგა 1811 წელი. ბაგრატიონი, რომელიც უკვე არმიებს სარდლობდა და ანდრიას ორდენის კავალერი იყო, დასასვენებლად ეწვია იმავე ა. გოლიცინას, მცხოვრებს ვლადიმირის გუბერნიის იურევის მაზრის სოფელ სიმში. აქ, შეგობრებისა და ნათესავების წრეში, სურდა მას დასვენება და სამხედრო საქმიანობისაგან შერყეული ჯანმრთელობის აღდგენა.

ერთხელ სადილობისას, ბაგრატიონის ყურადღება მიიპყრო ერთმა კაცმა, რომელიც სხვებთან ერთად სუფრას ემსახურებოდა. იგი ადგა სულგანაბული, გაემართა იმ კაცისაკენ და გადაეხვია მას. „გახ-

1. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის (ლენინგრადი) ხელნაწერთა განყოფილება, ისტორიკოს შილდერის აქტივი, K — 9 (111,6.5), ფურც. 3 — 6.

სოვს თუ არა, შენ, კეთილო კარელინ, — უთხრა მან მსახურს, — თუ როგორ ვეახელი ამ 30 წლის წინათ თავად პოტიომკინს შენს „კაბაში“ (კოსტუმში) გამოწყობილი. მის („კაბის“. — ი. ა.) გარეშე შესაძლებელია, მე არ ვიქნებოდი ის, ვისაც შენ დღეს ხედავ, მადლობა, ათასჯერ მადლობა“. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა დამსწრე საზოგადოებაზე სახელგანთქმული მხედართმთავრის ეს კეთილშობილური საქციელი.

მაგრამ ბაგრატიონს დასვენება არ ეწერა. ახლოვდებოდა საბედისწერო 1812 წელი. 1811 წლის სექტემბერს სოფელ სიმს ჩასულმა შიკრიკმა თავად ბაგრატიონს გადასცა ბრძანება მისი დასავლეთის მეორე არმიის მთავარსარდლად დანიშვნის შესახებ. ის დაემშვიდობა მასპინძლებს..., შეჰპირდა, რომ მომავალ წელს ეწვეოდა მათ დასასვენებლად, თუკი გარემოება ამის საშუალებას მისცემდა. და მართლაც ზუსტად ერთი წლის შემდეგ იგი დაბრუნდა სოფელ სიმში „სამუდამოდ დასასვენებლად“².

უკანასკნელი წინადადების გასაგებად შევასვენებთ მკითხველს, რომ ბოროდინოს ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი პეტრე სოფელ სიმში გადაიყვანეს, სადაც იგი თავისი ახლობლების (მათ შორის მზრუნველი მამიდის) გარემოცვაში გარდაიცვალა 1812 წლის 24 სექტემბერს (ახალი სტილით).

ბაგრატიონის პირადი ცხოვრებისა და მისი სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა შესასწავლად საინტერესო მასალას იძლევა მისივე ანდერძი. ამ ანდერძის საფუძველზე შედგენილ აქტში³ ნაჩვენებია, თუ როგორ განაწილდა უდროოდ დაღუპული მხედართმთავრის დატოვებული ფულადი თანხა და მოძრავი ქონება (მამულები, როგორც ცნობილია, მას არ ჰქონდა)⁴. ხსენებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ განსვენებული გენერლის ანდერძის თანახმად, პროფესორ გილდებრანტის, ექიმების გოვოროვისა და განგარტის, ოფიცრების კოტოვის, ჩევესკოისა და სხვების გარდა, ფულადი თანხა მიეცათ ყმა გლეხებს რუდაკოვს, ლავცევიჩს, სპირნოვსა და იაგოდინს. მაგრამ მთავარია არა ეს, არამედ ის, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი გლეხი, იმა-

² იქვე.

³ ეს აქტი, პეტრეს სიკვდილის შემდეგ დარჩენილი და სიკვდილთან დაკავშირებული საბუთები, მასალები ფულისა და პირადი ნივთების განაწილების შესახებ იხ. შილდერის არქივში, K—28 (გვ. 63), ფურც. 43—49.

⁴ ი. ანთელავა, საქმე თავად ბაგრატიონების მიერ საქართველოში მამულების ძებნის შესახებ, აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, XXIII, სოხუმი, 1949, გვ. 43—79.

ვე ანდერძის ძალით, სამუდამოდ განთავისუფლდა ბატონყმური და-
შოკიდებულებიდან და გადავიდა თავისუფალთა კატეგორიაში. მარტო
აქ ფაქტიდან, ცხადია, არ შეიძლება შორს მიმავალი დასკვნის გაკეთე-
ბა, მაგრამ მისი აღნიშვნა მაინც აუცილებელია. ბუნებრივად იბადე-
ბა კითხვა: რით აიხსნება ის, რომ ბაგრატიონმა თავისი ყმები გაათა-
ვისუფლა და არ უანდერძა ახლო ნათესაეებს (ცოლი, ძმები, მამიდა,
მამიდაშვილები და სხვ.)? ხომ არ მეტყველებს ეს ფაქტი ბოროდი-
ნოს გმირის შეხედულებათა ანტიბატონყმურ ხასიათზე? ამაზე ამომ-
წურავ პასუხს მომავალი კვლევა-ძიება გასცემს, ამჟამად კი მხოლოდ
ჰიპოთეტურად შეიძლება ითქვას, რომ პეტრეს ეს ნაბიჯი შემთხვევი-
თი არ იყო.

* * *

შილდერის ფონდში ინახება, აგრეთვე, სხვა საყურადღებო მასა-
ლაც, რომლიდანაც ზოგი საკმაოდ სრულად ახასიათებს გენერალ-მაი-
ორ ვლადიმერ მიხეილის-ძე იაშვილის საქმიანობას 1812 წლის რუ-
სეთის სამამულო ომში. მას დავალებული ჰქონდა ფრანგების მიერ
ოკუპირებულ ქალაქ ელნიას განთავისუფლება. ეს დავალება მან პირ-
ნათლად შეასრულა.

20 ოქტომბერს მოწინააღმდეგემ, რომელიც სამი მხრიდან ალ-
ყაში იყო მოქცეული, სცადა. ელნიიდან გამოსვლა, რუსთა ჯარების
შევიწროება და სურსათის ხელში ჩაგდება, მაგრამ იაშვილმა გონივ-
რული მოქმედებით მთლიანად ჩაშალა მისი ეს განზრახვა. „თავადმა
იაშვილმა, — ნათქვამია გენერალ-ლეიტენანტ შეპელოვის პატაკში
კუთუზოვისადმი, — სასწრაფოდ დაიკავა პოზიცია სოფელ პრონი-
თან, მიიღო საბრძოლო წყობა და ცოტახანში ვაჟაკურად და უშიშ-
რად გაიქრა წინ, რომლის დროსაც ხელთ იგდო ერთი გორაკი. იგი
უცდიდა მტრის მოახლოებას, მაგრამ გენერალმა შამპანიმ, მოწინააღ-
მდეგის ჯარებს რომ სარდლობდა, უარი თქვა რა წინ წასელაზე, დაი-
კავა სოფელი მიხალევკუ და იქ გამაგრება სცადა. ამის მნახველმა თა-
ვადმა იაშვილმა იერიში მიიტანა მასზე და, მიუხედავად იმისა, რომ
შამპანი გააფთრებით იცავდა თავს, სამშობლოს სიყვარულით ანთე-
ბულმა ჩვენმა ჯარმა, რომელიც ზუსტად ასრულებდა თავისი მამაცი
უფროსის დარიგებას..., ორი საათის შემდეგ იძულებული გახდა იგი
უკან დაეხია. რაც უფრო შორს იხევდა შამპანი, მით უფრო მეტი გა-
აფთრებით უტევდნენ ჩვენი ჯარები. მოწინააღმდეგემ დაჰკარგა ბევრი
ცოცხალი ძალა და იარაღი. „ვაშა“ — რუსული იარაღის მუდმივი იმე-
დი, ამჯერადაც საბედისწერო გამოდგა... მომხდურებისათვის, რომელ-

თა უწესრიგო უკანდახევა ქალაქისაკენ მიმდინარეობდა ჩვენი ჯარების ძლიერი დარტყმის ვითარებაში. 21 და 22 ოქტომბერს მოწინააღმდეგე უმოძრაოდ იღგა. თავადმა იაშვილმა... გადაწყვიტა 24 ოქტომბერს გათენებისას იერიში მიეტანა ქალაქზე, მაგრამ დილის სამ საათზე ავანპოსტებმა აცნობეს მას, რომ მტერმა დატოვა ელნია და სმოლენსკის გზით გაიქცა. იაშვილმა ბრძანა დადევნებოდნენ გაქცეულებს. რაც ბრწყინვალედ შესრულდა. — ჩვენმა ცხენოსანმა ნაწილებმა 20 ვერსზე სდიეს მოწინააღმდეგეს და საგრძნობი ზიანი მიაყენეს მას. იაშვილმა ქალაქის დაკავების უმალ ცნობა გაუგზავნა ადგილობრივ თავადაზნაურობას ელნიის მაზრის ფრანგებისაგან განთავისუფლების შესახებ... და წინადადება მისცა აერჩიათ წინამძღოლი, ისპარაენიცი და საერობო და სამოქალაქო პოლიციის სხვა მოხელეები... ვუდასტურებ რა თქვენს ბრწყინვალეობას, თავად იაშვილის ერთგულებასა და სამსახურისათვის თავდადებას, მოვალედ ვრაცხ თავს მოგახსენოთ, რომ ის მუდმივ საფრთხის ქვეშ აყენებდა თავის სიცოცხლეს ყველაზე საშიშ და საჭირო ადგილებზე გამოჩენით“⁵.

მოპოვებული წარმატებისათვის ელნიის მაზრის თავადაზნაურობამ დიდი მადლობა გადაუხადა ვლადიმერ იაშვილს. „თქვენი ბრწყინვალეობის შრომისა და მზრუნველობის წყალობით, — ნათქვამია მისდამი მიწერილ წერილში, — მტრის ჯარებისაგან განთავისუფლებულმა ქალაქმა ელნიამ და მისმა მაზრამ ისევ დაიწყეს (ომამდელი დროის) მშვიდობიანი ცხოვრება. ბედნიერმა თავადაზნაურობამ უმალე სადნაწყალობევი სიგელის თანახმად უკვე განახორციელა მოხელეთა არჩევნები. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ვთხოვოთ თქვენს ბრწყინვალეობას მიიღოს (ყოველივე ამისთვის) ჩვენი თუმცა მცირე, მაგრამ გულითადი მადლობა“⁶.

ვლადიმერ იაშვილი, როგორც ცნობილია, 1812 წლის ომში სულ რაღაც 40—45 დღე მონაწილეობდა, რადგან იგი, ვითარცა პავლე პირველის საწინააღმდეგო შეთქმულების სული და გული, ორივე დედაქალაქიდან გასახლებული, ხელისუფლებისათვის საშიშ შეხედულებათა მქონე და პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პიროვნება, იმპერატორ ალექსანდრე პირველის ბრძანებით გაძევებულ იქნა მოქმედი არმიიდან.

⁵ შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება. შილდერის ფონდი, K-36, № 15, ფურც. 34—38

⁶ ი ქ ვ ე .

ა. იოსელიანი

საქართველოში ახლადდაგვიდრებული რუსული
მმართველობისა და ქართული კულტურის სამსახურში

2. დავით ჭიშვირის ქე ჩოლოქაშვილი*

საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულობაზე დღეს არავინ დაობს. მაგრამ იგი იმდენად დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტად გადაიქცა ქართველი ხალხისათვის, რომ ამ აქტის მნიშვნელობისა და მისი პირველი შედეგების ერთბაშად შეფასება გაძნელდა. ადგილი ჰქონდა არა მარტო აზრთა სხვადასხვაობას, არამედ ცარიზმის ბარბაროსული ჩაგვრის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებებსაც. გაეცხენოთ კახეთის 1802, მთიულეთის 1804, კახეთის 1812 წლებისა და ბევრი სხვა აჯანყებები.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას ხალხი უჭერდა მხარს, ერეკლეს სამეფო კარი, მისი უგავლენიანესი მოხელენი ამ პოლიტიკის განხორციელებით ხალხის სურვილს გამოხატავდნენ, თუმცა იმთავით-

* ჩვენი კვლევა-ძიების ამ სერიიდან 1952 წელს დაიბეჭდა ცალკე წიგნად ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ნარკვევი — „იოანე ქართველიშვილის შემუშავება“. ანალოგიური ხასიათის გამოკვლევა დავით ჩოლოქაშვილზე კრებულში უადგილობის გამო შემოკლებული ვარიანტით იბეჭდება. რიგის მიხედვით იგი მეორეა. იოანე ქართველიშვილი და დავით ჩოლოქაშვილი, მართალია, განსხვავებული სოციალური მდგომარეობის, მაგრამ სამეფო სასახლეებთან დახლოებული პირებია, — იოანე იყო იულონ ბატონიშვილის, ხოლო მდივანბეგი დავითი გიორგი XII-ის შვილების აღმზრდელი. 1801 წლიდან 1810-იან წლებამდე, ორივენი, ისევ ქართული კულტურის ასპარეზზე, რუსული მმართველობის პირობებში, აგრძელებენ სამსახურს, ზოგიერთების მსგავსად ბოიკოტს არ უცხადებენ და ოპოზიციაში არ უდგებიან მას.

ვე არსებობდა მოწინააღმდეგეთა საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, რომელიც განწირული იყო მარცხისათვის და კიდევ დამარცხდა.

მდივანბეგი დავით ჭიმშერის-ძე ჩოლოყაშვილი XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ერთი იმ ღირსშესანიშნავი მოღვაწეთაგანია, რომელმაც სწორად შეაფასა ერის ცხოვრებაში ნომხდარი ეს დიდი პოლიტიკური მოვლენა და კვლავინდებური თავდადებით გააგრძელა მშობლიური ხალხის სამსახური საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგაც. იგი არ განეკუთვნება ერეკლეს სამეფო ხელისუფლების იმ გავლენიან მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც რუსეთთან შეერთების შემდეგ ვერ შესძლეს, ან არ მოიხურვეს შექმნილი პირობების გამო დამოუკიდებლობა დაკარგულ საქართველოში განეგრძოთ სამსახური.

რუსეთთან ახლად შეერთებულ საქართველოს მართვა-გამგებლობაში აქტიურად მონაწილეობდა უვოდალური არისტოკრატის მრავალი მოწინავე წარმომადგენელი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში თორმეტი ქართველი გენერალი მონაწილეობდა. დავით ჩოლოყაშვილი ერთ-ერთი მოწინავე იყო იმათგან, ვინც აგრძელებდა ხალხის სამსახურს დამოუკიდებლობა დაკარგულ საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების დღიდან. ამიტომ არ დასტურდება აზრი იმის შესახებ, რომ დავით ჩოლოყაშვილი ანტი-რუსული ორიენტაციის მოღვაწეაო¹.

1. ბიოგრაფიული მარბა

დავით ჩოლოყაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ სპეციალური გამოკვლევა არ მოგვეპოვება, მიუხედავად იმისა, რომ დავითი საკმაოდ პოპულარობით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის და იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას შემდეგაც იმ ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძველზე, რომელიც მან დაგვიტოვა. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილების, პლ. იოსელიანის, მარი ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, ალ. ცაგარელის, ალ. ხახანაშვილის, ი. გრიშაშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ტრ. რუხაძის, გ. იმედაშვილის, მ. აბრამიშვილის და სხვათა ღვაწლი. ისინი თავიანთ ნაშრომებში გაკვირით და მეტ-ნაკლებად ეხებიან დ. ჩოლოყაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხოლოდ ცალკეულ საკითხებს,

¹ გ. ლეონიძის წერილი ჟურ. „დროშაში“, 1925, № 25.

და, უმეტესად, ყურადღებას ამახვილებენ დავითისეულ რასინის „ეფი-
ლენის“ თარგმანზე ქართული თეატრის ისტორიის საკითხებთან და-
კავშირებით.

აქ დასახელებულ ავტორთა ნაშრომებზე მსჯელობა გვექნება ქვე-
მოთ, დავითის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესაბამის საკითხებთან
დაკავშირებით.

მდივანბეგ დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილის ცხოვრება და
მოღვაწეობა ორ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი მისი ცხოვრე-
ბის და მოღვაწეობისა მთავრდება საქართველოს დამოუკიდებლობის
მოსპობასთან ერთად, ხოლო მეორე იწყება საქართველოს რუსეთთან
შეერთების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში
დავითი ხანშიშესული კაცი იყო, მისი მოღვაწეობა მაინც სათანადო
კვალს ტოვებს.

დავით ჩოლოყაშვილი დაიბადა 1735 წელს. იგი იყო შვილი ჯიმ-
შერ ჩოლოყაშვილისა². ჯიმშერი მეფე თეიმურაზისა და ერეკლეს პო-
ლიტიკის მომხრე და მათთვის თავდადებული მოღვაწე იყო, ერეკლესა-
ივის მრავალ ბრძოლაში ჭირნახული³, მეფისაგან დამსახურებისამებრ
წყალობა ნაბოძები. — იგი ჯერ იყო მოურავი პანკისისა, ბახტრიონი-
სა და ქორბალოსი, შემდეგში მეფე თეიმურაზის წყალობითვე 1743 წ.
დაინიშნა ერისთავად არაგვისა⁴. მასვე დღეშეთში აუშენებია კოშკი-
სასახლე გალავნით, რომელზედაც ვკითხულობთ: „ჩოლოყაშვილმან,
არაგვის ერისთავმან ჯიმშერ აღვაშენე დღეშეთის სასახლე კოშკ-გალა-
ვნით 1751 წელს“⁵.

მდივანბეგი დავით ჩოლოყაშვილი ხშირად ჯიმშერიშვილად იწო-
დება. მამამისი ჯიმშერი, როგორც ვრწმუნდებით, საკმაოდ ცნობილი
პირია ჩვენს ისტორიაში. იგი სიყრმიდანვე თან ახლდა ერეკლე მეო-
რეს ინდოეთში ცნობილი 1738 წ. ლაშქრობის დროს. ჯიმშერის მიერ
დამოწმებულ ერთ-ერთ საბუთზე დასმულ ბეჭდის წარწერაში ვკით-

2 კალმასობის ავტორი დ. ჩოლოყაშვილს 1800 წ. ათქმევენებს: „მე დიდად
დღეგრძელი ვარ, სამოცდახუთის წლისა ვარ და ამა იანგარიშეთ რამდენი დღისა
ვიქნებიო“. (კალმასობა, ტ. 1, გვ. 97), კალმასობის ამ ცნობის გარდა, როგორც ეს
გ. ლეონიძემ მიუთითა თავის დროზე (იხ. „დროშა“, 1925, № 25), სხვა
წყარო დავით ჩოლოყაშვილის დაბადების თარიღის შესახებ ჭერხნობით მიუკვლე-
ველია.

3 კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 3663,
გვ. 164 — 165, ვახტანგ ბატონიშვილის ისტორიებრი აღწერა.

4 თედო ჟორდანიას „ქრონიკები“, წიგნი 2, გვ. 53, არაგვის ერისთავთა გენია-
ლოგიური შტოს 18 მუხლი.

5 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ხულობთ: — „მონა ღმრთისა, ყმა მეფისა, მოურავი ღუშეთისა“. ჯიმ-
შერი, კონსტანტინე მუხრანბატონთან ერთად, ქვეყნის უმძიმეს პი-
რობებში რაზმავდა ძალებს მოძალადე ლეკ-აბრაგთა ასალაგმავად,
რომელსაც კონსტანტინე შეეწირა კიდეც. რუსეთის აგენტი ოთარ
თუმანოვი რუსეთის მთავრობას მოახსენებდა იმ პირობების შესახებ,
რომლის შედეგადაც კახეთის ბაგრატიონები ქართლში გაბატონდნენ.
თუმანიშვილი წერდა: ვახტანგ მეფის რუსეთში გადასახლების შემ-
დეგ ქართლ-კახეთი მეფეებმა თეიმურაზმა და ერეკლემ დაისაკუთრეს.
მეფენი კახეთს რაკი მკვიდრად ეკიდებიან, ამიტომ, თუ წინათ — „კახე-
თი უფრო დაბალი იყო, ეხლა ქართლი უფრო იჩაგრება... რომელიც
ქართლში პირველი სიმაგრეა არაგვის საერისთავო, ამ სიმაგრეში კახი
კაცი ჩოლოყაშვილი კნიაზი ჯიმშერი უზის, არც ქართველთ შეუძლი-
ანო, რომ ამაზე ხმა ამოიღონ“⁶.

სხვა დოკუმენტში არაგვის საერისთავოს უპირველეს სიმაგრეში
ჯიმშერის ჩაყენება, არაგვის ერისთავთა ღალატითაა ახსნილი. — „Тей-
мураз и Ираклий за измену и неповиновение лишили дом Сидомо-
новых Эриставта и поставили Эриставом Арагбинским кн. Джим-
шера Чолокаева“.⁷

დავით ჩოლოყაშვილი იხსენიება ჯიმშერ ერისთავის ძედ და მდი-
ვანზეგად. მდივანზეგობა დავითის სამოხელეო თანამდებობა იყო. ჩვენ
არ მოგვეპოვება ცნობა იმის შესახებ, თუ როდის მიენიჭა დავითს
მდივანზეგობა, ხოლო არზაში, რომელიც 1790 წლის 5 სექტემბერს
მიურთმევია დავით ჩოლოყაშვილს ერეკლესათვის, დავით მდივანზე-
გად იწოდება. აქვე იხსენიება ძმა დავითისა იოანე: — „ღმერთმან
ბედნიერის ხელმწიფის კირი მოსცეს ჩოლოყაშვილს მდივანზეგს და-
ვითს და იოანეს“, — ნათქვამია არზაში. ამავე საბუთიდან ცხადია,
რომ დავითის მამა ჯიმშერი ამ დროს უკვე არაა ცოცხალი. მეფე ერე-
კლე ამ არზაზე სხვათაშორის წერს: „ასე იცოდეთ, ჯიმშერი უპირნა-
ხულო კაცი არ იყო“.⁸ ჭეშმარიტად, რომ ჯიმშერ ჩოლოყაშვილი მე-
ფეების თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკის ერთგული იყო და გაბე-

⁶ ი. ცინცაძის პუბლიკაცია „კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათე-
ბი საქართველოდან“ (1754—1756 წწ.). თბ., სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომე-
ბი, ტ. 27, 1946, გვ. 26, საბ. 12.

⁷ აქტები, ტ. VII, გვ. 375.

⁸ ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A, № 609. იხ. ტრ. რუხაძის „მეფე-
ლი ქართული თეატრი და ლიტერატურა“, თბ., 1949 წ., გვ. 205—206. ტრ. რუხაძე ასა-
ხელებს დავითის ძმას იოანეს და საუკებით გამართლებულად მიიჩნევს კულტურულ-
ლიტერატურული ცხოვრების აქტიურ მონაწილედ. იგი მისი გარდაცვალების თარიღ-
საც სწორად ასახელებს (1831 წ.), მაგრამ მისთვის უცნობია, რომ იგი ძმა იყო
დავითისა.

დული მებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. მას ჰქონია მინდობილი მთიელ მეზობელ ტომებისაგან ჯარის დაქირაავებისა და ორგანიზაციის საქმე, პაპუნა ორბელიანის ცნობით, ჯიმშერს არაერთხელ უსახელებია თავი ბრძოლებში⁹; ჯიმშერ ჩოლოყაშვილს, მსგავსად მისი შვილის დავითისა, მინდობილი ჰქონდა უფლისწულთა აღზრდა, მაგალითად, მეფე ერეკლეს პირმშოს ვახტანგისა. ამიტომ ჯიმშერისავე გამგებლობაში გადასულა ქართლ-კახეთის საუფლისწულო მამულები. პაპუნა ორბელიანი ამის შესახებ შემდეგს გვაუწყებს: „მეფე თეიმურაზს მეფის ერეკლეს მეტი ძე არ ესვა და ორთავ მეფეთა სასურველი „ვახტანგი იყო ძე მეფის ერეკლესი, მშვენიერი და ხელმწიფობისა მათისა საკადრისი ძე და ყოვლისა სიკეთითა შემკობილი... ამას უბოძეს მეფეთა რაც ქართლში და ან კახეთში საბატონიშვილო მამული იყო, სოფელი ან ციხე და ალაგი. აგრეთვე, არაგვის ერისთავის მამული მთლიე მთა და ბარი საუფლისწულო გაუბრძინეს“. უბრძანეს ჯიმშერ ერისთავს: „სანამდის ეს ჩვენი შვილი გაიზრდებოდესო, ან ქვეყნის მოვლას შეიძლებდესო, ეს ჩვენი შვილიცა და ეს ქვეყნებიცა შენთვის მოგვიბარებიაო. რიგიანის საქმით ამ ქვეყნებს მოუარეო და ჩვენს შვილს ემსახურეო“¹⁰. უფლისწულების აღზრდა მამიდან, ჯიმშერიდან, დავითზე შემკვიდრებით უნდა გადასულიყო, როგორც ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით. უფლისწული ვახტანგი 1751 წელს გარდაიცვალა — „წვივით მეფეთა უბედურება, რომელ მეფის ერეკლეს პირმშო ძე მისი ვახტანგ გარდაიცვალა“¹¹. 1755 წელს ჯიმშერი ანანურში მიბრძანებულ მეფე ერეკლეს პირადად ეგებება და ამავე წელსვე ანანურიდან ხევამდე რუსეთში გადასახლებულ კათალიკოს ანტონ I გააცილებს¹².

ჯიმშერ ჩოლოყაშვილი მოუკლავთ მოხევეებს ამავე პერიოდში, ხოლო თუ რა მიზეზით, ჯერხნობით გაურკვეველია. იესე ბარათაშვილის ცნობით 1756 წელს „მოკლეს არაგველი ჯიმშერ ერისთავი, რომაქის შვილი“¹³.

⁹ ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის რედაქციით, გვ. 156 და 457.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის რედაქციით, გვ. 449.

¹¹ ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის რედაქციით, გვ. 51.

¹² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 459.

¹³ ი ე ს ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ცხოვრება-ანდერძი. ავთანდილ იოსელიანის გამოცემა. 1950, თბ., გვ. 20. ტრ. რუხაძე შეცდომით უთითებს „აქტების“ I ტომს, გვ. 387 და წერს: „1800-იან წლებში საქართველოს ტახტის მემკვიდრის საკითხი რომ დაიხსნა, ჯიმშერმა მხარი დაუჭირა ირაკლის ცნობილ ანდერძს“ (იხ. მისი „ძველი ქართული თეატრის ისტორია“, გვ. 205). ჯიმშერი ამ დროს, როგორც ირკვევა, დიდხინის გარდაცვლილი იყო და, რა თქმა უნდა, არა იგი, არამედ მისი შვილი დავით ჯიმშერის ემსახურებოდა ამგვარ პოლიტიკურ კურსს.

როგორც ეს ჩვენ დანამდვილებით ვიცით, ჭიმშერმა ერისთავობა 1743 წელს მიიღო, როცა არაგვის ერისთავი ბეჟანი მოკლეს და „ერისთავად თეიმურაზ მეფემ ჭიმშერ ჩოლაყაშვილი დასვა“¹⁴. ამრიგად, საერისთავოს 1756 წლამდე იგი განაგებდა, ჩოლო შემდეგ „მეფის ძენი ვახტანგ და ლეონ“. ჭიმშერის შვილები ერეკლეს კარზე მეფის სამსახურში წინაურდებიან. დავითი მდივანბეგი ხდება. 1795 წელს ერეკლეს ბრძანებით წელიწადში ათი თუმანი დაენიშნა მდივანბეგ დ. ჩოლოყაშვილს, რაც 1798 წელს გიორგი მეფეს ხელახლა დაუმტკიცებია¹⁵. მეფე ერეკლეს გარდაცვალების დროს დავით ჩოლოყაშვილი ბორჩალოში იმყოფებოდა, საიდანაც გიორგი ბატონიშვილს სასწრაფოდ გამოუწვევია. ამის შესახებ პლ. იოსელიანი შემდეგს გვაუწყებს: „მეორეს დღესა შემდგომ მეფის ირაკლისა გარდაცვალებისა, მეფემან გიორგიმ ბორჩალოდან მოუწოდა ჩოლაყაშვილსა დავით ჭიმშერის ძესა, კაცსა სიტყვა მარჯვესა და კვალად ატრიკურად მწერალსა და უბრძანა წარწერა ბექდისა მისისა მეფობისა“¹⁶. დავითმა შეასრულა ეს დავალება. შეადგინა ბექდის წარწერა: „სიმღაბლით გარდმოსულსა იესოს ვაქებ...“ მიერთვა მეფეს თელავს და მოეწონა“. სხვა ცნობები დავითის პირველი პერიოდის მოღვაწეობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად დაემხო რა ბაგრატიონთა დინასტია, მოიშალა ძველი სახელმწიფოებრივი წყობილება და რუსული მმართველობა დამკვიდრდა. პოლიტიკური ცხოვრების სარბიელიდან გაირიყა და უმოქმედოდ დარჩა საქართველოს მეფეთათქმის ყველა ერთგული გავლენიანი მოხელე. დავით ჩოლოყაშვილი ამათგან გამონაკლისს წარმოადგენდა. ამის მიზეზი უმთავრესად შეიძლება ის იყოს, რომ ჩოლოყაშვილი მკოდნე იყო მრავალი აღმოსავლური და ევროპული ენისა, ასევე რუსული ენისა. ასეთი მოღვაწეები კი მაშინ იშვიათად მოიპოვებოდნენ საქართველოში. მაგალითად, იოანე ბატონიშვილი რუსული ენის მკოდნეებად ასახელებს მეფის ძე

14 თ. უოტდანი, „ქრონიკები“, წიგნი II, გვ. 534.

აღ. იოსელიანის ორგზის დამოწმებული ცნობით დუშეთის ერისთავად ჭიმშერ ჩოლოყაშვილი 1750 წელს დაუნიშნავთ. იგი წერს: „В 1750 году Джимшер Чолокаев был назначен Правителем Арагвской области“. იხ. პლ. იოსელიანის „Описание г. Душети“, Тиф., 1862, стр. 4 и 59 და მისივე—„Род князей Чолокаевых и мученичество св. Биданна чолокаева“, Тифлис, 1866, стр. 11.

15 საქართველოს ცენტრარქივის ძველ საბუთთა არქივი, ფ. 226, № 1448.

16 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, ავ. გაწერელის რედაქციით, 1936, თბ., გვ. 156.

დავითს, მირიანს, გიორგი ავალიშვილს, ალექსანდრე ქავჭავაძეს, გოდერძი ფირალიშვილს¹⁷, რასაკვირველია, იყვნენ სხვებიც, რომელთაგან დავით ჩოლოყაშვილს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა¹⁸.

დავით ჩოლოყაშვილი რომ შესანიშნავი მთარგმნელი იყო (რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად) ეს მარტო რასინის „ეფიდენისი“ ქართულად გადმოკეთებით როდი დასტურდება. მასვე უმთარგმნია ლომონოსოვის ლექსები და სხვა. მთარგმნელობით მოღვაწეობას, დაწყებულს XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან, იგი აგრძელებს შემდეგშიც, რუსული მმართველობის დამკვიდრების მერმეც — და უფრო მეტი მონღომებით. ოლონდ იმ განსხვავებით, რომ ამიერიდან ლიტერატურულ ქმნილებებთან ერთად, იგი თარგმნის ოფიციალურ საბუთებს და ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებს. მაგალითად, დავითმა თარგმნა საქართველოს რუსეთთან შეერთების ხელშეკრულება, სამაზრო ხაზინადარის არჩევნების დებულება და სხვ. დ. ჩოლოყაშვილმა ლომონოსოვის ჰიმნები გადმოაქართულა, კერძოდ, „საწინასწარმეტყველო წიგნი იობისა 40, 41, 145“; „ფსალმუნი გალექსილი“ და სხვა.

რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას, მართალია, დიდი ტრადიციები მოეპოვება, მაგრამ მისი აღორძინება XVIII საუკუნიდან რუსეთში აღმოცენებულ ქართულ კოლონიებსა და ემიგრაციაში მყოფი ქართველი მწერლების უკვდავ სახელთანაა დაკავშირებული. არჩილ მეფე, ალექსანდრე და დარეჯან ბატონიშვილები, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, მამუკა ბარათაშვილი, ბესიკი, სულხან-საბა-ორბელიანი და სხვანი ამ საქმის დიდი წამომწყებნი იყვნენ.

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX ს. დასაწყისს ამ საქმეს წარმატებით აგრძელებენ დავით და მირიან ბატონიშვილები, გიორგი ავალიშვილი, გაიოზ რექტორი, ალექსანდრე ამილახვარი, პეტრე ლარაძე, დიმიტრი ციციშვილი, დავით ჩოლოყაშვილი და ბევრი სხვანი. 1800-იანი წლებიდან დ. ჩოლოყაშვილი უმთავრესად თარგმნის ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ხასიათის ძეგლებსა და საბუთებს.

17 იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, „კალმასობა“, II, გვ. 213.

18 ბევრმა მათგანმა არა მხოლოდ რუსული, არამედ აღმოსავლურ — სომხურ და სპარსულ-თურქულთან ერთად, ევროპული — ფრანგული ენაც იცოდა. ასეთი იყო, მაგალითად, დავითთან ერთად, გიორგი ავალიშვილი, ალ. ქავჭავაძე და მრავალი სხვ. იხ. გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ე. მეტრეველის რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1968.

უმთავრესად პრაქტიკული დანიშნულებისათვის¹⁹, მაგრამ აღნიშნული მაინც ერთი მხარეა მისი მოღვაწეობისა და, შეიძლება ითქვას, რომ დაკავშირებულია მის საკმაოდ მაღალ წოდებრივ, თუ თანამდებობრივ მდგომარეობასთან, რომელიც დავით ჩოლოყაშვილს ებოძა რუსული მმართველობისაგან 1802 წელს, — ეს იყო მილიციის მაიორობა. რით დაიმსახურა ეს, ხანში შესულმა და ორი მეფის — ერეკლესა და გიორგის—სასახლუში ერთგულად ნამსახურმა დავითმა? ამ საკითხზე რამდენადმე არაპირდაპირ, მაგრამ მაინც გარკვეულ პასუხს გვაძლევენ დოკუმენტები, დავით ჩოლოყაშვილის დამოკიდებულების შესახებ 1802 წ. კახეთის აჯანყებისადმი. ირკვევა, რომ დავითი წინააღმდეგი ყოფილა კასეთის ამ აჯანყების მოწყობისა და დარწმუნებულიც მის უნიადაგობაში. აღნიშნულს ადასტურებს აჯანყების მონაწილე ანდრია ქურდაშვილის ჩვენება 1802 წ. 29 ივლისის თარიღით. დავითს როგორც კი გაუგია აჯანყების ამბავი თავადთაგან საიდუმლოდ მიგზავნილი ქურდაშვილისაგან, აჯანყებულთათვის თანაგრძნობის გაწევისა და თანხმობის მიცემის ნაცვლად განუცხადებია: „Они делают весьма непохвальное дело и совсем противное богу и государю императору“. ამ სიტყვებით დავითი განშორებია ქურდაშვილს „С тем намерением, чтоб объявить ген. М. Гулякову“ — ნათქვამია ანდრია ქურდაშვილის ჩვენებაში.²⁰

გულიაკოვს დაუვალვია დავით ჩოლოყაშვილისათვის „Открыть все зловерные намерения“ აჯანყებულებისა, მიმართული რუსეთის ხელმწიფის წინააღმდეგ. მართლაც, დავითი საქართველოს მთავარმმართველს მოახსენებს 1802 წ. 15 ივლისის თარიღით ყოველივეს დაწვრილებით და სხვათა შორის აუწყებს: „Не сомневаясь более в моем с ними единомыслии, они открыли мне всю свою тайну и показали письмо“.²¹

ძნელია, ქურდაშვილის ჩვენების შემდეგ, სანდოდ მივიჩნიოთ დავითის ეს მოხსენება მთავარმმართველისადმი, მხოლოდ ერთი კი ცხადია, რუსის მოხელეები დავით ჩოლოყაშვილს, ჩანს, უსაზღვროდ

19 მაგ. 5. ჩუბინაშვილთან თანამშრომლობით დავით ჩოლოყაშვილს 1806 წ. უთარგმნია — „Учреждение о губерниях“, 1807 г., „Городовое положение постановлений для выбираемых из Грузии уездных казначей“ (ალ. ცაგარელის „сведения“, III, გვ. 12), მანვე ქართულიდან რუსულად თარგმნა მეფე ირაკლი მეორისა და იმპერატორ პავლე პირველის ხელშეკრულება (კალმასობა, 1, გვ. 127), მეფე ვახტანგ VI კანონები და სხვა.

²⁰ „Акты“, ტ. I, გვ. 366.

²¹ „Акты“, ტ. I, გვ. 389.

ენდობოდნენ და დავითი რუსების ფეხისმოკიდებას საქართველოში ხელს უწყობდა. ირკვევა, რომ მან კი არ თანაუგრძნო კახეთის აჯანყებას, არამედ აქტიური როლი ითამაშა მის ჩაქრობაში. ამიტომ შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ მას უბოძეს მილიციის მაირობა და ისიც სწორედ ამ პერიოდში²².

დავითთან ერთად რუსეთის ერთგული და უფრო გავლენიანი მოხელე გახდა დავითის ძმა, ჩვენთვის ცნობილი იოანე ჩოლოყაშვილი. იგი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრებისათვის. „თავადი იოანე ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილი, ზაალ ბარათოვი და სულხან თუმანოვი“²³ მხნედ უდგანან გვერდში ლაზარევს 1801 წლიდანვე ყველა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა გატარებაში²⁴.

დავით ჩოლოყაშვილი გადაჭრით დაადგა მეფე ერეკლეს მიერ არჩეულ საქართველოს რუსეთთან დაკავშირების გზას და ზურგი შეაქცია ამით უკმაყოფილო თავადებს. ამიტომაც რუსი მოხელეები, ბუნებრივია, დავითს ენდობიან და აბამენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში; მაგ., 1807 წ., 2 იანვარს თავადი ორბელიანი გუდოვიჩს სწერს: „Маиора князя Давида Чолокаева посланного мною к султану Елисуйскому с разными поручениями не один раз“²⁵.

ჩანს, დავითი დიპლომატიურ ფუნქციებს ასრულებდა ამ ხშირი და სხვადასხვა ხასიათის დავალებებით, რაშიც მას ხელს უწყობდა არა მარტო ხანგრძლივი გამოცდილებანი პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობისა, უცხო ენების შესანიშნავად ცოდნა, არამედ სასახლის არისტოკრატიული ჩვევები, ჰუმანახვილობა და გამჭირახობა, რაც ესოდენ საჭიროა დიპლომატიურ ასპარეზზე წარმატებისათვის. დავით ჩოლოყაშვილი, მსგავსად გიორგი ავალიშვილისა, დიდად განსწავლული პიროვნება იყო. 1810-იან წლებში დავით ჩოლოყაშვილი ისევე მთარგმნელობით მოღვაწეობას უბრუნდება და აგრძელებს (იქნებ იმიტომ, რომ ამ ხანში იგი უკვე მოხუცია, თითქმის 80 წლამდე მიღწეული), მაგ-

²² ამიტომაც პოეტ აკად. გ. ლეონიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს დავითი რუსეთის ორიენტაციას არ იზიარებდაო (იხ. ეურნ. „დროშა“, -1925 წ., № 25, გვ. 29), არ დასტურდება.

²³ ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Н 394, ფურც. 55, V.

²⁴ ივანენკოს „Гражданское управление Закавказьем“, თბილისი, 1901, გვ. 3; პროფ. ტრ. რუხაძის ცნობით იოანე 1831 წ. გარდაიცვალა (დასახ. შრ., გვ. 205). პლ. იოსელიანი დავით ჯიმშერისძე ჩოლოყაშვილის გარდაცვალების ზუსტ თარიღს არ იცნობს. მისი აზრით, გარდაიცვალა „около 1810 года“, იხ. მისი „Под князей Чолокаевых и мученичество св. Бидзина Чолокаева“, стр. 11.

²⁵ „აქტები“, ტ. III, გვ. 323.

რამ საყურადღებო სხვათაშორის ისაა, რომ მას უკვე ამ პერიოდში პათავრებული ჰქონია მეფე ვახტანგ VI კანონთა თარგმნა ქართულიდან რუსულად. ამავე პერიოდისათვის დ. ჩოლოყაშვილს ასევე დამთავრებული ჰქონია და მოწონებულიც ყოფილა მის მიერვე გადათარგმნილი სათავადაზნაურო სიგელთა გარკვეული ნაწილი, რომლის ღედნები საქ. ცენტრალური არქივის სათანადო ფონდებშია დაცული. 1811 წ. 29 მარტს გენ. ტორმასოვი, იუსტიციის მინისტრს დიმიტრიეს სწერდა: „Правитель Грузии Ген. м. Ахвердов, представив мне переводы Майора кн. Чолокаева с Российского (на) Грузинской язык Дворянскую грамоту... свидетельствует, что переводы сии хороши..., а при том Майор кн. Чолокаев сверх сих переводов занимался также переводом с Грузинского на Российский законов царя Вахтанга, кои представлены правительствующему сенату 11 5-го числа октября 1810 года“²⁶.

ამრიგად, შეხედულება იმის შესახებ, რომ დავით ჩოლოყაშვილს რითქოს მხოლოდ დაეწყო და არ დაემთავრებინოს მეფე ვახტანგ VI კანონების თარგმნა, არ შეეფერება სინამდვილეს²⁷. სხვა ცნობებს ავით ჩოლოყაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ამიერიდან ჩვენ ვერ ვხვდებით. ამის შემდეგ დავითს დიდხანს აღარ უცოცხლია, თუმცა, თარიღი მისი გარდაცვალებისა, ჯერჯერობით მიუკვლეველი გვრჩება. რაც შეეხება მკვლევარ ტრ. რუხაძის მოსაზრებას, რომ დ. ჩოლოყაშვილი, თითქოს, 1809 წელს გარდაიცვალა²⁸, როგორც ვრწმუნდებით, არ დასტურდება.

ასეთია, მეტად მოკლედ, მოღვაწეობა და ბიოგრაფიული ქარგა დავით (ჯერ მდივანბეგისა, მერმე მაიორისა) ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილისა. როგორც ვხედავთ, მან არსებითად ორ სხვადასხვა, ფაქტიურად დაპირისპირებულ ეპოქაში იცხოვრა, როგორც თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ. ამასთანავე, მანვე შესძლო ორიგინალურ-პოეტურ თუ მთარგმნელობითი-დრამატულ-ლიტერატურულ და იურიდიულ ნაშრომებით რამდენადმე გაემდიდრებინა ქართულ-რუსული მწერლობა და მაშინდელი მეცნიერული აზროვნება. გარკვეულია, რომ დ. ჩოლოყაშვილის ნაღვაწს დიდი საზოგადოებრივ-შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგ., „ეფიღენია“ იდგმებოდა ერეკლეს დროინდელ თეატრში, ხოლო ვახტანგის კანონებით სამართლიანობა მკვიდრდებოდა მაშინდელ საქართველოში...

²⁶ „აქტები“, ტ. IV, გვ. 957.

²⁷ ეურნ. „დროშა“, 1925, № 25, გ. ლეონიძის წერილი, გვ. 28—29.

²⁸ ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრის ისტორია, გვ. 207.

მდივანბეგ დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ჩვენამდე მაინც მცირე და ფრაგმენტული ხასიათის ცნობებია მოღწეული.

დ. ჩოლოყაშვილს დღემდე უმეტესად იცნობენ როგორც რასინის „ეფილენიას“ მთარგმნელს (უფრო სწორად, რუსულიდან გადმომკეთებლად)²⁹, დავითს ეს მოუმოქმედნია მეფის ერეკლეს „შესაქცევად“. მას ეს შრომა შეუსრულებია 1795 წელს. ამასთანავე, დავითს გაუღექსავს „საწინასწარმეტყველო წიგნი იობისა“³⁰. თვლიან მას ვოლტერიანულად³¹, სამეფო კართან მეტად დაახლოებულ პირად და მახვილსიტყვიერ, ფართოდ განათლებულ, გავლენიან მოხელედ³².

ამასთანავე ირკვევა, რომ დ. ჩოლოყაშვილი იყო თვალსაჩინო პოეტი და, შეიძლება ითქვას, იმდენად გავლენიანიც, რომ დავითის თანამედროვეთაგან მეცნიერი ბატონიშვილების — თეიმურაზისა და იოანეს ყურადღებაც კი დაუშსახურებია. მაგალითად, იოანე ბატონიშვილი თავისი ენციკლოპედიური ნაშრომის „კალმასობის“ იმ ნაწილში, სადაც ქართველ მწერალთა შესახებ „მცირედ იუწყება“, სახელოვან მგოსან ბესარიონ გაბაშვილთან ერთად, იხსენიებს დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილს. ბატონიშვილი იოანე წერს: „ბესარიონ გაბაშვილი იყო მოშიარე, მსგავსი რუსთველისა, რომელმანც მსგავსნი შიარნი დასწერა... ამის შემდგომ მოსტიხენიც არიან დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილი...“³³ და სხვ. არ გავიმეორებთ თეიმურაზ ბატონიშვილის ზემომოყვანილ წერილს დავით ჩოლოყაშვილის შესახებ, სადაც ესოდენ დამაჯერებლადაა მითითებული დავითის ვრცელ განსწავლულობაზე, მაღალზნეობრივ თვისებებზე, მხიარულად მოხუმარ მაღალგონიერებასა და „უცხო პიტიკოსობაზე“. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ დავითის ამ პიროვნულ თვისებებს სხვანიც ადასტურებენ. მაგ., პლ.

²⁹ ალ. ც ა გ ა რ ე ლ ი. „Сведения“, III, გვ. 301—320, კ. კ ე კ ე ლ ო კ ე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, 1941, გვ. 636—637.

გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ჟურნ. „დროშა“, 1925 წ, № 25, გვ. 28—29.

მ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული თეატრი, ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბილისი, 1949 წ.

³⁰ დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქრესტომათია, 1863, 11, გვ. 74—75.

³¹ ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, გვ. 17, 124, 125, 131.

³² პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 156, 264.

³³ ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, № 2134, ფურც. 492.

იოსელიანი დავითს ახასიათებს როგორც „კაცსა სიტყვა მარჯვესა და კვალად ატიკურად მწერალსა“³⁴.

მაშასადამე, ირკვევა, რომ მდივანბეგი დავით ჩოლოყაშვილი საკმაოდ ცნობილი პოეტი იყო. დავით ჭიშკერის ძე ჩოლოყაშვილის პოეტური ნიჭის, ლიტერატურული უნარის, მისი მხატვრული მეტყველებისა და სახეებით აზროვნების შესახებ პლ. იოსელიანი გვაუწყებს:

„В легких стихах, лучшим языком, воспевал любовь, вино и подвиги военные своего народа, а монограммами своими Царя, лицам царственным и частным характеризовал их положение к Царству, народу и к себе самим. Он есть замечательное лицо в истории Грузинской литературы XIX века“. იქვე სქოლიოში შენიშნავს, რომ „Один куплет его сочинения о любви помещен в предисловии первого издания Броссета „Барсовой кожи“³⁵.

იგი ტიპიური წარმომადგენელია ფეოდალური არისტოკრატის იმ ზედა ფენებისა, რომლებიც თავიანთი გავლენიანი სამოხელეო თანამდებობრივი მდგომარეობითა და შემოქმედებით მკვიდროდ იყვნენ დაკავშირებული მეფე ერეკლეს სამეფო კართან. აი პოეტები და ისტორიკოსები, რომლებიც დავით ჩოლოყაშვილის თანამედროვენი იყვნენ და მისივე კოლეგებიც; მდივანბეგ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ავტორი მიჯნურთ ბადისა³⁶, მდივანბეგი მზექაბუკ ორბელიანი³⁷, მდივანბეგი იესე ბარათაშვილი—ავტორი „ეშყი—ხონია“-ს³⁸, ლექსთა კრებულის „ნარგიზოვანი“-სა³⁹, მდივანბეგი დიმიტრი თუმანიშვილი, მდივანბეგი სოლომონ ლეონიძე, ისტორიკოსები პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე და სხვ. აქ დასახელებული პლეადა მწერლებისა და პოეტებისა გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ტიპიური წარმომადგენლები არიან

34 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 156. 1936. ი. მესხიშვილი დ. ჩოლოყაშვილის დახასიათებისას შენიშნავს, რომ „...ჩვეულებით ყოველთვის მზიარული, მახვილსიტყვიერი (იხ. ხელნაწ. ინსტ. ფ. H 140, გვ. 10 v).

35 П. Л. Иоселиани, род князей Чолакаевых, ... Тифлис, 1866, стр. 11—12.

36 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S № 1511, 118 1516, 1087 და სხვ.

37 ბესიკის თხზ. სრული კრებული ალ. ბარამიძის და ვ. თოფურიას რედაქციით, გვ. 80, 87, 152—157, აგრეთვე, ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, № 1516.

38 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. S № 1087, გვ. 22—31 და ფ. d № 118, გვ. 36 — 51 და სხვ.

39 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H 1334, დაწერილებით ამ მოსაზრების დასაბამებლად იხ. ჩენვი საკანდიდატო დისერტაციის თეზისები, 1941 წ., „ნარგიზოვანი“-ს ტექსტი, გამოსცა აკად. ალ. ბარამიძემ 1936 წ.

ქართული მწერლობის აღორძინების პერიოდის ლიტერატურულ ჟანრისა, რომელიც უმთავრესად სამიჯნურო-სატრფიალო პოეზიაში პოულობს ნათელ გამოხატულებას.

მდივანბეგ დავით ჩოლოყაშვილს შეუთხზავს ლექსი „სიყვარულო ძალსა შენსა“ (ვემყარებით თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობას, დაწვრილებით ქვემოთ), რომელიც დასახელებული ლიტერატურული ჟანრის გვირგვინად შეიძლება გამოდგეს. პროფ. ალ. ცაგარელიც მიუთითებს გაკვირვებით, რომ დავითს დაუწერია „ლექსნი რომელიმე საქებელნი და რომელიმე საღაღობელნი“⁴⁰.

საქართველოს რუსეთთან დაკავშირებამ ხელი შეუწყო ქართული კულტურის წინსვლას, ქართველი მოღვაწეების ფართო ასპარეზზე გამოსვლას და ეროვნული კულტურის გამდიდრებას.

ერეკლე მეორე (ასევე იქცეოდა სოლომონ პირველიც), აძლიერებს რა რუსეთთან პოლიტიკურ კავშირს, რუსეთში აგზავნის თავის შვილებსა და შვილიშვილებთან ერთად მოწინავე ახალგაზრდებს, რომლებიც შემდეგში სამშობლოში ბრუნდებიან სამოღვაწეოდ. მრავალთაგან ასეთები იყვნენ ანტონ პირველი და ლეონ ბატონიშვილი, მირიანი, დავითი, გ. ჭავჭავაძე, დავით ჩოლოყაშვილი, ერასტი თურქისტანიშვილი, იოანე ორბელიანი, იმერეთის სამეფოდან ბესიკი, მაქსიმე ქუთათელი, მხეიძე, კვინიხიძე და მრავალი სხვა. ისინი ეცნობოდნენ რა რუსეთის მოწინავე კულტურას, მის ლიტერატურას და ხელოვნებას, ამდიდრებდნენ ქართულ კულტურას, მის მწერლობას და ხელოვნებას. მე-18 საუკუნის ბოლო წლებში მათ საფუძველი ჩაუყარეს განახლებულ ქართულ თეატრს და ქართული ორიგინალური პიესების შექმნასთან ერთად მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდნენ. მაგ., გ. ავალიშვილმა რუსულიდან თარგმნა ა. პ. სუმაროკოვის პიესები: „საჩხუბარი“, „დედა რაყიფი ქალისა“, „რქის მატარებელი მამაკაცი“, „ცრუ დიმიტრი“, „სინავ და ტრუვორი“ და „უბნობა მკედართა“. დ. ჩოლოყაშვილმა კერძოდ, გადმოაქეთა რასინის ტრაგედია „ეფილენია“, რომელშიც შეტანილია ქართული სინამდვილე ერეკლეს მეფობიდან, მკვეთრადაა გამოვლენილი საკუთარი რეჟისორული გემოვნება მუსიკალურ და დეკორაციულ გაფორმებასთან ერთად.

ჩვენ აქ, მოკლედ, მხოლოდ დ. ჩოლოყაშვილის მიერ გადმოქართულებულ „ეფილენიაზე“ შევჩერდებით.

დავით ჩოლოყაშვილისეული პიესის „ეფილენია-ს“ ხელნაწერს დართული აქვს ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: „ეფილენია ტრალედიია. მათის მეფობის დიდებულების სრულიად საქართველოს მეფის

⁴⁰ ალ. ცაგარელი, „Сведения“, III, გვ. 181.

ირაკლი მეორის შესაქცევად ეპოხასა მეფობის მისისა 63 წელსა. შემდგომად მაცხოვრისა ჩუენისა ჩლჳე თთუესა მარტსა გ. თქმული მღივანბეგის თავადის ჩოლოყაშვილისაგან ქალაქსა ტფილისს (დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში ფონდი H № 389 და A 1767). ტექსტი „ეფიღენისა“ გამოსცა ტრ. რუხაძემ თავის „ძველი ქართული თეატრის ისტორიაში“ (გვ. 297—333), უფრო აღრე კი გამოსცა: ალ. ცაგარელმა (1894 წ.) და მიხ. აბრამიშვილმა (1925 წ.).

ირკვევა, დ. ჩოლოყაშვილი თავის პიესებში იყენებდა აღმოსავლურ, არაბული წარმოშობის, მოტივს „სეგა მუხალიფი“, ე. ი. მუხამბაზურ ლექსებს, როგორც ქართული სასიმღერო ლირიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ კილოს⁴¹.

დავით ჩოლოყაშვილის თარგმანი „ეფიღენისა“ საგრძნობლადაა განსხვავებული პირველი წყაროსაგან და ქართულ სინამდვილესთანაა შეხამებული. მასში მოტანილია ქართული აფორიზმებისა და ფოლკლორული მასალის დამახასიათებელი ნიმუშები. ამ ძეგლის აკადემიური გამოცემლის მართებული შენიშვნით აქაც, თარგმანის შესრულებისასაც კი, „დ. ჩოლოყაშვილის წყაროა მოყვანილი მშობლიური ლიტერატურის ძეგლები“⁴². სწორი იყო „ეფიღენის“ პირველ გამოცემელი ალ. ცაგარელი, როცა შენიშნავდა, რომ — დ. ჩოლოყაშვილის „ეფიღენია“ წარმოადგენს რასინის პიესის („ეფიგენია ავლიდიელის“) თავისუფალ თარგმანს. ქართველი მთარგმნელი დიდ ანგარიშს არ უწევს ფრანგ კლასიციტს და როგორც მოესურვება ისე ასწორებს ამ ხუმროქმედებიან ტრადედიას. ქართულში რვა მოქმედება და რვა გამოცხადება... განსხვავებულია ქართული პიესის ფინალიც... დავით ჩოლოყაშვილს ალეგორიულად გამოყვანილი ყავს მეფე ირაკლი“⁴³. ყოველივე აქ აღნიშნული საფუძველს იძლევა იმისას, რომ დ. ჩოლოყაშვილის „ეფიღენია“ ერთგვარად, ორიგინალურ ქართულ ძეგლად მივიჩნოთ.

ალ. ორბელიანის მითითებით თელავსა და თბილისში „ქართულ კომედიებსაც სდგამდნენ მეფის ირაკლის დროში, რომელთა გამმართველი იყო გაბრიელ მაიორი“⁴⁴. ჩვენამდე მოღწეულია ბილეთები წარ-

⁴¹ დ. ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი შრომის შენიშვნა ქართული თეატრის ისტორიისათვის (ყურნ. „მნათობი“, 1946, № 4, გვ. 153—154).

⁴² ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“, თბ., 1944, გვ. 204.

⁴³ ალ. ცაგარელი, „Сведения“, III, გვ. X—XVIII, 1894.

⁴⁴ ალ. ორბელიანი, ნაწერების კრებ., 1879, გვ. 12—18.

წერით: „შაური ორი გაბრიელ მაიორი“⁴⁵, შემონახულია 1761 წელს ეცხე ბარათაშვილის მიერ დაწერილი სასცენო ორიგინალური მინიატურა⁴⁶, რომელიც საფიქრებელია იდგმებოდა როგორც თეატრში, ასევე კერძო ოჯახებშიც კი. აღა-მაჰმად-ხანის ველური შემოსევის დღეებში, თ. ბატონიშვილის გადმოცემით, მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა თეატრის დასიც. „კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაცა აღირჩიეს წინამძღვრად თავისად კაცი ვინმე მსახიობი (რომელსაც საზანდრად უხმობენ) ასე იყო ერთი წარჩინებულთა საკრავთა და მსახიობთა მეფისათა, მუზიკი და კომედიანტი და ეს იყო უფროსი მსახიობთა შორის და ცნობილი იყო სამეფოსა შინა... რომელსა სახელს სდებენ მაჩაბლად... ეპყრა ხელთა მისთა ბარბითი და უკრავდა მას — „ზე და შადიანსა... ვინაიდან ხმაი ესე განამხიარულებს“—ო.

მე-18 საუკუნის 90-იან წლებში ქართული თეატრი განადგურდა. ამრიგად, თბილისის აოხრების შედეგად არა მარტო ქართულმა თეატრმა შეწყვიტა არსებობა, არამედ განადგურდა მისი დასის დიდი ნაწილიც. ხოლო ისინი, ვინც გადაურჩა ამ გამანადგურებელ თავდასხმას, ახალი ამოცანების წინაშე აღმოჩნდნენ და ჩამოშორდნენ თეატრის საქმეს. პირველ პლანზე დაისვა საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი და, კერძოდ, დ. ჩოლოყაშვილი და გ. ავალიშვილი როგორც რუსულის კარგი მცოდნენი, ქვეყნის სხვა თავკაცებთან ერთად ამ საქმეში ებმებიან და მთელი შესაძლებლობით მონაწილეობენ.

დ. ჩოლოყაშვილმა რასინის ტრადიციის „ეფიღენის“ გადმოკეთებით, შეიძლება ითქვას, ახალი მიმართულება მისცა ქართულ თეატრს, ამასთანავე უდავოა ისიც, რომ დავითის მოღვაწეობა მეფე ერეკლეს თეატრის აღორძინების საქმეში ამით არ ამოიწურებოდა⁴⁷.

დ. ჩოლოყაშვილი თხზავდა და თარგმნიდა ასევე მცირე ზომის ლირიკულ ლექსებს.

დ. ჩოლოყაშვილის ლექსი „ივერიის მუზათა საბრძოლო სიმღერები“ ქართულიდან რუსულად ითარგმნა და გამოიცა კიდევ სახელწოდებით: „Песни Иверских муз“. 1791 წ. ამ ნაწარმოებში ავტორი ხოტბას ასხამს რუსეთის არმიის ძლევამოსილებას — „ოტომანის

45 ნ. მერენოვი, „Кавказ“, III, გვ. 10—18, 1894.

46 ა. იოსელიანი, „მე-18 საუკუნის ქართული კომედიური დიალოგი“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, № 31, 23 სექტემბერი.

47 გ. ლეონიძე, „დროშა“, 1925, № 25, გვ. 28—29. ავტორის აზრით, დავითის აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო თვით თეატრის ორგანიზაციისა და აღორძინება-დაწინაურების საქმეში.

პორტის დამარცხებას 1787 წ.“; იგი მოხიბლულია სუვოროვის და გრ. პოტიომკინის მხედართმთავრული ნიჭით, რომელთაც ქმოდანთ-ბესარაბიიდან განდევნეს თურქები, გაანთავისუფლეს ოჩაკოვი, ბენ-დერი და სხვა. დავითის აზრით ასევე „აღდგება კონსტანტინეპოლი“, „შიშით კართოდეს სტამბოლი“ და სხვ.

ამ ნაწარმოებიდან ისიც კარგად სჩანს, თუ რაოდენ ღრმად იცო-და მისმა ავტორმა ძველი ბერძნული წარმართული მითოლოგია და ისტორია.

ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტული ცნობები, როგორც აღინიშნა, დავით ჩოლოყაშვილს ახასიათებენ „სიტყვა მარჯვედ“ (პლ. იოსელი-ანი), „დიდად მხიარულს“, „ზნე კეთილობით მოხუმარს“ (თეიმურაზ ბატონიშვილი) და „მოსტიხეს“ (იოანე ბატონიშვილი).

სამწუხაროდ, დღემდე არაა გამოვლინებული დავითის „ზნე კე-თილობათი ხუმრობის“ ნიმუშები. ვფიქრობ არ იქნება ზედმეტი, თუ აქ მოვცევანთ ერთ ფრაგმენტს ხუმრობისას, რომელსაც მიაწერენ დავით ჩოლოყაშვილს. იგი შემორჩენია ჟამთა მსვლელობას როგორც ნაკვესი. აი ეს ადგილიც: „დავით ჯიმშერაშვილი თურმე ერთხელ მი-ვიდა სასახლეში შეწუხებული. ბატონიშვილებმა რომ ნახეს ეს ჩვეუ-ლებით ყოველთვის მხიარული, მახვილსიტყვიერი თავადი შეკმუხენი-ლი გაუკვირდათ და ჰკითხეს: რა დაგემართაო მდივანო,-? იმან გულა-მოსკვნით მიუგო: — მეტი რაღა უნდა დამემართოს, ერთი კვირაა, თქვენმა მზემ, ცხენის ხორცით გამომყავს ცოლ-შვილიო. შეწუხდნენ ბატონიშვილები, რომ სიღარიბეს აქამდინ მიეყვანა იმათი საყვარელი დარბაისელი და ყველამ ჯიბეს გაიკრა ხელი. როცა ყველამ უძღვნა რაც შეესწრა, ჩაიდო ჯიბეში ნაბობები ფული, მოიწმინდა თვალები და უთხრა: თქვენ დალოცვილებო ყველას აგრე ადვილად როგორ იჯერებთ, რათ გამიჭირდებოდა აგრე, რომ მართლა ცხენის ხორცი მეჭამა. ცხენი მყავდა, გაყვიდე, იმის ფასი ამ ერთ კვირას ვხარჯე და ცხენის ხორცი ეს იყოო“⁴⁸. ეს ფრაგმენტი დაცულია კრებულში— „მოკრეფილი ლალა“, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში შემუშავებულია ალექსიე-მესხიევის ოჯახში. უკანასკნელნი კი ჩამო-წავალნი უნდა იყვნენ დავით ალექსიშვილისა, „ცნობილი მეცნიერის, კალიგრაფისა და პოეტის,—თელავის სემინარიის რექტორისა,“ რომე-ლიც ამასთანავე იყო მასწავლებელი თეიმურაზ ბატონიშვილისა. ერთ პირად წერილში თეიმურაზ ბატონიშვილი ბროსეს სწერს: „...ჩემი ოს-

⁴⁸ ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. I, № 140, ფურც. 9.

ტატი დავით ალექსიშვილიო—⁴⁹, თეიმურაზისავე ცნობით, საერთოდ ბატონიშვილებისა და პირადად თეიმურაზის „ზნეობის მასწავლებლად“ მეფეთაგან დანიშნული ყოფილა დავით ჩოლოყაშვილი⁵⁰. მაშასადამე, ბუნებრივია, რომ დავით ალექსიშვილი და დავით ჩოლოყაშვილი ერთმანეთთან სამსახურებრივი მოვალეობის მოტივითაც კი იქნებოდნენ დაახლოებული და საფიქრებელია ისიც, რომ მათ შორის ლიტერატურულ-შემოქმედებითი კავშირი და ანლო მეგობრული დამოკიდებულებაც არსებობდა. ამრიგად, დასტურდება, რომ დავით ჩოლოყაშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, იყო ბატონიშვილების მოძღვარმასწავლებელი და აღმზრდელი.

„სიტყვა მარჯვე“ და „მახვილსიტყვიერი“ დავით ჩოლოყაშვილას აფორიზმები საფიქრებელია ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით შემორჩა სწორედ დავით ალექსიშვილის შთამომავლობის ოჯახში, სადაც წინაპრებიდანვე კუთამახვილობა, მოსწრებელი თქმა და „ზნეკეთილი ხუმრობა“ პატივში იყო. ვინ იცის სად და როგორ გაიბნა დავით ჩოლოყაშვილის აფორიზმები, ამსახველი მისი „ზნეკეთილი ხუმრობისა“, საფიქრებელია იგი ხალხში დარჩა, მაგრამ ავტორის ვინაობა ჟამთა მსვლელობაში დავიწყებას მიეცა. დავითი ათეისტი ყოფილა.

დავით ჩოლოყაშვილის ათეისტობა და ვოლტერიანელობა კარგად ჩანს დიალოგში „კალმასობიდან“, როცა დავითი უპასუხებს იოანეს:

„ბერო მე ცხონება და წაწყმენდა არ მწამს...“

აგრეთვე დავითი ამბობს:

„მე რადგან ბევრი ცოდვის მოქმედი ვარ, სამი მოძღვარი მყავს, ერთი მღვდელი, მეორე არხიმანდრიტი, მესამე ეპისკოპოსი, რომ ეს სამნი ძლივს მოერევიან ჩემს ცოდვას, რომ ზიდონ და მეოთხე შენ იქნები და, როდესაც მთავარ დიაკვნათ ვეკუთრთხები, დანაშთენ ცოდვას შენ აგკიდებ.“

ზურაბ:—ბატონო დიანბეგ! მართლა კარგი სახედარი უშოვნეთ

თუ არ ის, ვერავინ ატარებს.....⁵¹

ამასთანავე საინტერესოა „კალმასობის“ გმირის იონა ხელაშვილის და ზურაბა დამბარაშვილის სოფ. ფაშაანში დავით ჩოლოყაშვილთან სტუმრობის ეპიზოდი, — სადაც იონა ზურაბას ეკითხება: — ვაი თუ დავითმა არ მიგვიღოს „უღვთო კაცს ამბობენო“. მათ ფანჯრიდან

⁴⁹ ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, მარი ბროსეს ფონდი, ხელნაწ. I, საქ. 21, გვ. 46.

⁵⁰ იხ. ამავე წერილების გვ. 3 (ფონდი და საქმე იგივე).

⁵¹ ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, „კალმასობა“, გვ. 121.

შესძახეს: „მდივანბეგო დღეგრძელდი, ღვთის სტუმარი შეგვიწყნარეთ. სახლი გვიბოძეთ“. დავითმა სტუმრებს ხმა გამოსცა და მსახურს უბრძანა: ჩუმად წაიყვანე ესენი და ამ სოფლის ბოლოს დაქცეული საყდარი რომ არის, იქ მიიყვანე და ასე უთხარი: „რადგან ღვთის სტუმარი ხართ, ამა ღვთის სახლი, და შენ კი წამოდი“. დანიშნულ ადგილზე მიყვანილი იონა მიუხვდა დავითს და მისივე მსახურს დაავალა: „მდივანბეგს ასე მოახსენე: ოხერს საყდარს ეშმაკები უნდა ეპატრონებოდეს და თქვენ უფრო გფერობთ აქ დგომაო“. სხვა ადგილზე „კალმასობის“ ავტორი იონასთან საუბარში დავითს ათქმევინებს, „ბერო მე ცხონება და წაწყმენდა არა მწამსო“⁵².

აქ წარმოდგენილი მცირე ცნობებითაც საკმაოდ ნათლად იხატება დავით ჩოლოყაშვილის როგორც სასახლესთან დაკავშირებული ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლის, ეოლტერიანელი თავისუფალი მოაზროვნისა და ლალი ბუნების ადამიანის ვინაობა; — მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის, ბატონიშვილების აღმზრდელისა და მალაი სამოხელეო თანამდებობის (მდივანბეგის) მეტად საინტერესო და ღირსშესანიშნავი ფიგურა მეფე ერეკლეს სამეფო კარზე. დ. ჩოლოყაშვილი ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც აგრძელებს.

3. ლემსის „სიყვარულო ძალსა შენსა“ ავტორობის საკითხის გამო

გამოჩენილი ქართველი მწერლის ალ. ჭავჭავაძის უკვდავი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს ლექსი „სიყვარულო ძალსა შენსა“⁵³. ამ ლექსის პირველი სტროფის ავტორის ვინაობის საკითხი ოდიდანვე სადავო იყო და შეიძლება ითქვას, რომ არსებითად იგი დღესაც გადაუწყვეტელია.

ამ ლექსის ავტორობის ირგვლივ სხვადასხვა აზრი გამოითქვა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში. აკად. მარი ბროსესა და პლ. იოსელიანს ამ საკითხზე სხვადასხვა თეალსაზრისი გააჩნდათ. ბროსე ფიქრობდა, რომ ამ ლექსის (ლაპარაკია პირველ სტროფზე) ავტორი იყო „ჩოლოყაშვილი ჯიმშერ ერისთავის ძე, დავით მდივანბეგი“, ხოლო პლ. იოსელიანის აზრით იგი ალ. ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა⁵⁴.

აკად. მარი ბროსეს აღნიშნული მოსაზრება გამოთქმული აქვს.

⁵² „კალმასობა“, გვ. 97, 124.

⁵³ ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940; გვ. 10.

⁵⁴ იხ. ქართ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 4797.

1841 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ შესავალ წერილში, სადაც იგი წერს:

„მეფის ირაკლის მეორის, გინა გიორგის მეთერთმეტის დროს იყო ჩოლოყაშვილი ჭიმშერ ერისთავის ძე დავით მდივანბეგი, მეფეთაგან პატივცემული, დიდად მეცნიერი და უცხო პიტიკოსი, რომელი ჰგონებდა ასე უნდოდა ეთქვაო ტარიელს ნესტანდარეჯინისათვის, — სადა ჰსწერია, „აწ რასაცა მე მალირსებ...“ (მუხლი ულა)⁵⁵, მის მაგიერად:

„საყვარელო ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს.

ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხერას ხარკად არა გცემდეს.

შენგან მეფე მონად ეყმოს, შენგან ბრძენი ველად რებდეს.

და მამ ბულბულსა რად ეზრახვის რომ შენ გამო ვარდს შეჰყვოდეს!

ნეტარ მას ვინცა შენ ახლოს, შენ მხოლოსათვის ოხრევდეს,

ხმისა შენისა სმენითა ყურსა ატკობდეს, ალხენდეს.

ზოგჯერ ბადახშთა თვისდამი საამოდ მლიმრად ჰხედვიდეს,

და ხან ვარლთა ყნოსით ჰსთერებოდეს, ხან ეკლით განიფხიზლევდეს“.

აქვე „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორ-გამომცემელი აკად. მარი ბროსე დასძენს: „ამგვარად, ბევრს, გამოუცვლია ადგილ-ადგილ „ვეფხისტყაოსანი“⁵⁶.

ახლად გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ სანკტ-პეტერბურგიდან იმავე წელს მიუღია პლ. ოსელიანს თბილისში. იგი აკად. მარი ბროსეს 1841 წლის 21 ნოემბერს მიწერილი პასუხით ამცნობს საკუთარ აზრს ამ გამოცემის ავტორიანობის შესახებ, სადაც, სხვათა შორის, ეხება ზემოთ მოყვანილ ლექსსა და მისი ავტორის ვინაობის საკითხსაც.

ამის გამო პლატონი ბროსეს შემდეგს სწერს:

„ვეფხისტყაოსნისა დაბეჭდვა კარგად მოჰხდა და იყიდება კარგად. წინასიტყვაობაში მიღებული ორი კუპლეტი დავით მდივანბეგის სახელით არის ქმნილი ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან. ჩვენ ესრეთ ვიცნობდით და ამისა დასამტკიცებლად ესეცა არის, რომ მეორე ხანა მისი არის ფრანციზულიდამ თარგმნილი. ფრანციზულად დაწერილი ლექსი თვით ალექსანდრემ მიჩვენა, სადაც სწერია: საყვარელო,

55 იხ. ვეფხისტყაოსანი მარი ბროსეს, ზ. ფალავანიშვილის, დ. ჩუბინაშვილის რედაქციით, 1841 წ., სანკტ-პეტერბურგის გამოც., გვ. 57.

56 ი ქ ე ე. გვ. XIII.

იქ უნდა იყოს: სიყვარულო; ნაცვლად: შენგან მეფე მონად ეყმოს, უნდა იყოს: შენგან მეფე მონას ეყმოს; ნაცვლად: განიფხილებდეს, უნდა იყოს: „განიფხიზლებდეს“...⁵⁷ (კურსივი პლატონ იოსელიანს ეკუთვნის).

ამრიგად, პლ. იოსელიანი გარდა იმისა, რომ რამდენადმე სწორად აღადგენს ლექსის დამახინჯებულად გამოცემულ ადგილებს, ამასთანავე პირველი გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ ეს ლექსი ალ. ჭავჭავაძის ეკუთვნისო. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაშიაც კი შეტანილია რა ლექსის „სიყვარულო ძალსა შენსა“-ს მხოლოდ პირველი სტროფი, არაფერია თქმული მეორე სტროფზე, გარდა იმისა, რომ იგი ჩვეულებრივ არაა შეტანილი გამოცემაში⁵⁸. სინამდვილეში კი ეს ორი სტროფი არსებითად განუყრელია, ორგანულად უფრო დაკავშირებული ერთმანეთთან როგორც შინაარსით, ასევე ფორმით, ვიდრე მეორე და მესამე სტროფი, როგორც ეს გრიშაშვილისეულ გამოცემაშია წარმოდგენილი. ამ ფაქტს კი ყოველად შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს.

ბუნებრივად ისმის საკითხი, რა წყაროს ემყარებოდა აკადემიკოსი მარი ბროსე, როცა ამ ლექსის ავტორად დავით ჩოლოყაშვილს აცხადებდა?⁵⁹ ბროსე შესავალ წერილშივე, რომელიც ერთვის „ვეფხისტყაოსანს“, მიუთითებს, რომ თითქოს მას ამის დამადასტურებელი ცნობა და მსგავსი ლექსი „ვეფხისტყაოსანში“ სხვა ჩანართი ლექსებითურთ უპოვია პარიზის ქართულ ხელნაწერებში.⁶⁰ ეს ცნობა ჩვენთვის საინტერესო სტროფის მიმართ არ დადასტურდა. როდესაც აკადემიკოსი მარი ბროსე „ვეფხისტყაოსანს“ გამოსაცემად ამზადებდა და მისთვის შესავალ წერილს წერდა, ირკვევა, რომ იგი თითქმის სავესებით დამოკიდებული იყო და უკრიტიკოდ ემყარებოდა თავისი მასწავლებელს თეიმურაზ ბატონიშვილს და მის მითითებებს. ეს რომ ასე იყო, ამაში ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით, მაგრამ გაუგებარი ისაა,

57 ალ. ჭავჭავაძის თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, რედაქტორის შენიშვნები, გვ. 273.

58 სამწუხაროდ, ამ ფაქტის მიზეზობრივად ახსნა აზრადაც კი არ დაბადებია ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა ყველაზე უკეთეს გამოცემელს პოეტ-აკადემიკოსს ი. გრიშაშვილსაც კი (იხ. მისი გამოც., გვ. 10 და 271—273).

59 აკად. მარი ბროსეს ამ მოსაზრებას იზიარებდა პროფ. ალ. ზახანაშვილი. ის წერდა: „ჩოლოყაშვილმა დასწერა რომანსი: „სიყვარულო ძალსა შენსა, ვინ არს რომელ არ მონებდეს“ (იხ. ქართული სიტყვიერების ისტორია, I ნაწ., 1913 წ., გვ. 257).

60 მარი ბროსეს ზაქ. ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინაშვილის რედაქციით გამოც. ვეფხისტყაოსანი, სანკტ-პეტერბურგი, 1841 წ., გვ. X111—XIV.

რომ ეს ფაქტი არ პოულობს არავითარ გამოხატულებას ბროსეს შესავალ წერილში და რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ წარმოდგენილ დასკვნებამდე, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წ. გამოცემის შესავალ წერილშია გამოთქმული, ბროსე თითქოს დამოუკიდებლად მივიდა⁶¹. ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრების ექვემიუტანლობაში, სხვათაშორის, ჩვენ გვარწმუნებს თეიმურაზ ბატონიშვილის პირადი (უცნობი) წერილები მარი ბროსესადმი, რომლებიც ინახება ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტში დაცულ აკად. მარი ბროსეს ფონდში.

თეიმურაზ ბატონიშვილის დიდად ნაყოფიერ სამეცნიერო-ლიტერატურულ მოღვაწეობაში ვეფხისტყაოსნის პრობლემას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ამ საკითხს თეიმურაზმა სათანადო სპეციალური განმარტებაც კი მიუძღვნა. მკვლევარ გაიოზ იმედაშვილის მართებული შენიშვნით „ძველი თაობის არც ერთ მოღვაწეს ვეფხისტყაოსანზე იმდენი ამაგი არა აქვს გაწეული, რამდენიც თეიმურაზს. იგი რუსთველის სახელს მთელი ცხოვრების განმავლობაში თავს ევლებოდა, როგორც წმიდათა წმიდას“⁶². მაგრამ ვერ გავიზიარებთ გაიოზ იმედაშვილის მოსაზრებას, რომ თითქოს ბროსეს და თეიმურაზის „ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის პირობებში წარმოიშვა თეიმურაზის რუსთველოლოგიური ნაშრომები“ ისევე, როგორც თითქოს „ბროსე და თეიმურაზი ერთმანეთის მასწავლებლებიც იყვნენ და მოწაფეებიც“. თეიმურაზისა და ბროსეს სამეცნიერო თანამშრომლობა მართლაც სამაგალითოა, მაგრამ ქართველოლოგიაში მათი ამგვარი მოღვაწეობა უნდა შეფასდეს ისე, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. პროფ. გაიოზ იმედაშვილსაც კარგად მოეხსენება, რომ თვით ბროსე ყველგან, როგორც წესი, თეიმურაზს თავის მასწავლებლად აღიარებდა, ხოლო თეიმურაზი ბროსეს თავის შეგირდს უწოდებდა. პროფ. გ. იმედაშვილი ამასთანავე საესებით მართებულად შენიშნავს, რომ „ბროსე უკრიტიკოდ იმეორებდა თეიმურაზის შეხედულებებს... ვეფხისტყაოსნის საკითხებზე“⁶³, რომ „ბროსეს ყოველი ცდა ვეფხისტყაოსნის ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად, თეიმურაზის მიერ მასთან მიწერილი ვრცელი წერილების გადამუშავებულ პუბლიკაციას

61 იქნება ამ შეუსაბამობის გამოსწორებას იმით ახერხებდეს გამოცემული აკად. მარი ბროსე, რომ ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა მიძღვნილია თეიმურაზ ბატონიშვილისადმი, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ფორმალური მხარეა საკითხისა და ბროსეს არ ხსნის პასუხისმგებლობას.

62 თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960, გ. იმედაშვილის რედაქციით და გამოკვლევით, გვ. 107.

63 იქვე, გვ. 7.

წარმოადგენს“⁶⁴. თვით „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაც კი, ირკვევა ისევ თეიმურაზ ბატონიშვილის შთაგონებით განუზრახავს აკად. მარბროსეს. საამისო რჩევა და სამეცნიერო ხასიათის მითითებები ვრცლად აწერილი (53 დიდ ფურცლიან ქალაღდზე) ჯერ კიდევ 1834 წ. 13 ოქტომბრისათვის უკვე მზად ჰქონია თეიმურაზ ბატონიშვილს და იგაბროსესათვის გადაუგზავნია. თეიმურაზისადმი უფრო აღრე გაგზავნილ ბროსეს წერილებიდან ჩანს, რომ ბროსე თხოვდა მას რჩევებს გამოცემისათვის. თეიმურაზის ეს წერილები ბროსესადმი მთელი ენციკლოპედიაა „ვეფხისტყაოსნის და მასთან (თუ სხვა საკითხებთან) დაკავშირებული პრობლემებისა“⁶⁵. ამ წერილების შესწავლით ირკვევა, რომ აკად. მარი ბროსეს შესავალი წერილი ვეფხისტყაოსნის 1841 წ. გამოცემისა, რამდენადმე თეიმურაზ ბატონიშვილის თვალსაზრისის ბროსესეული განმეორებაა; ამ საკითხის დეტალური განხილვა აქ არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბროსე ამ შემთხვევაშიაც არ ასახელებს თეიმურაზს. ჩვენ გვინტერესებს აქ თეიმურაზის წერილების მხოლოდ ის ადგილი, რომელსაც ბროსე თითქმის უსიტყვოდ იყენებს მის მიერვე გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ შესავალ წერილში (მხოლოდ რამდენადმე დამახინჯებით) და ეხება სწორედ ლექსის „სიყვარულო ძალსა შენსა“-ს ავტორობის საკითხს. აკად. მარი ბროსე, როგორც სხვა, ისე ამ შემთხვევაშიაც არ ასახელებს თეიმურაზ ბატონიშვილს. ჩვენ იძულებული ვართ შესაღარებლად წერილეს ერთი ნაწყვეტი თითქმის მთლიანად მოვიყვანოთ. აი რას წერს თეიმურაზი ბროსეს:

„...პაპის ჩემისა, მეფის ირაკლის დროსა და მამის ჩემისა მეფის გიორგის დროსა, იყო თავადი დავით ჩოლოყაშვილი ჯიმშერი ერისთავის ძე, დავით მდივანბეგი (ჩვენში მოსამართლევებს ე. ი. მსაჯულებს მდივანბეგს ეძახდნენ). ეს დავით მეფეებისაგანაც პატივეცემული იყო და, ღიახ განსწავლული კაცი, საკვირველი უცხო ზნეობისა, მხიარული, მოხუმარი და უცხო პიტიკოსი. ამან სხვა ენებიც იცოდა ქართულს გარდა. ჩემს ყმაწვილობაში, ჩემთანაც და ჩემს ძმებთანაც ღიახ შემოჩვეული იყო და ბატონებისაგანაც ბრძანებაც ჰქონდა, რომა ჩვენთვის ზნეობა ესწავლებინა. ბევრს რასმე კარგს გვასწავლიდა და დიდის მხიარულებითა და ზნე კეთილობის ხუმრობით დროს გვატარებინებდა. იმანა თქვა: — როდესაც ტარიელი შეეყარა ნესტან-

64 იქვე, გვ. 30.

65 თუ რაოდენ გულმოდგინებით მუშაობდა თეიმურაზ ბატონიშვილი ვეფხისტყაოსნის პრობლემებზე, ამას ცხადყოფს გ. იმედაშვილის რედაქციით 1960 წელს გამოცემული თეიმურაზის დასახელებული განმარტებანი.

დარეჯანსო, რა შესაბამი იყოვო, რომელიც სიტყვა იმან უთხრაო — (იხ. სტიხი ვეფხისტყაოსნის (უი) ესე იგი ოთხას მეათე, — სინამდვილეში 409 ა. ი.)⁶⁶.

„აწ რასაცა მე მაღირსებ, ხორციელი არა ღირსა“ (და შემდეგ).— ასე კი არ უნდა ეთქვაო, — თვითონ დავითმა გააკეთა ეს შემდგომი სტიხები: როდესაც ტარიელი შეეყარა ნესტან-დარეჯანს, მაშინ ტარიელს ასე უნდა ეთქვაო:

„სიყვარულო ძალსა შენსა, ვინ არს რომე არ ჰმონებდეს.
ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხერას ხარკად არა გცემდეს.
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეზრახვის, რომ შენ გამო ვარდს შეჰკეფდეს,
ნეტარ მას ვინცა შენს ახლოს შენ მხოლოსათვის ოხრავდეს,
ხმისა შენისა სმენითა, ყურსა ატებობდეს, აღხენდეს.
ზოგჯერ ბადაშად თვისადმი საამოდ მღიმრად ხედვედეს.

და ხან ვარდთა ყნოსით ჰსთვრებოდეს, ხან ეკლით განიფხიზღევდეს“.

კომენტარები ზედმეტია. ბროსე ცუდად იმეორებს თეიმურაზის პირადი წერილის შინაარსს და რამდენადმე ამახინჯებს მას. ქვემოთ თეიმურაზი ბროსეს მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ 13 ყალბ უმთავრეს ადგილზე და ყალბისმქნელად ასახელებს მანუჩარ ციციშვილს⁶⁷. ცნობილია, რომ ბროსეც ეხება ციციშვილს, როცა იგი წერს: „ერაი ვინმე ციციშვილი ყოფილა მანუჩარად ზედ წოდებული, ვახტანგ VI მეფის წინ. ეს იყო ყალბის მქნელი“ და თითქო ყოველივე ეს „პარიჟის“ ხელნაწერებში იპოვებინა“-ო⁶⁸.

თეიმურაზის ამ ბარათით, ეჭვმიუტანლობით დასტურდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლექსი „სიყვარულო ძალსა შენსა“ არ ეკუთვნის ალ. ჭავჭავაძეს და ეს აზრი საწყისს ღებულობს არა მარტო ბროსეს განცხადებიდან, არამედ თეიმურაზ ბატონიშვილის საბუთიანი მოსაზრებიდან.

სამწუხაროდ, ირკვევა, რომ ბროსემ, გარდა იმისა, რომ არ მიუთითა სწორად წყაროზე, ვერ შესძლო თეიმურაზის აქ მოყვანილი საყურადღებო წერილის სათანადოდ გამოყენება, დასახელებულ შესავალ წერილში და მის გამოცემაში დეფექტურად გამოვლინდა როგორც თეიმურაზის ცნობა, ასევე ლექსის ადგილებიც (ამ უკანასკნელ-

⁶⁶ ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა გრიშაწვილისეულ აკადემიურ გამოცემებშიაც კი ამ ლექსის მეორე სტროფი — „ნეტარ მას... ვიდრე განიფხიზღებდეს“ გამოტოვებულია (იხ. გვ. 10).

⁶⁷ თეიმურაზის წერილები აკად. მ. ბროსესადმი ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტში მარი ბროსეს ფონდში დაცული. იხ. ხელნაწერი, ფ. 21, გვ. 3.

⁶⁸ „ვეფხისტყაოსანი“, 1841 წ. გამოც., გვ. XIV.

ზე ძირითადად მიუთითა პლ. იოსელიანმა და ჩვენ მას არ გავიმეორებთ). თეიმურაზი წერს: „მამის ჩემის მეფის გიორგის დროს“—იგულისხმება გიორგი XII, ბროსე წერს „გიორგი მეთერთმეტის დროს“. იგი ამახინჯებს ყალბის მქნელ ციციშვილის სახელს და მანუჩარის ნაცვლად წერს „ნანუჩას“. აგრეთვე დამახინჯებითაა წარმოდგენილი ლექსის მეორე სტროფის უკანასკნელი ორი სტრიქონი, — მაგ., თეიმურაზი წერს „ბადახშად“, — ბროსეს დაუბეჭდია „ბადახშთა“, ასევე „თვისადმი“ შეცვლილია „თვისდამი“, „ხედვედეს“ „ჰხედვედეს“, „და ბულბულსა“ შეცვლილია „და მამ ბულბულსა“; დასასრულ: „განიფხიზლევდეს“ შეცვლილია „განიფხილვებდეს“⁶⁹. აი რამდენი უზუსტობა მოდის ბროსეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ცვლილება პირველი სტროფის პირველი სიტყვისა, რომელიც აგრეთვე თვითნებურად შეუცვლეს ბროსეს. თეიმურაზი წერს: „საყვარელო ძალსა შენსა“... ბროსე კი ბეჭდავს: „სიყვარელო ძალსა შენსა“... და მართლაც ბუნებრივია, თუ ტარიელს ნესტანისათვის უნდა მიემართა ამ ლექსით, მას სწორედ სიტყვა „საყვარელო“ და არა „სიყვარულო“ ეხმარა, ე. ი. სწორედ ისე, როგორც ამას თეიმურაზ ბატონიშვილი წერს; ამრიგად, მეცნიერულად აღდგენილი ტექსტი ლექსისა, ისე როგორც იგი თეიმურაზის ხელიდან გამოვიდა, მრავალმხრივ საყურადღებოა და თეიმურაზის ამ მეტად კომპეტენტურ ცნობებთან ერთად გვარწმუნებს, რომ მართლაც, მისი ავტორია არა ალ. ჭავჭავაძე, არამედ ერისთავ ჯიმშერ ჩოლოყაშვილის ძე დავით მდივანბეგი. თეიმურაზი გარკვევით წერს: — „თვითონ დავითმა გააკეთა ეს შემდეგი სტიხი“, — თანაც დასძენს: „ეს დავითი უცხო პიტიკოსი იყო“ და სხვ. პლ. იოსელიანიც ამ დავითს სწორედ ასეთად ასახელებს.

როგორც დავრწმუნდით, პლ. იოსელიანმა მაშინვე არ გაიზიარა ბროსეს აზრი და ლექსის ავტორად ალექსანდრე ჭავჭავაძე გამოაცხადა, მისი თქმით, ლექსის „მეორე ხანა არის ფრანცუზულიდამ თარგმნილი. ფრანციზულად დაწერილი ლექსი თვით ალექსანდრემ მიჩვენაო“⁷⁰.

თუ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებას შევაფასებთ არა ცალკეულ მოღვაწეთა ფრაგმენტული ნათქვამებით, არამედ ამოსავალ

69 შეადარეთ ადგილები ვეფხისტყაოსნის 1841 წ. გამოცემიდან აკად. მ. ბროსეს წესავალი წერილისა და თეიმურაზის აქ მოყვანილი პირადი წერილის ნაწყვეტი ბროსესადმი.

70 იხ. პლ. იოსელიანის წერილი ბროსესადმი, საქ. მუხ. ფ. A, № 4797 და ი. გრიშაშვილის რედ. გამოც. ალ. ჭავჭავაძის თხზულებანი, შენიშვნები, გვ. 273.

ვეოტილად მივიჩიევთ, აოეტის თთლიახ ძეძოქედღეიასთახ ვრთად, თვით ალ. ჭავჭავაძის გულწრფელ აღსარებას თავისავე პირად მეგობარ ალ. ორბელიანისადმი განდობილს საკუთარი პოეტური შემოქმედების შესახებ, მეტად საყურადღებო დასკვნას მივიღებთ, რომელიც სხვათაშორის ადვილად დაარღვევს პლ. იოსელიანის აღნიშნულ მოსაზრებას, ალ. ორბელიანს ერთხელ ასეთი შეკითხვით მიუმართავს პოეტისათვის: — „კნიაზო, თქვენი ლექსები რომ ასე განასხვავებთ და სხვა სუბუქი, ანუ რბილი წყობილება რომ მიეციოთ, საიდან შემოიღებთ ამგვარი მოლექსეობა? — იმან სიამოვნებით გაღიმებულმა მიპასუხა: — სწორედ გეტყვი, ჩვენი ბლიაძეებისაგან შემოვიღე (მესტეირებისაგან). კარგად იციოთ მე ბევრს ფრანციცულს წიგნებს კვითხულობ. ჩვენი მესტეირების მარტივს ყბედობას, ევროპული სიამოვნება მივეცი და აქედან გაკეთდა ისეთი ლექსები. აი, ეს არის მიზეზი, სხვა არაფერი“⁷¹. ეს ცნობა გასაღებია მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულად გაგებისათვის საერთოდ. კერძოდ, ამ შემთხვევაში, ჩვენ მისი მოყვანა იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა პოეტის დამოკიდებულება „წინამორბედთადმი“, ხალხური შემოქმედებისადმი, „ბლიაძეებისა და მესტეირებისადმი“, მათი „მარტივი ყბედობისადმი“. თვით ალექსანდრეს სიტყვებით რომ ვთქვათ — როგორც ეს დადგენილია — იგი ბევრი ფრანგული წიგნების კითხვის გარდა, ფრანგულადაც წერდა. პოეტი „ბლიაძისებურ მესტეირულ ყბედობას“ იყენებდა რა ზოგჯერ როგორც მასალას, სულს ჩაუდგამდა, ხორცს შეასხამდა და ლექსად ქმნიდა. რაკი ეს ასე იყო, ბუნებრივია, პლ. იოსელიანს შეეძლო ენახა ალექსანდრეს ლექსები „ფრანგულად დაწერილი“ და მათ შორის არ არის გამორიცხული, აგრეთვე, ალ. ჭავჭავაძის „სიყვარულო ძალსა შენსა“, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ ლექსის ავტორი ალ. ჭავჭავაძეა.

ალ. ჭავჭავაძემ გამოიყენა იქნებ უკვე იმ დროს ხალხში-მოარული ლექსი დ. ჩოლოყაშვილის — „საყვარულო ძალსა შენსა“, — (რაც საესებით მოსალოდნელია, რადგან ხალხი ხშირად ყოველ მაღალ პოეტურ ქმნილებას ზეპირად ითვისებს, უკვდავყოფს), — პირველი სტროფი თითქმის უცვლელად („საყვარულოს ნაცვლად, „სიყვარულო“ იხმარა) და მას დაურთო ორიგინალური შემდეგი ორი სტროფი — ესენია:

71 ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი ი. გრიშაშვილის რედ., 1940, გვ. VII.

„სიყვარულო ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა, სჯულსა შენსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა; ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზა გაქვს, ჰგიებ საცა. გულები გყავს ქვეშევრდომად. ამას მეც ვგრძნობ და თვით სხვაცა, შენი უღლისგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რადმე ვის! თუ შენ ხარ ვნების მიზეზი, ლხენაც შენგან არ გვეძლევის? ნამდვილ კეთილ არს განცხრომა, იგი ნუმც-ოდეს გველევის, მაშა ცუდია, თუ მასში სიბნელეც არსით ერევის!“

ამრიგად, ლექსმა მიიღო დასრულებული და დამოუკიდებელი სახე. ეს ფაქტი კი, შეიძლება ნიმუშადაც გამოდგეს იმისათვის, თუ როგორ ამდიდრებდა და აღრმავებდა პოეტი ხალხურ მარტივ მესტიკირულ აღმოსავლურ პოეზიას ახალი ევროპული სიფაქიზითა და მაღალი პოეტური ხერხებით. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ორსტროფიანი ლექსი იმ სახით, როგორადაც თეიმურაზ ბატონიშვილი იხსენიებს და მის ავტორად დავით ჩოლოყაშვილს მიიჩნევს, უდავოდ მაღალი პოეტური შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშია. ისინი არამცთუ ჩამორჩებიან ალ. ჭავჭავაძის მიერ მიმატებულ ზემოთ მოტანილ ორ უკანასკნელ სტროფს, არამედ დავით ჩოლოყაშვილის ორსტროფიანი ლექსი, ჩვენის აზრით, თავისთავად არანაკლები, ვიცყოდით უფრო მეტი მხატვრული ღირებულების მქონეა, ვიდრე შემდეგში ალ. ჭავჭავაძის მიერ მიმატებული უკანასკნელი ორი სტროფი. ამრიგად, ლექსი „სიყვარულო ძალსა შენსა“, ორი ავტორის — დ. ჩოლოყაშვილის და ალ. ჭავჭავაძის ქმნილებად წარმოგვიდგება. პირველი ორი სტროფი ეკუთვნის დ. ჩოლოყაშვილს, ხოლო ორი უკანასკნელი კი ალ. ჭავჭავაძეს. ამასთანავე ეჭვი არ შეიძლება შეგვეპაროს მასში, რომ დავითს როგორც პოეტს, და მხატვრული სიტყვის ოსტატს, აქ დასახელებულის გარდა უდავოდ სხვა სახის და სახელწოდების პოეტური ქმნილებებიც მოეპოვებოდა. რასაკვირველია, მკვლევართა საპატიო საქმეა ამ შესანიშნავი პოეტის და მოქალაქის დანარჩენ პოეტურ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა მიკვლევა, რითაც უფრო ნათლად წარმოგვიდგება დ. ჩოლოყაშვილის მგოსნისა და მოღვაწის პორტრეტი.

მ. ხუშტარია

ფეოდალურიდან კაპიტალისტურ საზოგადოებაში გარდაბ-
ვალნი ხანის საჭარტველოს სოფლის მეურნეობის განვითარე-
ბის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

მსოფლიო ისტორიის ახალი ხანა ხასიათდება კაპიტალიზმის ჩა-
სახვა-განვითარებით ევროპის მოწინავე ქვეყნებში. ამასთან, ბურჟუ-
აზიული ურთიერთობანი როგორც სივრცობრივი, ასევე პოლიტიკუ-
რი თუ ნაციონალური ფარგლების გადალახვის გზით, მსოფლიო ბაზ-
რის შექმნის კვალად, სულ უფრო და უფრო ფართოდ იჭრებიან ასალ
ქვეყნებშიც. იმის მიხედვით, თუ რა ნიადაგი ხვდება აქ კაპიტალი-
ზმის თესლს, ხდება ან ამ ქვეყნების ათვისებაც. კაპიტალიზმის გავ-
რცელებას მოჰყვა მოწინავე სახელმწიფოთა მიერ შედარებით ჩამო-
რჩენილი ქვეყნების ეკონომიური დაქვემდებარება თუ კოლონიური
დაპყრობა-დამორჩილება, რამაც თავისი დადი დაასვა ამ უკანასკნელთა
სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას.

საერთო ცხოვრების ფერხულში ახალ ხანაში (რამდენადმე მო-
გვიანებით) ჩაბმული აღმოჩნდა საქართველოც. მართალია ოდესღაც
მაღალგანვითარებული ფეოდალური ქვეყანა არახელსაყრელ საგარეო
და საშინაო ვითარებაში დაძაბუნდა, შეფერხდა მისი ნორმალური წინ-
სვლა, მაგრამ მის მეურნეობრივ თავისებურებებსა და ადრე მიღ-
წეულ საზოგადოებრივ-კულტურულ განვითარების მაღალ დონეში
იმალებოდა ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში შემდგომი
შედარებით სწრაფი დაწინაურების პოტენციალური შესაძლებლობა.
ასეთი ხელსაყრელი პირობები საქართველოს, იმ ისტორიულ ვითა-
რებაში, რომელშიც მას მოუხდა განვითარება, შეექმნა მხოლოდ
XIX ს. დამდეგიდან, რუსეთთან შეერთების შედეგად.

საქართველო პოლიტიკურად დაუკავშირდა კაპიტალისტური გან-
ვითარების გზით მიმავალ ქვეყანას და მისი საშუალებით უფრო ინ-

ტენსიურად ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში. მაგრამ, საქართველომ, ისევე, როგორც იმ ქვეყნების უმრავლესობამ, რომელთაც შედარებით გვიან შედგეს ფეხი კაპიტალისტური განვითარების გზაზე, თავი ვერ დააღწია ძლიერ გარეშე ზეგავლენას. პოლიტიკურად რუსეთის იმპერიის განაპირა მხარედ („შიდა კოლონიად“) ქცეული, ეკონომიურადაც იგი განდა რუსეთზე და, რუსული კაპიტალის სისუსტის გამო, ევროპულ კაპიტალზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულ ქვეყნად. ამრიგად, ახალი პირობები, რომლებშიც საქართველოს უხდებოდა განვითარება XIX ს. მანძილზე, გულმსხმობდნენ როგორც წინსვლის ხელსშემწყობ, ასევე დამბარკოლებელ ფაქტორებს. საზოგადოებრივ განვითარებას, ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკასთან ერთად, აფერხებდა ბატონყმური ურთიერთობა და შემდგომ მისი ნაშთებიც. ასე რომ, თუკი მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში ჩართვა რუსეთთან ერთად საქართველოს უბიძგებდა პროგრესისაკენ, რიგი გარემოებანი უკან ეწეოდნენ მას. ყოველივე ამან თავისი დალი დაასვა, თავისებური ელფერი მისცა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო თანდათან შედგა ცხოვრების ახალ გზაზე¹. 30-იანი წლებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ უკვე შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ქვეყნის შემდგომი სოციალ-ეკონომიური განვითარებისათვის (საგარეო მშვიდობიანობის დამყარება, შინაფეოდალური დაქსაქსულობის ლიკვიდაცია, მმართველობის სისტემის სტაბილიზაცია, რუსეთთან და რუსეთის მეშვეობით ევროპასთან კავშირის გაძლიერება).

20-იან წლებში ამიერკავკასიაში უცხოური საქონლის შემოტანაზე შეღავათიანი საბაჟო ტარიფის დაწესებამ გამოაცოცხლა სავაჭრო ოპერაციები, აღდგა ქართველ ვაჭართა ტრადიცია შორეულ ქვეყნებთან

¹ XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების საკითხები გაშუქებული იქნა არაერთ ავტორთან (პ. გუგუშვილი, შ. ჩხეტი, ა. კიკვიძე, პ. რატიანი, ი. ანთელავა, ა. ფანცხავა, ზ. ანჩაბაძე, მ. ლუმბაძე, დ. გოგოლაძე, მ. სამსონაძე, ე. ორჯონიკიძე და სხვ.). ჩვენს საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომში „დაქირავებული შრომა საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში“, რომელიც დატულ იქნა 1955 წ. (ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში), სათანადო საარქივო წყაროებზე და სხვა მასალაზე დაყრდნობით, საგანგებოდ შევისწავლეთ, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე მრეწველობის განვითარება XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. პირველ ნახევარში. ქვემოთ ჩვენს მსჯელობაში მნიშვნელოვანწილად ვემყარებით ამ ნაშრომში მოტანილ მასალას და მიღებულ დასკვნებს ვაყვებით და ვაზუსტებთ სათანადო ლიტერატურის გათვალისწინებისა და პირველწყაროების შესწავლის საფუძველზე.

კომერციული ურთიერთობისა, რამაც რამდენადმე შეუწყო ხელი ცალკეულ პირთა ხელში ფულადი კაპიტალის დაგროვებას. ეს იყო ერთ-ერთი საწინდარი ქვეყნის შიგნით სამრეწველო საქმიანობის გამოცოცხლებისა, საქონლური წარმოების განვითარებისა როგორც ქალაქად, ასევე სოფლად².

XIX ს. 30—40-იანი წლებიდან საქართველოს ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო მეტად იგრძნობა რუსეთიდან და ევროპიდან შემოჭრილი ახალი ცხოვრების სიო. იგი შეეხო საზოგადოების ყველა ფენას — არა მარტო ვაჭარ-საქმოსნებს, არამედ ფეოდალურ არისტოკრატის და გლეხობას.

ეს სიხლე კარგად არის შენიშნული და დადასტურებული 1847 წელს შედგენილ ერთ-ერთ უსახელო მოხსენებაში, რომელიც ავტორის მიერ წარდგენილი ყოფილა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში³. მოხსენებაში სხვა საკითხებთან ერთად ავტორი ეხება ქართული ფეოდალური წყობის თავისებურებას და რუსეთთან შეერთების შემდეგ ახალ პირობებში მასში მომხდარ ცვლილებებს.

გაბატონებულ წოდებაში მომხდარი ცვლილებებიდან განსაკუთრებით ნიშანდობლივია ფეოდალური გვარების და საგვარეულო მიწისმფლობელობის ინტენსიური დაშლის ფაქტის აღნიშვნა. ამასთან დადასტურებულია თავად-აზნაურობის მისწრაფება ინდივიდუალური ცხოვრებისადმი („Разитне личности каждого увлекало его к самостоятельной и самобытной жизни“⁴).

იმდროისათვის გასაოცარი საღი მსჯელობის უნარს იჩენს ავტორი გლეხობის მდგომარეობის განხილვისას, მხოლოდ არა წარსულში, რომლის იდეალიზაციას ახდენს იგი, არამედ აწმყოში. ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ავტორი საბატონო და ე. წ. „თავისუფალ“ (სახაზინო) გლეხებთან ერთად აღნიშნავს დიდი რაოდენობით უმიწო გლეხთა არსებობას, რომელნიც თა-

² XIX ს. პირველ ნახევარში თბილისელ, გორელ თუ სხვა ვაჭართა ფართო სავაჭრო-კომერციული საქმიანობის შესახებ საქართველოს ჟარგლებს გარეთ — რუსეთში, ევროპაში, სპარსეთში, თურქეთში და აგრეთვე სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა სამრეწველო წამოწყებებზე იხილეთ: თ. ბერიძე, რევორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქების სოციალური ფენები (მოქალაქე), თბ., 1964, გვ. 89—96.

³ აღნიშნული დოკუმენტი, დაცული საქ. ცენტ. საისტორიო არქივში, გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ. მისივე აზრით მოხსენების ავტორია გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი, იხ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ-ის შრომები, ტ. VI, ნაკვ. 1, თბ., 1961, გვ. 207—234.

⁴ ს. კაკაბაძე, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 216.

ვისი შრომით ირჩენდნენ თავს ან ქალაქებსა და სამრეწველო დაბებში (ხელოსნები, ქარგლები, შავი მუშები), ან სოფლადვე სხვის მამულში მუშაობდნენ. ავტორი მათ განიხილავს, როგორც ფაქტიურად თავისუფალ მუშაებს, თითქმის მთლიანად გამოსულთ პირადი დამოკიდებულებიდან, ან მეტად სუსტად დაკავშირებულებს მებატონეებთან⁵. ეს ფაქტი თავისთავად მაჩვენებელია უშუალო მწარმოებელთა წარმოების საშუალებათაგან გამოცალკევების პროცესის გაღრმავებისა, მიუხედავად იმისა, რომ აქ ლაპარაკია არა გლეხების საშოვარზე დროებით წასვლაზე, არამედ მიწისაგან მთლიანად მოწყვეტაზე, ეს კი ე. წ. პირველადი დაგროვების ერთ-ერთ არსებით მხარეს წარმოადგენდა.

მეორე, რაც იქცევს, აგრეთვე, მოხსენებაში ჩვენს ყურადღებას, არის გლეხის მესაკუთრული უფლების აღიარება იმ მიწაზე, რომელსაც იგი საუკუნეების მანძილზე ფლობდა. მით უმეტეს ასეთ უფლებას ავტორი სცნობს გლეხის ნაყიდ მიწაზე. გლეხის ასეთი უფლებების შელახვა საერთო რუსული კანონების შესაბამისად, მას დაუშვებლად მიიჩნეოდა.

მიწაზე გლეხის მესაკუთრული უფლების საფუძველს ავტორი ხედავს საქართველოს სპეციფიკაში (განსხვავებით რუსეთისაგან), რაც გამოიხატებოდა მიწაზე გლეხის ერთპიროვნულ, ინდივიდუალურ მემკვიდრეობით მფლობელობაში და აგრეთვე ვენახის, როგორც კერძო საკუთრების ობიექტის არსებობაში⁶.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ავტორი საზოგადოებრივი პროგრესისათვის საჭიროდ მიიჩნევს არა მარტო გლეხთა პირად განთავისუფლებას, არამედ მათ მემკვიდრეობით მფლობელობაში მყოფ მიწებზე კერძო საკუთრების უფლებაში დამტკიცებასაც, რაც, მისი აზრით, აუცილებელი იყო გლეხის სამეურნეო ინიციატივისათვის ხელის გასახსნელად⁷.

„მესაკუთრე“ გლეხებისაგან ავტორი განასხვავებს ხიზნებს, რომელთაც განიხილავს, როგორც მხოლოდ მიწის დროებით მფლობელებს.

მოხსენების ავტორი ეხება ქალაქის მოსახლეობასაც. მართალია, იგი ვრცლად არ აღწერს მის მდგომარეობას და საქმიანობას, მაგრამ კარგად ამჩნევს იმ ცვლილებებს, რაც მოხდა ქალაქის მოსახლეობის ცხოვრებაში ახალ პირობებში ფეოდალურ შეზღუდვათა მოსპობასთან და პიროვნების უფლებების თუ კერძო საკითხების ხელშეუხებლობის

5 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. პუბლიკაცია გვ. 226.

6 ი ქ ე ე, გვ. 224.

7 ი ქ ე ე, გვ. 231.

უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რაც საერთოდ საქალაქო ცხოვრების აღმავლობაში გამოიხატა⁸.

მოტანილი დოკუმენტი არა მარტო კარგად ასახავს საზოგადოების თითქმის ყველა ფენის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, არამედ აგრეთვე გამოხატავს ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლების პროგრესულ მისწრაფებებსაც ბევრად უფრო ადრე, ბატონყმობის გადავარდნამდე.



ახალი („ევროპულ“) ცხოვრების ფერხულში ჩაბმულ ფეოდალური არისტოკრატის დიდ ნაწილს თავისი მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ე. ი. ფულის საშოვნელად, ორი გზა ჰქონდა: ან ეზრუნა მეურნეობის ახალი პირობების შესაბამისად მოწყობაზე (საბაზრო წარმოება), ან დაეგირავებინა მამული „პრიკაზსა“ თუ კერძო პირებისათვის, რის შედეგად ხელიდან ეცლებოდა მისივე კეთილდღეობის საფუძველი — ფეოდალური საკუთრება.

XIX ს. პირველ ნახევარში ჩვენ არაერთი მაგალითი მოგვეპოვება ისეთი მემამულეებისა, რომელმაც ცდილობენ რაციონალურ საწყისებზე მოაწყონ თავიანთი მეურნეობა. ამასთან, შეინიშნება, რომ ეს მემამულენი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ისეთი მომგებიანი კულტურების დანერგვასა და განვითარებას, როგორც იყო ვაზი, თამბაქო, ბამბა, ენდრო, თუთის ხე და სხვა; ზრუნავენ მაღალი ხარისხის მატყლის მომცემი ცხერის ჯიშის გამოყვანაზე.

იმისდა მიუხედავად, თუ რა წარმატება ხვდა მემამულეთა ასეთ ცდებს, ყველა მათგანმა მოახერხა დასახული მიზნის განხორციელება თუ არა, მეტად საგულისხმოა ქართველ ფეოდალთა ნაწილში ახალი დროის შესაბამისი მიდრეკილებების გაჩენა⁹.

⁸ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 231.

⁹ დამახასიათებელია ამ მხრივ ქერ კიდე 40-იან წლებში დავით დადიანისა და კონსტანტინე მუხრან-ბატონის მიმოწერა. კერძოდ, 1846 წელს დავით დადიანს უთხოვია კონსტანტინესათვის ზუგდიდის მახლობლად ენდროს გასაშენებლად ენდროს თესლისა და კარგი შეენდროვეს გაგზავნა, რაც უკანასკნელს შეუსრულებია კიდეც: 1847 წელს, მიუხედავად იმისა, რომ დადიანს პირველად გაგზავნილი თესლი გაუფუჭდა, იგი ხელმეორედ სთხოვს კონსტანტინეს უყიდოს 20, ან ყოველ შემთხვევაში 10 ფუთი ენდროს თესლი და თან დასძენს: „ა ბ რ ე შ უ შ ი ს და თუ თის გეშო საკმაოდ გავიგე, ახლა მიიღა ენდროსი ი ე ი ქ ა შ ნ ი კ ი, ვნახოთ როგორი ხელის იქნები“. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd, № 3337; 5398 (ხაზგასმა ჩვენია, ე. ბ.).

ახალ პირობებში რაციონალიზატორული სამეურნეო საქმიანობა ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელთათვის არამც თუ მათი ღირსებისათვის შეუფერებელ, არამედ საპატიო საქმედაც ითვლებოდა. ამას მოწმობს მემამულეთა სწრაფვა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე თავის გამოჩენისადმი. ჯერ კიდევ 1851 წ. თავადი ჩიჭავაძე სოფ. საჩინოში მოყვანილი მაღალხარისხოვანი ბამბისათვის ლონდონის გამოფენაზე დაჯილდოვდა ქების სიგელით¹⁰, ხოლო რუსეთისა და ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე ქართველ ფეოდალთა მონაწილეობა ჩვეულებრივ საქმედ იქცა. დაჯილდოვებულთა შორის გვხვდებიან: ანდრონიკაშვილი, ჯამბაურ-ორბელიანი, ერისთავი, სულხანიშვილი, კერესელიძე, ლორთქიფანიძე, ჩხეიძე და სხვები¹¹.

მევენახეობა-მელვინეობის რაციონალიზაციის თვალსაზრისით დამახასიათებელია კახეთში თავად გურგენიძის საქმიანობა, რომელიც უკვე 40-იან წლებში ზრუნავდა არა მარტო ვენახის ფართობის გაზრდაზე, რაც ამ დროს საყოველთაოდ შეინიშნება, არამედ ვენახის გაშენებაში შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, ღვინის დამზადების, შენახვისა და გადაზიდვის წესების გაუმჯობესებაზე. იგი მიზნად ისახავდა ღვინის რუსეთში გასატანად დამზადებას, რაზედაც უნდოდა დაეყოლებინა თანამემამულენი¹².

საყურადღებოა, რომ მემამულეები მეურნეობას აწყობენ ხაზინისაგან მიღებულ თავისუფალ მიწებზედაც. ასეთი მეურნეობა დ. ჭავჭავაძემ მოაწყო ლოკინის ხევში 50 დესეტინა სახაზინო მიწაზე¹³, ხოლო დ. აფხაზი 500 დესეტინა სახაზინო მიწაზე აშენებს თუთის ხის პლანტაციებს. ცდილობს აგრეთვე შაქრის ლერწამის, ინდიგოს, ბამბის და კარტოფილის მოყვანას¹⁴. ასეთი რიგის მეურნეობებში იგულისხმება ძირითადად დაჭირავებული შრომის გამოყენება, ვინაიდან ისინი ფერმერული მეურნეობის საწყისებზე უნდა ყოფილიყვნენ მოწყობილი.

თავისი სამეურნეო წამოწყებებით გამოირჩეოდა თავადი ბაგრატიონ-მუხრანელი, რომელიც აწყობს სანიმუშო ფერმას, იწვევს სპეციალისტებს, იწერს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და სხვა¹⁵.

ნიშნდობლივია მთელ რიგ მეურნეობებში ნედლეულის გადამუ-

¹⁰ Статист. опис. Губ. и обл. Росс. имп., т. XVI, ч. V. стр. 96.

¹¹ „Кавказ“, 1850, № 40, 1861, № 19.

¹² სესია, ფონდი 16, საქმე 6774, ფურც. 103, 110—111.

¹³ სესია, ფონდი 26, საქმე 28, ფურც. 147—148.

¹⁴ სესია, ფონდი 26, საქმე 26, СХАО, стр. 12.

¹⁵ „Кавказ“, 1861, № 99, „გუთნისლეა“, 1862, № 1.

შაგების მოწყობაც: აბრეშუმის, თამბაქოს პირველადი გადამუშავება (ჩიჭავაძე და სხვები), საპნის წარმოება (ბაგრატიონ-მუხრანელი) და სხვ.

ქართულ მემამულეთა რაციონალიზატორული საქმიანობის მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ ესეც საკმარისია არსებული ტენდენციის დასადასტურებლად, მით უმეტეს, რომ ასეთი ფაქტები ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დეტალურად არის განხილული.

არსებულ პირობებში, მთელი რიგი სიძნელების გამო (კაპიტალის ნაკლებობა, მემამულეთა გამოუცდელობა, მუშახელის ბაზრის სივიწროვე) მემამულეთა სამეურნეო საქმიანობა ყოველთვის წარმატებით არ მთავრდებოდა, რაც საერთოდ ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო¹⁶. მემამულეთა უმრავლესობა თავისი ჭაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მისდევდა ფულის შოვნის უფრო იოლ გზას — მამულების დაგირავებას „პრიკაზში“ თუ კერძო პირთათვის, რასაც საბოლოო ანგარიშში თან სდევდა საბატონო მეურნეობის მოშლა. 60-იანი წლების შუახანებისათვის დ. ყიფიანი წერდა: „ჩვენ შორის არ არის მემამულე, რომელსაც დაგირავებული არ ჰქონდეს გლეხები და მამული ხაზინაში, პრიკაზში, თუ კერძო პირებისათვის“¹⁷.

16 დამახასიათებელია ამ მხრივ რუსეთის მაგალითიც, სადაც არამცთუ რეფორმის წინ, არამედ უშუალოდ რეფორმის მომდევნო პერიოდშიც, ვ. ი. ლენინის თანახმად, მემამულური წამოწყებები, მაგალითად, უცხოური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება, მარცხით მთავრდებოდა (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 209—210, 243).

თავისთავად ამ დროს საქართველოში ქართული გუთანის ხმარებაც არ იყო ჩამორჩენილობის მაჩვენებელი, რადგან საერთოდ გუთანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მაღალი დონის შესაბამისი იყო. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, გუთანი რუსეთში კაპიტალისტური სისტემის შემოსვლის შედეგს წარმოადგენდა. მხედველობაში ჰქონდა რა რეფორმის მომდევნო ხანა, ვ. ი. ლენინი წერდა. „კაპიტალისტური სისტემა მიწის დამუშავების ოპერაციებსაც მოიცავს. ძველი კავის მაგიერ ხმარებაში შემოდის გუთანი“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 240). მართალია, აქ ახალი სისტემის გუთანი იგულისხმება, მაგრამ ქართულმა გუთანამაც განიცადა ამ დროს ტექნიკური გაუმჯობესება, რის შედეგადაც დიდხანს შემორჩა ქართულ სოფელს.

17 შ. ჩხეტიია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1948, გვ. 259.

1863 წლის იანვრისათვის თბილისის გუბერნიაში „პრიკაზში“ დაგირავებული იყო 30.714 სული ყმა გლეხი, ვ. ი. საბატონო გლეხების 25%. იმავე დროისათვის მემამულეთა ვალი „პრიკაზისადმი“ შეადგენდა 1.662.940 მანეთს (И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX в., Сухуми, 1955, стр. 176).

როგორც წესი, მემამულეთა მიწები გადადიოდა ვაჭარ-საქმოსანთა ხელში, რომელნიც მეურნეობას ახალ ყაიდაზე აწყობენ. დამახასიათებელია ამ მხრივ დიღმის ხეობაში ვაჭრულ-ქალაქური ფენის წარმომადგენელთა საქმიანობის კვალის დადასტურება.

კერძოდ, როგორც ირკვევა, XIX ს. პირველ ნახევარში დიღმის ხეობაში მიწებს ყიდულობენ მელქისედეკ შიოვეი¹⁸ და ზაქარია სარაჯიშვილი¹⁹.

ამავე ხანებში ვაჭრულ-ქალაქური ფენის წარმომადგენელთა სოფლად საქმიანობის გაშლის, კერძოდ მიწების შეძენის სხვა მაგალითებიც გვაქვს (მირიმანოვები, ზუბალაშვილები და სხვ.)²⁰.

ხაზინაში თუ „პრიკაზში“ დაგირავებული მიწების გამოყიდველნიც, ცხადია, პირველ რიგში ვაჭრულ-ქალაქური ელემენტები იყვნენ: ყოველივე ამით ეცლებოდა საფუძველი მიწისმფლობელობის ძველ, ფეოდალურ ფორმას. ახალ მესაკუთრეთა ხელში მიწა, როგორც წესი, ახალ დანიშნულებას იძენდა, რაც საბაზრო წარმოებაში გამოიხატებოდა.

ახალ პირობებთან შეგუების აუცილებლობა XIX ს. პირველ ნახევარში, უფრო მეტად ვიდრე საბატონო მეურნეობაში, იგრძნობოდა საგლეხო მეურნეობაში. ფულზე მოთხოვნილების ზრდა (სახელმწიფო გადასახადების ფულზე გადაყვანა, მებატონეთა მისწრა-

¹⁸ სოფ. ვეძისში დაცულ ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ: „აქა განისვენებს მყიდველი სოფლისა ვეძისისა ყმებითა ლუბერსკი სეკრეტარი მელქისედეკ მიკირტუმის ძე შიოვეი. მკითხველნო გვედრებით შეილი. მისი გრიგოლ შენდობა აღირსოთ თვისსა მამასა 63-ის წლოვანსა გამოსალმებულსა ამას სოფელსა 1844-საწელსა“.

აღსანიშნავია, რომ წარწერაში ხაზგასმულია სოფლის ყმებიანად ყიდეა; ცხადია, ზნორი იყო მიწის ყმების გარეშე შეძენის ფაქტებიც.

¹⁹ ზ. სარაჯიშვილი დიღმის მიდამოებში შეძენილ მიწებზე აწენებს ბაღებს და ეწევა სხვა სახის სამეურნეო საქმიანობას, რის კვალიც დღემდე შემორჩენილი აქ (სამეურნეო ნაგებობანი, ხილები, გზები). ზ. სარაჯიშვილის მიერვე აქ აგებულ ეკლესიაში დაცულია საფლავის ქვა, რომლის ორენოვანი წარწერა გვამცნობს: „აქე არს განსასვენებელი ჩემი, რომელი მთნაეს ამას დავემკვიდრო უკუნისამდე, ზაქარია დავითის-ძე სარაჯოვი, აღმამუნებელი ეკლესიისა ამის, შობითგან 74 წლის, გარდაეცვალე 1880 წელსა 26 მაისს“ — „Здесь похонты прах тела потомственного почетного гражданина Захария Давидовича Сараджева, скончавшегося 26 мая 1880 года от рождения“.

სარაჯიშვილების საქმიანობა დღემდე XIX ს. პირველ ნახევარში საარქივო ზასალითაც დასტურდება. იხ.: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი IId № 3350, სცსია, ფონდი 2, საქმე 1486.

²⁰ სცსია, ფონდი 2, საქმე 2605, იქვე, ფონდი 26, საქმე 1727:

ფეხა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ამოქაჩათ ფული გლეხებისაგან, პირველი მოხმარების საგნების შექმნის აუცილებლობა და სხვ.), გლეხობას სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირებდა ბაზარს. თავის მხრივ ეს წარმოადგენდა სტიმულს საგლეხო მეურნეობაში სასაქონლო წარმოების ტენდენციების გაფართოებისათვის. ამასვე უწყობდა ხელს საქართველოსათვის დამახასიათებელი მიწით სარგებლობის კერძო მფლობელობითი ფორმა და გლეხების კერძომესაკუთრული მიდრეკილებანი, რაც მათ ძველთაგანვე მოსდევდათ. აღსანიშნავია, რომ რეფორმის გატარების დროისათვის ქართველი გლეხები „ნასყიდობის“ უფლებით ფლობდნენ დიდხალ მიწებს. ამის მაჩვენებელია გლეხთა მიერ საწესდებო სიგელების შედგენის დროისათვის წარდგენილი ნასყიდობის საბუთები და სხვა შინაური დოკუმენტები, რომელთა სავარაუდო რიცხვი ათეულ ათასებს შეადგენდა. ასე მაგ., ქუთაისის გუბერნიაში გლეხებმა წარადგინეს 70 ათასამდე ნასყიდობის სიგელი და სხვა სახის დოკუმენტი²¹, ხოლო მომდევნო ხანაში, 1876 წლამდე კიდევ 21 ათასი სიგელი²².

აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ თბილისის საგუბერნიო საკრებულომ განიხილა 40 ათასამდე ასეთი დოკუმენტი²³. იგივე ცნობით დიდი რაოდენობით საბუთები განუხილველად იდო სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს არქივში.

საარქივო ცნობებით, ქუთაისის გუბერნიაში 1869 წელს გლეხებსა და მებატონეებს შორის დავა 19783 დოკუმენტის საფუძველზე შეთანხმებით დამთავრდა და გლეხებმა კერძო საკუთრებაში დამტკიცეს 27.134 ქცევა მიწა, ე. ი. 10 ათას ღესეტიანამდე. თბილისის გუბერნიაში 1865—1866 წლებში გლეხობის მიერ მათთვის მიწის საკუთრებაში დამტკიცების თაობაზე აღძრულ იქნა 4656 სადავო საქმე, ხოლო 1867 წელს დავა აღძრულ იქნა 1235 შინაური დოკუმენტის საფუძველზე²⁴.

გლეხობის ხელში ესოდენ დიდი მასშტაბით მიწის კერძო საკუთრებაში ყოფნა (ნაწილობრივ თუნდაც სადავოსი) ნიშნავს იმას, რომ

²¹ ა. ბენდიანიშვილის დაანგარიშებით 63 ათასზე მეტი საბუთი (იხ. ა. ბენდიანიშვილი, აგარაული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წლებში, იბ., 1965, გვ. 93), ს. ესაძის ცნობით 63.668 დოკუმენტი (Историческая записка об управл. Кавказом, т. I, 1907, л. 438—439). ხოლო ნიკოლაძის შიითებით 70 ათასი დოკუმენტი, თხზულებანი, ტ. 5, 1966, გვ. 26).

²² ალ. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

²³ СХАО, т. IV, გვ. 227.

²⁴ სესია, ფონდი 220, საქმე 883, ფურც. 18, 108—109, 119—120, 151, 154. მოითხოვული საარქივო მონაცემები და, აგრეთვე, ცნობები ლიტერატურიდან გლეხთა მიერ მიწის საკუთრებაში ძიების შესახებ მოგვაწოდა ასპირანტმა თეო გიცბამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ფეოდალური წყობილების ერთ-ერთი საფუძველთაგანი—მიწის ფეოდალური მონოპოლიური საკუთრება, რომელიც წარმოადგენდა მნიშვნელოვან მუხრუქს ახალ ურთიერთობათა განვითარებისა, საგრძნობლად ირყეოდა. ამას კიდევ უფრო აღრმავებდა საბატონო მიწების ვაჭრულ-ქალაქური ფენების ხელში გადასვლა.

განსაკუთრებით ხელსაყრელი ვითარება სამეურნეო ინიციატივის გაშლის თვალსაზრისით ექმნებათ სახაზინო გლეხებს, რომელნიც გლეხთა საერთო რაოდენობის დაახლოებით ნახევარს შეადგენდნენ. ამას განაპირობებდა ის, რომ სახაზინო გლეხები პირადად ნაკლებად იყვნენ შეზღუდული ფეოდალური მარწუხებით, კვიდრე საბატონო გლეხები. ამასვე, ჩვენის აზრით, ხელს უწყობდა ისიც, რომ ასეთი გლეხების ხელში გარდა საკომლო მიწებისა, რომელთაც ისინი მემკვიდრეობით ფლობდნენ, რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ჩანს საერთო-სასოფლო მფლობელობის საფუძველზე გადავიდა სახაზინო მიწების ნაწილიც. კერძოდ, XIX ს. პირველი ნახევრიდან საქართველოს წამყვან რაიონებში სახაზინო გლეხთა საერთო-სასოფლო მფლობელობაში სახნავი მიწების გარკვეული ფონდის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ეს იყო არა „სათემო“ მიწები, რადგან წინარე ხანაში (XVII—XVIII სს.) მიწის სათემო მფლობელობა საქართველოს ამ რაიონებში არ დასტურდება (ერთგვარ გამოწვევის ამ მხრივ წარმოადგენდა ქიზიყი და ზოგიერთი მთიანი რაიონი), არამედ ხაზინის ხელში გადასული სამეფო თუ სახელმწიფო მიწის და აგრეთვე სამეფო გვარის რუსეთში გადასახლებული წევრებისათვის, თუ შერისხულ ფეოდალებისათვის ჩამორთმეულ მიწების ის ნაწილი, რომელიც ძველად არ იმყოფებოდა გლეხების კომლობრივ მფლობელობაში, არამედ მუშავდებოდა გლეხების საბეგრო შრომით (საბატონო „ხოდაბუნები“ თუ „ზვრები“). ხაზინის ხელში გადასული ასეთი მიწების ძირითადი ფონდი (აქვე შემდგომ შევიდა საეკლესიო მიწებიც) ხელისუფლების მიერ ხელუხლებლად იქნა დატოვებული საკოლონიზაციო თუ სხვა მიზნებისათვის, ხოლო ამა თუ იმ სახაზინო სოფლის მახლობლად მდებარე მიწების მცირე ნაწილი, ჩანს, გადავიდა სასოფლო საზოგადოებათა (და არა „თემის“) განკარგულებაში²⁵.

25 XIX ს. რიგ მასალებში და სახელდობრ ი. ჰავეკაეძის წერილშიც: „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“ (თხზ. სრული კრებული, ტ. VI, 1956) აღნიშნულია საქართველოში გლეხების ინდივიდუალურ საკომლო მიწისმფლობელობასთან ერთად სათემო მიწისმფლობელობის არსებობაც, რაც ძველთაგანვე მომდინარე მოვლენად არის მიჩნეული. ასეთი შეხედულება გატარდა სამეცნიერო ლიტერატურაშიაც. მაგრამ სათანადო მასალებით საქართველოს წამყვან რაიონებში თემური

როგორც ეს XIX ს. სათანადო მასალებიდან ირკვევა და სამეცნიერო ლიტერატურაშიაც არის შენიშნული, საერთო-სასოფლო მიწით სარგებლობის საშუალება უპირატესად ჰქონდათ შედარებით შეძლებულ სახაზინო გლეხებს. ამდენად ასეთი მიწები წარმოადგენდა საფუძველს სახაზინო გლეხთა წრეში ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებისა. ე. ი. საერთო სარგებლობაში მყოფი მიწების არსებობა კი არ ანელებდა, არამედ საბოლოო ანგარიშში ხელს უწყობდა სახაზინო გლეხების მცირემიწიანობის ზრდას²⁶.

XIX ს. პირველ ნახევარში საქონლური წარმოების ზრდა სოფლად, გლეხობის კერძომფლობელობითი და კერძომესაკუთრული მისწრაფებათა გაძლიერება ხდება საფუძველი გლეხთა შორის ქონებრივი უთანასწორობის და ამ ნიადაგზე სოციალური დაშლის პროცესის გაღრმავებისა. ახალ პირობებში არა მარტო იზრდება შეძლებულ გლეხთა ფენა, ცხადია, მნიშვნელოვანწილად თავის თანამოძმეთა, გლეხთა მასების გადატაკების ხარჯზე, არამედ წელმაგარ გლეხებს მეტი გასაქანი ეძლევა, იზრდება მათი სამეურნეო ინიციატივა.

ერთის მხრივ შეძლებულ გლეხთა, ხოლო მეორეს მხრივ გლეხთა ღარიბი ფენების არსებობაზე ამყამად მსჯელობა შეგვიძლია არა მხოლოდ სამეცნიერო ბრუნვაში უკვე დიდი ხნის წინათ შემოტანილი ზო-

მიწათმფლობელობა განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის პირობებში, არ დასტურდება. რაც შეეხება XIX ს. პირველ ნახევარს, საქართველოს ბარში სათემო მფლობელობის ნიშნები ამ დროს შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ სახაზინო სოფლის საზოგადოების განკარგულებაში გადასული მიწებით საერთო სარგებლობაში მოგვეძებნა. შემთხვევითი არ არის რომ ი. ჭავჭავაძე, ეხება რა სათემო მიწათმფლობელობას, ყველგან სათემოდ ასახელებს „სახასო“ მამულებს. ამ სახელწოდებაში აშკარად გამოსკვივის მიწის ძველი მესაკუთრის—სამეფო სახლის უფლება. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ თუმცა ი. ჭავჭავაძე სათემო მიწისმფლობელობას საქართველოში ძველთაგანვე არსებულად მიიჩნევს, მაგრამ მისივე მსჯელობიდან ჩანს, რომ „სახასო“ (ე. ი. სათემო) მიწების გადანაწილება ჩვენში ფაქტურად ახალი მოვლენა იყო.

რაც შეეხება ტყეს და საძოვრებს, რომელთაც ი. ჭავჭავაძე აგრეთვე სათემოდ მიიჩნევს, ესენი ჩვეულებრივ, როგორც სახასო (შემდეგ სახაზინო), ასევე საბატონო მამულებში ძველდაც და XIX ს-შიც საერთო-სასოფლო სარგებლობაში იყო (რასაც სათემო მფლობელობასთან არაფერი აქვს საერთო). გლეხის მიერ ტყითა და საძოვრებით სარგებლობის შეზღუდვა, მათი უფლების შელახვა იყო (იხ. ვახტანგის სამართალი, მუხლები 169; 171, 172).

26 სახაზინო გლეხთა მცირემიწიანობის ძირითად მიზეზების შესახებ იხ. ი. ანთელავა, დისახ. ნაშრომი, გვ. 270—278.

გადი ცნობების საფუძველზე²⁷, არამედ საქართველოს ცალკეული რაიონების მოსახლეობის კამერალურ აღწერილობათა მასალების დეტალური შესწავლის შედეგებზე დაყრდნობითა²⁸.

ერთი სიტყვით, სავსებით ნათლად მტკიცდება, რომ XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოში საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო უმიწო, ან მცირე მიწის მქონე გლეხობა, რომელიც სოფლად დაქირავებული მუშების კონტინგენტს ქმნიდა. კერძოდ, ქირაზე მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე იყო „მოჯამაგირეობა“, რომელიც აღრეც იყო ცნობილი, ხოლო XIX ს. პირველ ნახევარში კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. მოჯამაგირეთა შრომას მიმართავდნენ როგორც საბატონო მეურნეობაში, ძირითადად დამხმარე სამუშაოებზე მოსავლის აღებისა და სხვა ერთდროულ შრომატევად სამეურნეო საქმიანობაში (მაგ. ვენახის გაშენება და სხვა), აგრეთვე, საგლეხო მეურნეობაშიც.

მოჯამაგირეთა შრომის არა სპორადული, არამედ სისტემატური გამოყენება საქონლური წარმოების გავრცელების პირობებში, ცხადია უკვე ბატონყმური ურთიერთობის ფარგლებიდან გამოსულ ახალი ცხოვრების შესაბამის ურთიერთობის სახეს წარმოადგენდა, მაგრამ საქართველოში ამ რიგის სხვა მოვლენებთანაც გვექონდა საქმე. ასეთი მოვლენები იყო გლეხთა გაძლიერებული მისწრაფება ფეოდალთა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისაკენ და ნაწილობრივ უშუალო მწარმოებლების წარმოების საშუალებებისაგან გამოცალკეების ფაქტები.

აღრე ფეოდალურ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების გზები იყო გლეხთა „გააზატება“ ანუ განთავისუფლება ფეოდალთა მიერ

27 მხედველობაში გვაქვს კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვის მითითება 1849—1851 წლების ანგარიშში კახეთში შეძლებულ გლეხთა ფენის არსებობის შესახებ, რომ 40-იანი წლების დასაწყისში სართიქალის გლეხობა, მსგავსად ჩრდილო ზე მდიდრებიც კი იყვნენ, რადგან იმდენი ღვინო მოყავდათ, რომ საბატონო ვალდებულების გასტუმრების შემდეგ ნაწილს სვამდნენ მეზობლებთან და მოჯამაგირეობთან ერთად, ხოლო დარჩენილი ღვინის გაყიდვით კი მნიშვნელოვან თანხას იღებდნენ (AKAK, X, გვ. 879). ამავე რიგის ცნობაა პაკტაშუნის მითითება იმის შესახებ, რომ 40-იანი წლების დასაწყისში სართიქალის გლეხობა, მსგავსად ჩრდილო ჯერმანიის გლეხობისა, იყოფოდა 4 „კლასად“. მათგან უმდიდრესნი ფლობდნენ 70 დესტინანზე მეტ მიწას, ხოლო უღარიბესებს ქონდათ მხოლოდ სახლი. ამ უკანასკნელებს ავტორი მიათვლის იმათ, ვინც სხვასთან ცხოვრობდა და ქირაზე მუშაობით ირჩენდა თავს (СХАО, I, გვ. 2).

²⁸ А. Я. Панцхава, К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, М., 1957; ვ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX პირველ ნახევარში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960 წ.

და თავდახსნა, რაც ჩვეულებრივ უმიწოდ ხდებოდა. თავისუფლებას აღწევდა უცხოეთში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ დაბრუნებული ან ტყვეობიდან გაქცეული თუ თავდახსნილი გლეხიც, მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის ბატონობის პირობებში ასეთი გლეხები, როგორც წესი, კვლავ ბატონყმურ უღელში ებმოდნენ²⁹.

ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევის თვალსაზრისით ჩვენ უფრო საგულისხმოდ გვეჩვენება ე. წ. ხიზან გლეხთა არსებობა. ხიზნობა თავდაპირველად ქვეყნის აოხრებისა თუ ფეოდალური ექსპლოატაციის დამძიმების წყალობით გლეხობის ერთი ადგილიდან აყრისა და სხვის მიწაზე შეფარების შედეგი იყო³⁰, ამდენად ხიზნები ფეოდალურ საქართველოში წარმოადგენდნენ ისეთ გლეხებს, რომელთა ურთიერთობა მიწის პატრონთან გადისაზღვრებოდა არა გარეეკონომიური იძულებით, არამედ ეკონომიური დამოკიდებულებით, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ხიზანი თავს აღწევდა პირად დამოკიდებულებას ძველ

29 პროფ. მ. ღუმბაძე, საგანგებოდ ენება რა XVIII ს. საქართველოში თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხს. ასეთებად მიიჩნევს თარხან-მსახურებს, (იხ. მ. ღუმბაძე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII ს. საქართველოში, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966 წ.). ვფიქრობთ ფეოდალის თუ სამეფო კარზე მსახურის სანაცვლოდ საგლეხო გადასახადებისაგან განთავისუფლება ანუ „გათარხნება“ (ზოგჯერ ამ მნიშვნელობით „გააზატებაც“ იხმარებოდა) ქმნიდა არა თავისუფალ მიწათმოქმედთა ფენას, არამედ ავსებდა „მსახურთა“ კატეგორიას. ამავე რიგში უნდა იქნენ განხილული მეფის მსახურ-მოლაშქრენიც. რომელთა არსებობა, ცხადია, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული ფეოდალური წყობის რღვევის მაჩვენებლად, რადგან „სითარხნე“ ბატონყმობისაგან განთავისუფლებას სრულიად არ ნიშნავდა, და ჩვეულებრივ ბატონის შთამომავლობის მხრივ განახლებას და დამტკიცებას მოითხოვდა, რადგან ეს პრივილეგია გლეხს მინიჭებული ქონდა პირობით: „მოსახმარად“ ბატონის „ერთგულად სამსახურსა შინა“.

რაც შეეხება აზატ-თავდახსნილ გლეხებს, მათ წრეში, როგორც გამოჩაყლისი, გარკვეულ პირობებში (თუ კი განთავისუფლება მიწით ხდებოდა, ან გლეხს თავისი ნასყიდი ქონდა) მართლაც შეიძლება ყოფილიყო ისეთიც, ვინც მოახერხებდა თავისუფლების შენარჩუნებას. მაგრამ ფეოდალის ყმობიდან უმიწოდ განთავისუფლებული გლეხი ჩვეულებრივ სხვას ეყმობოდა, ჩანს, უფრო მსუბუქ პირობებში („ნებით მისული“ თუ „წყალობის“ ყმის მდგომარეობა შედარებით უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე სხვა სახის გლეხებისა). ამდენად საკვებით სწორია, რომ „თავდახსნილი-გააზატებულ გლეხთა საგრძნობი ნაწილი უმიწობის, ეალის, სტიქიური უბედურების, თუ სხვა გაპირვებისა და „გაუძლისობის“ გამო ვერ ახერხებდა პირადი თავისუფლების შენარჩუნებას და ისევ სამკვიდრო ყმათა რიგებში ექცეოდა“ (მ. ღუმბაძე, დას. ნაშრ., გვ. 389).

30 ვ. გუჩუა, ხიზან გლეხთა ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 34, 1962. მისივე, კლასობრივი ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს შორის გვიანფეოდალურ საქართველოში (წერილი 11), „მასალები“..., ნაკვ. 35, 1963.

მებატონის მიმართაც (იყო ასეთი შემთხვევებიც), იგი ერთგვარად „თავისუფალი მწარმოებლის“ როლში გამოდიოდა. თუ კი ხიზნები თავდაპირველად კანონმდებლობის მიერ განიხილებოდნენ როგორც ჩვეულებრივი აყრილი გლეხები, მათ ან ძველი ბატონი დაიბრუნებდა, ან ახალი იყმობდა, XVIII ს. მეორე ნახევრისათვის ოსმალობა-ყიზილბაშობის და ლეკთა თარეშის გამოისობით გლეხთა აყრამ და სხვაგან წასვლამ იმდენად ფართო მასშტაბები მიიღო, რომ თანდათან ხდება ხიზან გლეხთა ფენის ჩამოყალიბება.

დამახასიათებელია ამ მხრივ ის, რომ თუ კი 1769 წლის საბუთით ერეკლე II „ხიზნათ“ ანუ „კედლათ“ მდგომ სამეფო ყმას განიხილავს ჩვეულებრივ აყრილ გლეხად და ამ უკანასკნელის მიერ სხვასთან 30 წელზე მეტ ხანს დარჩენას მიიჩნევს საფუძვლად ამ გლეხის დაყმეებისა³¹, უკვე 80-იანი წლების საბუთებში, საგადასახადო ნუსხებში და „მორიგეს“ სიებში ხიზნები უკვე დამოუკიდებლად არიან განხილულნი, როგორც ცალკე ფენის წარმომადგენლები.

საყურადღებოა ამ მხრივ ამ დროის საბუთებში უკვე „ხიზანი ყმის“ და „ხიზნური სამსახურის“ ცნებების გაჩენა დაპირისპირებით სხვა ყმებთან და „ბატონყმობის რიგზე და წესზე სამსახურისადმი“³². ეს უკანასკნელი გარემოება მოწმობს, რომ, მართალია, ამ შემთხვევაში ხიზანიც „ყმად“ იწოდება („ყმა“ ამ შემთხვევაში უდრის გლეხს), მაგრამ მისი „ყმობა“ გულისხმობს არა „ბატონყმურ რიგზე სამსახურს“, არამედ არის თავისუფალი გარიგების შედეგი, რაც აღარ თავსდება ფეოდალური ურთიერთობის ჩვეულებრივ ჩარჩოებში. ხიზანთა კატეგორია საგრძნობლად იზრდება XIX ს. პირველ ნახევარში, მაგრამ ამ დროს მათი გამრავლების წყარო უკვე სხვა არის (მცირემიწიანობა). ახალ პირობებში სახეს იცვლის ხიზნების თვით ბუნებაც.

ხიზანთა მდგომარეობის შესწავლასთან დაკავშირებულ XIX ს. მასალებში არსებითი სხვაობაა აღნიშნული ძველ და ახალ ხიზნებს შორის. მაგალითად, დ. ყიფიანი წერდა: „Хизанство есть явление, происходящее от безземелья..., преждних хизан уже нет“³³.

უნდა აღინიშნოს, რომ ხიზნობა კვლავ ატარებდა მიწის ჰერასთან დაკავშირებულ თავისუფალი ურთიერთობის ხასიათს მიწისმფლობელსა და იმ პირს შორის, რომელიც მას დასამუშავებლად იღებდა.

31 საქ. სიძგ. III, გვ. 471.

32 ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V, გვ. 97 და 99—100.

33 Материалы для изучения экономического быта Гос. крестьян Зак. Края. I, 1885, стр. 395. შეადარე ივანე ამილახვარის აზრი, იქვე, გვ. 394.

მებატონეთა გლეხების მომწყობი კომიტეტის დასკვნაში ხიზნე-
ზის შესახებ აღნიშნული იყო:

«Хизанское положение есть действительно одна из счастли-
вейших особенностей свободных поземельных отношений вла-
дельцев земли и живущих на ней поселян в здешнем крае»³⁴.
საინტერესოა, რომ ივანე ამილახვარი ხიზნებს მათი ასეთი მდგომარე-
ობის გამო „მოიჭარადრეებადაც“ კი მიიჩნევდა. იგი წერდა:

«Тех хизан, которые были до русского правительства, более
не существует; они были закрепощены, или переселившись сли-
лись с государственными крестьянами. Те же, которых ныне
именуют хизанами, вовсе не хизаны в том смысле, в каком под-
разумевали в прежнее время, а суть арендаторы, без отношения
к тому, имеют ли они какия-либо с помещиками условия, или
не имеют»³⁵.

ხიზნებს, როგორც თავისუფალ მწარმოებლებს, განიხილავდნენ
დიმიტრი ყიფიანი და სხვა მემამულენიც ბატონყმობის გაუქმებასთან
დაკავშირებით მათ მიერ წარდგენილ მოსაზრებებში. ასე მაგ., დ. ყი-
ფიანი წერდა, რომ მემამულენი მისცემდნენ გლეხებს მიწას სარგებ-
ლობაში „ერთითა მხოლოდ პირობით მით, რომელითაც ყოველი თავი-
სუფალი კაცი, გინა ხიზანი ჰხმარობს და სარგებლობს სხვის ადგილ-მა-
მულსა, ე. ი. ერთითა მით, ჩვენს ქვეყანაში საზოგადოდ დაწესებუ-
ლითა პირობითა, რომ სადაცა რა ზომა არსებობს ახლა ნაყოფის წი-
ლის ძლევისა პატრონისადმი და მუშის მიხმარებისა, იგივე ზომა დარ-
ჩეს ყოველგან შეუცვლელად“³⁶.

სხვა ადგილას დ. ყიფიანი იმის შესახებ თუ რა მოვალეობანი უნ-
და დაეკისროთ ყმებს განთავისუფლების შემდეგ, წერს: „დაშთება
მათზედა მხოლოდ ის ბეგარა და ის ადგილმამულისათვის სამსახური,
რაც ხიზნებსა ჰმართებს, ან იმათ ემართათ; ე. ი. რაც ყოველ თავი-
სუფალს კაცს ჰმართებს, რომელიც სხვის მამულისგან ჰსარგებლობს
და ამ მართებულსაც ისე და იმ ზომით უნდა იხდიდნენ, სადაც რო-
გორი ჩვეულება ახლა არსებობს და ამ ჩვეულებას არ შეეშლით დრო-
მდე“³⁷.

³⁴ Материалы для изъч. эконом, быта Гос. крестьян Зак. Края, т. I,
1885 г., стр. 387.

³⁵ იქვე, გვ. 394. შეადარეთ. П. Гугушвили, Сельское хозяйство... стр.
402, 407.

³⁶ შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ.
111—112. შეადარეთ: იქვე, გვ. 148—158.

³⁷ იქვე, გვ. 231.

ის გარემოება, რომ ხიზანი პირადად არ იყო დამოკიდებული მიწისმფლობელისაგან, ჩანს დ. ყიფიანის შემდეგი გამოთქმიდანაც: „ხიზური ჩვეულება დიდის ხნის დაწესებულა და ვერავინ იტყვის უარსა, თუ უნდა ემსახურება, თუ არა და წაეა“³⁸.

მართალია, მემამულენი ცდილობდნენ შეეზღუდათ ხიზნის პირადი დამოუკიდებლობა მათ მიმართ, რაშიც მათ ხელს უწყობდა ხიზნის დავალიანება მათ წინაშე და სხვა³⁹, მაგრამ, როგორც წესი, ხიზნები მემამულეთა პირადი დამოკიდებულებისგან თავისუფალნი იყვნენ.

როგორც დავინახეთ, ხიზანს საქართველოში არსებული ჩვეულების თანახმად ევალებოდა როგორც მოსავლის ნაწილის გადახდა მემამულის სასარგებლოდ, ასევე „მუშით მიხმარება“. ეს გარემოება ხიზნის მდგომარეობას რამდენადმე უახლოვებს ყმის მდგომარეობას, თუმც, მას არ ევალებოდა პირადი დამოკიდებულებიდან გამომდინარე სხვადასხვა ვალდებულებანი. დ. ყიფიანი ამის შესახებ წერდა: „ხიზანი განსხვავდება ჩვენთა ყმათაგან მხოლოდ ამით, რომელ ვერ გამოვართმევთ პურსა, ღალას გარდა, ფულს ვერ შევაწერთ საჩქმეს, საქვრივოს და გასამყრელოს და მოსამსახურებს ვერ მოვთხოვთ; სხვა ყოველსავე სამსახურს ხიზნები აღასრულებენ თანასწორ ყმათა ჩვენთა“⁴⁰.

ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ხიზნის მოვალეობაში მემამულის მიმართ „მუშით მიხმარება“ შედიოდა. უნდა ვიფიქროთ რომ ის მემამულენი, რომელნიც მუშახელის ნაკლებობას განიცდიდნენ (აქ ცხადია შედარებით მსხვილი მიწათმფლობელნი იგულისხმებიან), უზრუნველყოფდნენ თავიანთ მეურნეობას შედარებით იაფი მუშახელით მიწების ნაწილის ხიზნებისათვის გადაცემის გზით.

ირკვევა, რომ ხიზნები მემამულის მიწით სარგებლობისათვის მოსავლის ნაწილის გადახდასთან ერთად წლიურად ერთი დღიური მიწის კერისათვის ასრულებდნენ სხვადასხვა სამუშაოებს 40—80 კაც-დღის რაოდენობით თითო კომლზე⁴¹.

ჩვენ, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია იმის გარკვევა, ეს უკანასკნელი მოვალეობა—„მუშით მიხმარება“ იყო თუ არა ადრე საყოველთაოდ მიღებული ხიზნებისათვის, მაგრამ იგი რომ საერთოდ დამახასიათებელი

⁶² См. И. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке, Книгоиздательство «Сакартвело», СПб., 1906, стр. 37—38. В результате реформы только в Восточной Грузии помещики отрезали у крестьян 14.467 дес. поливной земли, что составляло 46% всей поливной земли. В неполивных землях у крестьян было отрезано 10.868 дес., т. е. 25% этой земли, и 312 дес. по 175 грамотам. Кроме того, без полевых земель было освобождено, не считая дворовых и хизан, 783 крестьянских дыма (3,5%), из которых 225 дымов не имели полевых наделов и до реформы, а 546 дымов были лишены их по ст. 130 Местного Положения. Общее количество бывших помещичьих крестьян, совместно с хизанами и дворовыми, которые после реформы не имели полевых земель составляло 14,5%. См. Е. А. Серова, Проведение в жизнь крестьянской реформы 1864 года в Восточной Грузии. Автореферат дисс. на соискание ученой степени кандидата исторических наук. М., 1963, стр. 9—10; См. С. Л. Авалиани, Указ. работа, т. I, стр. 415—423.

⁶³ Д. М. Лемонджав, Крестьянское восстание в Мегрелии (1856—1857 гг.), Тб., 1957 (на груз. яз.), Ш. К. Чхетия, Крестьянское движение в Гурии в 1826 году, «Исторический вестник», т. 7, Тб., 1953; его же, Восстание крестьян 1863 г. в Мегрелии, «Материалы по истории Грузии и Кавказа», вып. I, Тб., 1937 (на груз. яз.), М. В. Ахобадзе, Движение крепостных крестьян в Горийском уезде накануне отмены крепостного права (1857—1864 гг.), Журн. «Мацне» («Вестник») № 7, 1962 (на груз. яз.), О. К. Жордания, Из истории крестьянского движения в Грузии в 1861—1864 гг., Журн. «Мацне», («Вестник») — орган общественных наук АН Грузинской ССР, № 4, 1968, и др.

В период спада революционного движения трудящихся масс, в первую очередь крестьянства Восточной Грузии, особенно размаха классовая борьба достигла в некоторых городах, а также в тех областях Грузии; например, в Мегрелии и Абхазии, в которых крепостнические отношения были отменены сравнительно позднее. В качестве примеров достаточно указать на такие события, какими были июльское выступление трудовых масс Тифлиса в 1865 году⁶⁴, получившее европейскую известность благодаря, главным образом, «Колоколу» Герцена и Огарева⁶⁵, и восстание крестьян Абхазии в 1866 году⁶⁶.

Отмена крепостного права в Грузии явилась самой большой и первой уступкой царизма классовой борьбе трудящихся Грузии в частности и всей империи в общем, с особой силой развернувшейся в конце 50 — начале 60-х годов XIX века. Самодержавию путем реформы удалось ослабить борьбу трудящихся, взять в свои руки инициативу, установить более тесный союз с привилегированным сословием, и тем самым еще более укрепить свое политическое господство.

Реформа 1864 года в Восточной Грузии — побочный продукт революционной борьбы трудящихся, как и предшествовавшая ей реформа «19 февраля» 1861 года, «осталась только реформой», говоря словами В. И. Ленина, «в силу крайней слабости, бессознательности, распыленности тех общественных элементов, интересы которых требовали преобразования»⁶⁷

64 Ш. К. Чхетия, К истории Тбилиси*, Тб., 1938; его же, Тбилиси в XIX столетии, Тезисы, Тб., 1940; его же, Из истории амкарств. Амкары и ремесленники Тифлиса в 1860-х годах*, «Вестник Госмузея Грузии», т. X—V: Тб., 1940 (*на груз. яз.); А. Пирцхалашвили, К истории выступления тифлиских амкар в 1865 году. «Труды Тбилисского госуниверситета», т. XI, вып. 1, Тб., 1940 (на груз. яз.); на русском яз. см. «Исторические записки», кн. 8, М., 1940; Л. Меликсет-Бек, Архивные материалы по истории «выступления» тбилисских амкар в 1865 году, «Исторический вестник», т. 3, 1947 и др.

65 «Колокол», газета, А. М. Герцена и Н. П. Огарева, вып. 8, 1865, Факсимильное издание. Изд-во АН СССР, М., 1963.

66 Г. А. Дзидзария, Крестьянское восстание 1866 года в Абхазии. Сухуми, 1956.

67 В. И. Ленин, ПСС., т. 20, стр. 167.

თ. ზიცბა

მიწის საკუთრებად მიღებისათვის გლეხთა ბრძოლის ისტორიიდან

(საშინაო საბუთებით შექმნილი გლეხთა მიწები)

1861 წელს რუსეთში საგლეხო რეფორმის გამოცხადების შემდეგ ანალოგიური რეფორმა საქართველოშიც გატარდა. რეფორმამ, მართალია, გლეხს მისცა პირადი თავისუფლება, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მიწის მებატონედ კვლავ მებატონე აღიარა. გლეხს მიწა მიეცა არა საკუთრებად, არამედ მუდმივ სარგებლობაში. ეს იყო ნადელები—საქარმიდამო, ბალისა და სახნავ—სათიბი მიწის ნაკვეთები, რისთვისაც გლეხებს გადასახადები უნდა გაეღოთ. მართალია, არ იყო გამორიცხული გამოსყიდვის გზით ამ ნაკვეთების საკუთრებაში მიღების შესაძლებლობა, მაგრამ ამისათვის აუცილებლად საჭირო იყო შემამულის ნებართვა. ნადელების გამოსყიდვამდე გლეხები ითვლებოდნენ დროებითვალდებულებად. გლეხს უფლება ჰქონდა ნადელის გამოსყიდვისათვის მთავრობის სესხს გამოეთხოვა, რომელიც 49 წლის განმავლობაში უნდა დაეთარა. მთავრობა გაცემულ სესხებზე მაღალ სარგებელს რიცხავდა, რის გამო ბევრი გლეხი უარს ამბობდა მთავრობის დახმარებით ნადელის გამოსყიდვაზე და მუდმივვალდებულის მდგომარეობაში რჩებოდა.

ფეოდალურ-ბატონყმურ საქართველოში გლეხებს დიდი რაოდენობით ჰქონდათ სიგელებით, ნასყიდობითი ბარათებით შექმნილი მიწები. ასეთ მიწებს ისინი თვლიდნენ თავიანთ საკუთრებად. რეფორმის გატარებისას მთავრობა იძულებული იყო ამ მდგომარეობისათვის ანგარიში გაეწია. გლეხს მიეცა უფლება წარმოედგინა საბუთი უძრავ ქონებაზე (როგორც კანონიერი, ასევე საშინაო სახით შესრულებული), მაგრამ მისი უფლება საკუთრებაზე უნდა დამტკიცებულიყო. პირველ

რიგში გლეხების უფლებათა უარყოფა-აღიარება მემამულეს ეკუთვნოდა, მემამულისა და გლეხის შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქმეს გზინიხილავდა გლეხთა საქმის მომგვარებელი დაწესებულება-საყრებულო. დამტკიცებული ნაკვეთი გლეხის სრულ საკუთრებად ითვლებოდა, ნაღვლად არ გაიციემოდა და მისგან გადასახადი არ გაიღებოდა. რეფორმის ვატარებისას გლეხობამ ფართო ბრძოლა გაშალა მის ხელთ არსებული საბუთების საფუძველზე მიწების საკუთრებად მიღება-დამტკიცებისათვის. გლეხის მიერ მიწის საკუთრებად მიღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მისი საკუთარი მეურნეობის გაუმჯობესების, ასევე ქვეყნის ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით¹.

ქართველ გლეხს მიწა საკუთრად ძველი დროიდანვე გააჩნდა². ფეოდალურ-ბატონყმურ საქართველოში მიწების შესყიდვა-გაცემა ხშირ მოვლენას წარმოადგენდა და ამის ამსახველი აქტებიც მრავალიცხოვანი იყო: საკმარისია ითქვას, რომ რეფორმის მომდევნო სამი წლის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში გლეხებმა მიწის საკუთრებად ფლობის დასადასტურებლად ნასყიდობისა და სხვა სახის 63 ათასი საშინაო დოკუმენტი წარმოადგინეს (1876 წელს კი ასეთი სახის 84 ათასი სიგელი დაგროვდა)³. აღმოსავლეთ საქართველოსათვის მსგავსი კონკრეტული ციფრი არ მოგვეპოვება, ერთ-ერთი ცნობით კი ჩანს, რომ მათი რაოდენობა 40 ათასს აღწევდა⁴. გვიან ფეოდალურ ხანაში მესაკუთრე გლეხთა არსებობა ბატონყმური ურთიერთობის რღვევის ერთ-ერთ მომენტს შეადგენდა.

მართალია, ვახტანგ VI კანონმდებლობაში ნათქვამია, რომ მებატონეს გლეხის სულის გარდა ყოველივე ეკუთვნის (ვახ. კან. მუხ. 260, 258), მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სახეებით ასე არ ყოფილა და ჩვეულება, რეალური მდგომარეობა, გაცილებით მეტ უფლებას ანიჭებდა გლეხს⁵. ამას თვით ვახტანგ VI კანონებზე დაკვირვებაც ააშკარავებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონებში გლეხის სრული უფლებობა აღნიშნული, მას მაინც გარკვეული უფლება აქვს ნაყიდ საკუთრებაზე. მაგალითად, გლეხს რომ რაიმე დაეშავებინა, მებატონე ნაყიდ მიწას

¹ ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, VI გამ., ტომი 17, გვ. 121.

² ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგ., 1; ტფ., 1907, გვ. 1—12.

³ ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგარაული ურთიერთობანი საქართველოში 1890 — 1917 წ., თბ., 1965 წ., 87 — 107.

⁴ СХАО, ტ. IV, გვ. 227.

⁵ საისტორიო მოამბე, 1948, № 4, გვ. XI—XII. А в а л и а н и С., Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, Одесса, 1812, стр. 3—4.

ვერ წაართმევდა. „სხვა რიგად, რომ ბატონმა უმას გარდაახდევინოს, ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს“, ნათქვამია ამის შესახებ ვახ. კან. 160 მუხლში. ასევე გლუხს მისი ნებასურვილის მიხედვით შეეძლო ეანდერძებინა ნასყიდი მიწა, რისი უფლებაც მას სხვა მამულის (მებატონის მიწის) მიმართ არ გააჩნდა:“ თუ კაცმან მოკვდავმან თავის ალალი საქონელი თავის სულს დააკლო და ვისაც უანდერძა, მიეცემის. მამული თუ ნასყიდი აქვს ისიც მიეცემის, სხვა მამული მის პატრონზე ჰკიდია“ (ვახ. კან. მუხ. 233).

ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სხვა მუხლებიც. როდესაც გლეხი იურიდიულად პასუხისმგებელი პირია, მას წაერთმევა სწორედ ნასყიდი ქონება, როგორც მისი პირადი საკუთრება. მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში „აზნაური ან გლეხი“ პასუხს აგებს „თავის ნასყიდის მამულითა (რაც ერგებოდეს) და თავის კერძის საქონლით“ (ვახ. კან. მუხ. 75), სიკვდილის შემთხვევაში თუ გლუხს „საქონელი ან ნასყიდი რამ დარჩა, მოვალეს იქილამ მიეცემის, თორემ სამკვიდრო მამულიდამ ბატონი არ გასცემს“ (ვახ. კან. მუხ. 138)⁶;

ნასყიდი მიწიდან გადასახადის გაღების საკითხი ვახტანგის კანონებში არ ასახულა, მაგრამ, როგორც ჩანს, გლეხები, ამისაგან თავისუფალი ყოფილან. ამას ამტკიცებს, როგორც გლეხთა მრავალი განცხადება რეფორმის გატარების დროს, ასევე მათ მიერ საკრებულოში წარმოდგენილი ზოგიერთი საბუთის შინაარსი. მაგალითად, გორის მაზრის მეჯვრისხვეელი მემამულე ლუარსაბ ლოლაძე თავისი გლეხებთან - მკერაბიშვილებისადმი ბოძებულ საბუთში წერს:

«Сию дарственную бумагу и документ написал и дал я, твой помещик меджврисхевский моурав Луарсаб Лоладзе и сыновья мои: Кайхосро, Иоан, Иосиф, Николай и Зураб и все будущие дома моего вам, крестьянам моим меджврисхевским коренным жителям Мерабишвиливым: Махаробелу, Тетию, Нииню и Тевдору и сыновьям вашим: Киколу, Андрею, Шию, Якову и Гаврилу и всем будущим дома вашего; так что вы в вашей Напузари устроили виноградный сад и я за то требовал кулухи и вы объяснили, что это именно купленное и потому не дадим кулухи, почему я, исследовав это дело и дознал, что оно действительно куплено и так как было купленное, поэтому и я уступил кулухи и однажды и навсегда, что бы никто не требовал: ни я, ни сы-

⁶ ვახტანგის სამართლის მუხლები ნაჩვენებია თ. ენუქიძის მიერ გამოცემული ტექსტის მიხედვით., ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თბ., 1955 წ.

новья мои, ни будущие мои. Владей на счастье божие. В усердном служении моем никто не может уничтожить данную мною сию бумагу ни мы, ни будущие наши.

Я, моурав Лоладзе Луарсаб, этот документ свидетельствую. Луарсаб. Кто же сию дарственную бумагу, данную мною, уничтожит, да будет проклят безначальным богом и единородным сыном, а утверждавшего сию бумагу да будет благословен. Октября 7 дня 1707 года»⁷.

ნაყიდ მიწაზე გლეხის უფლებების გარკვევის თვალსაზრისით საინტერესოა მთავარმმართველობის დავალებით 1841 წელს თბილისის საგუბერნიო სამმართველოს მიერ შეკრებილი ცნობები შემამულებსა და გლეხებს შორის არსებული დამოკიდებულების შესახებ. ის შედგენილია როგორც ვახტანგ VI კანონების, ასევე ადგილზე მიღებული ცნობების გათვალისწინებით და იხსენება „როგორც ერთ-ერთი ყველაზე დაწვრილებითი და შეკრების წესით სინამდვილის ყველაზე უფრო მეტად ამსახველი“ დოკუმენტი⁸.

ამ ცნობებით, მყიდველს ყიდვით მოპოვებული ქონების მიმართ განსაკუთრებული უფლება აქვს. ამიტომაც იყო, რომ მებატონეს ნაყიდი გლეხის მიმართ ყოველთვის მეტი უფლება გააჩნდა, ვინმე სხვა გზით შეძენილის მიმართ⁹. ამ საფუძველზე შეინიშნებოდა განსხვავება გლეხის ქონებათა შორის, კერძოდ, შთამომავლობითსა და შეძენილს (ყიდვით მოპოვებულს) შორის. შეძენილ-ნაყიდი ქონება უფრო ეკუთვნებოდა გლეხს და მას შეეძლო თავის სურვილებსამებრ მოესმარა¹⁰. დანაშაულისათვის გლეხს, მაგალითად, მებატონე ნაყიდ მიწას ვერ წაართმევდა¹¹. მაგრამ ბატონყმობის დროს, როგორც ცნობილია, გლეხი დაზღვეული არ იყო შემამულის ძალმომრეობისაგან. მებატონეს შეეძლო ანგარიში არ გაეწია გლეხის მიერ სხვადასხვა გზით შეძენილი ქონებისათვის, არ ეცნო მათზე გლეხის უფლებები. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით მკვიდრდება რუსული მმართველობის დროს. როგორც ზემოთ დასახელებული ცნობების შემკრები, გუბერნიის სამმართველოს ვიცე-დირექტორი ვასილკოვსკი აღნიშნავს, რუსული კანონების გათვალისწინებით გლეხთა ქონება გირავდებოდა, აღიწერებოდა და იყი-

⁷ ცსა, ფონ. 31, საქ. 358, ფურც. 70.

⁸ Сборник материалов для описания Тифлисской губернии, Тиф., 1870, стр. 295.

⁹ იქვე, გვ. 305, 311.

¹⁰ იქვე, გვ. 311.

¹¹ იქვე, გვ. 316—317.

დებოდა მემამულის ვალში, როგორც მებატონის საკუთრება, მიუხედავად იმისა, მემკვიდრეობით იყო იგი მიღებული, ნაწყალობევი თუ ნაყიდი და გლეხებს ეკრძალებოდათ აღეძრათ დავა საკუთარი უძრავი ქონების დასაბრუნებლად¹².

რეფორმის პროექტის მომზადების პერიოდში, როდესაც დღის წესრიგში იდგა გლეხთა განთავისუფლების საკითხი, გუბერნიის თავადაზნაურობა ყოველმხრივ ცდილობდა შეეზღუდა მათი უფლება ნაყიდ საკუთრებაზე. დ. ყიფიანი, რომელსაც დაევალა რეფორმის პროექტის შედგენა და რომელიც თავადაზნაურთა უმრავლესობის აზრს განიხილავდა, თვლიდა, რომ გლეხებს საკუთრების უფლება უნდა დამტკიცებოდათ მხოლოდ ისეთი საბუთების მიხედვით, რომელსაც არ უარჰყოფდნენ მებატონეები ანდა რომელზედაც გლეხებს ჰქონდათ სასამართლო დაწესებულებებში სათანადო წესით დამტკიცებული კანონიერი წერილობითი აქტები¹³. კიდევ მეტად ზღუდავდა გლეხთა უფლებებს უმცირესობის პროექტი. გლეხებს დაუმტკიცებოდათ სხვა პირისაგან შეძენილი ის უძრავი ქონება, რომელიც იქნებოდა კანონიერი წესით გაფორმებული და შეძენილი მხოლოდ რუსეთის მმართველობის შემოღების დროიდან¹⁴.

გლეხთა საქმის მომგვარებელი ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა რეფორმის საბოლოო პროექტის შემუშავება საქართველოში, თვლიდა, რომ რუსეთში რეფორმის გატარებისას მიღებული წესი გლეხთა საკუთრების მიმართ აქაც უნდა გატარებულიყო. ამის მიხედვით წარმოდგენილ დოკუმენტზე გლეხის უფლების აღიარება უპირველესად მემამულეზე იყო დამოკიდებული. უარის თქმის შემთხვევაში გლეხებს შეეძლოთ წარმოედგინათ ისეთი საბუთი, რომელთაც ჰქონდა ხანდაზმულობა არა უმეტეს 10 წლისა. საქმე ჯერ გაიჩეოდა მომრიგებელ შუამავალთან მემამულის მონაწილეობით, თუ მხარეები (მემამულე და გლეხი) ვერ შეთანხმდებოდნენ, მაშინ გადაეცემოდა საგუბერნიო საკრებულოს, რომელსაც გამოჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება. გლეხის საქმის გარჩევისას მიიღებოდა როგორც კანონიერი წესით შესრულებული საბუთი, ასევე საშინაო სახისა, მაგრამ „ქვეშარიტებით უდავო და უეჭველი“. გლეხის საკუთრებად ცნობილი ნაკვეთი თუ მებატონის მიერ დაგირავებული

12 Сборник материалов для описания Тифлисской губернии, Тиф. 1870, стр. 312, 317. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი V, თბ., 1953, გვ. 1.

13 საისტორიო მოამბე, 1948, № 4, გვ. 246, 248, 272—273.

14 Авалнани С., დსახ. ნაშრ., გვ. 283.

იყო, არ თავისუფლდებოდა, ხოლო საჯარო ვაჭრობით გაყიდული ანდა სხვის ხელში გადასული, რჩებოდა უკანასკნელ მყიდველს, გლეხს კი უფლება ეძლეოდა სასამართლოს გზით მოეთხოვა ზარალის ანაზღაურება მემამულისაგან (ან მისი მემკვიდრეებისაგან)¹⁵. 1864 წლის მარტში გამოქვეყნებულ „განსაკუთრებულ აზრში“ აღნიშნული კომიტეტი თვლიდა, რომ ამ საერთო წესიდან გამონაკლისის სახით უნდა დაშვებულიყო შემდეგი: 1. გლეხის საქმე არ მიიღებოდა გასარჩევად, თუ მიწა, რომელზედაც მას დოკუმენტი გააჩნდა, 1861 წლის 19 თებერვლამდე (რუსეთში რეფორმის გამოცხადებამდე) მემამულის მიერ იყო დაგირავებული ან სხვა პირისათვის გადაცემული. 2. გლეხებს საკუთრებად უნდა დამტკიცებოდათ ისეთი ქონებაც, რომელიც მათ წყალობის სიგელით საჩუქრად მიეცათ“ სამემკვიდროდ და სამუდამო მფლობელობაში“ და საბუთი არ შეიცავდა გამცემისათვის, მისი სახლისა და შთამომავლობისადმი მომავალში ერთგული სამსახურის გაწევის პირობას და მემამულე ასეთი მიწებიდან არ ღებულობდა გადასახადს¹⁶.

თუ პირველ საკითხში კომიტეტის აზრი საერთო ღებულების პრიციპიდან უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, მეორეს შექმონდა უფრო მეტი სიზუსტე საბუთების სახეობათა გარკვევაში, არ გამორიცხავდა საჩუქრის სახით მიღებული ნაწყალობევი მიწის საკუთრებად მიღების შესაძლებლობას, თუმცა ამაშიც გარკვეულ შეზღუდვას აწესებდა. ამავე კომიტეტის ყურნალში, რომელშიც აღრიცხულია რეფორმის პროექტის შესადგენად ჩატარებული მთელი მუშაობა, განმეორებულია 1864 წლის 23 მარტს გამოთქმული მოსაზრებანი¹⁷, მაგრამ საბუთების სახეობათა შესახებ, ზემოხსენებული შეხედულების გამოკლებით და აღნიშნულია, რომ 1861 წლის 19 თებერვლის ღებულების საერთო წესები შეუცვლელად უნდა გავრცელდესო გლეხის სახელზე გაფორმებული ქონების მიმართაც. კომიტეტის ეს მოსაზრებანი არ იქნა მთლიანად გაზიარებული კავკასიის გლეხთა საქმის მომგვარებელ მთავარ კომიტეტში. გლეხთა საერთო ღებულებაში მიღებული წესები დოკუმენტების საფუძველზე გლეხების მიერ მოპოვებული საკუთრების შესახებ ყოველგვარი ცვლილებების გარეშე ვრცელდებოდა საქართველოშიც¹⁸.

15 Высочайшие утвержденные Его императорским Величеством 19 ф. 1861 г., положения о крестьянах, вышедших из крепостной зависимости, СПб., 1861, стр. 34.

16 Документы по истории Грузии, т. I, ч. I, Тб., 1954, стр. 128—129.

17 იქვე, ფურც. 146—147.

18 Аваллиани С., დას., შრომა, გვ. 405—407.

როგორც კი დაიწყო რეფორმის ცხოვრებაში გატარება, თავი იჩინა გლეხთა ღრმა აღშფოთებამ. მებატონეთა დიდი ნაწილი არ ცნობდა გლეხთა უფლებას ნასყიდ მიწაზე, შეჰქონდა ასეთი ნაკვეთები სანადელოდ და ავალდებულებდა მათ გადასახადის გაღებას, რიგ შემთხვევაში კი ჩამონაპრის სახით თავისთვის იტოვებდა. გლეხები ვერ ურიგდებოდნენ ამ მდგომარეობას. ისინი ხელს არ აწერდნენ საწესდებო სიგელებს (მემამულეებსა და გლეხებს შორის ახალი დამოკიდებულების ამსახველი აქტები), არ ექვემდებარებოდნენ მებატონეებისა და მომრიგებელ შუამავალთა მოთხოვნებს. ასე მოიქცნენ, მაგალითად, გორის მაზრის სოფელ ბროწლეთში მცხოვრები მებატონე ივანე დავითის ძე სულხანიშვილის გლეხები. 1865 წლის საჩივარში გლეხები წერდნენ: „სოფელთან ახლოს მდებარე ყველაზე საუკეთესო მიწები და ნაფუძრები, სყიდვით ჩვენგან მოპოვებული, მემამულემ დაიტოვა თავისთვის, აგრეთვე ჩვენი წისქვილიც. ამავე დროს დაგვინიშნა გადასახადი ისეთ მიწებზე, რომელთაგან არასდროს არ იღებდა კულუხს და ითხოვს გადასახადს“¹⁹. აღშფოთებულმა გლეხებმა არ მოაწერეს სიგელს ხელი და როდესაც მემამულემ გაზაფხულზე გლეხებისაგან ჩამოჭრილი მიწების დასამუშაველად რამდენიმე კაცი და გუთანი გაგზავნა, გლეხებმა გაბო და ტეტო ნიკოლიშვილებმა სხვებთან ერთად არ დაუშვეს ისინი მიწის მოსახნავად. საგუბერნიო საყრებულოში წარდგენილ არაერთ განცხადებაში მემამულე ჩიოდა, რომ ეს გლეხები არ ემორჩილებოდნენ მას და არ აძლევდნენ სანადელო გადასახადებს. გლეხთა ურჩობის აღმოსაკვეთად მათი მეთაური გაბო ნიკოლიშვილი მეტეხის ციხეში ჩასვეს²⁰.

ხსენებული მაზრის სხვა სოფელში, მაგალითად, კარალეთში მემამულე რევაზ ერისთავის ღრობით ვალდებული გლეხი სულხან საგრიჭაშვილი, რომელიც უკმაყოფილო იყო ნასყიდი მიწის სანადელოდ მიცემით, 1865 წლის იანვარში მეფისნაცვლისადმი წარდგენილ თხოვნაში აცხადებდა: „რევაზ ერისთავი მისი წინაპრების მაგალითისამებრ არასდროს არ ღებულობდა ჩვენგან ღალას, რადგანაც ეს მიწები ჩვენ მიერ სყიდვით მოპოვებულია“. გლეხმა წარმოადგინა საშინაო სახის 15 ბარათი-დოკუმენტი, რომელთაგან უძველესი 1666 წელს მიეკუთვნებოდა, უახლოესი კი 1859 წელს იყო გაფორმებული და მოითხოვა

¹⁹ ცსა, ფონ. 31, საქ. 19930, ფურ. 42.

²⁰ იქვე, ფურც. 29—30, 75.

მიწების საკუთრებად დამტკიცება და გადასახადისაგან განთავისუფლება²¹.

მსგავსი სურათი იყო სხვა მაზრებშიც. სიღნაღის მაზრის სოფელ გურჯაანში, მაგალითად, გლეხ გიორგი ხუროშვილს ძმებთან ერთად ჰქონია ნასყიდობის სიგელით შეძენილი ვენახი. ამ მაზრის წინამძღოლსა და მათ მემამულე ანდრონიკაშვილს რეფორმის წინ, 1864 წელს, წაუთრმევია მათთვის ეს ბაღი და სხვა მიუცია. განთავისუფლების შემდეგ გლეხებმა მიატოვეს ამ ნაკვეთის დაპუშავება და მოითხოვეს, რომ დაბრუნებოდათ მათი წინაპრების მიერ (1771 წელს) ნაყიდი ბაღი.²² გლეხთა ბრძოლის ანალოგიური ბევრი სხვა შემთხვევაც შეგვეძლო დაგვესახელებია²³. ყველა ეს მასალა გვიჩვენებს, რომ გლეხობა მტკიცედ იბრძოდა იმისათვის, რომ ბატონყმობის დროს ნაყიდი მიწები მათ საკუთრებად ეცნოთ.

როგორც აღვნიშნეთ, უძრავ ქონებაზე საქმის აღძვრისას, გლეხს შეეძლო წარმოედგინა ისეთი დოკუმენტი, რომელსაც ჰქონდა ათი წლის ხანდაზმულობა. ქართულ სინამდვილეში კი ბარათების უმრავლესობა თვით გლეხების სახელზე იყო შედგენილი და დროის ხანგრძლივობით არა თუ ათ წელს აღემატებოდა, არამედ ხშირად საუკუნეებსაც შეიცავდა. ასეთი დოკუმენტები გლეხებს დიდი რაოდენობით გააჩნდათ, რადგანაც გლეხობა მტკიცედ მოითხოვდა ამ საბუთების ცნობას, გლეხთა საქმის საგუბერნიო საკრებულო იძულებული შეიქნა ეს საკითხი სპეციალურად გაერჩია. როგორც 1865 წლის ოქტომბერში მოწვეულ სხდომაზე გამოქვლავნდა, უმრავლესობა თვლიდა, რომ ძალაში დაეტოვებინათ რეფორმით მიღებული ნორმა²⁴. ამ აზრს გაპო-
ეჩქვამდა, მაგალითად, გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი დავით ყიფიანი²⁵.

მაგრამ განსხვავებული აზრი გამოთქვა საკრებულოს უმცირესობამ. იგი მიუთითებდა გლეხთა სახელზე შესრულებული ქართული საშინაო დოკუმენტების განსაკუთრებულ ხასიათზე. მაგალითად, საკრებულოს წევრი ბოროზდინი აცხადებდა, რომ თუ რუსეთში გლეხთა სახელზე გაფორმებული საკუთრება მხოლოდ 1848 წლიდან იქნა აღი-

21 იქვე, საქ. 17, ფურც. 34, 52—53.

22 იქვე, საქ. 17, ფურც. 1, 8—9, 30—31, 20—43, საქ. 377.

23 იქვე, საქ. 278, ფურც. 2, 9, საქ. 188, ფურც. 185—212, საქ. 182, ფურც. 185—212 და სხვა.

24 იქვე, ფონ. 218, საქმე 1, ფურც. 63.

25 იხილეთ მის მიერ წარმოდგენილი ბარათი, იქვე, ფონდი 31, საქ. 17, ფურც. 8—9.

არებული, ქართველი გლეხი თავის სახელზე საკუთრებას იძენდა ამაზე დიდი ხნით უფრო ადრე და არცერთი კეთილსინდისიერი მემამულე გლეხის მიერ ყიდვით შეძენილ საკუთრებას ხელს არ ახლებდა. მისი დასკვნით, ქართული საბუთების ამ ხასიათის გამო ისინი ათწლოანი ხანგრძლივობით არ უნდა შეეზღუდათ²⁶. ამასვე მოითხოვდა საკრებულოს სხვა წევრი, სარქისოვიც (თბ. გუბ. პროკურორი). იგი მიუთითებდა, რომ „მიუხედავად ვახტანგის კანონების I ნაწილის 260 მუხლის არსებობისა, რომლითაც ყველაფერი, რაც გლეხებს ეკუთვნის, მემამულის საკუთრებაა, ... მემამულეების შეუზღუდველი უფლება არ ვრცელდებოდა გლეხების მიერ მათი სახელით ნასყიდ ქონებაზე“²⁷.

აღძრული საკითხის მნიშვნელობის შესახებ სამოქალაქო გუბერნატორი აღნიშნავდა: „შეუძლებელია უგულვებლევად ამ საკითხის სწორად გადაჭრის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ყოველგვარ შეცდომას შეუძლია გამოიწვიოს მეტად სერიოზული დაბრკოლებები“²⁸. რა თქმა უნდა, გლეხობა ადვილად ვერ შეურიგდებოდა ამ მწვავე და მნიშვნელოვანი საკითხის მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ გადაჭრას. საკითხი გასარჩევად გადაეცა მეფისნაცვალთან არსებულ გლეხთა საქმის მომწყობ კომიტეტს. 1865 წლის 15 დეკემბერს მან დასაშვებად ცნო, რომ საწინაო დოკუმენტები განეხილათ შეძენის ხანდაზმულობის შეუზღუდველად, ხოლო დამტკიცებინათ კი ისეთი რომელთა ქვეშაირება უეჭველი იყო²⁹.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით არკვევდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ ისეთ შემთხვევაში, როდესაც გლეხის მიერ საწინაო დოკუმენტის საფუძველზე ყიდვით შეძენილი ქონება ჯერ კიდევ რეფორმამდე მემამულეების მიერ ძალმომრეობით იყო წართმეული, დაებრუნებინათ თუ არა გლეხებისათვის ეს ქონება და საკითხის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში რა წესებისათვის დაექვემდებარებინათ. ამასთან დაკავშირებითაც საკრებულოში აზრთა სხვადასხვაობა წამოიჭრა.

მეფისნაცვალთან არსებულმა გლეხთა საქმის მომწყობმა კომიტეტმა უმცირესობის აზრი გაიზიარა, რომლის მიხედვითაც გლეხებს შეეძლოთ მემამულეების მიერ მათგან წართმეული საბუთებით შეძენილი ქონების დაბრუნება მოეთხოვათ, მაგრამ უმაღლესად დამტკიცებული კავკასიისა და გლეხთა საქმის მომწყობი მთავარი კომიტეტის 1864 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, გლე-

26 ცსა. ფონ. 31, საქ. 17, ფურც. 12 — 19.

27 იქვე, ფურც. 59—60.

28 იქვე, ფონ. 218, საქ. 1, ფურც. 31.

29 იქვე, ფურც. 60, 69 — 70.

ხებს არ მიეცათ უფლება აღედრათ საქმე რეფორმადის 20 წელზე უფრო ადრე წართმეული ქონების შესახებ³⁰.

ქართველმა გლეხებმა, რომელთაც დიდი რაოდენობით ჰქონდათ მიწის კუთვნილების შესახებ საშინაო სახის საბუთები, ბევრი საქმე აღძრეს. კერძოდ, 1865 წელს მათ მიერ 147 ასეთი საქმე იყო აღძრული³¹, 1866 წელს—4509³², მომდევნო წელს 1851³³, 1868 წელს კი 1280³⁴.

1865 წელს დაიწყო გუბერნიაში საწესდებო სიგელთა შედგენა, რომელმაც 3 წელიწადზე მეტ ხანს გასტანა. სიგელთა შედგენით ფორმდებოდა და წყდებოდა გლეხთა მემამულეებთან დამოკიდებულებისა და მიწით უზრუნველყოფის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ყოველი გლეხი ცდილობდა მის ხელთ არსებული საბუთები წარმოედგინა, რათა ამით დაეცვა თავისი უფლება მიწაზე. სიგელთა შედგენა-გატარება ყველაზე მეტი რაოდენობითა და ინტენსიურად 1866—1867 წლებში მიმდინარეობდა, ამიტომაც ამ წლებში ყველაზე მეტი რაოდენობით არის გლეხთა მხრივ აღძრული საქმეებიც მიწის საკუთრების თაობაზე³⁵. 1868 წლის შემდეგ, როდესაც სიგელთა შედგენა გუბერნიაში ძირითადად დამთავრდა, ხსენებულ საქმეთა რიცხვი მნიშვნელოვნად კლებულობს³⁶. მომრიგებელი შუამავლების მეტ-ნაკლებად სრული ცნობებით, 1865—1868 წლებში ხსენებული საქმეების რაოდენობა მახრების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა (იხ. ცხრილი 1). ცხრილში მოცემული მასალა გვიჩვენებს, რომ გლეხთა

30 ცხა: ფონ. 218, საქ. 1, ფურც. 63—71.

31 იქვე, ფონ. 31, საქ. 204, ფურც. 4, 23, 26, 29, 30, 33, 34, 40.

32 იქვე, ფონ. 220, საქ. 883, ფურც. 109—110.

33 იქვე, ფონ. 31, საქ. 410, ფურც. 24, 28, 32, 36, 41, 44, 46, 50, 52, 56, 58—80.

34 იქვე, ფონ. 438, ფურც. 2—3, 8—9, 23, 24, 26, 43. ზოგჯერ მომრიგებელი შუამავლების მიერ აღძრულ საქმეთა რიცხვის ნაცულობად დასახელებულია წარმოდგენილი დოკუმენტების რაოდენობა. იქვე, ფონ. 31, საქ. 410, ფურც. 46, 44, 56—58, საქ. 438, ფურც. 26.

35 Документы по истории Грузии, т. I, часть I, 1954, стр. 241. ცხა. ფონ. 31, საქ. 144, გვ. 71—72, საქ. 410, ფურც. 12, ფონ. 220, საქ. 883, ფურც. 116—117.

36 იქვე, ფონ. 220, საქ. 883, ფურც. 217—220, 232, ფონ. 17, საქ. 8980, ფურც. 83—84.

მიერ აღძრული საქმეების რიცხვი მიწის საკუთრებად კუონილების შესახებ ყველა მაზრაში მრავალრიცხოვანი იყო.³⁷

ცხრილი 1³⁸

მაზრები	სამომრიგებლო განყოფილებები	აღძრულ საქმეთა რიცხვი			1868 წ.
		1865 წ.	1866 წ.	1867 წ.	
თბილისის	I	12	25	22	—
	II	16	164	228	—
	III	—	1	—	—
გორის	I	75	380	234*	—
	II	—	321	259	150
	III	—	114	127	57
	IV	6	1	60	—
	V	28	405	75	—
სიღნაღის	I	10	297	261*	10
	II	—	500	400*	—
თელავის	I	—	1000	—	539
	II	—	367	185	524*
სულ		147	3.575	1851	1280

გლეხების მიერ საშინაო ბარათების საფუძველზე აღძრული საქმის გარჩევა შემდეგი წესით მიმდინარეობდა. თავდაპირველად საქმეს არკვევდნენ მომრიგებელი შუამავლები მემამულის მონაწილეობით. თუ მებატონე დაადასტურებდა გლეხის უფლებას მიწაზე, მომრიგებელი შუამავალი უმტკიცებდა გლეხს მიწას საკუთრებად და ამის შესახებ მიღებული დადგენილების ასლს გადასცემდა ორივე მხარეს (მემამულესა და გლეხს). ამით მიწა ითვლებოდა გლეხის სრულ საკუთრებად. არ შეიტანებოდა სანადელოდ და თავისუფლდებოდა გადასახადისაგან. თუ მებატონე არ ცნობდა გლეხის უფლებას, მომრიგებელ შუამავალს უნდა ეცადა ორივე მხარე ურთიერთშეთანხმებინა, საქმე მშვიდობიანად დაემთავრებინა. თუ მებატონე და გლეხი ერთმანეთს ვერ შეუთანხმდებოდნენ, საქმე გასარჩევად გადაეცემოდა ზემო ინსტან-

³⁷ საარქივო საქმეები, რომელთა საფუძველზედაც შედგენილია ეს ცხრილი: წინა გვერდის სქოლიოებშია დასახელებული (№ 31—34). რაც შეეხება 1865 წელს, გუბერნატორი 4509 აღძრულ საქმეს ასახელებს, მაგრამ მომრიგებელ შუამავალთა ცნობებით კი მათი რაოდენობა 3574-ს შეადგენს. იხ. ცსა: ფონ. 31, საქ. 144. ფურც. 9, 13, 16, 26, 31, 38, 45, 49, 53, 59, 61, 65.

* ზოგიერთ ცნობაში აღძრული საქმეების რაოდენობის ნაცვლად წარმოდგენილი გლეხთა საბუთების რიცხვია დასახელებული, იქვე, საქ. 410, ფურც. 46, 44, 56—58. საქ. 438, ფურც. 26.

³⁸ თბილისის მაზრაში ასეთი საქმეების შედარებით სიმცირე იმით არის გამოწვეული, რომ გლეხთა მნიშვნელოვან ნაწილს განსაკუთრებით—II სამომრ. განყოფილებაში, შეადგენდნენ თათრები, რომლებიც მომთაბარე მესაქონლეობას მისდევენ.

ციას—საკრებულოს. ამისათვის მომრიგებელ შუამავალს უნდა შეედგინა ოქმი, სადაც დაწვრილებით უნდა აღენიშნა გლეხისა და მებატონის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებანი და განმარტებები. ასეთი ოქმის საფუძველზე საქმეს განიხილავდნენ საკრებულოში სპეციალურ გაფართოებულ სხდომაზე, სახაზინო და სასამართლო პალატიდან მოწვეული სათანადო პირების მონაწილეობით და გამოჰქონდათ საბოლოო გადაწყვეტილება³⁹.

გლეხების მიერ უძრავ ქონებაზე აღძრული სადავო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი მშვიდობიანად ვერ წყდებოდა. გლეხთა დოკუმენტები, რომლებიც ზოგჯერ საუკუნის ხანგრძლივობისა იყო, გაფორმების მხრივ შეიცავდა რიგ ხარვეზებს, ზოგში არ იყო აღნიშნული სადავო მიწის საზღვრები, ზოგს აკლდა დათარიღება, არ იყო წესების დაცვით წარმოდგენილი ხელმოწერა დოკუმენტებზე, არ ჩანდა განსხვავების აქტის სიცხადე და სხვა. ასეთი უზუსტობები საშუალებას აძლევდა მემამულეებს ამ დოკუმენტების ქეშმარიტების უარსაყოფად, რასაც ვერ ურიგდებოდნენ გლეხები.

გლეხებისა და მემამულეების შეუთანხმებლობის, აღძრული საქმეების მრავალრიცხოვნების გამო, ოქმების შედგენა მომრიგებელი შუამავლებისაგან ბევრ დროს მოითხოვდა. ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა მათ საკრებულოში წარდგენასა და საქმეების გარჩევას. ამის გამო ფერხდებოდა სიგელების შედგენა და პრაქტიკულად გატარება. სამოქალაქო გუბერნატორის 1866 წლის ანგარიშში გლეხთა საქმის მიმდინარეობის შესახებ აღნიშნულიცაა, რომ საშინაო დოკუმენტების საფუძველზე მიწის კუთვნილების შესახებ გლეხების მიერ აღძრული მრავალრიცხოვანი საქმე, სიგელთა შედგენის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი მიზეზი იყო⁴⁰.

იმისათვის, რომ სიგელთა შედგენა დაჩქარებულიყო, 1866 წლის 13 ივნისის დადგენილებით მათი დამტკიცება და ცხოვრებაში გატარება უძრავ ქონებაზე აღძრულ სადავო საქმეთა გარჩევა-გადაწყვეტისაგან დამოუკიდებლად დაწესდა. მომრიგებელ შუამავალს ოქმის გაფორმების შემდეგ უნდა ჩამოერთმია მემამულისაგან ხელწერილი, რომ სადავო მიწის გლეხის საკუთრებად დამტკიცების შემთხვევაში უკანასკნელს მიეცემოდა დამტკიცებული რაოდენობის მიწა და დაუ-

³⁹ Высочайшие утверждённые Его Императорским Величеством 19 ф. 1561 г. положения о крестьянах, вышедших из крепостной зависимости, СПб, 1861, стр. 34.

⁴⁰ Пурцеладзе Г. А., Крестьянская реформа в Восточной Грузии, Автореферат, Тб., 1960, стр. 75.

ბრუნდებოდა ან ჩათვლებოდა (სამერმოსოდ) ამ მიწებიდან გაღებული გადასახადი, რის შემდეგაც სიგელი უნდა გაეტარებინათ⁴¹. ეს ხელწერილები თან ერთვოდა საწესდებო სიგელებსა და მათ ასლებს. მათი დაწესების მიზანს ის შეადგენდა, რომ გლეხებს წინააღმდეგობის გარეშე გაეღოთ ნაღელში ჩათვლილი ნასყიდი მიწიდან გადასახადი. სიგელის გატარების შემდეგ მომრიგებელი შუამავლების მიერ წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე საკრებულო არჩევდა გლეხთა საქმეებს და გამოჰქონდა თავისი გადაწყვეტილება.

ნაღელში მოქცეული სადავო მიწების შესახებ დადგენილი წესი გლეხთა ნაწილში იწვევდა ერთგვარ ილუზიას, რომ საქმის გარჩევის შემდეგ საბუთების უტყუარობის საფუძველზე მათ აუცილებლად დაუმტყიდებოდათ მიწები საკუთრებად. ამიტომ გლეხები ოქმის შედგენითა და მემამულისაგან ხელწერილის ჩამორთმევით ნაწილობრივ მაინც კმაყოფილდებოდნენ და ხელს აწერდნენ სიგელს⁴².

მაგრამ გლეხთა ნაწილი არ მიდიოდა დათმობაზე, არ უტყდიდა საკითხის გარჩევისა და საბოლოოდ გადაწყვეტას საკრებულოში, პირდაპირ გამოხატავდა თავის პროტესტს. იგი ხელს არ აწერდა სიგელს, არ ესწრებოდა საწესდებო სიგელების შემოწმებას, უარს ამბობდა ნაღელში შესული იმ მიწებიდან გადასახადის გაღებაზე, რომლებსაც თავის საკუთრებად თვლიდა. მაგალითად, 1866 წლის ივნისში გორის მაზრის სოფელ ხონდაკში მემამულე ალექსანდრე ჭავჭავაძის სიგელის გატარებისას ნასყიდი მიწების სინაღელოდ მიცემის გამო პროტესტის ნიშნად გლეხები — იორდაშვილები და ქვრივიშვილები არ გამოცხადნენ. მათ აღძრეს საქმე მიწის კუთვნილების შესახებ და სანამ საკრებულო მას განიხილავდა არ იხდიდნენ ნასყიდი ნაკვეთებიდან გადასახადს. „უმორჩილესად ვთხოვ თქვენ აღმატებულებას, — წერდა გიორგი იორდაშვილი გუბერნატორს საჩივარში, — აუკრძალოთ მომრიგებელ შუამავალ ციციშვილს ჩვენგან ღალის მოთხოვნა, რადგან ჩემი საკუთრების გარდა ყოფილი მებატონე ჭავჭავაძისაგან სანაღელო ერთი დღიური მიწაც არ გამაჩნია“⁴³.

1868 წელს გიორგი იორდაშვილის საქმე უარყოფითად გადაწყდა საკრებულოში. უკმაყოფილო გლეხს კატეგორიული უარი უთქვამს მემამულის სასარგებლოდ გადასახადის გაღებაზე და ისეთი შეუპოვრობა გამოუჩენია, რომ იძულების საშუალებით მასთან ვერას გამხ-

41 ცხა, ფონ. 218, საქ. 23582, ფურც. 152—153, ფონ. 218, საქ. 2. ფურც. 60.

42 იქვე, საქ. 20102, ფურც. 4, 11 საქ. 20235, 20233, 20078, 20259, 20254, 20255 და სხვ.

43 იქვე, საქ. 326, ფურც. 47.

დარან და 1869 წელს დაუტუსალებიათ კიდეც. იორდაშვილი არც ამის შემდეგ დაწყნარებულა, საქმის ხელახლა გადასასინჯად მას ისევ საჩივრით მიუმართავს ხელისუფლებისათვის. 1872 წელს საკრებულოს კვლავ განუხილავს მისი საქმე და მიწა მისთვის¹ არ დაუმტკიცებია. ამით აღშფოთებულ გლესს უარი უთქვამს საკრებულოს დადგენილების მისთვის გამოცხადების შესახებ ხელმოწერაზე⁴⁴.

ხსენებული მაზრის სოფელ ახალქალაქში მემამულე ალექსანდრე და კონსტანტინე თარხან-მოურავების დროებითვალდებულ გლესებს, სტეფანე და სვიმონ იერემაშვილებს, გიორგი, პავლე და ზაქარია მანუჯაშვილებს, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ მათი ნაყიდი მიწების სანადელოდ მიცემით, ეს ნაკვეთები დაუმუშავებლობით იმ მდგომარეობამდე მიუყვანიათ, რომ მებატონეები მნიშვნელოვან შემოსავალს ჰკარგავდნენ⁴⁵. გლესთა ანალოგიურად მოქმედების ბევრი სხვა შემთხვევაც შეგვეძლო დაგვესახელებინა. ეს მასალები გვიჩვენებენ, რომ გლესთა შეუპოვრობის გამო ხელისუფლება იშვიათად როდი იყო იძულებული პოლიციური ზომებისათვის მიემართა და ურჩი გლესები დაეტუსალებინა კიდეც⁴⁶.

უნდა ითქვას, რომ გლესთა დიდი უკმაყოფილება ნაყიდი მიწების საკითხის გადაჭრით კარგად აისახა საწესდებო სიგელების შედგენის დროს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი თბილისის საგუბერნიო საკრებულოს ფონდში დაცული და ჩვენს მიერ შესწავლილი 2180 საწესდებო სიგელიდან 184 სიგელია ისეთი, რომელიც გლესების მიერ ხელმოუწერელია და დასახელებულია უთანხმოებისა და ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი (ეს დოკუმენტები ეხება 1235 კომლ გლესს 4433 სულ მამაკაცს). კერძოდ, მიწების ჩამოჭრისა და არასაკმარისობის გამო ხელმოუწერელია 78 სიგელი, ნაყიდი მიწების სანადელოდ ჩათვლის გამო 49, დანარჩენი კი (თხუთმეტამდე) სხვადასხვა მიზეზით. როგორც ვხედავთ, ნაყიდი მიწების გლესებისათვის დაუმტკიცებლობა გლესთა უკმაყოფილების ერთ-ერთი ძირითადი და მეტად მნიშვნელოვანი მიზეზი იყო.

როგორც აღვნიშნეთ, გლესების მიერ მიწის კუთვნილებაზე აღძ-

⁴⁴ იქვე, ფურც. 40, 47.

⁴⁵ იქვე, საქ. 372, ფურც. 1, 10—11, 37, 43.

⁴⁶ იქვე, საქ. 19926. ფურც. 1, 10—11, 64, საქ. 331. ფურც. 15—18, 292, 364. საქ. 7. ფურც. 164, საქ. 372, ფურც. 1, 10—11, 37—43, საქ. 297, ფურც. 101—107, საქ. 311, ფურც. 41—42, საქ. 182, ფურც. 185—212, საქ. 144 ფურც. 22, საქ. 358, ფურც. 10, 30, 37, 43—44, ფონ. 220, საქ. 921, ფურც. 3—6, საქ. 50, ფურც. 12—13.

რულ საქმეებს თავდაპირველად მომრიგებელი შუამავლები არკვევდნენ მემამულეების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საყურადღებოა მომრიგებელ შუამავალთა ცნობები მათ მიერ გარჩეული საქმეების შედეგების შესახებ. ისინი საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ საბუთების რა ნაწილზე ცნობდნენ გლეხთა უფლებებს და მიწების რა რაოდენობა უმტკიცდებოდათ საკუთრებად. როგორც მომრიგებელ შუამავალთა ცნობებით ირკვევა, მათთან აღძრული საქმეების ნაწილი გლეხებისა და მემამულეების ურთიერთშეთანხმებით მთავრდებოდა, ნაწილზე კი მომრიგებელი შუამავლები ადგენდნენ ოქმებს, რომლებიც გადაცემოდა საკრებულოს გასარჩევად. საბუთების გარკვეული რაოდენობა გლეხებს უბრუნდებოდათ, რის შემდეგაც მათ ეკრძალებოდათ საქინის აღძვრა (საგლეხო დებულების თანახმად ეს იმ შემთხვევაში ხდებოდა, როდესაც გაყიდვა-შესყიდვის აქტები ერთი და იმავე მემამულის გლეხებს შორის იყო დადებული, ამიტომაც გლეხებს უფლება არ უმტკიცდებოდათ და გასარჩევად არ მიიღებოდა), (თბ. გუბ. დამ. წეს. მუხ. 4 დამ. 1). საქმეების ნაწილი კი გაურჩეველი რჩებოდა, როდესაც მომრიგებელი შუამავლები ვერ ასწრებდნენ საბუთების განხილვას. მაგალითად, 1866 წელს გორის მაზრის I სამომრიგებლო განყოფილებაში 380 აღძრული საქმიდან მემამულეებსა და გლეხებს შორის გარიგებით დამთავრებულა 160, უთანხმოების გამო შედგენილა 120 ოქმი საკრებულოში წარმოსადგენად, ასზე—გლეხებს ჩამოერთვათ საკუთრების ძიების უფლება⁴⁷. თბილისის მაზრის II სამომრიგებლო განყოფილებაში გლეხებმა უძრავი ქონების კუთვნილების შესახებ 164 საქმე აღძრეს. აქედან 116 შეთანხმებით დამთავრებულა, 48 საქმეზე შედგენილია ოქმი საკრებულოში წარმოსადგენად, დანარჩენზე გლეხები „დაითანხმეს“ რომ უფლების დაუმტკიცებლობის გამო უარი ეთქვათ თავის პრეტენზიებზე⁴⁸. თელავის მაზრის II სამომრიგებლო განყოფილებაში 367 საქმე აღძრულა, აქედან ურთიერთშეთანხმებით დამთავრებულა 173 საქმე და გლეხთა უფლებანი უცენიათ კიდევ, 194 საქმეზე კი, რომლებიც გასარჩევად ვერ მიიღებოდა, გლეხებს „ნებაყოფლობით“ უთქვამთ უარი⁴⁹.

მომრიგებელ შუამავალთა ცნობებით ვგებულობთ, რომ მთლიანად 1866 წელს გლეხებსა და მემამულეებს შორის გარიგებით დამთავ-

⁴⁷ ცსა. ფონ. 31, საქ. 144. ფურც. 26.

⁴⁸ ცსა, ფურც. 13.

⁴⁹ იქვე, ფურც. 53.

რებული აღძრული საქმეების 68,2%, მომდევნო წელს 65,7%, 1868 წელს კი 67,07%. ამას გვიჩვენებს ქვემომდებარე ცხრილი⁵⁰.

მაგრამ ამასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: საქმეების შეთანხმებით დამთავრება არ ნიშნავს იმას, რომ გლეხებს უსათუოდ დაუმტკიცდათ საკუთრება. მაგალითად, თუ 1867

ცხრილი 2

მაზრები	სამომრიგებლო განყოფილებები	1866 წ.		1867 წ.		1868 წ.	
		აღძრული საქმე	შეთანხმებით დამთავ.	აღძრული საქმე	შეთანხმებით დამთავრებით	აღძრული საქმე	შეთანხმებით დამთავრ.
თბილისის	I						
	II	164	116	228	174		
	III						
გორის	I	380	160	234	120		
	II			259	194	150	119
	III	114	84	157*	107	75*	27
	IV			60	21		
სიღნაღის	V	405	178	75	45		
	I	297	208	261	129	141*	66
	II	500	500	400	400		
თელავის	I					539	395
	II	173	185	185	102		
სულ		2227	1419	1859	1222	905	607
			68.2%		65.7%		67.07%

წელს თბილისის მაზრის II სამომრიგებლო განყოფილებაში ბარათების საფუძველზე გლეხებს 228 საქმე აღუძრავთ მიწების კუთვნილების შესახებ, აქედან 174 საქმე შეთანხმებით დამთავრებულია და კიდევაც უტყვიათ მათი უფლება. იმავე წელს გორის მაზრის III განყოფილებაში მომრიგებელ შუამავლებს 157 საქმე განუხილავთ, რომელთაგან გლეხებსა და მემამულეებს შორის გარიგებით 107 საქმე გადაწყდა, მაგრამ უკანასკნელთაგან მხოლოდ 84 საქმე დამთავრდა გლეხებისათვის საკუთრების უფლების დამტკიცებით, 23-ზე მათ ეთქვათ უარი⁵¹. ამავე განყოფილებაში 1866 წელს 144 საქმე აღძრულია, მშვიდობიან-

⁵⁰ იგივე საარქივო მასალა, რომელიც წინა 1 ცხრილის სქოლიოშია დასახელებული.

X. ამ შემთხვევაში მომრიგებელ შუამავლების მიერ გარჩეულ საქმეთა რიცხვში დასახელებულია ისეთი საქმეებიც, რომლებიც გაურჩეელობის გამო წინა წლებიდან შემორჩენილა.

⁵¹ ცსა: ფონ. 31, საქ. 410, ფურც. 28, 52,

ნად დამთავრდა 84, რომელთაგან 59-ის მიხედვით გლეხებს დაუმტკიცდათ ნაყიდი მიწები, 25-ზე კი უარი ეთქვათ. ანალოგიური მდგომარეობაა ამ განყოფილებაში 1868 წელსაც⁵². 1867 წელს ხუთ საზომრიგებლო განყოფილებაში (თბილისის მაზრის II გან., გორის მაზრის I, III და V განყ., სიღნაღის მაზრის II გან.), აღძრული 1094 საქმიდან მშვიდობიანი გარიგებით 846 საქმე დამთავრდა, რომელთაგან გლეხის უფლებანი უტყვიათ 807 საქმის მიხედვით⁵³.

გლეხებსა და მემამულეებს შორის მიწის კუთვნილების შესახებ აღძრული საქმეების მშვიდობიანი გარიგებით დამთავრებას ხელს უწყობდა გარკვეული გარემოებები. კერძოდ, გლეხების მიერ წარმოდგენილი ძველი დროის საბუთები, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ხშირად შეიცავდა ბევრ უზუსტობასა და ხარვეზს, რაც მებატონეს აძლევდა საფუძველს საბუთის კეშმარიტების უარსაყოფად. ამასთან ერთად სადავო ნაკვეთები მემამულეებს ხშირად პრიკაზში ჰქონდათ დაგირავებული და ეს მძიმე მდგომარეობას ქმნიდა გლეხისათვის. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ხშირად ძნელ გასარკვევს (გლეხებისათვის დასამტკიცებელს) წარმოადგენდა სადავო ნაკვეთიდან გლეხის მიერ ღალა-კულუხის გაღების საკითხი⁵⁴. ბატონყმობის დროს მემამულეები ახერხებდნენ მოსავლის წაღებას გლეხების ნასყიდი მიწიდან, ამიტომ ძნელი გასარკვევი იყო, გლეხი საერთოდ, ვალდებული იყო იმ ნაკვეთიდან რაიმე გადასახადი გაეღო, თუ ეს მხოლოდ შემთხვევას და ძალადობას უკავშირდებოდა. გლეხები ცდილობდნენ მიწის საკუთრებად ფლობა და გადასახადისაგან განთავისუფლება დაედასტურებინათ თარხნობისა და წყალობითი გზით შექმნილი ზოგიერთი საბუთით, ამის საწინააღმდეგოდ მებატონეები უჩვენებდნენ, რომ თარხნობა არ ნიშნავდა გადასახადისაგან სრულ განთავისუფლებას, რადგანაც სამაგიეროდ ასეთი ოჯახისაგან ყოველთვის ჰყავდათ შინაყმა⁵⁵. მართალია, გლეხებს უჭირდათ ასეთი გარემოებების გამო თავიანთი უფლებების დამტკიცება, მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ მებატონეებსაც არ ჰქონდათ სრული იმედი, რომ წარდგენილი საბუთებით გლეხებს მიწა საკუთრებაში არ დაუმტკიცდებოდათ, ამიტომაც არჩევდნენ დათმო-

52 ცსა, საქ. 144, ფურც. 38, საქ. 438, ფურც. 2—3.

53 იქვე, ფონ. 31, საქ. 410, ფურც. 28, 46, 52, 41, 56, 58—80; საერთოდ უნდა ითქვას, რომ მომრიგებელი შუამავლების ცნობები გარიგებით დამთავრებული საქმეების შესახებ ხშირად არ შეიცავს იმის ჩვენებას, თუ გლეხთა უფლებების უარყოფა-აღიარება ამ საქმეთა რა ნაწილს შეეხებოდა, ამიტომაც ამ მხრივ სრული სურათის წარმოდგენა ვერ ხერხდება.

54 ცსა: ფონ. 31, საქ. 182, ფურც. 93—95, 51—53.

55 იქვე, საქმე 262, ფურც. 46—77.

ბაზე წასვლას. ამგვარად აღძრული საქმეები გლეხებისა და მემამულეების ურთიერთშეთანხმებით მთავრდებოდა. ასეთი დასასრული აწყობდა გლეხთა საქმის მომგვარებელ ორგანოებსაც. ჯერ ერთი, ამით საქმე მის პირველსავე საფეხურზე გადაწყდებოდა და მოისპობოდა ორ მხარეს შორის ურთიერთობის გამწვავების საშიშროება, მეორეც, თვით ზემდგომი ორგანოებიც განთავისუფლდებოდნენ საკმაოდ ძნელი საკითხის, საბუთების გარჩევის მოვალეობისაგან. ამ თვალსაზრისიდან გაგომოდინარე, 1866 წლის მარტში საკრებულომ დაადგინა, რომ მემამულეებსა და გლეხებს შორის მიწის საკუთრებად ფლობის შესახებ აღძრული სადავო საქმეების გარჩევაში მონაწილეობა მიეღოთ ადგილზე მყოფ საკრებულოს წევრებს, ხელი შეეწყოთ ორი მხარის ურთიერთშეთანხმებისათვის და ამის შესახებ ოქმი წარედგინათ საკრებულოში⁵⁶. ეს ოქმები წარმოდგენას გვიქმნის თუ რა საფუძველზე ხდებოდა ურთიერთშეთანხმება მოდავე მხარეებს შორის.

ერთ-ერთი ოქმის მიხედვით 1866 წლის ივლისში გორის მაზრის I სამომრიგებლო განყოფილებაში გლეხს სოლომონ ბეგიაშვილს წარმოუდგენია საბუთი ვენახის კუთვნილების შესახებ, რომელსაც აკლდა დათარიღება. ვენახის კუთვნილების დასადასტურებლად იგი უჩვენებდა, რომ არ იხდიდა მისთვის კულუხს, თუმცა კი მემამულეს ზოგჯერ ძალით მიჰქონდა ტკბილი. თავის მხრით მებატონე მანანა ერისთავი ეკუთვნოდა საბუთის უტყუარობაზე და მიუთითებდა, რომ ვენახი 10 წელია პრიკაზშია დაგირავებული. 1866 წელს საბუთის ნაკლოვანებისა და პრიკაზში დაგირავების გამო სოლომონ ბეგიაშვილმა საქმის გარიგებით დამთავრება არჩია. ურთიერთშეთანხმებით მემამულემ და გლეხმა ვენახი გაიყვეს. ერთი ნაწილი გლეხს დამტკიცებია საკუთრებად, მეორე მემამულეს დარჩენია. შეთანხმებიდან ირკვევა, რომ ეს მეორე ნაწილი მებატონეს მიუცია გლეხისათვის სარგებლობის უფლებით, მოსავლის 1/4 ნაწილის გაღების პირობით⁵⁷. ამავე წელს მანანა ერისთავს შეთანხმებით დაუმთავრებია საქმე გლეხ შიო გიშელაშვილთან. 1/2 დეს. 300 კვ. საყ. ვენახი, რომელზედაც გლეხს საბუთი გააჩნდა და მებატონის მიერ პრიკაზში იყო დაგირავებული, მებატონის საკუთრებად იქნა აღიარებული⁵⁸. ამავე მაზრის II სამომრიგებლო განყოფილებაში თავად დავით ციციშვილის გლეხს დავით გოჩოლაშვილს წარმოუდგენია საბუთები 10 დეს. მიწის საკუთრების შესახებ. მემამულესა და გლეხს შორის საქმე გარიგებით დამთავრდა. გლეხს დამტკიცებია მხოლოდ 1

56 ცსა, ფონ. 31, საქ. 182, ფურც. 102—104.

57 იქვე, ფურც. 122—129.

58 იქვე, ფურც. 129—136.

1/2 დეს. და შეუნარჩუნდა სიგელით მიცემული ნადელიც.⁵⁹ ანალოგიური ხასიათის სხვა საქმეებიც შეგვეძლო დაგვესახელებინა⁶⁰. ეს მასალა გვიჩვენებს, რომ გლეხებსა და მამამულეებს შორის ხსენებული საქმეების ურთიერთგარიგებით დამთავრებისას გლეხებს წარმოდგენილი საბუთების მიხედვით ქონების ნაწილზე უმტკიცდებოდათ საკუთრების უფლება, ზოგჯერ კი ისინი იძულებულნი იყვნენ მთლიანად უარი ეთქვათ ნაყიდ მიწაზე.

მეტად საინტერესოა იმის დადგენა, რომ მემამულეებთან შეთანხმებით წარმოდგენილი საბუთების მიხედვით რა რაოდენობის მიწა დაიმტკიცეს საერთოდ გლეხებმა საკუთრებად... ამაზე უშუალოდ პასუხის გაცემა ძნელია, რადგანაც ამის შესახებ სრული ცნობა არ შეგვცვებდრია, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ზოგიერთი მონაცემი. გორის მაზრის I სამომრიგებლო განყოფილებაში 1865 წლის ნოემბრიდან 1865 წლის ოქტომბრის ჩათვლით შედგენილა 153 საწესდებო სიგელი, რომელიც ეხებოდა 975 კომლს⁶¹. აქედან 104 კომლ გლეხს (10,6%) საკუთრებად დაუმტკიცებიათ 125 დეს. 100 კვ. საჟ. მიწა. აქედან საკარმიდამო ყოფილა 1 დეს. 1800 კვ. საჟ., ვენახი 16 დეს. 1600 კვ. საჟ., და სახნავი მიწა 106 დეს. 1800 კვ. საჟ. ამრიგად, ერთ კომლ გლეხზე საშუალოდ მოდიოდა 1,2 დესეტინა, მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ დამტკიცებული ნაკვეთების რაოდენობა თითოეულ კომლზე საკმაოდ უთანაბროდ ნაწილდებოდა.

მაგალითად, 58 კომლს, რომელთაც სახნავი მიწა დაუმტკიცდა საკუთრებად, საშუალოდ მიუღიათ 1,8 დესეტინა. აქედან 7 კომლს (12,1%) ჰქონია 5—7 დეს. თითოეულს (სულ 39 დეს. 1950 კვ. საჟ.), 9 კომლის (15,5%)—2,5—5 დეს-მდე (სულ 28 დეს. 750 კვ. საჟ.), დანარჩენ 42 კომლს (72,4%)—0,25—2,5 დეს-მდე (სულ 38 დეს. 1500 კვ. საჟ.).

ვენახი ჰქონია 43 კომლს, საშუალოდ 931 კვ. საჟ., ე. ი. 0,5 დეს. ნაკლები. აქედან 1 კომლს—3,5 დესეტინა. 12 კომლს—0,5—0,75 დეს-მდე (სულ 6 დეს. 1254 კვ. საჟ.), დანარჩენ 30 კომლს—0,25—0,5 დეს-მდე (სულ 6 1/2 დეს. 550 კვ. საჟ.). საკარმიდამო ნაკვეთი 23 კაცს, საშუალოდ 183 კვ. საჟ.⁶². საერთოდ, ხსენებული 104 კომლიდან საკარ-

⁵⁹ ცსა, ფურც. 227.

⁶⁰ იქვე, ფურც. 93—95, 96—104, 385—398; ფონ. 31, საქ. 356. საქ. 417, და სხვ.

⁶¹ ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1866 წლის განმავლობაში ამ განყოფილებაში გლეხებს წარმოუდგენიათ 380 ბარათი მიწის საკუთრებად კუთვნილების შესახებ. აქედან 160/42, 1% გარიგებით დამთავრებულა, ცსა, ფონ. 31, საქ. 144, ფურც. 26.

⁶² ცსა, ფონ. 31, საქ. 27, ფურც. 123—131.

მიდამო, ვენახი და სახნავი მიწა დამტკიცებია 3 კომლს, საკარმიდამო და ვენახი ასევე 3 კომლს, ვენახი და სახნავი მიწა 7 კომლს, ცალკეულად— საკარმიდამო 17 კომლს, ვენახი 30 კომლს, სახნავი მიწა 48 კომლს. სხვა ცნობით, ხსენებულ წელს ამავე მაზრის V სამომპრიგებლო განყოფილებაში გლეხებს 405⁶³ საქმე აღუძრავთ, აქედან შეთანხმებით დამთავრებულია 178. გლეხებს დაუმტკიცდათ 140 დესეტინა⁶⁴.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ჩვენ მიერ ნახული სხვა ცნობებიც, რომლებიც, მართალია, დასავლეთ საქართველოს ეხება, მაგრამ ანალოგიის მეთოდით აღმოსავლეთ საქართველოს მიმართაც საინტერესოა. მაგალითად, როგორც ირკვევა, ქუთაისის გუბერნიაში, სადაც გლეხებს ასევე მრავალრიცხოვანი ანალოგიური ხასიათის საბუთი გააჩნდათ, 1865—1869 წლებში საწესდებო სივლეების შედგენის დროს მემამულეებთან ურთიერთშეთანხმებით 19783 დოკუმენტის საფუძველზე 27 134 ქცევა მიწა დაუმტკიცდათ (დაახლოებით 10175 დეს.), ე. ი. თვითეულ დოკუმენტზე დაახლოებით 1/2 დესეტინა⁶⁴. 1865 წლიდან 1871 წლის ჩათვლით ამ მხარის გლეხებს 80 ათასი დოკუმენტი წარმოუდგენიათ, აქედან მემამულეები და გლეხები მორიგებულად 60 ათასი დოკუმენტის (75%) შესახებ და 3.400 აქტი ვაფორმებულა, რითაც 15 ათას კომლ გლეხს დამტკიცებია მიწა საკუთრებად⁶⁵. სულ ქუთაისის გუბერნიაში შედგენილი საწესდებო სივლეები შეხებოდა 41.653 კომლს⁶⁶. ამგვარად, მიწა 1/3 მეტ ნაწილს დამტკიცებია.

იმისათვის, რომ მემამულეები უზრუნველყოფილი ყოფილიყვნენ შემოსავლითა და მუშახელით, ახალი კანონმდებლობა არ აძლევდა გლეხს უფლებას რეფორმის გამოცხადებიდან 9 წლის განმავლობაში უარი ეთქვა საკარმიდამოსა და სახნავ-სათესი მიწის ძირითად ნაკვეთზე (უკანასკნელი შეადგენდა სახნავ-სათესი სანადელო მიწის უმადლესი ზომის ნახევარს — 2¹/₂ დეს. სარწყავ ან 5 დეს. ურწყავ მიწას) და შეეწყვიტა დროებითვალდებული დამოკიდებულება მემამულესთან⁶⁷. ეს დაიშვებოდა გამონაკლის შემთხვევაში (ადგილი დებულების მუხ. 98—103). კერძოდ, გლეხს შეეძლო უარი ეთქვა სახნავ-სათესი მიწის ნადელზე, თუ მას საკუთრებად ექნებოდა სახნავ-სათესი ნაკვეთის ძი-

63 ცსა, საქ. 144, ფურც. 36.

64 ი ქ ე ე, ფონ. 220, საქ. 883, ფურც. 154; 1 ქცევა-900 კვ. საქ. *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, 1954, стр. 274.

65 ცსა, ფონ. 5, საქ. 2577, ფურც. 27.

66 ი ქ ე ე, ფონ. 200, საქ. 883, ფურ. 199.

67 დებულებით გლეხს ვოველთვის შეეძლო უარი ეთქვა სახნავ-სათესი მიწის ძირითად ნორმაზე მეტ ნაკვეთზე.

რითად ან მის მეოთხედ ნაწილზე არა ნაკლები მიწა და სრულიადაც შეეწყვიტა დროებითვალდებულებებითი ურთიერთობა მემამულესთან, თუ კი საკუთრებად მოიპოვებდა საკარმიდამო, ვენახის და სახნავ—სათეს ნაკვეთებს. სწორედ ასე იქცეოდნენ ის გლეხები, რომლებიც მიიწაწრაფოდნენ მემამულეების დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისაკენ და საშინაო ბარათების საფუძველზე საკუთრებად იმტკიცებდნენ ამ რაოდენობის მიწებს. მაგალითად, გორის მაზრის მომრიგებელი შუამავლის ცნობით I სამომრიგებლო განყოფილებაში 1867 წელს 14 კომლს შეუწყვეტია დროებითვალდებულებითი დამოკიდებულება მეზატონესთან, რადგანაც საკუთრებად დამტკიცებით საკარმიდამო, ვენახისა და სახნავ—სათესი მიწის ნაკვეთები⁶⁸.

როგორც ნათქვამია, სიღნაღის მაზრის ერთ-ერთ სიგელში გლეხმა უარი თქვა სახნავ ნაკვეთზე, რადგანაც მემამულემ დაუმტკიცა სახნავი მიწის ძირითად ნორმაზე მეტი ნაკვეთი საკუთრებად⁶⁹. თელავის მაზრაში მეზატონე სოფიო ანდრონიკაშვილის 3 გლეხი, რომლებიც საკარმიდამოს, ვენახისა და (ერთ-ერთი კი) 4 1/2 დეს. სახნავი მიწის მესაკუთრენი გამხდარან, დროებითვალდებული გლეხებისაგან ამოწერილა⁷⁰. სამწუხაროდ, სხვა სიგელებში, სადაც ანალოგიური მდგომარეობა აღნიშნული, გლეხებისათვის დამტკიცებული მიწის რაოდენობა ყოველთვის არ არის ნაჩვენები⁷¹. ერთ-ერთი ცნობით, 1867 წელს გუბერნიაში 36 კომლს უარი უთქვამს სახნავ-სათესი ნადელის მიღებაზე. რადგანაც საბუთებით მემამულეებისაგან საკუთრებად დამტკიცებით საკარმიდამო, ბალ-ვენახი და სახნავი მიწა⁷² გლეხთა რაოდენობა, რომლებმაც საშინაო დოკუმენტების საფუძველზე მიწის საკუთრებად მიღების შემდეგ უარი თქვეს სახნავი მიწის ნადელზე და შეწყვიტეს დროებითვალდებული ურთიერთობა მემამულეებთან, არ ყოფილა მრავალრიცხოვანი. ეს გვიჩვენებს, რომ გლეხებს ძირითადად მიწის პატარა ნაკვეთები უმტკიცდებოდათ და ამიტომაც ისინი არჩევდნენ პარალელურად ნადელი შეენარჩუნებიათ.

68 ცსა; ფონ. 31 საქ., 410, ფურ. 47.

69 ცსა; ფონ. 31. საქ., 21179, ფურ. 2.

70 ცსა; ფონ. 31, საქ. 20258, სიგ № 50. № 13, საქ. 202569, სიგ. № 34.

71 ი ქ ე, ფონ. 31, საქ. 20022., სიგ № 48, საქ. 20186, საქ. 20370 სიგ. № 101, საქ. 20650 სიგ. № 55, საქ. 20357, სიგ.

72 ი ქ ე, ფონ. 220, საქ. 883. ფურტ. 119—120. Е. Квасникова, Изменения крестьянского надельного землепользования в Восточной Грузии в результате реформы 1864 г., Научные доклады Высшей школы. Исторические науки, 1961 г., № 4, стр. 95.

როგორც აღვნიშნეთ, მიწის კუთვნილების შესახებ გლეხების მიერ აღძრული საქმეები, როდესაც მემამულეები და გლეხები ვერ შეთანხმდებოდნენ გადაეცემოდა გასარჩევად საკრებულოს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რამდენად ეწეოდა გლეხთა სურვილებს ანგარიში და, საერთოდ, რა შედეგები ჰქონდა მათი საქმეების გარჩევას ამ დაწესებულებაში. მართალია, გლეხებს აღუთქვეს, რომ უძრავ ქონებაზე აღძრული საქმეების გარკვევისას ყველა დროის დოკუმენტს მიაღებდნენ გასარჩევად, მაგრამ ხელისუფლებამ ეს საქმე ისე წარმართა, რომ ფაქტიურად ძალა დააკარგინა საშინაო დოკუმენტების მნიშვნელოვან ნაწილს. რეფორმის კანონმდებლობაში გლეხის მიერ მიწაზე საკუთრების უფლების ძიების შესახებ გარკვევით იყო აღნიშნული ასეთი უფლების დამტკიცების წესი, მისი ფორმალური მხარე, მაგრამ გარკვეული სიზუსტე არ იყო დაცული საკითხში, თუ როგორი სახის საბუთით უნდა ეცნოთ მისი უფლება. ბუნდოვანი ფრაზა, რომ საბუთები უნდა ყოფილიყო ქეშმარიტებით „უდავო და უეჭველი“, ძნელ გასარკვევს ხდიდა იმ გარემოებას, რომ გლეხთა ძველი საბუთებიდან, რომლებსაც ბევრი ხარვეზი გააჩნდა, რომელი მიეჩნიათ „უეჭველად“. დიდი ხნის მანძილზე ეს საკითხი არ იყო გარჩეული და ძველი საბუთების ნაკლოვანებები ფართოდ იქნა გამოყენებული საკრებულოში გლეხების უფლებათა უარსაყოფად. თავადაზნაურთა კლასის წარმომადგენლებისაგან შემდგარი საკრებულო, რა თქმა უნდა, მემამულეების ინტერესებს უფრო იცავდა.

საქართველოში მიღებული ჩვეულებით ქეშმარიტების ძალას არ კარგავდნენ ხარვეზების მქონე ძველი საბუთები, თუ კი მსყიდველი დოკუმენტში ნაჩვენები მიწით მუდმივად სარგებლობდა. სჯულთა კრებულში ამის შესახებ ნათქვამი იყო: „მრავალ არიან საქართველოს შინა ნასყიდობის სიგელნი და ხელწერილნი, არა მქონებელნი წელთა, თვის რიცხვთა და არც დამტკიცებულნი ბეჭდვით ანუ საკუთარის ხელმოწერით, არამედ ნაცვლად ბეჭდისა და ხელწერილისა დასმულ არიან ნიშნად ჭვარნი და მელნით დაწერილის თითით გაშავებულნი ადგილნი, გარნა (მაგრამ—თ. გ.) ესეთნი სიგელნი ნამდვილ აღიარებულ იყვენენ, უკეთუ მას შიგან წერებულნი მამულნი და ყმანი ეჭირებოდა მსყიდველს და ექნებოდა მით სარგებლობა“⁷³. მაგრამ გლეხთა საკრებულო, რომელიც ფაქტიურად თავადაზნაურობის ინტერესებს იცავდა, ასეთ მდგომარეობას ნაკლებად უწევდა ანგარიშს და ძველი საბუთების ხარვეზებს იყენებდა გლეხების უფლებათა უარსაყოფად. მაგრამ, უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ საქმეების გარჩევისას საკრებულოში

⁷³ ი. დოლიძე, „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“, 1960 წ. გვ. 43.

აზრთა სხედასხვაობაც იჩენდა ხოლმე თავს. რიგი წევრები არ მიიჩნევენ დოკუმენტის ზოგიერთ ხარვეზს მისი ქეშმარიტების უარყოფელ საბუთად. მაგრამ მათი განცხადებანი, როგორც უმცირესობისა, არ მოქმედებდა გლეხების ინტერესების სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტაზე. მაგალითად, 1870 წელს საკრებულომ გაარჩია სიღნაღის მაზრის სოფელ თუთნარში მცხოვრებ (მემამულე ელენე ვაჩნაძის) გლეხი ივანე ბერიკაშვილის საქმე, რომელსაც 1788 წლის ნასყიდობითი სიგელით შეუძენია ორი დღიური მიწა და მოითხოვდა მის საკუთრებად ცნობას. გლეხს უარი გამოუცხადეს იმ საბაბით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არ იყო გამყიდველებისგან ხელმოწერილი და ეჭვს იწვევდა. სხვა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი გლეხს არ გააჩნდა.

საკრებულოს წევრებისაგან განსხვავებით სახაზინო პალატიდან მოწვეულ წარმომადგენელ ტოლჩენკოს შემდეგი განუცხადებია: გამყიდველის მიერ საბუთის ხელმოწერლობა არ წარმოადგენს საფუძველს ამ დოკუმენტის ქეშმარიტების უარსაყოფად, რადგანაც „შესაძლებელია, რომ მღვდლის მიერ ამ დოკუმენტის ხელმოწერა, გამყიდველთა წერა-კითხვის უტოდინარობის გამო იყოს გამოწვეული... ძველ დოკუმენტებს შორის ხშირად გვხვდება ხელმოწერის მაგივრად ბეჭდითა და ჯვრით შესრულებული მსგავსი სახის საბუთები, აღიარებული არა მარტო მემამულეების მიერ, არამედ არაიშვიათად, დადასტურებული სახელმწიფოს მმართველობის ადგილებში. ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტი კი არ ტოვებს ეჭვს იმის შესახებ, რომ ის იმ დროს მიეკუთვნება, როდესაც გამყიდველებმა არ იცოდნენ და არ ჰქონდათ მათი (ყველა ფორმალური მზარის დაცვის—თ. გიცბა) საჭიროება“⁷⁴. გლეხთა საბუთებს ანალოგიურად მიუდგა მაგალითად თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი კარპენკოც. კერძოდ, როდესაც ირჩეოდა სიღნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში მცხოვრები სოლომონ ბერიკაშვილის საქმე. გლეხს მემამულე ზაალ ვაჩნაძისათვის წარუდგენია 1797 წლის საბუთი და მოუთხოვია მისი წინაპრების მიერ შეძენილი მიწის საკუთრებად დამტკიცება. დოკუმენტი შემდეგი შინაარსისა იყო: «Сие продажное письмо дали мы Вачнадзевы Иосиф, Иван, Баадур тебе нашему крестьянину Шермазану, сыну твоему Тевдору, Тетию, Датию и Абраму в том, что продали мы нашу землю лежащую в Бакурцихе — Чортоли Луашвили, по сию сторону до места Ториашвили и с конца до места Бацашвили и цену сполна получили—свидетели были: Джадугишвили Ниния и Патаракаци Кумсиашвили января 14 дня коронника 485—1797 г.».

⁷⁴ ცსა, ფონ. 31, საქ. 271, ფურც. 3—6, 10.

საბუთი გამყიდველებისაგან ხელმოუწერელი იყო და ამის ნაცვლად ბეჭედი ჰქონდა დასმული. ამ დოკუმენტის შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი კარპენკო შენიშნავდა, რომ საბუთი თავისი შეხედულებით არ ბადებდა რაიმე ეჭვს და რადგანაც მასზე გამყიდველთა ბეჭედიც იყო დასმული და დაწვრილებით შეიცავდა გაყიდული ადგილისა და საზღვრების აღწერას, ბერიძეშვილის თხოვნა სადავო მიწის მის საკუთრებად დამტკიცების შესახებ უნდა დაექმყოფილებინათ. მაგრამ საბუთის ხელმოუწერლობის გამო საკრებულოს უმრავლესობამ არ ცნო სოლომონ ბერიძეშვილის უფლება სადავო ნაკვეთზე⁷⁵.

მსგავს საქმეზე საკრებულოს მხრივ უარი გამოეცხადა სიღნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში მცხოვრებ გლეხს ზაქარია სამადაშვილს, რომლის მიერ წარმოდგენილი საბუთი არ შეიცავდა მიწის ზუსტი საზღვრების დასახელებას და ასევე უარი ეთქვა ბევრ სხვას⁷⁶.

საკრებულოში მიწაზე გლეხთა საკუთრების უფლებას არ ცნობდნენ იმ მოტივითაც, რომ გლეხებისათვის მიცემული დოკუმენტი შინაარსით წყალობის მაჩვენებელი იყო. მაგალითად, საკრებულოს ერთერთ დადგენილებაში გლეხი მაწონაძეების დოკუმენტის შესახებ ვკითხულობთ: „ეს ხელწერილი (ლაპარაკია მემამულე მეღვინეთუხუცეს ბიერ 1836 წელს გაცემულ საბუთზე—თ. გ.) ისევე როგორც საგუბერნიო საკრებულოს, ასევე მისი უმაღლესობის მიერ, აღიარებულია მხოლოდ როგორც წყალობის (კეთილმოწყობის—თ. გ.) ნიშანი ყოფილი მებატონისა მისი გლეხებისადმი. მართალია, ხელწერილში სადავო ვენახები დასახელებულია მაწონაძეების კუთვნილად, მაგრამ ამ გამოთქმით სრულიადაც არ ირკვევა საკითხი, რა საფუძველზე იყო ეს ვენახები მაწონაძეებისათვის კუთვნილი, სარგებლობისა თუ საკუთრების უფლებით. თვით ხელწერილში კი, უკეთ რომ ვთქვათ, წყალობის ქაღალდში ნათქვამია, რომ როგორც წინაპრები, ასევე ქაღალდის მიმღები მაწონაძეები კულუხისაგან გაანთავისუფლეს მეღვინეთუხუცესისა და მისი წინაპრების ერთგული სამსახურისათვის, ამისგან კი არ შეიძლება არ დავასკვნათ, რომ მაწონაძეები ვალდებული ყოფილან ეს გადასახადო მებატონეებისათვის გაეღოთ, მაგრამ უკანასკნელთა კეთილგანწყობის გამო იყვნენ განთავისუფლებულნი“⁷⁷. მსგავსი შინაარსის დოკუმენტად მიიჩნია და მიწა საკუთრებად არ დაუმტკიცა საკრებულომ ცხინვალში

75 იქვე, საქ. 373, ფურც. 4—7.

76_სა: ფონ. 31, საქ. 374, ფურც. 2—3, საქ. 376, საქ. 182, ფურც. 44, 75—82, 110, 122, 137—155.

77 იქვე, ფონ. 220, საქ. 79, ფურც. 33, გლეხის საბუთი იქვე, გვ. 43.

მცხოვრებ თავად მაჩაბლის დროებითვალდებულ გლეხებს სოსიაშვილებს და სხვებს⁷⁸. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გლეხთა საშინაო საბუთების ნაწილზე, საკრებულო იძულებული ხდებოდა დაემტკიცებინა მშრომელების უფლებანი სათანადო დოკუმენტის „უტყუარობის“ გეგმა. ეს უპირატესად ეხებოდა შედარებით ახალსა და რეფორმის ახლო დროში შედგენილ საბუთებს, რომელთა გამყენი ან მოწმენი ცოცხალი იყვნენ და საბუთი ხელმოწერილი იყო, ანდა როდესაც ძველი საბუთის დასადასტურებლად გლეხს სხვა საბუთიც გააჩნდა⁷⁹.

გლეხების მიერ საშინაო ბარათების საფუძველზე მიწის თაობაზე აღძრული საქმეების გარჩევა ათობით წლების განმავლობაში გრძელდებოდა⁸⁰. გლეხთა ინტერესებისადმი გულგრილად განწყობილი საკრებულოს წევრები აქიანურებდნენ მათი საბუთების გარჩევას. მემამულეებიც სარგებლობდნენ რა იმ გარემოებით, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ სადავო ნაკვეთებიდან გადასახადის მიღებით, თავს არიდებდნენ გლეხთა საქმეების გარჩევაში მონაწილეობას და, არცთუ იშვიათად, გლეხების ნადელგარეშე მოქცეულ ნასყიდ მიწებს სხვა პირებსაც აძლევდნენ. დატანჯული გლეხები მოითხოვდნენ მათი უფლებების რაც შეიძლება სწრაფად განხილვას და სადავო ნაკვეთებიდან მემამულისათვის გადასახადის გაღების გაუქმებას. მაგალითად, გორის მაზრის სოფელ გარეჯვარის დროებითვალდებულ გლეხი ივანე აბრამის ძე ჩუხრუკიძე, რომლის საქმე საბუთებით შეძენილი ქონების შესახებ რეფორმიდან 25 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, თბილისის გუბერნატორისადმი წარდგენილ საჩივარში საქმის გაქიანურებასთან დაკავშირებით წერდა: „საკრებულოს რომ შეეჩერებინა (მისი ნაყიდი მიწიდან მემამულის სასარგებლოდ—თ. გ.) გადასახადების გაღება, მაშინ მემამულეები თვითონ იქნებოდნენ მოსურნე საქმე სწრაფად გადაწყვეტილიყო...“

დიდხანს კიდევ უნდა ვიწვალათ, თქვენო უმაღლესობავ, ნაკვეთი არც შეიცავს იმ ღირებულებას, რამდენიც ჩვენ ფული და დრო დაგვენხარჯა, დროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩვენს მდგომარეობას, რადგანაც შემდგომში კიდევაც რომ დაგვიმტკიცონ სადავო მიწები, ჩვენ ისევ უნდა დაგხარჯოთ ბევრი ფული და ბოლოს და ბოლოს ვერსაიდანაც ვერ მივიღებთ“⁸¹.

78 იქვე, ფონ. 218, საქ. 6, ფურც. 10—11, საქ. 379.

79 იქვე, ფონ. 31, საქ. 354, ფურც. 2—6, საქ. 355, ფურც. 7—8, 13, საქ. 353, ფურც. 4—6 17, საქ. 357, ფურც. 8, 12—13. საქ. 358, ფურც. 34—44, 119—120.

80 ცხა: ფონ. 31, საქ. 296, 297, 318, 336, 384, 224, და სხვ.

81 იქვე, საქ. 379, ფურც. 121 — 122, 159.

გლახების მიერ უძრავი ქონების შესახებ აღძრული საქმეების უმრავლესობა საკრებულოში მათ არასასარგებლოდ წყდებოდა. ამაზე შეტყველებს შემდეგი მონაცემები: 1866 წელს ამ დაწესებულებაში გაურჩევიათ დროებითულად გლახთა 297 საშინაო ბარათი და მხოლოდ 15 დოკუმენტზე დაუმტკიცეს გლახებს უფლება. მომდევნო წელს მომრიგებელი შუამავლების მიერ წარმოდგენილი 45 ოქმის გარჩევის შემდეგ 16 ბარათზე გლახებს დაუმტკიცეს უფლება, 81-ზე უარკყვეს. 1868 წელს 62 გარჩეული ოქმიდან გლახების უფლება ცნეს მხოლოდ 16 საშინაო ბარათზე. 1869 წელს კი 164 დოკუმენტიდან გლახებისათვის დაუმტკიცებიათ 34 საბუთი. 1871 წელს საკრებულოს გაურჩევია 26 ოქმი, რომელთა მიხედვითაც გლახებს საკუთრების უფლება დაუდასტურდათ 35 საშინაო ბარათზე, 98-ზე კი უარი ეთქვათ⁸².

საკრებულოს დადგენილებით უკმაყოფილო გლახებს საქმე გადაჭრულად გლახთა საქმის მომგვარებელ კომიტეტში, არ ერიდებოდნენ სენატში საქმის აღძვრასაც⁸³. ირკვევა, რომ გლახთა საქმის მომგვარებელ კომიტეტს ზოგიერთ შემთხვევაში საკრებულოსაგან განსხვავებული პოზიცია დაუკავებია. ამას გვიჩვენებს, მაგალითად, გლახი აბეშელაშვილების საქმე. მათი საქმის შესახებ 1871 წლის დადგენილებაში კომიტეტი აღნიშნავდა, რომ იგი უმართებულად მიიჩნევდა საკრებულოს მხრივ გლახებისათვის უარის თქმას იმ საფუძველით, რომ მათ მიერ წარმოდგენილი ორი დოკუმენტი უჩვენებდა არა მიწის განსხვავებას, არამედ მიწის წყალობით მიცემას სამსახურის გაწევის პირობით. კომიტეტს თავის მხრივ მიაჩნდა, რომ დოკუმენტის შინაარსიდან ჩანდა, შემდეგ: საბუთებში მოხსენებული მიწა, რომელიც გამცემი პირის პირად საკუთრებას შეადგენდა, აბეშელაშვილების წინაპრებს წარსულში დიდი სამსახურისათვის, კერძოდ, ბრძოლებში გამოჩენილი დახმარებისათვის წყალობით მიეცათ სამუდამოდ და საშვილიშვილოდ მიწისაგან ყოველგვარი გადასახადის განთავისუფლებით. მართალია, ერთ-ერთ დოკუმენტში გამოთქმულია საბუთის გამცემთა მოთხოვნა — იყონ მათთან ერთად ომსა და ნადირობაში, მეორეში — გაიყვანონ შინაყმა,—მაგრამ ეს ვალდებულება, რომელიც არ შეადგენს მიწით სარგებლობის საზღაურს, დაკავშირებულია პირად ვალდებულებასთან, რაც გაუქმებულია დროითა და რეფორმით. ამიტომ კომიტეტი თვლის, რომ დოკუმენტში ხსენებული მიწა გლახების საკუთრებად უნდა იყოს აღიარებული⁸⁴. გლახთა საქმის მომგვარებელი კომიტეტის ეს პოზი-

⁸² ცსა; ფონ. 220, საქ. 883, ფურც. 81, 109—110, 119, 120, 141, 232, 233.

⁸³ ამას შირითადად მდიდარი გლახები ახერხებდნენ.

⁸⁴ იქვე, საქ. 262. ფურც. 31—32.

ცია საეკლესიო არამყარი აღმოჩნდა. შემდგომში წყალობითი შინაარსის შემცველ დოკუმენტებზე მან საკრებულოს დამოკიდებულება გაიზიარა⁸⁵.

რაც შეეხება გლეხთა საქმეების გარჩევას სენატის მიერ, უნდა ითქვას, რომ იგი გლეხთა საბუთების გარკვევასა და მათი უფლებების ცნობა-აღიარებას საკრებულოს კომპენტეციაში ტოვებდა (თვითონ არ ერეოდა). ამდენად ამ საკითხში ძალაში რჩებოდა ხოლმე საკრებულოსა და გლეხთა საქმის მომგვარებელი კომიტეტის დადგენილებანი. ეს კარგად ჩანს, მაგალითად, გლეხი ჩახრუკიძეების საქმის მიხედვით. გლეხების მიერ წარმოდგენილი საბუთების შესახებ მიწის მათ საკუთრებად კუთვნილებაზე სენატი აღნიშნავდა: „მსჯელობა გლეხების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე, მათი ჭეშმარიტებისა და ნამდვილი შინაარსის გააზრება ეხება საქმის ფაქტიურ მხარეს, რომელიც არ შეიძლება იყოს სენატის განხილვის საგანი, რომელიც ასეთი სახის საქმეებს იხილავს მხოლოდ იმ მხრით, თუ რამდენად იცავს საკრებულო იმ (ზოგად საერთო — თ. გ.) წესებს, რომლებითაც ადგილობრივი საგლეხო ორგანოები კანონით ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ხსენებული საქმეების განხილვისას“⁸⁶.

მას შემდეგ რაც გლეხები დარწმუნდნენ, რომ მათ მიერ მიწის საკუთრებად კუთვნილებაზე აღძრული საქმეები დიდხანს არ გააჩნეოდა და არც იყო იმის გარანტია, რომ ნაკვეთები აუცილებლად დაუმტკიცდებოდათ, ისინი არჩევდნენ შედარებით ნაკლებ ფასში გამოეყიდათ ბარათებით შექმნილი მიწები. ამაზე თანხმდებოდნენ მემამულეებიც, რომლებსაც არ ჰქონდათ სრული იმედი იმისა, რომ გლეხს უსათუოდ უარს ეტყოდნენ. საქმის ასეთი დასასრული შეესაბამებოდა მთავრობის ინტერესებს: გარდა იმისა, რომ შემცირდებოდა საშინაო ბარათების განხილვის გაჭიანურებით გამოწვეული გლეხთა უკმაყოფილებანი, ასეთ საქმეთა გადაწყვეტა დააჩქარებდა საერთოდ ნადელთა გამოსყიდვითი ოპერაციის მსვლელობას. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე მეფისნაცვალთან არსებულმა გლეხთა საქმის მომგვარებელმა კომიტეტმა სპეციალური ღონისძიებაც შეიმუშავა. 1878 წელს საიმპერიო ორგანოებში მისი განხილვის შემდეგ გლეხები დაავალდებულეს, რომ 1881 წლისათვის აუცილებლად წარმოედგინათ მათ ხელთ არსებული საშინაო აქტები (წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაკარგავდნენ ძალას), ადგილობ-

⁸⁵ ცხა: ფონ. 218, საქ. 6, ფონ. 220, საქ. 79, ფონ. 31, საქ. 379, ფურც. 217—218.

⁸⁶ იქვე, ფონ. 31, საქ. 379, ფურც. 230, ანალოგიურია, იქვე, საქ. 331, ფურც. 92.

რივ ორგანოებს კი მიუთითებს, რომ გლეხის უფლება საკუთრებაზე ეცნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი გლეხი შეძლებდა საბუთში დასახელებული მიწის ჩვენებას და დოკუმენტი იქნებოდა ნამდვილობით „უეჭველი“⁸⁷. ასეთი მოთხოვნა გლეხთა მდგომარეობას სრულიადაც არ ამსუბუქებდა. იგი კვლავ ძნელად ხდიდა საშინაო დოკუმენტებით მოპოვებულ მიწაზე მათი უფლების აღიარებას.

ამგვარად, საშინაო საბუთებით შექმნილი მიწების საკითხის გამო გლეხთა უკმაყოფილებამ აიძულა მთავრობა დაერღვია რეფორმით გათვალისწინებული ნორმა, კერძოდ, ეცნო გლეხთა უფლებანიჭველი დროის საბუთებითაც. მაგრამ ხელისუფლების სხვა ღონისძიება და საბუთების გარჩევის წესი: გლეხების მხრივ აღძრული საქმეების გადაწყვეტამდის ნაყოფი მიწებიდან მემამულეებისათვის გადასახადის გაღების დაწესება, საკუთრებაზე გლეხის უფლების უარყოფა-აღიარების უპირველესად მემამულეებისათვის მიკუთვნება, ხოლო საკრებულოში გარჩეული საქმეების ძირითადად მათ არასასრებლოდ დამთავრება იწვევდა მღელვარებას გლეხობაში და აშკარად ხდიდა მისთვის საშინაო საბუთებით შექმნილი მიწების საკუთრებად დამტკიცების სიძნელეს. იმედგაცრუებული გლეხობა იძულებული შეიქნა ასეთი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელმეორედ გამოესყიდა.

⁸⁷ ПСЗРИ, том LIII, отделение II, 1878, ფურც. 86—87, С. Э с а д з е, Историческая записка об управлении Кавказом, Тиф., 1907, т. I, стр. 443—446.

6. პაპავა

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის განწყობილებანი მე-19 ს. 60-70-იან წლებში

გასული საუკუნის 60-იანი წლები, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიაში საზოგადოებრივი და რევოლუციური ბრძოლის დიდი აღმავლობით ხასიათდებოდა. ქვეყნის მოწინავე ძალების ბრძოლა სახელოვან რევოლუციონერ-დემოკრატთა ხელმძღვანელობით თვითმპყრობელობის, სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ, პოლიტიკური თავისუფლებისათვის, პროგრესისათვის, შეადგენდა ამ მოძრაობის ძირითად შინაარსს.

ამ ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად ძალას რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა წარმოადგენდა. რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მოსწავლე სტუდენტები და მათთან დაკავშირებული ახალგაზრდები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლაში, აწყობდნენ დემონსტრაციებს, აარსებდნენ საიდუმლო რევოლუციურ წრეებსა და ორგანიზაციებს, ეწეოდნენ არალეგალურ მუშაობას რუსეთის მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ.

რევოლუციური მებრძოლი განწყობილებები შეიმჩნეოდა ამ დროს საქართველოს ახალგაზრდობაშიც. განსაკუთრებით ეს ითქმის თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

საქართველოში ამ დროს არსებული პოლიტიკური და სოციალური ვითარება ხელშემწყობ ნიადაგს ქმნიდა რევოლუციური, განმათავისუფლებელი იდეების გავრცელება-დანერგვისათვის.

ბატონყმობის გაუქმებამ, რომელმაც, ერთი მხრივ, სამეურნეო და საზოგადოებრივი წინსვლის ნიადაგი შექმნა, მეორე მხრივ, მთლიანად ვერ გადასწყვიტა იმ ეპოქის უმთავრესი სოციალური პრობლემა — საქართველოს ძირითადი მწარმოებელი მასის უფლებრივი თუ ეკონომიური განთავისუფლება, საქართველოს კოლონიალური მდგომარეო-

ბა; საზოგადოებრივ ასპარეზზე მოწინავე იდეებით აღჭურვილი, მებრძოლი, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ახალი თაობის გამოსვლა, მისი გაშლილი, შეუპოვარი ბრძოლა ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, თუ სოციალ-ეკონომიური ხასიათის ყველა მტკივნეული მოვლენის წინააღმდეგ — ყველაფერი ეს, ვიმეორებთ, რევოლუციური, განმათავისუფლებელი განწყობილებების გავრცელების საფუძველს ქმნიდა და სრულიად გასაგებია, რომ საქართველოს, კერძოდ კი თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობა ხარბად დაწაფებოდა ახალ იდეებს და მხურვალე დაინტერესება გამოეჩინა როგორც მთელი რუსეთის განმათავისუფლებელი, რევოლუციური ბრძოლის მიმდინარეობის, ასევე საქართველოს სინამდვილის საკიბოროტო საკითხების მიმართ. იმედია, რომ ქვემოთ მოტანილი ფაქტები დამტკიცებენ ჩვენს აზრს.

მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ნ. ნიკოლაძის 1865 წ. 14, მაისის წერილი ოგარიოვისადმი. ნ. ნიკოლაძე სთხოვს ოგარიოვს დაბეჭდოს „კოლოკოლში“ შემდეგი ცნობა:

„მიხეილ ნიკოლოზის ძემ (კავკასიის მეფის ნაცვალი — ნ. პ.) ჩვენმა ფელდფებელმა, გადაარჩინა რუსეთი: მან აღმოაჩინა რაღაც საოცარი შეთქმულება თუ საიდუმლო საზოგადოება „ახალგაზრდა საქართველოსი და სომხეთისა“. წარმოიდგინეთ ორი-სამი გიმნაზისტი, ორი-სამი ყოფილი სტუდენტი, რომლებიც თავისუფლად დაპარაკობდნენ გლეხთა განთავისუფლებასა და საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ექვს გარეშეა, მათ დახვრეტენ, თუ აქამდე არ ჩამოახრჩვეს. მე მწერენ პეტერბურგიდან (ნ. ნიკოლაძე ამ დროს უცხოეთში იყო—ნ. პ.), რომ ამ საქმის თაობაზე ჩამოვიდა შიკრიკი და მოსალოდნელია დაპატიმრებანი ქართველ სტუდენტთა შორის. ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი ამ ბუზისათვის, რომელიც მიხეილ ნიკოლოზის-ძემ სპილოდ აქცია, მიგვეცა კვლავ ბუზის სახე?“ ეს ცნობა დაიბეჭდა „კოლოკოლში“ 1865 წ., XVIII, გვ. 138—139, სტატიაში «Михайлы и Михаилы Николаевичи», რომელიც გერცენს მიეწერება¹. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება სხვა ცნობები ზემოთ მოხსენებული ფაქტის შესახებ. ჩვენთვის უცნობია ამ „შეთქმულების“ თუ „საზოგადოების“ არსებობის დამადასტურებელი დამატებითი ფაქტები. მაგრამ, ჩვენი აზრით, მეტად ნიშანდობლივია ავტორის მითითება „გიმ-

¹ Г. Мегрелишвили, «Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX века и начала XX века», т. I, часть вторая, Тбилиси, 1961, стр. 225.

ნაზისტებსა და ყოფილ სტუდენტებზე“ და აგრეთვე იმ საკითხებზე, რომლებსაც ეს უკანასკნელი ეხებოდნენ შეხვედრებისა თუ საუბრების დროს. საესებით შესაძლებელია, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილმა მართლაც გააზვიადა ამ ფაქტის მნიშვნელობა და, როგორც ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, აქ საქმე გვაქვს მხოლოდ მოსწავლე ახალგაზრდობის ისეთი ჯგუფის არსებობასთან, რომელიც არჩევდა იმ ეპოქის საქართველოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პრობლემებს. ყოველ შემთხვევაში, თვით ეს ფაქტიც შეტად მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს და გასაგებია მეფისნაცვალ მიხეილის შემფოთება, რომლის გამოც მან „ბუზი სპილოდ აქცია“. როგორც ჩანს, ახალგაზრდობის მოძრაობის გაქანებამ მთელს იმპერიაში, და უნდა ვიფიქროთ საქართველოში, მისცა ქვეყნის მმართველს შემფოთების საფუძველი.

ჩვენა აზრის დასასაბუთებლად მნიშვნელოვან მასალას იძლევა აგრეთვე მესამე განყოფილებაში 1866 წელს განხილული „ძმები კუზმინების საქმე“. საქმის ირგვლივ შეგროვილ ქაღალდებს შორის მოიპოვებოდა ისეთი საბუთები, რომელთა მიხედვითაც შეიძლებოდა მსჯელობა მათ მფლობელთა განწყობილებებზე. მათ შორის ხელნაწერი რვეული „ჩერნიშევსკის საქმე“, გრანოვსკის თხზულების „აღმოსავლეთის საკითხი რუსეთის თვალსაზრისით“ ხელნაწერი, „მარსელიოზის“ ფრანგული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი, დობროლუბოვის, ბესტუჟევის, ოგარიოვის ლექსთა კრებულები, ლექსი: „Попа проснуться Русь радная“, ანტირელიგიური შინაარსის წერილები, სადაც სხვათა შორის ლაპარაკი იყო 1866 წ. 4 აპრილის ამბებზე (კარაკოზოვის თავდასხმა ალექსანდრე II-ზე—ნ. პ.), წერილები ჩადაც წარების, ფულის, სალაროების და შეკრებების შესახებ, გერცენის, ოგარიოვის, ჩერნიშევსკის, მიხაილოვის პორტრეტები, სამი წერილი ქართულ ენაზე, რომელთა შინაარსი ძიებისათვის უცნობი დარჩენილა და სხვა².

ძმები ანდრია და ალექსანდრე კუზმინები თბილისის მკვიდრნი იყვნენ. ანდრიამ 1863 წელს დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია, რის შემდეგაც შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. მისი უმცროსი ძმა: ალექსანდრე კი 1865 წელს გამოვიდა იმავე გიმნაზიის მე-6 კლასიდან, გაემგზავრა ძმასთან პეტერბურგში, სადაც ემზადებოდა სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად. ძმები კუზმინები დაკავშირებული იყვნენ

² მასალები ამ საქმის შესახებ გადმოგვცა ისტ. მეცნ. დოქტ. პრ. რატინა, რისთვისაც მას დიდი მადლობა ვუცხადებთ.

³ УГИАМ, ср. 95, оп. 1, д. 286, л. 2—3.

რევოლუციონერ სტუდენტთა ერთ-ერთ ჯგუფთან, სადაც აქტიურ როლს თამაშობდნენ ქართველი სტუდენტები ს. წერეთელი, ანანოვი, სერგებრიაკოვი და სხვანი⁴. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა არა მათი რევოლუციური მოღვაწეობის დახასიათება, არამედ იმ იდეური კავშირის დადგენა, რომელიც, როგორც ირკვევა, არსებობდა ძმებ კუზმინებსა და მათ თბილისელ მეგობრებს შორის.

ალექსანდრე კუზმინმა დაკითხვაზე აჩვენა, რომ წერილები, სადაც, სხვათა შორის, ლაპარაკი იყო იმპერატორზე თავდასხმის შესახებ, ეკუთვნოდნენ მის კალამს. მან ეს წერილები გაუგზავნა თბილისელ გიმნაზიელ მეგობრებს. ერთ-ერთ წერილს პროკლამაციის თუ მოწოდების ხასიათი ჰქონია. ეს მტკიცდება თვით ალექსანდრე კუზმინის სიტყვებით: „წერილი მე გაუგზავნე ჩემს ამხანაგ გიმნაზისტებს, მაგრამ რომ ერთ-ერთზე მიწერილია „მკითხველებს“ და ა. შ. მე დავწერე მხოლოდ გაზეთების მიბაძვით, რომლებიც ასე სწერენ, როცა იტყობინებიან რაიმე ახალ ამბავს“⁵. ცხადია, ეს ვერსია მხოლოდ გამოძიების თვალის ასახვევად იყო შეთხზული. ანდრია კუზმინმა დაკითხვაზე განაცხადა, რომ ერთ-ერთი ანტირელიგიური შინაარსის წერილი მან გაუგზავნა თბილისელ გიმნაზისტს ალექსანდრე მონფორს; მისივე მისამართით იყო დაწერილი წერილი, სადაც იგი ეხებოდა თავდასხმას მეფეზე. ამ წერილში, სთქვა ანდრია კუზმინმა, მე მინდოდა მეცნობებინა მისთვის მხოლოდ ფაქტი, რადგანაც დეტალები ჯერ არ ვიცოდი. წერილის გაგზავნა დამავიწყდა. და თუ წერილში გვხვდება უხერხული გამოთქმები, ეს მხოლოდ სიჩქარის ბრალიაო. გასაგებია, რა ხასიათის უნდა ყოფილიყო ეს „უხერხული გამოთქმები“, თუ მათ მესამე განყოფილების გულისწყრომა გამოუწვევიათ. წერილი, სადაც, როგორც ოქმშია აღნიშნული, ლაპარაკი იყო წრეებზე, შეკრებებზე, სალაროებზე და სხვა, ანდრია კუზმინის სიტყვით მას მიუღია ვინმე პიუჟლევისკისაგან, როდესაც ა. კუზმინი თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა. წერილის ავტორი თხოულობდა გაგვეგზავნა მისთვის ჟურნალი, რომელსაც ამ დროს სცემდნენ გიმნაზიის მოსწავლენი⁶.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი, როგორც ვხედავთ, მეტყველებს გარკვეულ განწყობილებებზე თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა შორის. ეს დასკვნა კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება, თუ გავეც-

⁴ დაწერილებით ამის შესახებ იხ. პრ. რატიაიძე, „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“, თბილისი, 1962, გვ. 199—208.

⁵ ЦГИАМ, ср. 95, оп. 1, д. 286, л. 14—15.

⁶ იქვე, ფ. 16—17.

ნობით ხელნაწერ ქურნალებს, რომელთაც „უშვებდა“ გიმნაზიის მოსწავლეთა ჯგუფი გიორგი თუმანიშვილის და მისი ძმების „რედაქტორობით“⁷.

საინტერესო ცნობას გვაწვდის გ. თუმანიშვილი თბილისის მოსწავლეთა საერთო განწყობილებების შესახებ ჯერ კიდევ მისი დ. ყიფიანის პანსიონში სწავლის დროს. ე. ი. 1867 წლამდე, როდესაც გ. თუმანიშვილი 13 წლისა იყო. როგორც მისი სიტყვებიდან სჩანს, საზოგადოებრივი მოვლენებით დაინტერესება, რეალური ცხოვრების, მისი მიმდინარეობის შეფასების მოთხოვნილება ჯერ კიდევ პანსიონის მოსწავლეებს გამოუჟღერებიათ. საფიქრებელია, რომ მცირეწლოვან ბავშვთა ცხოველი ინტერესი საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ამ უკანასკნელის საერთო გამოცოცხლების და განვითარების გავლენას უნდა მიეწეროს. გ. თუმანიშვილი იგონებს: „ორი წლის უკან უფროს კლასში გადავედი. იქ ჩვენ ყველაფერი გვეკონდა, ციხისა, ყიფიანისა და ზედამხედველების გარდა აღარავისა აღარ გვეშინოდა. ჩემმა ამხანაგებმა დაიწყეს ძლიერი მოძრაობა და მეც გამიყოლიეს თან. ყოველი საქმე და ამბავი, რომელიც ქვეყანაზედ მოხდებოდა ხოლმე, ჩვენს პანსიონში გადაიღებდა ხოლმე პორტრეტს. ომმა იტალიასა და ავსტრიას შუა ჩვენ ბევრი ვვალაპარაკა, ნემოვის თეატრმა ჩვენ გაგვამართებინა რუსული და ქართული თეატრი, „დროებამ“ გამოგვაცემინა გაზეთები, ერთ პარტიამ სწერა რუსულად, მეორემ ქართულად, მეორეში მეც გავერჩიე... ამ მოძრაობამ დამაყენა ფეხზედ ცოტა მაინც და იმისი ყოველი წუთი მე უღიმელოდ არ მაგონდება“. ამ „მოძრაობამ“ გავლენა იქონია მასზე გიმნაზიაშიც, სადაც გ. თუმანიშვილი 1867 წელს გადავიდა. „მეექვსე კლასში რომ ვიყავი ჩამივარდა ეხლანდელი დროის ლიტერატურული თხზულებები, მაგ. ოვენის, მილისა, შლეიდენის, დარენის, დობროლუბოვის, პისარევისა და ბეერი სხვებისა, ამ თხზულებათ დამიმტკიცეს მე რა სწავლაა ის სწავლა, რომლისაც მჭეროდა, რომ არის სულ სხვანაირი სწავლა, რომელიც კაცს მართლა ანათლებს და მართალ კაცად ხდის. ეს სწავლა იყო სწავლა ბუნების ისტორიისა და თვითეული ფიქრისა... მხოლოდ ზოგიერთი გამოჩენილი მწერლის კითხვამ შე-

7_აღნიშნულ საკითხზე იხ. აგრეთვე შემდეგი ნაშრომები. ირ. ანთელავა, „საზოგადოებრივ—პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში“, თბილისი, 1967 და ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოს-ნური მოძრაობის ისტორიიდან ამიერკავკასიაში, თბილისი, 1964, რადგანაც წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული იყო დასახელებული მონოგრაფიების გამოჩვენებამდე, ტექსტში არ ვხვდებით მათ შესახებ მითითებას.

მარჩინა ჩემს გულში რაღაც ნაპერწკალი ლტოლვილებისა მრთელ სხე-
ულისა. მრთელი ტვინის, მოქმედებისა⁸.

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია ხელნაწერი ჟურნალებისა თუ
გაზეთების ყველა ნომერს, მაგრამ გ. თუმანიშვილის რედაქტორობით
გამოცემული ჟურნალების არსებული ნომრების თემატიური განხილ-
ვაც მდიდარ წარმოდგენას მოგვცემს თბილისის მოსწავლე ახალგაზრ-
დობის განწყობილებაზე გასული საუკუნის 60-იან წლებში.

ყურადღებას იქცევს ის აგდებული ტონი, რომელიც კარგად ახა-
სიათებს მოსწავლეთა დამოკიდებულებას მთავრობის, იმპერატორის,
შეფისნაცვლისა და მათი დამქაშების მიმართ. ასე, შავალითად: ერთ-
ერთ ხელნაწერ ჟურნალში მოთავსებულია ცნობა მეფეზე კარაკოზოვის
თავდასხმის შესახებ, შემდეგ ნომერში კი იხილავენ რა „დროებას“,
აღნიშნავენ:

«Итак, наша газета тоже поздравляет государю императо-
ру (sic) что Комиссаров спас его драгоценную жизнь урра по-
здравляем урра!»⁹.

ან კიდევ: „შენ ეს მითხარი, ველიკი კნიაზი აქ რჩება თუ ისევ
კახეთს მირბის. კახეთში რა უნდა, ვენახიდან ყურძენს ხომ არ მიართ-
მევენ გლახნი.

აგრეთ თავის ხსენებაზე ველიკი კნიაზმა ჩაიარა თავის ჩანჩალით
ოღვა ფეოდოროვანთი.

ზაზდაროვია

იმპერატორა ალექსანდრა ნიკოლაევიჩა

ურრა ურრა ურრა

ზაზდაროვია

კავკასკავო არმია

ურრა ურრაა!»¹⁰

მართლწერა და გრამატიკა აშკარად ამჟღავნებს ავტორთა ასაკს,
მაგრამ განწყობილება სრულიად მისაღებია.

რევოლუციური, განმათავისუფლებელი განწყობილებანი ვლინდე-
ბა აგრეთვე მოსწავლეთა დამოკიდებულებაში მსოფლიო განმათავისუ-
ფლებელი მოძრაობის მიმართ. „ლიტერატურულ და პოლიტიკურ „გა-

⁸ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკუმენ-
ტი № 440, ხელნაწერი ჟურნალი „გადასაპრელი საგნები“, 1871 წელი, № 2, ფურც. 24—26.

⁹ იქვე, დოკ. № 431, გაზ. «Тифлисский вестник», 1868 № 3, № 3, ფურც. 7.

¹⁰ იქვე, დოკ. № 428, ჟურნ. «ებლანდელი დრო», 1864 წელი, № 1, ფურც. 5—7.

ზეთში, როგორც თვით ისინი უწოდებდნენ, «Тифлисский вестник» ში მოთავსებულია წერილი ავსტრიის წინააღმდეგ იტალიის განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ, სადაც ავტორი მიესალმება იტალიის გმირულ ბრძოლას, ალტაცებით ლაპარაკობს გარიბალდიზე და თარგმნის იტალიელთა საბრძოლო სიმღერასაც: „Откроется могила.“ Встанут мертвые! Пускай встанут все наши свидетели! Пускай встанут живые, в руках держат шашку. У них на груди написано имя Италии! Пойдем, молодые, сражаться»¹¹.

ერთ-ერთ ჟურნალში, „პოლიტიკური მიმოხილვა“, ვხვდებით კორესპონდენციას იმის შესახებ, რომ პარიზში საციგურაო მოედანზე პოლიციელების უხეში საქციელის გამო მოხდა ხალხის მღელვარება... აღშფოთებულმა ხალხმა ჩაღწა კაზარმების ფანჯრები, მღეროდნენ მარსელიოზასო. ბევრი დააპატიმრეს და ხიშტების საშუალებით გარეკეს. იყო წამოძახილები «Да здравствует республика, свобода!». წერილი მთავრდება ავტორის, გ. თუმანიშვილის კომენტარით: «Мы этого давно ожидали и еще много таких смут будем ожидать, несмотря ни на какие мудрости Наполеона, конечно он мог Италию или Австрию обмануть, но над французами он не должен так думать, а он каждую минуту должен ожидать смерти и недолго будет называться Франция империею».

რა ღრმა პატივისცემა და ალტაცება სჩანს ამ სიტყვებში საფრანგეთის რევოლუციური ტრადიციების, და საერთოდ ხალხების განმათავისუფლებელი, დემოკრატიული ბრძოლის მიმართ. ადვილი გასაგებია ის პარალელიც, რომელსაც, ალბათ, ატარებდნენ თავისუფლების და რესპუბლიკის მოტრფიალე ახალგაზრდა მოსწავლენი ევროპის ქვეყნებისა, მაგ., იტალიისა და თავისი სამშობლოს მდგომარეობას შორის.

იმავე სტატიაში ლაპარაკია ლისაბონში მომხდარ მღელვარებასა და გამოსვლებზე, „ამ მოვლენას დაწვრილებით აღწერთ ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერშიო“. ჩვენამდე არ მოუღწევია ჟურნალის ამ ნომერს, მაგრამ ზემოთ მოტანილი წერილების მიხედვით შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ, რა ასპექტში იქნებოდა გადმოცემული ეს ფაქტი¹².

ჟურნალების ფურცლებზე ვხვდებით განსაკუთრებით მხურვალე გამონხაურებას რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ცალკეულ მოღვაწეთა თუ მოვლენათა შესახებ. ამ საკითხებზე მსჯელობისას აშკარად

¹¹ საქართველოს ზელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის. დოკ. № 431, გვ. № 9, ფ. 11.

¹² იქვე, დოკ. № 434, ჟურნ. „Кавказская сирена“, 1886 წელი, № 1, 2, 4, ფურც. 24.

იგრძნობა ღრმა სიძულვილი რუსეთის თვითმპყრობელობის დესპოტიზმის მიმართ. „ხმ, პოლიტიკური საქმეები! დიან პოლიტიკური საქმეები! ძალიან საინტერესო გახლავთ! ნეჩაევზე ხომ არ ლაპარაკობთ, ან იქნებ რესპუბლიკაზე! ან იქნება რუსეთის დესპოტიზმზე“. საკითხების ჩამოთვლა და ტონი ცხადყოფს ავტორის დამოკიდებულებას მათ მიმართ. აქვე ლაპარაკია ნეჩაევის პროცესზე: „როცა სუდიამ ჰკითხა ნეჩაევს შენ ხარ ნეჩაევიო, რომელმაც ესა და ეს ჩაიდინაო, ნეჩაევმა თქვა: მე არაფერს გიპასუხებთ, მე ემიგრანტი ვარო, ალარა ვარ მონათქვენი დესპოტისაო!¹³“ (აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ყურნალის ეს ნომერი უკვე გ. თუმანიშვილის ოდესის უნივერსიტეტში ყოფნის დროს არის შექმნილი, მაგრამ აშკარაა, რომ „გამომცემელ-რედაქტორი“ გ. თუმანიშვილი განაგრძობს ყურნალის „გამოცემას“ და აღნიშნულ ნომერს უგზავნის თავის „თანამოკალმეთ“ თბილისში).

თბილისის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა ოპოზიციური, დემოკრატიული, რევოლუციური განწყობილებანი კიდევ უფრო აშკარად დასტურდება მათი დამოკიდებულებით საქართველოს სინამდვილისადმი, მისი სოციალური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი პრობლემებისადმი.

ყურნალებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბატონყმობის, სოციალური უთანასწორობის საკითხებს. ვხვდებით გამოხმაურებას ყმების განთავისუფლების აქტზე და გლახთა მდგომარეობაზე საერთოდ. „კვირას, 18 ნოემბერს დღეს, გუნიბის პროსპექტზე გამოცხადდა ბარონისაგან და ივანე მუხრანსკისაგან განთავისუფლება ყმების ბატონებისაგან. შეიყარა საშინელი დიდი ხალხი, ყმები თავიანთი ბატონებით

როცა უ. ბარონმა დაიწყო კითხვა უკაზისა, მაშინ ქართველთა ვად-აზნაურებსა ხელთ კანკალი აუტყდათ და გულთ ცახცახი. მაგრამ როცა ეგენი ამ საქმეში იყვნენ, გლახები სიხარულით მოუთმენლად ხტოდნენ“¹⁴. მეტად საინტერესოა ზ. თუმანიშვილის სტატია ბატონყმობა“, სადაც სრულიად აშკარად სჩანს ბატონებისა და ყმების ანტაგონიზმში ვის მხარეზეა ავტორი და რამდენად დიდია მისი აღმფრთვება ბატონ-ყმური ურთიერთობის უსამართლობით. „მადლობა ღმერთსა, ძლივსა ვხედამ საქართველოში თავისუფალ დაბალ ხალხს, აღარ ვხედამ, რომ თმებით სწევდნენ ბატონები ყმებს უფასოთ, აღარ ვხედავთ გასუქებულ მებატონეს, უეჭველად ყმების წართმევას ესე დაუპრელე-

13 საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 440, ჟურნ. „გადასაპრელი საგნები“, 1873, № 1, ფურც. 50.

14 იქვე, დოკ. № 428, ჟურნ. „ეხლანდელი დრო“, 1864, № 1, ფურც. 5—6.

ბია. აღარა ვხედავ, რომ მებატონეს სახლში იყოს ძღვენები დაუფასებელი ოფლით მოტანილი ყმებისაგან. აღარა ვხედავ, საწყალი გლეხი კედებოდეს ბატონის დაჩაგვრით. აღარა ვხედავ გლეხკაცს, რომ მთელი სიცოცხლე გაატაროს უსარგებლო შრომაში, იმისთვის, რომ გაალახვინოს თავი.

ოჰ, რა საქმე მორჩა, ანგლიაში ცხენსა და ძაღლს არ იჭერენ უფასოთ, არამთუ კაცებს, აქ კი აქამდინ ყმებს ჰყიდდნენ როგორც ძაღლს, ასე გონია ყმა სხვა პირუტყვია და ბატონები ადამიანებია, იმათ აწვალეზდნენ, უფულოდ აყარგვინებდნენ თავის სიცოცხლეში ღონეს და ჯანს, დასჩაგრამდნენ, სცემდნენ და ბოლოს კიდევ ხანდისხან აჭურდვინებდნენ სხვა მებატონეს ისევ მებატონის სასარგებლოდ. ერთხელ კიდევ ამერიკაში ბატონ-ყმობა რომ მორჩა, თქვა ერთმა გამოჩენილმა ჟურნალისტმა „ჰოო, ეხლა მოსვენებული მოკვდები, იმიტომ, რომ ჩემი სიტყვა ასრულდა და ძალიან სასარგებლოც არის“.

„ახ, მკითხველი იტყვის, რანაირი გაუზრდელი კაცი ყოფილაო მწერალი ამისის, მოტევას არა სთხოვს თავად ქართველებს, რომ იმათზედ — რეებს გინდა როხამსო. არა მკითხველო, ნუ გაჯავრდებით, თავის დღეში არ წაიკითხავს თავადი მებატონე და ამიტომაც სხვასთან არა გვაქვს საქმე, რომ მკითხველებს ვუთხრათ უკაცრავად.“

ხო, ეხლა ეგრეა, რომ ბატონი დაეთრევა დაქლექებული ბულვარზედ, იქნება და როგორმე გაართოს რამემ, რომ დაივიწყოს თავისი ნაღვლები, დარდები, ხო, ეხლა ეგრეა, სადაც უნდა. გლეხკაცს იქ იმუშავენ და ფულს თავისთვინ აიღებს, აღარ გრძნობს ვაებას თავის თავზედ. თავის თავი სიზმარში ჰგონია.

ხო, ეხლა ეგრეა, ბატონის ყანებს ორი ათად ცოტა პური მოაქვთ, იმიტომ, რომ ფული არა აქ, რომ ბევრი გლეხკაცი დაიჭიროს თესვანობისათვის. გულიც აღარა აქვს ბატონს უგდოს ყური თავის მიწებს იმიტომ, რომ მოჯამაგირე გლეხებს არ შეუძლიან თავში ჩაართყას და გაჰყიდოს, ან ფული არ მისცეს. მაშ თუ ეგრე ყოფილა ბატონების თავზედ ვიმღეროთ გლეხებო:

ბატონი გაყვითლებულა, ეჯავრება ესა,
თავში ის ვერ უფაჩუნებს მოჯამაგირესა.

ბატონების მხრივ ძნელი ასატანია მართლად, აქამდინ ისინი ცხოვრობდნენ ყმების უფულო შრომით, ეხლა ხომ იმათ ყმები ჩამოართვეს, ისინი სწავლულები არ არიან, რომ რამე გახდნენ და ხომ ეხლა ვერ დაიწყებენ სწავლას.

ასე მშვიდობით, მკითხველო, ესლა ბატონებიც და ყმებიც მე მგონია ჩემგან კმაყოფილნი დარჩნენ“¹⁵.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეიძლება მოველოდეთ მცირეწლოვანი ყმაწვილებისაგან ბატონ-ყმობის მოსპობის ნამდვილი არსის განჭვრეტას და შეფასებას. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის აღტაცება, რომლითაც ისინი მიეგებნენ ამ აქტს, მათი გულწრფელი, მხურვალე სიმპატიები გლეხობის მიმართ და თავად-აზნაურობის, მებატონეთა გამანადგურებელი კრიტიკა. ასეთივე განწყობილებებს ამჟღავნებს ყურნალებში სხვადასხვა დროს მოთავსებული მასალები.

სოციალური უთანასწორობის საკითხებს ეხებიან ყურნალების მონაწილენი უფრო გვიანაც, 60-იანი წლების ბოლოს, რაც იმას მოწმობს, რომ მათ კარგად დაინახეს ამ საკითხის გადაუწყვეტელობა და სიმწვავე გლეხთა განთავისუფლების შემდეგაც. ლექსი „ელეგია“ კვლავ გვიხატავს შრომითა და გაქირვებით წელში გაწყვეტილ მიწის მუშას, ჩამოფლეთილს, სახედალარულს, დღიურ ლუკმაზე მზრუნველს. აქაც ვხვდებით მის დაპირისპირებას უზრუნველ, უქნარა და შეუბრალებელ „არისტოკრატთან“.

1870 წელს გ. თუმანიშვილი სტატიაში „ძილი უზრუნველობისგან“ კვლავ ეხება ბატონყმობის მწვავე საკითხს ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა „გლახის ნაამბობის“ და „კაცია-ადამიანის!“ გარჩევის დროს. აქ უკვე ავტორი ეხება ბატონ-ყმური სისტემის ფსიქოლოგიურ და მორალურ მხარეს. „ყმა როგორც კი იბადებოდა, მაშინვე იგებდა, რომ ის თავისუფალი არ არის და უნდა იმუშავოს ბატონისათვის, იმისვე ნებით. ამგვარ მოქმედებით ყმა ჰკარგამდა ნუგეშს იმაზედ, თუ იმას შეუძლია რამე გააკეთოს... ამნაირი დაკარგვა ნუგეშისა სიკეთეზედ კაცში აქრობს ყოველ ნაპერწკალ აზრსა“. საუკუნეების განმავლობაში ასე იყო — ეძინათ ყმებს. ეძინათ ბატონებს, მხოლოდ სპარსელები თუ აღვიძებდნენ მათ დროდადრო. სტატია მთავრდება ილიას ლექსით: „არსიადამ ხმა, არსით ძახილი...“ და ა. შ.¹⁶

თუ მოსწავლე გ. თუმანიშვილი ვერ ხედავდა გლეხთა, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ბატონ-ყმობის გაუქმების შედეგად, იგი, როგორც ვხედავთ, ერთგვარ იმედს ამყარებდა მათ პირად თავისუფლებაზე, ყოფილი ყმის ფსიქოლოგიის შეცვლაზე ხალხის აზრის და ძალის გასაღვიძებლად. უდავოა, ახალგაზრდა ავტორს და მის თანამოკალმეებს კონკრეტულად არც ჰქონდათ წარმოდ-

¹⁵ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 429, ურნ. „საქართველოს მოამბე“, 1867, ფურც. 20—21.

¹⁶ იქვე, დოკ. № 099, ურნ. „შრომა“, 1879, № 1, ფურც. 6.

გენილი, როგორ უნდა მომხდარიყო ხალხის „გალეიძება“, ან როგორ უნდა განხორციელებულიყო ის მიზნები, რომლებსთვისაც ისინი ხალხს გალეიძებისაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ აშკარაა, როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს მოწოდება ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, წყობილების დემოკრატიზაციისათვის, თანასწორობისა და პროგრესისათვის ბრძოლას გულისხმობდა.

გლეხობის მიმართ დამოკიდებულების, მისი კლასობრივი ბრძოლის შეფასების თვალსაზრისით მეტად ნიშანდობლივია ჟურნ. „კოკორში“ „არსენას ლექსის“ გამოქვეყნების ფაქტი და განსაკუთრებით კი გ. თუმანიშვილის კომენტარი არსენას პიროვნების და მისი საქმიანობის შესახებ. „არსენა მართლა ძრიელ კეთილმოქმედი კაცი იყო, მასთანავე თავის ძმა გლეხის მოყვარე, მმართველობას კი ეგონა, რომ ეს ავაზაკია. ამიტომაც ბევრჯერ იჭერდა და სირცხვილიც არის ამისთანა კაცის დაძახება ავაზაკათ. ეს არის ერთი უპირველესი გმირი ქართლისა“¹⁷. როგორც ვხედავთ, კომენტარები ზედმეტია.

გლეხობისადმი სიმპატიებთან უშუალოდ არის დაკავშირებული მაღალი წრის წარმომადგენელთა ცხოვრების უაზრობის და უსარგებლობის მკვეთრ ფერებში წარმოდგენა. ერთ-ერთ ჟურნალში ჩვენ ვხვდებით ამ წრის გამანადგურებელ სურათს: ვინმე „მარი ივანოვნა ველიკი კნიაზის ბალებში ეტანცებოდა უღვაშებ-გაბზევილ ადიუტანტებს, რომელთათვისაც ღმერთს მიუცია თმა ბერლემანის ხელით დასაბარცხნელად, თვალები ამოსარჩევად დამასი, ხელები ფერჩატკების ჩასაცმელად და კარგად დაჭერად დამისა, ფეხები ტაციობისთვისა, ენა ყბედობისთვისა ფრანციცულად და კბილები პიროვნების დასაკენეტად“¹⁸.

1870 წელს გ. თუმანიშვილი თავის ჟურნალში ათავსებს ლონგფელოს ლექსის საკუთარ თარგმანს და აღნიშნავს, რომ უძღვნის მას „გალესილ ფრანტებს, მემკვიდრეებს“. ლექსი შეიცავს საყოველთაო შრომის ქადაგებას:

„მაგრამ ძილისთვის საფლავებშია
ჩვენ არა ეცხოვრობთ ნაღვლითა აზრის,
არც ლზინისათვის, არც ნაღვლისათვის,
არამედ ეცხოვრობთ ჩვენ შრომისათვის.
იმისთვის ეცხოვრობთ, რომ ვიმუშავოთ,
რომ ვიმუშავოთ რომ ვიმუშავოთ,
რომა ყოველი წამი სიცოცხლის
არ დაიკარგოს უნაყოფოდ“¹⁹.

¹⁷ იქვე, დოკ. № 435, ჟურნ. „კოკორი“, 1869, № 5, ფურც. 56.

¹⁸ იქვე, № 2, ფ. 10.

¹⁹ იქვე, დოკ. № 438, ჟურნ. „შრომა“, 1870, № 6, ფურც. 3.

ზემოთმოტანილი მასალები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა დამოკიდებულება ბატონ-ყმობის, საერთოდ სოციალური საკითხისადმი ეპოქის სრულიად შესაბამისი იყო. ამგვარივეა ხელნაწერ ჟურნალებში მონაწილე მოსწავლეთა შეხედულებანი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ. ამ მხრივ მეტად მრავალმეტყველია მათი დამოკიდებულება იმდროინდელი ქართული პრესისადმი. ჯერ კიდევ 1863 წელს ხელნაწერ ჟურნალში ვხვდებით ქართული პრესის განხილვას, „ცისკარის“ და „საქართველოს მოამბის“ დაპირისპირებას: „საქართველოს მოამბის უფროსი ძმა ცისკარია, რადგანაც რომ ეხლა დაიბადა საქართველოს მოამბე და ერთი წლისაც არ არის, მაგრამ ეხლავე დააჩნდა, რომ ძალიან კარგია საქართველოს მოამბე. როგორც დაიწყება რამე ისეც გათავდება: საქართველოს მოამბემ ეხლავ დაიწყო კარგობა და სულ დაჰყვება თავის დღეში“²⁰.

თავისთავად ბევრის მაუწყებელია ავტორის დამოკიდებულება ერთის მხრივ „ცისკარისადმი“ — ქართველ ლიბერალთა ორგანოსა და მეორეს მხრივ — „საქართველოს მოამბისადმი“, ილიას და თერგდალეულთა დემოკრატიული, მებრძოლი ჟურნალის მიმართ. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა შეფასება, რომელსაც აძლევენ ილიას ჟურნალის თანამშრომლები. „1863 წელს ქართველებს დიდი ამბავი ჰქონდათ, თითქოს მოინათლენო, იმიტომ რომ ჟურნალები და ლექსები გაჰიბრებულნი იცემოდნენ. ლექსებში გამოჩნდა დაუფასებელი ლექსი ჰავეჰავადისაგან (ერთი მოთხრობის დასაწყისი კაკოსი) თუმცა სახელი და გვარი არ მოაწერა, მე შევიტყვე, რომ ჰავეჰავადისაა“²¹. ან კიდევ: „ყველა ყველა და ეხლა კერესელიძემ ხელი აღარ უნდა აიღოს მაგ ტუტუტური ლექსებიდგან. ეგეც ამბობს მწერალი ვარო და ჰავეჰავადეც ამბობს მწერალი ვარო, ეგ იმას რას ებაძება, ეგ კნიაზი ჰკუთით სავსეა“²². ცხადია, ასეთი მხურვალე სიმპატია ილიასადმი გამოწვეულია მისი მოღვაწეობის ხასიათით და მის ნაწარმოებთა თემატიკით.

უფრო გვიან „ცისკარის“ კრიტიკა უფრო მომწიფებულ, ღრმა ხასიათს იღებს. ერთ-ერთ სტატიაში გ. თუმანიშვილი ჟურნალს უსაყვედურებს იმას, რომ იგი სრულიად არ ეხება საზოგადოებრივ საკითხებს და თავის ფურცლებს უთმობს უინტერესო, ფუქსავატ ლექსებს.

²⁰ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 426, ჟურ. „ხიზაბარელი“, 1863, ფურც. 8.

²¹ იქვე, დოკ. № 427, ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1864, № 1, ფურც. 4—5.

²² იქვე, დოკ. № 528, ჟურნ. „ეხლანდელი ღრო“, 1864, ფურც. 18.

ავტორი სახელდობრ აღშფოთებულია ლექსის „მანანა ორბელიანის პორტრეტზე“ შინაარსით, იმით, რომ ლექსში ეს მანდილოსანი დაყენებულია ყველა ქართველ ქალზე მაღლა. „მართლა რანაირად ჩამოუდგებიან ის ქალები, რომლებიც ევროპაში და აგრეთვე ამ უკანასკნელ დროს საქართველოშიც აძლევენ რჩევებს მთელ საზოგადოებას თავიანთი სტატიებით, რომლებიც თავიანთი ოფლით ცხოვრობენ, რომლებიც მართავენ შკოლებს, საყმაწვილო ბალებს და სხვა. მართლდაა აფერუმ მანანას, რომელსაც არაფრით არ გაუმჯობესნია მდგომარეობა ხალხისა, ყოფილა ქვეყანაზედ, უქამია, უსვამს და ზნეობით ვინ იცის როგორ მოქცეულა“²³.

აქვე გვინდა შეეჩერდეთ მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე არა მარტო ქართული, არამედ რუსული, ცენტრალური პრესის მიმართაც. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალებში სისტემატურად არის მოთავსებული ადგილობრივი და ცენტრალური პრესის განხილვა. ყურადღებას იქცევს დამოკიდებულება კატკოვის ცნობილი რეაქციული გაზეთის „Московские ведомости“-ს მიმართ., რედაქტორს უწოდებენ ბნელ მწერალს, უნიჭოს, გაზეთს — „ცნობილს უაზრობებით“. თავისებურად ამხელენ და ანადგურებენ გაზეთის ძირითად მიმართულებას: «Если читать статьи Каткова, то правду я скажу, и жалко и смешно, но и многим помещикам нравится его болтание и каждый год выписывает эту газету. Вот чем счастлив г. Катков»²⁴.

განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა თბილისის გიმნაზიის ხელნაწერი ჟურნალები იმ ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივ, პოლიტიკური პრობლემების მიმართ მოსწავლე ახალგაზრდობის დამოკიდებულების თვალსაზრისით. წერილები, რომლებიც ეხებიან თანამედროვე საზოგადოების კრიტიკას, საქართველოს საზოგადოებრივ ძალთა დახასიათებას, მათ მოვალეობას და მოწოდებას, დემოკრატიული წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლის აუცილებლობას და რწმენას მის გამარჯვებაში, ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ მოსწავლეთა რევოლუციურ, დემოკრატიულ განწყობილებებზე. ერთ-ერთ სტატიაში გ. თუმანიშვილი აკრიტიკებს მისი თანამედროვე საზოგადოების უმოქმედობას, საზოგადოებრივ წყობას, როდესაც ხელისუფლება, ხალხის კეთილდღეობა რამოდენიმე ადამიანის ხელშია თავმოყრილი. „ეს ზანტი საზოგადოება ირჩევს კაცს, არქმევს ხელმწიფეს. ამ ხელმწი-

23 საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 440, ჟურნ. „გადასაჭრელი საგნები“, 1871, № 2, ფურც. 34—35.

24 იქვე, დოკ. № 431. ვაზ. „Тифлисский вестник“, 1867, № 1,

ფემ უნდა ამოირჩიოს რამდენიმე ასი კაცი და თავის მართებლობით ქვეყანა ატრიალოს.

მე ვამბობ, რომ ეხლანდელი დამახინჯებული საზოგადოება ყვირის „მომართეთ, მასალა კი არა ან გაკეთებული რამე ნივთი, არამედ აზრი როგორ გავაკეთო. მიბრძანე და ავასრულებო, თორემ მე თვითონ ვერაფერს ვერ მოვიფიქრებო!“ ნურაფერს ნუ მოიფიქრებ, ჩემო უსაყვარლესო საზოგადოებავ, დონიჯ—შემოყრილი იდექი და პირი გააღე ბუზების ჩასაყლაპავათ, ენდე რამდენიმე ასს კაცს და იმიტომაც ასე კარგა რიგდება შენი საქმე“. ავტორი მოუწოდებს საზოგადოებას ერთობლივი ბრძოლისა და საყოველთაო შრომისაკენ, ხაზს უსვამს სახალხო ხელისუფლების დიდ უპირატესობას ერთპიროვნულ მმართველობასთან შედარებით: „ამ რამდენიმე ასს კაცს რაც შეუძლიან ათს წელიწადში გააკეთოს, ხალხს ის შეუძლიან ერთს წელიწადში. თუ გინდათ ჩქარი ტელეგრაფი, კარგი გზები, სამართალი, თავისუფლება, თანასწორობა, პატივისცემის მეფობა კაცის აზრისა და საკუთრებისა და სხვა ბევრი ეხლა სალტოლვილი საქმეები, ვიმუშავოთ ყველამ. მუშაობა და მარტო მუშაობა აგვაყვავებს ჩვენ“²⁵. ამავე საკითხს ეხება გ. თუმანიშვილის წერილი „ცესურა“. ავტორი ორ ეპიგრაფს უმძღვარებს წერილს. ერთია ტაეპი ნეკრასოვის ლექსიდან:

«Совет (муза) то в города, то в степи.
Заветным умыслом полна,
Но загремят внезапно цепи
И мигом скроется она».

შემდეგ კი ილიას სტრიქონები

„მე ჩემის კირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის,
სიტყვანი გულში მებადებიან
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან,
შენ ვერ გაიგებ შეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!

ავტორი ახასიათებს წყობილებას, რომელიც აწმობს ყოველ ახალ გაბედულ აზრს, რომელიც არ სცნობს თავისუფალი აზროვნების ყველასათვის თანაბარ უფლებას. იგი ანადგურებს რუსეთის დესპოტურ წყობილებას: „ღმერთებო! თქვენ არა ხართ ღმერთები, მაშასადამე თავის უგუნურობის გამო ხალხმა გაგხადათ ღმერთებად. მაგრამ თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ღმერთები არა ხართ რატომ არ

²⁵ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 440, ჟურნ. „გადასაქრელი საგნები“, 1871, № 2. ფურც. 29.

უცხადებთ ხალხს, რომ ერთი არაფერი არ შეგიძლიანთ გააკეთოთ და მართო მთელი ხალხის გონიერი მუშაობა საქმეს გაარიგებს. მაგრამ თქვენ ეგრე არ იქცევით; თქვენ ამბობთ რომ თუ კაცების ნახირი ამბობს „ღმერთები ვართო, მაშ სჩანს მართლა ღმერთები ვართო“, და ვაი! მას თუ ვინმე ხალხიდან გამოვა და თქვენ გეტყვით: „უფალნო, უუფალესნო ღმერთნო! თქვენ აქა და აქ შეედიოთ“. თქვენ მაშინვე დაუყვირებთ იმას: ჰარამზადავ! ღმერთი შესცდება? „და გამოუსევთ კაცების ნახირს, რომელიც თავის მძიმე ქვებით ჰკლავს ახალ აზრის გამომთქმელს“. ავტორის აზრით, საზოგადოება წინ წავა, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდება, თუ იგი მისცემს თავის წევრებს თავისუფალი აზროვნების საშუალებას. იგი აუცილებლად თვლის ყოველი გამოთქმული აზრის, თუ მოვლენის სახალხო განხილვას: „როცა ყოველი აზრი გამოცხადებული იქნებოდა, მაშინ შეიძლებოდა ამ აზრებს შუა ბრძოლა, ძლიერი მართალი აზრი გაიმარჯვებდა და ცრუ დამარცხდებოდა“. თავისი თეზისის დასამტკიცებლად გ. თუმანიშვილს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: გაზეთ „Неделя“-ში იყო სტატია, სადაც ავტორი მოითხოვდა სტუდენტთა სალაროების დაარსებას იმ მოტივით, რომ სტუდენტებმა უკეთესად იციან ერთმანეთის საჭიროებანი, ვიდრე პროფესორებმაო. „მართებლობამ“ ეს აზრი მიუღებლად სცნო და დახურა გაზეთი ექვსი თვით. — „ჯერ ერთი, — აღნიშნავს ავტორი, — ხომ შეიძლებოდა, რომ ამ მწერლის აზრი მართალი ყოფილიყო, ამიტომაც უნდა შეზღუდულიყო ბრძოლა მართებლობისა და მწერლის აზრს შუა. წარმოვიდგინოთ, რომ ავტორმა ცუდი რამ დაწერა, მაგრამ უნდა მართებლობას საქვეყნოდ დაემტკიცა ამ მწერლის ცუდაზრობა“. თუ გავიხსენებთ, რა როლს ასრულებდნენ სტუდენტთა სალაროები რუსეთის ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში ამ დროს ამგვარი მაგალითის მოტანა თავისთავად მრავალმნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს. ავტორს იდეალად მიაჩნია ევროპული დემოკრატიის სისტემა: „იმ ადგილებში, სადაც ძალიან ბევრი ახალი აზრის გამოთქმელები არიან, მართებლობის აზრი ირყევა, თავისუფლება უფლებს და მართო ახალ მართალ სასარგებლო აზრის გამომთქმელთა ხელშია ხალხის სიცოცხლე. ასეა ამერიკაში, ასეა შვეიცარიაშიც და თითქმის ანგლიაშიც“²⁶.

მეტად საინტერესოა გ. თუმანიშვილის წერილი გ. ერისთავის შემოქმედების შესახებ, სადაც ავტორი იძლევა მე-19 ს. საქართველოს, ცალკულ თაობათა დახასიათებას ცხოვრებისადმი, საზოგადოებრივი

²⁶ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 440, უფრ. „გადასაქრელი საგნები“, 1871, № 2. ფურც. 31—33.

იდეალებისადმი მათი დამოკიდებულების თვალსაზრისით. გ. თუმანი-
 შვილი მე-19 ს. ქართულ საზოგადოებაში არჩევდა სამ თაობას: მამებს,
 ანუ „მაშინებს, რომლებიც იმართებოდნენ თავიანთი თავის გამოჩენა-
 სათვის, თავის ამალღებისათვის საზოგადოებაში“. „ეკონომიკის
 დროის გმირებს“, ანუ ახალგაზრდა თაობას, რომელმაც მიიღო სწავლა
 უნივერსიტეტებში, ეზიარა ევროპიულ ცხოვრებას: „ამ ყმაწვილებმა
 მიიხედმოიხედეს, სიცოცხლეში ნახეს მარტო მძლავრობა, მოტყუება,
 ფარისევლობა. ჭერ წმინდა გული ჰქონდათ და არ გამოუდგნენ თვი-
 თონვე ავაზაკობას, მოტყუებას, ფარისევლობას. ისინი ახალგაზრდა
 ძალებითა და ნუგეშით აღდგნენ და წინ დაუდგნენ ძველ წესებს. ბევ-
 რი იყვირეს, იყვირეს, იმდენი ძალა კი აღარა ჰქონდათ, საქმისათვის
 მოველოთ ხელი და დამეტკიცებინათ ცული მოქმედებები მამებისა“.
 ამ თაობის წარმომადგენლად სთვლის ავტორი ივანეს, გ. ერისთავის
 კომედიის „გაყრის“ გმირს. დასასრულს, ავტორი ამჩნევს ახალი, მესა-
 მე თაობის არსებობას, რომლის მოღვაწეობაში ხედავს ის ქვეყნის მო-
 მავალი აღორძინების საწინდარს. „მაშინდელი მაგნაირი მარტო მო-
 ლაყბები იყვნენ და მეტი არაფერი, მკითხავს მკითხველი, ესლანდე-
 ლებს კი საქმეში მოჰყავთ თავიანთი აზრები? არა, ეუპასუხებ მე. მაგ-
 რამ ესლა ესმით მაინც რით არის საზოგადოება ცული და გაგება არის
 კარი საქმეში მოყვანისა, ხოლო ესლანდელებში 100 ოთხი-ხუთი მაინც
 გამოდიან თავისი აზრების საქმეში მომყვანი ყმაწვილები. ცოტა მგო-
 ნია სჯობია არარაობასა, და ბოლოს მეორე თაობაში 100 ოთხმოცი იქ-
 ნებ პატიოსანი კაცი, მგონია ქვეყანა წინ მიდის და არა უკან!... შემ-
 დეგ ავტორი აყალიბებს მომავალი სამართლიანი საზოგადოებრივი
 წყობილების აუცილებელ ნიშნებს: „ერთი გამოჩენილი ასოთავანი ამ
 პერიოდისა არის სიმართლე და პატიოსნება, მეორე ასო ამ ანბანისა
 არის პატიოსანი შრომა, ესე იგი იმოდენა ფულის მიღება, რამოდენა-
 თაც შრომობს და სამკვიდროების ამოწყვეტა, მაშინ თითქმის ყველა
 ერთნაირი შემძლებელი იქნებიან... მაშ ესე, სიმართლე, თავისუფლება
 და პატიოსანი შრომა სანამ არ ჩაიწერება ჩვენს საზოგადოებაში, სანამ
 იმისი რიგიანი განათლება მარტო ბურჟუსით სავსე მეტაფიზიკა იქნება.
 ჩვენ სიცოცხლეში არც სიმართლეა, არც პატიოსანი შრომა. სჩანს ჩვე-
 ნი ლიტერატურის ვალდებულება ამ ანბანის ახსნა საზოგადოებისა-
 თვისა“. ამ იდეალების განხორციელებისათვის შეუპოვარი ბრძოლისა-
 კენ მოუწოდებს ავტორი ახალგაზრდებს, თავის თაობას: „თუ ჩვენმა
 მამებმა არა, ჩვენ ახალმა თაობამ მაინც უნდა დაუზარელად და აღტა-
 ცებით ვასწავლოთ ეს ანბანი ხალხსა, ან არა და მსხვერპლად მოუტა-
 წოთ თავი, რომ უფრო ადვილად დააწყონ საქმე ჩვენმა შვილებმა. თუ

მკითხველები მიპასუხებენ მე რომ არ ღირს ანბანს და ხალხს გამოვეუ-
დგეთ, ისა სჯობია უხმაურობით ლუკმა პური იშოვნოვო, იმას მე და-
ვარქმევ ეგოისტად, ზემოხსენებული მთქმელი მკითხველი უეჭველად
საცოდავი ტიკინა იქნება თავის სიცოცხლეში, თავის თავმომწონ თავ-
ზედ იფიქრებს, ქვეყანა იმას გამორაცხავს თავის წვერობიდან“. შემ-
დედ ავტორი უბრუნდება რა გ. ერისთავს, ბრალს სდებს მას სწორედ
უმოქმედობასა და პასიურობაში თავისი მიზნების განხორციელებისა-
თვის ბრძოლაში: „ავტორს კეთილშობილი აზრი ჰქონდა გაეწყვიტა სა-
ზოგადოებაში წუნები და ესწავლებინა ანბანი პოზიტივიუური ფილო-
სოფიისა. მაგრამ მას ეს უნდა უშრომთ, უმსხვერპლოთ, უნდოდა,
რომ ეთქვა, და მაშინვე უკან წაეღო სიტყვა, თუ არ მოეწონებოდათ.
ვინ არ იცის, რომ მარტო მონდომებით არაფერი არ გაკეთდება და
გლახასებ თხოვნით, ვინ არ იცის, რომ უნდა კაცი ისე იყოს შეკავში-
რებული თავის აზრთან, რომ მზად იყოს იმისათვის მოკვდეს. მარტო
ამნაირი ენერჯია გააერცელებს ანბანს საზოგადოებაში, თუ არა და
უენერჯიოთ მშვენიერი აზრები ბუღბუღაძეე-
ების სათამაშოები არიან. ამ ფრაზას დიდი ასოებით იმი-
ტომა ვწერთ, რომ ის არის პირველი პირობა ყოველი კეთილი საქ-
მისა“. ეს დაგვიმტკიცა თვით გ. ერისთავმა, რომლის სატირა მალე გა-
დავიდა სახუმარო კომედიებში. ეს უნდა იყოს გაკვეთილი ყოველი მე-
ბრძოლისათვის: „პოეტს უნდა გაჰყავდეს საზოგადოება სწორს გზა-
ზედ, თორემ საზოგადოება იმას თავის სათამაშოდ გახდის“²⁷.

უფრო კატეგორიულად და აშკარად არის დასმული თაობათა წი-
ნაღმდევობის და ახალი თაობის ისტორიული მოწოდების საკითხი
წერილში „მიმართულება საზოგადოებისა“. „ჩვენს საზოგადოებაში
ეხლა ორი მიმართულებაა: ერთი — ბატონები, ჩინოვნიკები და არის-
ტოკრატები, მეორე მწერლები და სტუდენტები. პირველი მხარე არის
ბატონ-ყმობის ნაყოფი, მაგრამ ახალმა თაობამ გააღვიძა ბატონები,
უთხრა სუყველანი თანასწორები ვართ და სუყველაზე ადრე სუყვე-
ლანი ადამიანები ვართ. მაშინ მეხი დაეცათ ბატონებს, სხვის ოფლით
მოპოვებული პური აღარ ჩაუდეს პირში. ბატონებს რომ ამნაირი ია-
ფი პური მოაკლდათ, დაიყვირეს: ნეტავ არ გვეშობნა შეილებიო, მა-
შინ აღარც ეს დაწყველილი თავისუფლება იქნებოდაო“. სულ პირვე-
ლად ახალი მიმართულების დამაგრება ძნელია, ღონიერი ძველი მი-
მართულება ფანტამს ახალ აზრებს ახალი თაობისა, თავისკენ მიიზი-
დამს და თუ არ მოვა ის, მაშინ როგორც ჯოჯოხეთში სტანჯამს. ამი-

²⁷ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 438, ეურნ. „შრომა“, 1870, № 6 ფ. 3—4.

ტომაც გვახსომს, ადრინდელი ლიბერალები ბევრს ქადაგობდნენ, მაგრამ ნახეს, რომ იმოდენა ძალა არა აქვთ, რომ თავიანთი აზრები დაამაგრონ, ამიტომაც თვითონვე გამოუდგნენ ძველებს თავდალუნებით. თითქოს დარწმუნდნენო, რომ ლიბერალიზმი მარტო მოსახდენი სიტყვები არიანო, რომელსაც ამბობენ სუყველას წინ თავის კვებულობისათვის ახალ აზრებში.

მინცა და მინც ახალმა თაობამ თავისი გახადა -- უსაქმო ბატონები, ქრთამის ამლები ჩინოვნიკები და არკადის პრინციები საცოდავებია საზოგადოების თვალში. მაგრამ ამ თაობაზედ არა დგას საქართველო. ცოტა-ცოტათ იხედება უფრო ახალი თაობა, რომლის წევრები ჯერ უტვინო ვაჟებთ ჰგონიათ. ისინი წარმოსდგამენ წინ სარწმუნოებას, ხელოვნებას და სახლობას, კრიტიკული თვლით შეხედამენ იმას და გამოესალმებიან²⁸. ამ ახალ თაობად, როგორც აღვნიშნეთ, გ. თუმანიშვილს მიაჩნია მისი თაობის ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა, რომელიც ამ დროს დიდ როლს თამაშობდა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში და რომლის ერთ-ერთ რაზმად გ. თუმანიშვილს მისი თანამოაზრე ქართველი ახალგაზრდები მიაჩნდა. სწორედ ამ ახალგაზრდობის განწყობილებას, რომელსაც ალბათ ჩვენი ავტორი კარგად იცნობდა, უნდა მიეცა მისთვის საფუძველი იმის დასკვნისა, რომ „ცოტა-ცოტათი იხედება ახალი თაობა“, რომელიც იბრძოლებს საზოგადოების ძირფესვიანად გარდაქმნისა და სამართლიანობის, შრომის სუფევების დამყარებისათვის. რომ გ. თუმანიშვილს სწორედ მისი თაობის ახალგაზრდობა ჰყავს მხედველობაში, ეს მტკიცდება იმითაც, რომ იგი სათანადოდ ვერ აფასებდა თერგდალეულთა მოღვაწეობის ხასიათს და უკიდურესი რევოლუციური განწყობილებებით გატაცებული იმდროინდელი საქართველოს ყველაზე მეზობლი, რევოლუციური მიმდინარეობის ბელადებს ილიასა და აკაკის გ. ერისთავის ღონეზე აყენებდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ახალგაზრდა ავტორს მის ამ შეხედულებაში. მაგრამ ეს სრულიად არ დაგვიშლის სათანადოდ შევაფასოთ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ერთი ჯგუფის რევოლუციური, დემოკრატიული განწყობილებანი.

ამრიგად, ყველაფერი ზემოთქმული, ჩვენის ღრმა რწმენით, სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობაში, სახელდობრ თბილისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა შორის ადგილი აქვს ეპოქის რევოლუციური განწყობილებების დიდ გავლენას. როგორც

²⁸ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 999, ეურნ. „შრომა“, 1870, № 2—3. ფურც. 12—13.

დავინახეთ, ისინი იზიარებენ 60-იანელთა პლეადის პოზიციას თვით-მპყრობელობის მიმართ ბატონ-ყმობის საკითხში, ესალმებიან მსოფ-ლიო გამათავისუფლებელ, რევოლუციურ მოძრაობას, მხურვალე ინ-ტერესს იჩენენ მშობელი ქვეყნის მდგომარეობის მიმართ და მის რე-ვოლუციურ გარდაქმნას აუცილებლად და გარდუვალად სთვლიან. აყა-ლიბებენ მომავალი საზოგადოების ისეთ იდეალს, რომელიც უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს რევოლუციურად. შეიძლება ახალგაზრდებს ბრალი დავდოთ უტოპიზმში, რევოლუციური იდეალის ჩამოუყალიბ-ლობაში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ არც მათი ასაკი და არც ეპოქა.

აქვე გვინდა შევნიშნოთ: თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოს-წავლეთა ჩვენამდე მიღწეულ ჟურნალებში მონაწილეობდა მათი საკ-მაოდ დიდი ჯგუფი. ძმები თუმანიშვილების გარდა ხელნაწერ ჟურნა-ლებში სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ: კიშმარიტოვი, ტერმარ-კოზოვი, ბაქრაძე, აბაშიძე, ჩუბინოვი, კუზნეცოვი, რამანიევი, მოსე-ანდრონიკაშვილი, ბეჟანიშვილი, შერვაშიძე, გუთანიშვილი, ჩიტორიძე, გვერთოფიძე, გოგენოვი, ტომარაძე, ბუზოვი, ნიკოლიძე; მიქელაძე, ბალაბაშვილი. შესაძლებელია, ზოგიერთი გვარი ზედმეტ სახელს წაა-გავდეს, მაგრამ აშკარაა, რომ მის უკან იმალება გიმნაზიის მოსწავლე-როგორც ვხედავთ, წრე საკმაოდ ფართოა. გარდა ამისა, ჩვენ მიგვაჩ-ნია, რომ ჩვენს მიერ განხილული ჟურნალები არ წარმოადგენდნენ გა-მონაკლისს გიმნაზიის შინაგან ცხოვრებაში. გავიხსენოთ ძმები კუზმი-ნების ჩვენება, სადაც მათ აღნიშნეს, რომ ერთ-ერთ წერილში მათ სთხოვდნენ გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალის გამოგზავ-ნას. ცხადია, აქ რაღაც სხვა ჟურნალები იგულისხმება, რადგან იმ დროს თუმანიშვილები გიმნაზიაში არ სწავლობდნენ. როგორც ჩანს, ამგვარი თვითშემოქმედება იმ ხანებში ჩვეულებრივ ამბავს წარმოად-გენდა.

თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსწავლეთა განწყობილე-ბის დასახასიათებლად, მნიშვნელოვან ფაქტებს გვაწვდის აგრეთვე გიმ-ნაზიაში 1868 წლის დეკემბერში მომხდარი ინციდენტი — მოსწავლე-თა საერთო აჯანყება სასწავლებლის დირექტორის ეელიხოვსკის და მის მიერ სასწავლებელში შემოღებული წესების წინააღმდეგ.

1868 წლის 16 დეკემბერს გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლეებმა-სცემეს გიმნაზიის დირექტორს ეელიხოვსკის და მოითხოვეს მისი გა-დადგომა თანამდებობიდან. ვ. თუმანიშვილი ასე იგონებდა შემდეგში ამ ფაქტს: „ჩემი თბილისის გიმნაზიაში ყოფნის დროს მეშიდე კლას-ში, საუკეთესო მოსწავლეებმა რუსებმაც და „ტუზმცებმაც“ სცემეს-გიმნაზიის დირექტორს (ეელიხოვსკის) იმის გამო, რომ იგი ცდილო-

ბდა გაეძევებინა სასწავლებლიდან ერთადერთი განათლებული და ჰუმანიურად განწყობილი მასწავლებელი (ლავერენკო). ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, როგორც მახსოვს, გაირიცხა 20 მოსწავლე²⁹.

რადგანაც ამ ფაქტის იოგვლივ არსებულ ყველა დოკუმენტში მოსწავლეთა აღნიშნული ამბოხების მიზეზად დასახელებულია გიმნაზიის რუსული ენისა და სიტყვიერების მასწავლებელი დიმიტრი ლავერენკო, საინტერესო იქნება შევეხოთ მის პიროვნებას და დავახასიათოთ იგი ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით.

გიმნაზიაში მომხდარი ინციდენტის თაობაზე კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოდან ატყობინებდნენ განათლების მინისტრს, რომ გიმნაზიის რუსული ენისა და სიტყვიერების მასწავლებელმა წმ. ილადიმერის უნივერსიტეტის კანდიდატმა ლავერენკომ თავის თავს ნება მისცა უკმეხად შეპასუხებოდა დირექტორს მოსწავლეთა თანდასწრებით, რისთვისაც დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან სასწავლო ოლქის მზრუნველს მიერ. მეფისნაცვალმა გაითვალისწინა ლავერენკოს არაკეთილსაიმედობა, ის უწესობანი, რომელიც მოყვა მის შეტაკებას გიმნაზიის დირექტორთან და ბრძანა: აეკრძალოს ლავერენკოს პედაგოგიური სამსახური სამეფისნაცვლოს ფარგლებში და გაძევებულ იქნეს კავკასიის მხარიდან³⁰.

ამავე დროს მეფისნაცვალი დიდი მთავარი მიხეილი აცნობებდა ჟანდარმთა შეფს: „ჩემამდე მოაღწია უტყუარმა ცნობებმა იმის შესახებ, რომ აქაური კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი ლავერენკო გამსკვალულია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მავნე შეხედულებებით, არ ერიდება მათ გატარებას ახალგაზრდობის წრეში. დამოუკიდებლად ლავერენკოს შეხედულებებისა, არ შეიძლება არ დაუშვათ მისი მონაწილეობა, თუნდაც არა პირდაპირი, გიმნაზიაში 1868 წ. 18 დეკემბერს მომხდარ უწესობაში. მე დავაველე სასწავლო ოლქის მზრუნველს აეკრძალა ლავერენკოსათვის პედაგოგიური სამსახური როგორც სახე-ზინო, ასევე კერძო სასწავლებლებში და დაუყოვნებლივ გაეძევებინა იგი“³¹.

1869 წლის აპრილში ოდესის ჟანდარმერიას აცნობებენ, რომ ა. წ. ვ. აპრილს ლავერენკო გაემგზავრა ოდესაში და ავალებენ თვალყურის დევნებას მისთვის³².

²⁹ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი. დოკ. № 72. ფურც. 2.

³⁰ ЦГИАЛ, ф. 733, оп. 162, д. 633, л. 1.

³¹ ЦГИАМ, ф. 109, 1 экз., д. 27, л. 1.

³² იქვე, ფურც. 3.

განათლების მინისტრმა აცნობა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს, რომ მისთვის ადრევე ცნობილი იყო სასწავლო უწყებაში ლავრენკოს სამსახურის შეუწყნარებლობა მისი „მომართულების“ გამო, რომელიც გამოამჟღავნა ჯერ კიდევ კიევში 1866 წელს გამოქვეყნებულმა მისივე წიგნმა „ჰენრიხ ჰაინეს ნაწარმოებთა სამოქალაქო და ფსიქოლოგიური ანალიზი“. ეს წიგნი განუხილავს განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტს, რომლის წევრთა აზრით წიგნი შეიცავდა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მავნე აზრებს. ლავრენკო უნივერსიტეტში იყო დატოვებული საპროფესოროდ მოსამზადებლად, წიგნის გამოქვეყნების შემდეგ კი განათლების მინისტრმა ტოლსტოიმ მიუთითა კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველს, რომ მისთვის ცნობილი მასალების მიხედვით, დაუშვებელი იყო ლავრენკოს დატოვება რომელიმე უნივერსიტეტში. ოლქის მზრუნველს მინისტრის აზრი უნდა ეცნობებინა კიევის უნივერსიტეტის საბჭოსათვის. მინისტრის მითითება დაიგზავნა ყველა იმ ოლქში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა უნივერსიტეტი³³. როგორც სჩანს, ყველა ამ მოვლენის შედეგად მოხვდა ლავრენკო კავკასიის სასწავლო ოლქში, თბილისის გიმნაზიაში.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნევეროვმა ვრცელი წერილი გაუგზავნა გრაფ ტოლსტოის გიმნაზიაში მომხდარი ინციდენტის შესახებ. ნევეროვი ცდილობდა შეემსუბუქებინა ლავრენკოს დანაშაული და მოსალოდნელი სასჯელი. ნევეროვი აღნიშნავდა, რომ არც თვითონ და არც ბაქონი ნიკოლაი (მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი) არ სთვლიდნენ ლავრენკოს დანაშაულს იმდენად მძიმედ, რომ მას სამუდამოდ აღკვეთოდა სასწავლო უწყებაში სამსახურის უფლება. „რა თქმა უნდა, იგი დამნაშავეა თავხედურ გამოსვლაში დირექტორის მიმართ, მაგრამ მე ფიქრობდი გვეკმარებინა მისთვის სამსახურიდან განთავისუფლება. საქმე შემდეგშია: ლავრენკო არ არის შემჩნეული არავითარ პროპაგანდაში, ის უბრალოდ თავგასული ყმაწვილია, რომელსაც დიდი წარმოდგენა აქვს თავის ცოდნაზე და დამამცირებლად სთვლის მოსწავლეებისათვის გრამატიკის სწავლებას. როდესაც რუსული ენის პროგრამები გამოვიდა, მე დავავალე მის უშუალო უფროსს ეელიხოვსკის თვალყური ედევნებინა იმისათვის, რომ ლავრენკოს წესიერად შეესრულებინა სწავლების პროგრამა. ასეთი კონტროლი, ბუნებრივია, არ მოსწონდა ლავრენკოს, რომელსაც გარდა ამისა, ეელიხოვსკისადმი მტრულად განწყობილი ადამიანები აქეზებდნენ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ. ამავე ხანებში ლავრენკოს

³³-ЦГИАЛ, ф. 733, оп. 162, д. 633, л. 4.

მეუღლემ განიზრახა საბავშვო ბაღის გახსნა. ეელიხოვსკიმ ლავრენკოს არაკეთილსამედობის გამო არ მისცა მის მეუღლეს ამის ნებართვა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დაძაბა მათი ურთიერთობა. გასული წლის დეკემბერში, როდესაც ეელიხოვსკი შევიდა ლავრენკოსთან გაკვეთილზე, სადაც ამ დროს იმყოფებოდა საოლქო ინსპექტორიც, და შეკითხვა მისცა მოსწავლეებს, ლავრენკო იმდენად გათავხედდა, რომ მთელი კლასის თანდასწრებით უკმეხი სიტყვებით მიმართა ღირეკტორსა და საოლქო ინსპექტორს. მეორე დღეს მე იგი დავიბარე და ვუთხარი, რომ ასეთი საქციელის შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა მისი დატოვება სასწავლებელში. შემდეგ დღეს ეელიხოვსკის ჰქონდა გაკვეთილი მე-7 კლასში. მოსწავლეებმა მშვიდად ჩაატარეს გაკვეთილი. მაგრამ როდესაც ღირეკტორი გადიოდა კლასიდან, ჩამოაყვეს შინელი და დაუწყეს ცემა. ჩვენთვის ცნობილია, რომ წინა დღეს ლავრენკო შეხვედრია მოსწავლეებს ქალაქის ბაღში. იგი არ უარყოფს ამ ფაქტს, მაგრამ აცხადებს, რომ ეს შეხვედრა შემთხვევითი იყო. იგი შეხვდა ბაღში მოსწავლეებს, რომლებმაც გამოსთქვეს მწუხარება მომხდარი ამბის გამო, შემდეგ ლავრენკო ესაუბრა მათ თავის საგანზე, გამოცდებზე და სხვ. მოსწავლეებმაც იგივე აჩვენეს. ასე რომ, გიმნაზიის მღელვარებაში ლავრენკოს მონაწილეობა დადგენილი არ არის და მხოლოდ ექვია გამოთქმული ამის შესახებ. ამ ექვის საფუძველზე აუკრძალა დიდმა მთავარმა ლავრენკოს სასწავლო უწყებაში სამსახური. ამ დადგენილებით მის უმალღესობას სრულიად არ სურს განსაზღვროს ლავრენკოს და მისი ზაქმიანობის შემდგომი ბედი. საკითხი, ექნება თუ არა ლავრენკოს უფლება განაგრძოს სასწავლო უწყებაში სამსახური მთლიანად დამოკიდებულია განათლების სამინისტროზე³⁴.

ნევეროვის შუამდგომლობამ არ გასკრა. როგორც აღნიშნული იყო, 1869 წლის 29 აპრილს ოდესის ეანდარმთა კორპუსის მაიორს აცნობეს, რომ თბილისის გიმნაზიის ყოფილ მასწავლებელს დიმიტრი ლავრენკოს, რომელიც შემჩნეულია მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილებებში, აკრძალული აქვს სასწავლებლებში სამსახური და გაძევებულია კავკასიიდან³⁵.

ამ შემთხვევამ საკმაოდ მკაცრი ზომები გამოიწვია. გიმნაზიის მე-7 კლასი დაიხურა 1869 წლის სექტემბრამდე. ამ კლასის მოსწავლენი „ამბოხებაში“ მონაწილეობისა და დანაშაულის მიხედვით დაჰყვეს ექვს კატეგორიად:

³⁴ იქვე, ფურ. 9—11.

³⁵ ЦГИАМ, ф. 109, 1 экз., д. 27, л. 7.

პირველ კატეგორიაში ჩარიცხული მოსწავლენი მოკრიცკი, ვაჩნაძე, ფლორინსკი, ნელიუბინი გარიცხეს გიმნაზიიდან და მათი გვარები დაეგზავნა ყველა სასწავლო ოლქს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან მათთვის იხურებოდა ყველა სასწავლებლის კარები.

მეორე კატეგორიაში მოხვედრილი ოთხი მოსწავლე გაირიცხა გიმნაზიიდან სხვა სასწავლებლებში შესვლის უფლებით. მესამე კატეგორიის ათი მოსწავლე გაირიცხა გიმნაზიიდან, მაგრამ მათ მიეცათ ყველა საბუთი და უფლება ჩაებარებინათ გამოცდები, როგორც გარეშე პირთ.

მეოთხე კატეგორიის 14 მოსწავლე ირიცხებოდა სასწავლებლიდან გამოცდების ჩაბარების უფლებით. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მათ მიეცემოდათ ატესტატი, მაგრამ ყოფაქცევაში სამზე მეტს ვერ მიიღებდნენ.

მეხუთე კატეგორიის 14 მოსწავლე არ ითვლებოდა დამნაშავედ. მათ ბრალი ედებოდათ მხოლოდ იმაში, რომ ხასიათის სისუსტისა თუ ამხანაგების წინაშე შიშის გამო არ გასცეს „შეთქმულება“. ამისათვის მათ ითხოვდნენ გიმნაზიიდან, მაგრამ აღეგდნენ გამოცდების ჩაბარებისა და ატესტატების მიღების უფლებას. ყოფაქცევაში მათ ოთხი ეწეობოდათ.

მეექვსე, სრულიად უდანაშაულოთა კატეგორიაში შედიოდა სულ ოთხი მოსწავლე. მათ გიმნაზია აღიარებდა „თავისი ოჯახის სრულწევრებად“ და მათთვის ხსნიდა სარეპეტიციო კლასებს სიმწიფის ატესტატის გამოცდების ჩასაბარებლად. წარმატების შემთხვევაში ისინი სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში³⁶.

ურჩობის სენი მე-6 და მე-5 კლასებსაც გადასდებიდა. „მე-5 და მე-6 კლასები, რომელთაც გამოხატეს თავისი თანაგრძნობა უფროსი კლასის მიმართ იმით, რომ ჩამოხიეს კედლიდან ნაცემი დირექტორის „წესები“ და მითხოვეს მისი გაძევება სასწავლებლიდან, გადაიყვანეს ნესტიან სარდაფებში, სადაც ისინი მეცადინეობდნენ წლის ბოლომდე“³⁷.

ამ კლასების ყველა მოსწავლე ჩაითვალა გარიცხულად და მათ ხელახლა უნდა შეეტანათ განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ. გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს სრული უფლება ეძლეოდა უარი ეთქვა მათ განცხადებებზე. ხელახლა მიღებულ მოსწავლეთა მშობლებს და ნათესავებს უნდა დაედოთ ხელწერილი, რომ ისინი ემორჩილებოდნენ გიმნაზიის შინაგანაწესს და თვალყურს ადევნებდნენ მოსწავლეთა ყოფაქცევას როგორც გიმნაზიაში, ასევე მის კედლებს გა-

³⁶ „დროება“, 1869, № 15.

³⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. 72, ფურც. 3.

რეთ. დასახელებული კლასების ყველა მოსწავლე, რომელსაც აქამდე ეძლეოდა შემწეობა ან განთავისუფლებული იყო სწავლის გადასახადისაგან, კარგავდა ამ უპირატესობას. ერთ-ერთმა მოსწავლემ ვლადიმერ ლიბერმანმა ისეთი ურჩობა გამოიჩინა, რომ მის კარცერში წასაყვანად საჭირო გახდა თვით ნევეროვის მოსვლა გიმნაზიაში. პანსიონიდან გაირიცხნენ მოსწავლე ფავლენიშვილი და კოლომიიციევი, „რომელთაც მიიღეს ცხადი მონაწილეობა უწყესობაში და აღრევეც ავი ყოფაქცევით გამოირჩეოდნენ“.

ოპოზიციური „განწყობილებები“ გავრცელებულა დაბალ კლასებშიც, განსაკუთრებით პანსიონში. ამიტომ ადმინისტრაციამ საჭიროდ ჩასთვალა მათი განცალკევება. სამი წლის განმავლობაში ისინი უნდა დარჩენილიყვნენ ძველ შენობაში, ხოლო უფროსი კლასებისათვის უნდა აგებულიყო ახალი შენობა. „მე კიდევ უნდა წარმოვადგინო ღონისძიება მრთელი გიმნაზიის სასწავლებლისათვის—აღნიშნავდა ნევეროვი, რომელიც შერყეულია ზნეობით საძირკველშივე. უმთავრესი ღონისძიება, რასაკვირველია, უნდა იყოს მთელი სასწავლებლის პირების ერთიანი შემწეობა დირექტორისა, ამისგან შეტანილ წესის დასამყარებლად, რომელიც მოწაფეთათვის მეტად საძულველი იყო. არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ პირველი მიზეზი, თუმცა იქნებ მოუფიქრებელი, უწყესობის მოხდენაში წარმოსდგა ერთის მასწავლებლისაგან, რომელიც ეხლა დათხოვნილია სამსახურიდანაც და მასწავლებლობიდანაც.“

დიდი ხანია შევამჩნიე, რომელთამე პირთა სასწავლებელში ცვლილებების შემოტანას არ თანაუგრძნობდნენ. მე განვუცხადე, რომ ცხადის წინააღმდეგობის ნებას არ მივცემ და ეხლა საჭიროდ შევრაცბე დამემატებინა, რომ არც დაფარულ წინააღმდეგობას მოვითმენ. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ დირექტორის პაზრსა, რომ ვიდრე გიმნაზიაში დარჩება უფროს მოწაფეებში ძველი სენი, ძნელი მოსალოდნელია აღდგენა შერყეულის დისციპლინისა“³⁸.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, თუ რაში მდგომარეობდა ეს „წესები“, რომელთა გამო გიმნაზიაში ასეთი ამბები დატრიალდა. მაგრამ თუ განვიხილავთ ეელიზოვსკის მიერ „ამბოხების“ შემდეგ შემოღებულ „მოსწავლეთა სახსოვარ წიგნებს“, ჩვენთვის ცხადი გახდება ძველი „წესების“ ხასიათი: მივმართოთ კვლავ ხელნაწერ ჟურნალს. გ. თუმანიშვილის წერილი „მამა-პაპური კანონების კომედია“ წარმოადგენს გვაძლევს როგორც ეელიზოვსკის მიერ დანერგილ შინაგანაწესსა, ასევე მოსწავლეთა მის მიმართ დამოკიდებულების შესახებ.

³⁸ „ღროება“, 1869, № 15.

გ. თუმანიშვილი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ადგილობრივ მკვიდრთ-მეტად უჭირთ როგორც სწავლა არსებულ სასწავლებლებში, ასევე მათი დასრულება. ამ მოვლენის მიზეზს ის ხედავდა თვით სწავლების სისტემასა და მის წარმომადგენლებში. „მაგრამ დაეჩუმადეთ, ნუ შევარცხვენთ იარების გამოაშკარალებით ქართველებს, თუ იმათ იარები აქვთ. სრულებით იმათი ბრალი არ არის, უფრო ბრალია აღმზრდელებისა, რომლებთაგანაც არის დამოკიდებული ყმაწვილის ხასიათის, ჰკუთს და ჩვეულებების შედგენა“. შემდეგ ავტორი ახასიათებს ერთერთ აღმზრდელთაგანს ეელიხოვსკის: „რამდენიც ახალი დირექტორი გამოჩნდა, იმდენი საზოგადოებას უხაროდა. გასწორდებიან ჩვენი შვილები. მაგრამ არა—დირექტორი ერთს ფეხს წინ არ წარსდგამდა, თუ არ უკან. უკანასკნელ დროს გამოჩნდა საზოგადოების ჰკუთით, გამოჩენილი კაცი ეელიხოვსკი, რომელმაც ჰკუთას ძალა დაატანა და თავის კანონებით რამოდენიმე ნაბიჯით გიმნაზია უკან დასწია.

საზოგადოებამაც და უფრო მოწინაველებმაც ამ კანონების ტუტუცობა ჩქარა გაიგეს და ამ უკანასკნელებმა ერთ მშვენიერ დღეს დირექტორი მისტყვიუს და კიდევაც დახიეს იმის კანონები. მაგრამ ამ მოქმედებამ ისე შეაშინა შეგირდები, რომ თავიანთი მოქმედებები შეცდომათ სცნეს, ამიტომაც მე ვერ დაეჩუმადები დაფარებით აღრინდელი ფიქრისა შეგირდებისა“.

როგორც ჩანს, რეპრესიებს, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ გვექონდა ლაპარაკი, გავლენა მოუხდენია მოსწავლეთა განწყობილებაზე. გ. თუმანიშვილის სიტყვებში ჩვენს ყურადღებას იქცევს მოსწავლეთა „აღრინდელი ფიქრის“ მოხსენება. ქვემოთ ავტორი ახასიათებს ეელიხოვსკის მიერ მოსწავლეთა ამბოხების შემდეგ შემოღებულ „კანონებს“ სწორედ მოსწავლეთა მათ მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით.

1. „თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღებიან სუყველა წოდების და სჯულის ყმაწვილები“. სწერია ეელიხოვსკის წიგნში. სულერთია რომ ეწეროს სუყველა წოდების და სჯულის ყმაწვილს შეუძლიან სიცოცხლე.

3. ღიმნაზიელებისათვის დანიშნულია სხვანაირი ტანისამოსი (ნუ-თუ იმას არ ფიქრობს ეელიხოვსკი, რომ ღიმნაზიაში მდიდრებს გარდა ღარიბებიც არიან, რომლებიც არ იცვლიან ტანისამოსს თითქმის 4—5 წელიწადი და რომლებსაც არ შეუძლიან ისე კარგად ჩაიცვან, როგორც ისა ნიშნავს).

4. კარგად მსწავლელ ღარიბ შეგირდს აძლევენ სტიპენდიას (ეს ძალიან კარგი კანონია, მაგრამ ეს ღმერთმანი თათრულია, რომ სომ-

ხებს და ქართველებს სანამ იმათ თავი არ მობეზრდათ, არ მისცემენ სტიპენდიას).

5. სუყველა დღესასწაულ და კვირას მგვირდებმა უნდა იარონ საყდარში (ეს სულერთია, რომ შევირდებს ძალათ ათქმევინო ღმერთო მწამხარ შენ, მე მგონია თავისუფლება სარწმუნოებაშიც კი ძალიან საშიში ჰგონია ეელიხოვსკისა, მეშინიან, ეელიხოვსკის ცხვირის მოხოცვის თავისუფლებისაც ეშინიან და ამიტომაც არ სწერს თავის წიგნში, რომ არ დასცინონ რუსის ციკერონს).

6. ქუჩაში სეირნობაზედ შევირდებმა გროვად უნდა იარონ. აგრეთვე არ უნდა შევიდნენ საზოგადო ადგილებში. ვისაც უნდა თეატრში წავიდეს უნდა სთხოვოს ნება ინსპექტორს. სხვადასხვა სასიამოვნო ადგილებში ტაში არ უნდა დაუკრას და სხვა ნიშნები არ უნდა მოიხმარონ (პირველად რომ ღიმნაზისტები იქ არიან მიმაგრებული სწავლისათვის და არა მგონია, რომ ხელი ჰქონდეს დირექტორს ღიმნაზისტებთან ღიმნაზიის გარეშე, მეორეთგან, განა ღიმნაზისტებს თავში ჰკუთა არ უდევთ თავიანთი, რომ მოიხმარონ. ნუ თუ ეელიხოვსკი ფიქრობს, რომ თითონ უფრო მეტი გაეგება აქტიორის ღირსებაზედ ვინემ ზოვიერთ ღიმნაზისტს უფროს კლასებოთა).

9. სწავლის წინ და უკან შევირდებმა უნდა ილოცონ (ნუ ხუ უფალ ეელიხოვსკის არ ესმის, რომ ლოცვით ღმერთი არც შევირდებს და არც ოსტატებს მოუმატებს ჰკუთას, მამ თუ აგრე ადვილი იყო ჰკუთის მიღება, ყოველი ტარაცუა, აგრეთვე ნევეროვი და ეელიხოვსკი პირველი ფილოსოფოსები იქნებოდნენ ქვეყანაზედ).

11. შევირდები ღიმნაზიიდან რიგრიგად უნდა გამოვიდნენ თითო თითო წყვილად სახლებამდინ (უეკველად, ეელიხოვსკის ტვინში ერთია სალდათები და ღიმნაზისტები)³⁹.

მოსწავლეთა სიძულვილი ეელიხოვსკისადმი ემყარებოდა აგრეთვე მის შავრაზმულ, დიდმპყრობელურ დამოკიდებულებას ადგილობრივი ხალხებისადმი, რომელიც მან ასე სრულად გამოამყდაენა სასწავლებელთა დირექტორების ყრილობაზე. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი ანგარიში გიმნაზიაში მომხდარი არეულობის თაობაზე. იგი თვითკმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მის მიერ შემოღებულმა წესებმა კეთილისმყოფელი გავლენა იქონია მოსწავლეთა ზნეობაზე. მომხდარ ამბებში იგი ბრალს სდებს მოსწავლეთა მანენ ინსტინქტებს, მიდრეკილებებს, მშობლებს, ჟურნალ-გაზეთებს და სხვ. იგი შემთხვევას არ

³⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი. გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 435, ერნ. „კოკორი“, 1869, № 5, ფურც. 41 — 44.

ეშვებს მიაწეროს ადგილობრივი წარმოშობის მოსწავლეებს ყოველგვარი საშინელებანი⁴⁰. გიმნაზიის ხელნაწერ ქურნალში ცხადად არის გამოქმდენებული მოსწავლეთა აზრი ქელიხოვსკის პიროვნებაზე. პრესის მიმოხილვაში, სადაც ლაპარაკია „Кавказ“-ის რედაქტორის სლივიცკის შოვინისტურ სტატიასზე ქართველთა ველურობისა და უკუ-ლტურობის შესახებ, ავტორი აღნიშნავს: „სამწუხაროა, რომ მისი თანამშრომელი არ არის ქელიხოვსკი, რომელიც სრულიად ემსგავსება მას თავისი აზრებით“⁴¹.

ახლა დავებრუნდეთ ლავრენკოს. რა როლი ითამაშა მან გიმნაზიის მოსწავლეთა ამბოხებაში? ჩვენის აზრით, ისეთ პიროვნებას; როგორც ჩვენ წარმოგვიდგება ლავრენკო, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, არ შეიძლებოდა დიდი გავლენა არ მოეხდინა თავისი მოსწავლეების იდეურ და სულიერ ჩამოყალიბებაზე. მისი სიახლოვე მოსწავლეებთან, მოსწავლეთა თავგანწირული მხარდაჭერა, რომელიც მათ გამოამქლავნეს საყვარელი პედაგოგის მიმართ, ამტკიცებს ჩვენ სიტყვებს. რაც შეეხება თვით „ამბოხს“, იგი მიმართული იყო სასწავლებლის შინაგანაწესის, შემხუთველი, დესპოტური რეჟიმის, ცარისტული რუსიფიკატორული სკოლის ყველა სიმახინჯის წინააღმდეგ. მაგრამ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა აჯანყების საბაზი გახდა ლავრენკოს შეჯახება ქელიხოვსკისთან, თავისთავად ნიშანდობლივია. ლავრენკოს გაძევებაში მოსწავლეებმა დაინახეს გამოხატულება აზრის და პიროვნების თავისუფლების უგულვებელყოფისა, რაც დამახასიათებელი იყო მთელი თვითმპყრობელური რეჟიმისათვის და რაც აისახებოდა სასწავლებლის შინაგან ვითარებაშიც. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი მონაცემები გიმნაზიის მოსწავლეებზე ლავრენკოს რევოლუციური გავლენის შესახებ, მაგრამ ყველაფერი ზემოთქმული ერთის მხრივ მოსწავლეთა განწყობილებებზე, მეორეს მხრივ ლავრენკოს პიროვნებაზე, ჩვენის აზრით, სრულ საფუძველს გვაძლევს დავეუშვათ სწორედ ამგვარი გავლენა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ცნობა, რომელიც ამტკიცებს ლავრენკოს სიახლოვეს მეზობლ ქართველ ინტელიგენციასთან. პროკოფი რატიანი გვაცნობებს, რომ სიმონ ლოლობერიძე პეტერბურგში მყოფ მძას, დავით ლოლობერიძეს, რომელიც იქ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობდა, თხოვდა ჩამოსულიყო საქართველოში და სხვათა შორის ატყობინებდა — ლავ-

40 საქ. ცსა, ფ. 422, ანაწ. 1, საქ. 536, ფურც. 587—589.

41 ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, დოკ. № 434, ქურნ. 1868, № 1. ფურც. 19—22.

რეზოლუციის, პეტრე უმიკაშვილიც ჩამოვიდაო. „ცდებით, რომ აგრე იგვიანებთ, ცდებით, თორემ ჩამოხვალთ, თვითონ ნახავთ“⁴².

ზემომოტანილი მთელი მსჯელობის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში 1868 წლის დეკემბერში მომხდარ „ამბოხში“ დავინახოთ მოსწავლეთა საერთო ოპოზიციური განწყობილებების გამოხატულება.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის განწყობილებებს კარგად გვიხასიათებს ი. ჯაბადარი, გასული საუკუნის 60—70-იან წლებში თბილისის რეალური გიმნაზიის მოსწავლე, ხოლო შემდეგ „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ აქტიური წევრი. „60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში თბილისის, ისევე როგორც რუსეთის სხვა ქალაქების ახალგაზრდობა, გატაცებული იყო თვითშემოქმედებით, რომელიც უაღრესად მრავალფეროვან ფორმებში ვლინდებოდა, ეს გატაცება ჩვენს ქალაქში იმდენად ძლიერი იყო, რომ თითქმის ყოველი ახალგაზრდა ცდილობდა შეექმნა საკუთარი წრე, თავისი პატარა, მაგრამ აუცილებლად საკუთარი საქმეებით. ამგვარი საქმიანობისათვის ჩვენ გვაქვს ბევრი ახალგაზრდა მოსწავლეებელთა მშვენიერი პლეადა, რომელიც ხელმძღვანელობას გვიწევდა ჩვენს განვითარებაში, გვიწევდა სახლში საუბრისათვის. ხშირად, მთელი საღამოების განმავლობაში საუბრობდნენ ახალგაზრდები ყველაზე უფრო მწვავე საკითხებზე, რომლებიც მათ აღეძრებოდათ ბელინსკის, პისარევის, დობროლიუბოვის სტატიების და აგრეთვე ტურგენევის, დოსტოევის, ტოლსტოის და ნაწილობრივ ჩერნიშევსკის თხზულებათა წაკითხვის შემდეგ. ვამბობ ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჩვენი სიტყვიერების მსწავლეებლები, როგორც იყო ჩვენთვის მეტად საყვარელი გორიაევი, გვაფრთხილებდნენ ჩერნიშევსკის მხატვრულ ღირსებებს მოკლებული რომანით „რა ვაკეთოთ“ გატაცების წინააღმდეგ“... მაგრამ გატაცება ჩერნიშევსკის პიროვნებით იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ საყვარელი მოსწავლეებლის გაფრთხილებები მხოლოდ ოდნავ არყევდა ჩერნიშევსკის ლიტერატურულ ავტორიტეტს, მაგრამ ვერ ფანტავდა იმ მოწამებრივ შარავანდედს, რომელიც მოსწავლეთა თვალში თან სდევდა ჩერნიშევსკის პიროვნებას⁴³.

ჯაბადარი მოგვითხრობს, რა დიდ გამოხმაურებას იწვევდა მოსწავლეთა წრეში მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ეპიზოდები:

42 პრ. რატიანი. თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიკიდან, 1962. გვ. 186.

43 გ. მეგრელიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 349—350.

..ეს იყო მეტად მღელვარე ხანა როგორც ევროპასა, ასევე რუსეთში. რესპუბლიკის დამყარება საფრანგეთში, კომუნისტების აჯანყება პარიზში და ამავე დროს ნეჩაევის პროცესი რუსეთში მეტად გვადღელებდნენ ჩვენ. ჩვენ არ შეგვეძლო უცრემლოდ ლაპარაკი პარიზის დრამაზე, მტრის მიერ გაჩანაგებულ და დამცილებულ საფრანგეთზე. ჩვენი მასწავლებლები უარყოფითად იყვნენ განწყობილი ნეჩაევისა და პარიზის კომუნის მიმართ. ნეჩაევს ისინი პატივმოყვარე პიროვნებად სთვლიდნენ, კომუნისტებს კი შეშლილებად“. მაგრამ მოსწავლეთა გონება ეწინააღმდეგებოდა ასეთ დასკვნას. ისინი, აღნიშნავს ჯაბადარი, ინსტიქტურად გრძნობდნენ, რომ მათი მასწავლებლები სცდებოდნენ და ეძებდნენ პასუხს ახალ შემაშფოთებელ კითხვებზე სხვა გარემოში, სხვა სფეროში, რომელიც მათ გარს ერტყა⁴⁴.

1871 წელს თბილისის რეალურ გიმნაზიაში სწავლის დროს, ჯაბადარს და მის მეგობრებს დაუთარსებიათ საშინაო ბიბლიოთეკა, რომელშიც გარდა სახელმძღვანელოებისა, იყო სხვა ხასიათის წიგნებიც. მაგალითად: ლუი ბლანის ნაწარმოებები, მილის თხზულებანი ჩერნიშევსკის შენიშვნებით, ვერცენის „კოლოკოლი“ და სხვა. მალე ბიბლიოთეკის არსებობა გაიგო რეალური გიმნაზიის ინსპექტორმა ივანენკომ და ერთ საღამოს, როდესაც ჯაბადარი და მისი მეგობრები გატაცებით კითხულობდნენ უურნალ „დელო“-ში გამოქვეყნებულ კორესპონდენციებს პარიზიდან. იგი უეცრად თავს წაადგა ახალგაზრდებს. ინსპექტორის ვიზიტის შემდეგ მოსწავლეთა ბიბლიოთეკას ბოლო მოეღო. თუ გავიხსენებთ სტუდენტთა ბიბლიოთეკების როლს ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში, ჩვენთვის გასაგები გახდება ის შეშფოთება, რომელიც ბიბლიოთეკის არსებობას გამოუწვევია ინსპექტორში. მოსწავლეთა ბიბლიოთეკის შესახებ მას მაშინვე უცნობებია ნევეროვისათვის, მაგრამ ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრებულა. ნევეროვის ბრძანებით ბიბლიოთეკა გადაიტანეს სასწავლებელში, მას მიეცა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე ბიბლიოთეკის ხასიათი, არასახელმძღვანელო ხასიათის წიგნები კი დარჩათ ბიბლიოთეკის დამაარსებელთა⁴⁵.

თანდათან გიმნაზიის წრე გაფართოვდა. „ჩვენ მოგვებურდა ვიწრო წრე. ჩვენ მრავალფეროვნება, ახალი შთაბეჭდილებანი გეწყუროდა. ამიტომ ვცდილობდით ჩვენი წრის გაფართოვებასაო“—იგონებს ჯაბადარი. ახალი გაფართოვებული წრის შემადგენლობაში შედიოდნენ სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ყოფილი სტუდენტები, გამოჩინ-

44 ი ქ ვ ე, გვ. 353—354.

45 ი ქ ვ ე, გვ. 352—253.

ცხლნი იქიდან იქ მომხდარ გამოსვლებში მონაწილეობის გამო, თბილისის სასულიერო სემინარიის უფროსი კლასის მოსწავლენი, პროვრესული შეხედულებების ახალგაზრდა ქალები, თბილისის სხვა სასწავლებელთა მოსწავლენი. მათ შორის იყვნენ მიხეილ ჩიკოძე, თბილისის გამმიჯნელთა სკოლის მოსწავლე და ალ. ციციშვილი, თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე, ორივე შემდეგ ჯაბადართან ერთად გახდნენ „რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ აქტიური წევრები, გადაიტანეს საპატიმრო და გადასახლება. წრის წევრები ეცნობოდნენ ლასალის თხზულებებს, მარქსის „კაპიტალს“. ეს წიგნები მათ გამოუგზავნეს ნაცნობმა პეტერბურგელმა სტუდენტებმა. „ჩვენი წრე — აღნიშნავს ჯაბადარი, წარმოადგენდა თვითგანვითარების წრეს, მის მიზანს შეადგენდა ხალხში პუმიანური განმანათლებლური იდეების შეტანა“

1872 წელს ეს წრე დაშლილა. მისი უმრავლესობა გაემგზავრა რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად, „დარჩენილნი კი ამთავრებდნენ კურსს თბილისის საშუალო სასწავლებლებში და აგრძელებდნენ მოსწავლეთა ახალ რიგებში თვითგანვითარებისა და თვითმედიკაციის ტრადიციებს“⁴⁶.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის წრეებმა უდიდესი როლი შეასრულეს ახალგაზრდობის იდეური აღზრდის, მასში რევოლუციური განწყობილებების გაღვივების საქმეში, რამაც თავი იჩინა ქართველ, სახელდობრ თბილისელ სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაში რუსეთის საერთო რევოლუციურ მოძრაობაში. ამ დებულების საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ეს ამჯერად ჩვენს ამოცანას სცილდება. ამ ფაქტს ადასტურებს ჯაბადარიც, როდესაც აღნიშნავს, რომ „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაცია შედგებოდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისაგან, რომელთაც იდეური მომზადება და წვრთნა გაიარეს ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებლებში რუსეთის სხვადასხვა, ყველაზე უფრო შორეულ რაიონებში“⁴⁷.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურ გათვითცნობიერებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისში 70-იან წლებში არსებულმა ე. წ. „ივანოვის ბიბლიოთეკამ“ (დაარსდა 1870 წელს). მისი შექმნის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო ნ. ნიკოლაძე. მის მუშაობაში, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ილია ჭავჭავაძე,

⁴⁶ გ. მ. გ. რ. ლ. შ. ვ. ი. ლ. დ. სახელებული ნაშრომი, გვ. 356.

⁴⁷ ი. ქ. ვ. გვ. 349.

ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და სხვანი. როგორც პროფ. ტრ. ხუნდაძე აღნიშნავს, „ივანოვის ბიბლიოთეკა არა ივანოვის ან სხვა რომელიმე პირის კუთვნილება ყოფილა, არამედ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მიერ შექმნილი ლიტერატურული კერა—სხვაგვარად „ივანოვის ბიბლიოთეკა“ წარმოადგენდა პოლიტიკურ კლუბს“⁴⁸. ბიბლიოთეკასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობა, ის ამარაგებდა ამ უკანასკნელს აკრძალული ლიტერატურით. როგორც ბიბლიოთეკის გამგე ნ. წულუკიძე იგონებს, ერთ დღეს ბიბლიოთეკა გაუჩხრეკიათ, ეძებდნენ ჩერნიშევსკის რომანს „რა ვაკეთოთ?“ სამკითხველოში ამ დროს ყოფილა მხოლოდ პ. უმიკაშვილი, ხოლო პ. წულუკიძის ოთახში ნესტორ და კოტე მესხები, დავით მიქელაძე, კ. ლორთქიფანიძე იხსდნენ. პოლიციას უპოვნია „სოვრემენიკის“ ნომრები, რომლებშიც ჩერნიშევსკის დასახელებული რომანი იყო დაბეჭდილი. გაჩხრეკეს პ. წულუკიძის და ნ. ნიკოლაძის ბინებიც, რომლებიც იქვე. ბიბლიოთეკის შენობაში იყო მოთავსებული. პეტრე წულუკიძის ბინაში უპოვნიათ „აკრძალული ოციოდე წიგნი სოციალური შინაარსისა“. პოლიციას ისინი დაუტოვებია, რადგანაც დაუსკენია, რომ ამ წიგნებით არავინ სარგებლობდა. „ნამდვილად კი—აღნიშნავს პეტრე წულუკიძე თავის მოგონებაში, — ეს წიგნები დანიშნული იყო სემინარიის შეგირდებისა და სხვა მოსწავლეების საკითხავად, ვისთანაც მალულად დამოკიდებულება გვექონდაო“⁴⁹.

„ივანოვის ბიბლიოთეკამ“ იარსება 70-იანი წლების დასასრულამდე. მოსწავლეთა ოპოზიციურ განწყობილებებს შეუფოთებია არა მარტო სასწავლებელთა ადმინისტრაცია, არამედ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნიც. მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის 1869 წლის 19 აგვისტოს ცირკულარი ავალებდა ქალაქის პოლიციას მკაცრი მეთვალყურეობის დაწესებას თბილისის მოსწავლეთა ყოფაქცევაზე სასწავლებლების კედლებს გარეთ. პოლიცია ვალდებული უნდა ყოფილიყო ეცნობებინა ამა თუ იმ სასწავლებლის უფროსისათვის ყველა იმ ფაქტის შესახებ, რომელთაც შეეძლოთ რაიმე ექვის გამოწვევა მოსწავლეთა კეთილსამედობაში. სასწავლებელთა ხელმძღვანელნი, თავის მხრივ, ასევე უნდა მოქცეულიყვნენ პოლიციის მი-

⁴⁸ ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 213.

⁴⁹ იქვე, გვ. 217.

მართ, ე. ი. მიეწოდებინათ მისთვის ცნობები საკუთარ მოსწავლეთა „საექვო“ საქციელის შესახებ⁵⁰.

1870 წელს თბილისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის დირექტორი, ჩვენთვის კარგად ცნობილი ეელიხოვსკი გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ თეატრში წესრიგის დარღვევასთან დაკავშირებით მიმართავდა სასწავლო ოლქის მზრუნველს: „უნდა მოგახსენოთ, რომ მე მეტად ცუდ მდგომარეობაში ვიმყოფები მოსწავლეთათვის გიმნაზიის კედლებს გარეთ თვალყურის დევნების მხრივ. პოლიციას, რომელსაც მე არა ერთხელ მივმართე, დაბეჭიბებით არ სურს მომაწოდოს ცნობები გიმნაზიის მოსწავლეთა ყოფაქცევის შესახებ. თეატრის დირექციამ უარი მითხრა გიმნაზიის ზედამხედველისათვის უფასო ბილეთის მიცემაზე, ასე რომ მოსწავლენი გიმნაზიის გარეთ ყოველგვარი მეთვალყურეობის გარეშე რჩებიან“. შემდეგ ეელიხოვსკი აღნიშნავდა, რომ იგი მეტად მონდომებულია მოსწავლეებზე კონტროლის განხორციელებაში და სთხოვდა ნევეროვის გავლენა მოეხდინა პოლიციაზე, რათა ამ უკანასკნელს შეესრულებინა მასზე დაკისრებული ვალდებულება⁵¹.

ეელიხოვსკის თხოვნის საპასუხოდ ნევეროვმა განმეორებით სთხოვა თბილისის გუბერნატორს „დაევალებინა პოლიციისათვის ვაჭრდებულ და ზედმიწევნითი კონტროლი თბილისის ორივე გიმნაზიის (კლასიკური და რეალური) და საერთოდ ყველა სასწავლებლის მოსწავლეთა ყოფაქცევაზე“. ნევეროვი ატყობინებდა ამის შესახებ ეელიხოვსკის და მიუთითებდა, რომ თბილისის ორივე გიმნაზიის ხელმძღვანელობამ უნდა დაავალოს გიმნაზიების აღმზრდელებს და მათ თანაშემწეებს მოსწავლეთათვის მკაცრი თვალყურის დევნება ქუჩაში, ალექსანდროვის ბაღში, რაც შეეხებოდა თეატრს, ოლქის მზრუნველი მოითხოვდა, რომ თვით დირექტორებს აეღოთ თავის თავზე იქ მოსწავლეთათვის თვალყურის დევნება, რისთვისაც მათ უნდა პქონოდათ მუდმივი ადგილები თეატრში. თავისი ქვეშევრდომებისათვის, ამას გარდა, ნევეროვი აუცილებლად სთვლიდა, მოსწავლეებს თეატრში წასვლის ნებართვა უშუალოდ დირექტორისაგან მიეღოთ; დირექტორს უნდა სცოდნოდა მათი ადგილებიც⁵².

მთავრობის შიში ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის განწყობილებების წინაშე სჩანს შემდეგ ფაქტშიც: 1869 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ თბილისში გადმოგზავნილი იყვნენ

50 საქ. ცსა, ფ. 422, ანაწ- 1, საქ. 379. ფურც. 3.

51 საქ. ცსა, ფურც. 1.

52 იქვე, ფურც. 6-7.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის ყოფილი მოსწავლენი: ზარაფოკი. ყიფიანი, სულხანიშვილი, შავერდოვი, ორბელიანი, სარაჯიშვილი, ჭლებრიშვილი, იზმაილოვი და სხვანი. 1870 წელს ზოგიერთ მათგანს მისცეს სახელმწიფო სამსახურის უფლება.

მღებრიშვილს წარმოშობის მიხედვით შეეძლო ემსახურა მხოლოდ სასწავლო უწყებაში. ეს შესაძლებლობა კი კატეგორიულად იქნა უარყოფილი ხელისუფლების მიერ.⁵³

ამრიგად, როგორც დავინახეთ, გასული საუკუნის 60—70-იან წლებში თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის წიაღში ადგილი ჰქონდა ეპოქისათვის დამახასიათებელ რევოლუციურ განწყობილებებს. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა მთელს რუსეთის იმპერიაში, რევოლუციური, დემოკრატიული იდეოლოგიის გავრცელება, საქართველოს სინამდვილე — ყველაფერი ეს ქმნიდა საქართველოს, კერძოდ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის წრეში ახალ მიმდინარეობათა (მებრძოლი განწყობილებების) გავრცელების წიადაგს.

რევოლუციური, განმათავისუფლებელი იდეებით გამსჭვალული ქართველი ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის რევოლუციური ძალების ბრძოლაში, რომელსაც თვითმპყრობელობის დამხობა, მშრომელი ხალხის განთავისუფლება და მათი სამშობლო ქვეყნის აღორძინება უნდა მოჰყოლოდა.

⁵³ საქ. ცსა, ფ. 5, საქ. 1157, ფურც. 2.

ი. უთურაშვილი

საპუტარი მიწების ხვედრითი წონის ზრდა აღმოსავლეთ სა-
პარტველოს გლეხურ მიწათმფლობელობაში (1864—1917 წწ.)

ბატონყმობის გადაყარდნის შემდეგ ყიდვა-გაყიდვის იურიდიულ
ობიექტს წარმოადგენდა კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები (მემამუ-
ლეთა და არამემამულეთა მფლობელობა) და ნაწილობრივ ხაზინის
კუთვნილი ე. წ. საღალო თანრიგის მიწები (Оброчные статьи).
მაგრამ სამობილიზაციო მიწის ფონდი მხოლოდ დასახელებულით არ
ამოიწურებოდა, — მას ემატებოდა სახელმწიფო გლეხთა სანადელო
მიწები, რომელთა ყიდვა-გაყიდვა თუმცა იურიდიულად ნებადარ-
თული არ ყოფილა, მაგრამ ფაქტიურად ამ მიწების მნიშვნელოვანი
ნაწილი აგრეთვე ჩაბმული იყო სავაჭრო ბრუნვაში. რაც შეეხება
დროებითვალდებული გლეხების მიერ გამოსყიდულ სანადელო მი-
წებს, ეს მიწები გლეხთა სრულ საკუთრებაში გადადიოდა, ხოლო მისი
მეპატრონე ყოფილი დროებითვალდებული გლეხები მესაკუთრე გლეხ-
თა კატეგორიას შეადგენდნენ.

ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა შესაფერისი მასალისათვის,
რომლის შესწავლაც საშუალებას მოგვცემდა მეტ-ნაკლები სისრულით
წარმოგვედგინა მიწის მობილიზაციის პროცესის ძირითადი კონტურე-
ბი. ამასთან, წყაროები ყოველთვის როდი იძლევიან საშუალებას ყვე-
ლა საინტერესო საკითხზე ამომწურავი პასუხის გასაცემად. ასეთ შემ-
თხვევაში ჩვენ ვკმაყოფილდებით სავარაუდო მოსაზრებათა გამოთქმით.



ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს მიწის ყიდვა-გაყიდვა ფართოდ
გავრცელებული მოვლენა ყოფილა. ამასთან, გლეხი გამოდის როგორც
მიწის მყიდველის ისე გამყიდველის როლში. მიწის ნაკვეთების კერძო

საკუთრების სახით შეძენა შეეძლო ყველა კატეგორიის გლეხს. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ მეზატონეები მიწას ყიდდნენ არა მარტო იმ გლეხებზე, რომელიც მათზე უშუალოდ დამოკიდებული არ იყო, არამედ თავის ყმა გლეხებზედაც.

გორის მაზრის თავადი ივანე აბაშიძე ხელწერილს აძლევდა თავის ყმებს კიკოლა და ზალიკა ბეროზაშვილებს 1852 წ. 20 ნომბერს: მოგყიდეთ მამული და მივიღეთ თქვენგან ორმოცი თუმანი თეთრი ფულიო¹. იმავე მემამულეს მიუყიდია სახაზინო გლეხებისათვის როსტომ და კიკოლა ჭულუხაძეებისათვის სოფელ დგვრისში სახნავი მიწა ორ ნაკვეთად (3 დღიური და 1 დღიური) 350 ვერცხლის მანეთად.

სურამის უბნის სოფ. ყელქცეულის საბატონო გლეხს ადამ ბერდიას ძე წოწოლიაშვილს შეუწყვიდია მამული სახაზინო გლეხის ანდრია ბერუას ძე კახაშვილისაგან, რაშიც 800 მანეთი ვერცხლი გადაუხდია, მამული სახნავი იყო და სამი ნაკვეთისაგან შედგებოდა (3 დღიური, 2 დღ., 3 დღ.)².

სახელმწიფო გლეხს გიორგი მჭედელს უყიდია 28 დეს. სახნავი მიწა აზნაურ დავით რჩეულიშვილისგან, ცხინვალის საპოლიციო უბნის სოფ. ტბეთში, 40 თუმან ვერცხლის ფულად, 1857 წ³.

სახელმწიფო გლეხებს დავით, სოლომონ და ზაქარია ხიზაბარელებს (ხიდისთავის საპოლიციო უბნის სოფ. ჩოჩეთი) უყიდიათ 1 დღიური ვენახი და 3 დღიური სახნავი მიწა სახაზინო გლეხის აბრამ რთველიაშვილისაგან 400 ვერცხლის მანეთად.

სოფ. ქვემო ნიჭოზის მცხოვრებ საეკლესიო გლეხებს ბესარიონ და ანტონ საძაგლიშვილებს ცხინვალელი ხახამ მანაშეროვისათვის მიუყიდნიათ 2 დღიური ვენახი, 600 ვერცხლის მანეთად, 1858 წელს⁴.

სახაზინო გლეხს გიორგი პაპისიმედაშვილს უყიდია ვენახი სოფ. ცხინვალში 45 თუმან ვერცხლად. კენიან რახილ ამილახვარისგან.

სახაზინო გლეხს გიორგი ოქუევეს უყიდია 4 დღიური სახნავი მიწა 400 ვერცხლის მანეთად, სახაზინო გლეხის დიმიტრი მუკნიაშვილისაგან, სოფ. ხიდისთავში 1861 წელს⁵.

ახალციხის მაზრის სოფ. წყალთბილას მცხოვრებ სახელმწიფო

1 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო სისტორიო არქივი (საქ. ცსსა), ფონდი 138, საქმე 3, ფურცელი 50.

2 საქ. ცსსა, ფ. 126, საქმე 1447, ფურც. 2.

3 საქ. ცსსა ფ. 126, საქმე 800, ფურც. 1—4.

4 საქ. ცსსა, ფ. 126, საქმე 822, ფურც. 2.

5 საქ. ცსსა, ფ. 126, საქმე 898, ფურც. 4.

გლეხებს ხეხილის ბაღები XIX ს. 30-იან წლებში უყიდათ. რაზედაც დამოწმებული საბუთებიც ჰქონიათ⁶.

საგლეხო რეფორმამდელ პერიოდში რომ გლეხებს საკუთრებაში ჰქონდათ მიწა და მასზე გაშენებული ბაღ-ვენახები, ამაზე მიუთითებს აგრეთვე ჰაკსტაუზენიც, რომელმაც ჩვენში 1843 წ. იმოგზაურა. გერმანელი მოგზაური გვაწვდის რა ცნობებს სოფ. მარტყოფის შესახებ, ამბობს: „ბაღ-ვენახებიდან აქ ახდევინებენ ბოსტნეულისა და ღვინის მოსავლის მეხუთედ ნაწილს (კულუხი). სხვა ადგილებში ბაღ-ვენახები გლეხთა საკუთრებას შეადგენს და ისინი არაფერს არ იხდიან ისევე როგორც სახლებისათვის, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნის გლეხებს“⁷. ამასთან ჩანს, რომ შეძლებული გლეხები მიწის ყიდვას ესწრაფოდნენ. „ბევრ ადგილებში, ამბობს ჰაკსტაუზენი, სახაზინო გლეხთა კეთილდღეობა იზრდება, ისინი ხშირად აგროვებენ ათასობით მანეთს, რასაც იყენებენ მამულების საკუთრებაში შესაძენად. ეს ძნელი არ არის, რადგანაც თავადაზნაურობა ხალხით ჰყიდის მიწას განსაკუთრებით იმ საზოგადოებაში, სადაც ხაზინა და მემამულეები ერთად ფლობენ გლეხებსა და მიწას“⁸.

ცნობილია, რომ ბატონყმობის გადავარდნის დროს მებატონეთა უმრავლესობა მათი ყმების მთელ მამულებს, მათ შორის ეზოებსა და სყიდვის საშუალებით შეძენილ გლეხთა სხვა საკუთარ მიწებს, მემამულეთა საკუთრებად აცხადებდა. ნაყიდ მიწებზე საკუთრების უფლების დადასტურების მიზნით გლეხებმა საგლეხო საქმეთა დაწესებულებებში მრავალი ათასი ნასყიდობის საბუთი წარადგინეს. მოვიტანთ რამდენიმე საბუთის მოკლე შინაარსს.

სოფ. ქორდის მცხოვრები დროებითვალდებული გლეხი დათუა არჩეაძე საგლეხო საქმეთა თბილისის საგუბერნიო საკრებულოს სთხოვდა ეცნოთ მისი უფლება იმ ორ დღიურ ვენახზე, რომელიც მისმა ნაბატონარმა აზნაურმა იოსებ გედევანიშვილმა მიითვისა. ეს მიწა გლეხებს 1788 წელს უყიდათ (ჯერ უყიდათ მიწა, შემდეგ კი ვენახი გაუშენებიათ). გაშენებული ვენახის ნახევარი XIX საუკ. 40-იანი წლების შუახანებში ბატონს მათთვის ჩამოურთმევია. ამის გამო გლეხებს სასამართლოში უჩივლიათ; საქმე საგირავნო გარიგებით დამთავრებულია. საკრებულომ ვენახი არჩეაძეს დაუმტკიცა 1869 წელს⁹.

6 Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края (МДИЭБГЖЗК), т. III, ч. II, стр. 87.

7 Г а х с т г а у з е н. Закавказский край. Заметки о семейной и общественной жизни, СПб, 1857, часть I, стр. 70.

8 ი ქ ვ ე, ვვ. 71.

9 საქ. ცსსა, ფ. 220, საქმე 115.

საგუბერნიო საკრებულომ 1866 წელს განიხილა სოფ. კავთისხევის გლეხების პეტრე, ანდრია და გერმანოზა თხინვალელების თხოვნა, რათა თავად ლუკა თარხანმოურავს მათთვის გადაეცა სხვადასხვა ადგილას მდებარე გლეხთა საკუთარი მამული. საქმე ეხებოდა უმთავრესად სახნავ მიწებს. გლეხებმა წარადგინეს შინაური წესით შედგენილი საბუთები, რომლებშიც წლები ქართული ქორონიკონით იყო აღნიშნული $\left(\frac{312}{1625}; \frac{355}{1667}; \frac{439}{1751}; \frac{377}{1688} \right)$. მემამულემ არ სცნო ამ საბუთების სისწორე, ამასთან გლეხები ამ მიწებით სარგებლობისათვის ღალას იხდიდნენ, რაც გლეხებმაც დაადასტურეს. საკრებულომ საქმე ნემამულის სასარგებლოდ გადაწყვიტა¹⁰.

სოფ. ხოვლეს მცხოვრებმა დროებითვალდებულმა გლეხმა სიმონ ჯალალმა საგუბერნიო საკრებულოში წარადგინა 1792 წლის მაისში შედგენილი საბუთი მისი წინაპრების მიერ ვენახის ნასყიდობის თაობაზე. გორის მაზრის სასამართლოს 1832 წლის 23 ივლისის დადგენილებით აღნიშნული ვენახის ნახევარი სიმონის ბიძას გლახა ჯალალს საკუთრებად დაუმტკიცდა. შემდეგში გლახას საკუთრება მემკვიდრეობით გადაეცა სიმონ ჯალალს. მიუხედავად ამისა თავადი იოსებ და ილია ვეზირიშვილების მამამ აიძულა ჯალალები აღნიშნული საკუთარი ვენახიდან კულუხი მისთვის ეძლიათ. ვეზირიშვილები სოფ. ოსიურის მემამულეები იყვნენ. სიმონ ჯალალი სთხოვდა საკრებულოს ეცნოთ ვენახი მის საკუთრებად. ვეზირიშვილებმა განაცხადეს, რომ 1792 წლის საბუთი არა სწორია (ხელს აწერს ვინმე გიორგი, ხოლო გვარი არ ჩანს, ვენახის საზღვრები მითითებული არ არის, საბუთი შედგენილია ერთი ხელით), ხოლო სასამართლოს 1832 წლის დადგენილებას არ ვიცნობდით, რადგანაც წერა-კითხვა არ ვიცითო. საკრებულომ საკითხი ორჯერ განიხილა და ორივეჯერ ვენახი გლეხს მიაკუთვნა (1870 წლის 13 მარტს და 1872 წ. 12 იანვარს). მემამულეებმა საქმე მეფისნაცვალთან გაასაჩივრეს, მაგრამ მათი საჩივარი უშედეგოდ დატოვა კავკასიის ნაცვლის მთავარმა სამმართველომ (საბუთს ხელს აწერს სამმართველოს უფროსი სენატორი ბარონ ა. ნიკოლაი)¹¹

დროებითვალდებულმა გლეხებმა მოსე და წყალობა ებიტაშვილებმა საგუბერნიო საკრებულოში წარადგინეს ნასყიდობის დამადასტურებელი საბუთები 1752, 1755 და 1834 წლებსა. 1752 წლის ხელშეკრულებით გლეხის წინაპრებს უყიდიათ ვენახი, 1755 წლის ხელშეკრულებით—3 დღიური სახნავი მიწა, ხოლო 1834 წელს—3 დღიური მი-

¹⁰ საქ. ცსსა, ფ. 220, საქმე 50.

¹¹ საქ. ცსსა, ფ. 220, საქმე 166.

წა. საკრებულომ განიხილა საქმე და ნასყიდობის საბუთებიდან ერთი (1755 წლისა) ნამდვილ საბუთად არა სცნო, დანარჩენი საბუთების მიხედვით კი გლეხები დააკმაყოფილეს¹².

მეთის მმართველობა და მისი სხვადასხვა დაწესებულება წარმოადგენდა რა კლასობრივი ბატონობის იარაღს, გასაგებია, უმეტესად ცდილობდა საქმე მემამულეთა სასარგებლოდ წარემართა: მაგალითად, 1869 წ. თბილისის გუბერნიის მომრიგებელ შუამავლებს გაურჩევიათ გლეხთა 164 ნასყიდობის სიგელი. სასამართლომ გლეხთა საკუთრებად აღიარა შესყიდული მიწები მხოლოდ 36 სიგელით¹³. დანარჩენი საბუთების მიხედვით გლეხების სარჩელი უშედეგოდ დატოვეს. გლეხთა მიერ მიწის საკუთრების გამო აღძრული საქმეების გარჩევის დროს მემამულეები ყოველნაირად ცდილობდნენ გაებათილებინათ გლეხთა მიერ წარდგენილი ნასყიდობის საბუთები, ყალბ საბუთებად მათი გამოცხადების გზით. ნასყიდობის საბუთები ხშირად შინაური წესით იყო შედგენილი და იურიდიულად მართლაც დიდად მოიკოჭლებდნენ. მათში ნასყიდი ნაკვეთების მდებარეობა, საზღვრები და სხვ. უმეტეს შემთხვევებში ზუსტად არ იყო დასახელებული. ამასთან, გლეხთა მხრივ ზოგჯერ ვხვდებით ყალბი საბუთების წარდგენის შემთხვევებსაც. მაგალითად, გლეხმა მზექალაშვილებმა (გორის მაზრა, სოფ. ბრეთი) პრეტენზია განაცხადეს თავადი ავალიშვილის სახნავ მამულზე და წარადგინეს. შინაურული საბუთები, რომლებიც ყალბი აღმოჩნდა (მაგალითად, 1839 წლის ხელშეკრულება შედგენილი იყო 1844 წლის ღერბიან ქალაღზე).

გლეხთა მიერ წარდგენილი ნასყიდობის საბუთების უდიდესი უმრავლესობა უეჭველია ნამდვილი საბუთები იყო, ხოლო მიწის ყიდვა-გაყიდვა ჩანს ფართო მასშტაბით წარმოებდა როგორც ძველად, ისე რეფორმის უახლოეს წინა წლებში. ამას ადასტურებდა თვით აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა 1910 წელს წარმოდგენილ საბუთში. აქ ნათქვამია „გლეხთა კერძო საკუთრების ინსტიტუტი უძველესი დროიდანაა დაწესებული“, ხოლო „გლეხთა საკუთრების უფლ-

12 საქ. ცსსა, ფ. 220, საქმე 302.

13 ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში, 1965, გვ. 96.

ბის აქტების სიმრავლე დამადასტურებელია ამ აზრის სისწორისაო“—
დაასკვნოდა თავადაზნაურობა¹⁴.

რეფორმამდელ საქართველოში გლეხობის მიერ მიწის საკუთრების სახით შექმნის მასშტაბზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის გლესთა მიერ სათანადო ინსტანციებში ნასყიდობის დამადასტურებელი მრავალი ათასი საბუთის წარდგენის ფაქტი საგლესო რეფორმის გატარების დროს. მარტო საგლესო საქმეთა თბილისის საგუბერნიო საკრებულოს გაურჩევია გლესთა მიწის საკუთრების დამადასტურებელი 40 ათასამდე საბუთი, მაგრამ მხოლოდ ამ რაოდენობით როდი ამოიწურებოდა გლესთა მიერ სათანადო ინსტანციებში წარდგენილი საბუთების საერთო რიცხვი, რომელიც აღემატებოდა დასახელებულ ციფრს.

*

*

რეფორმის შემდეგ მიწის ყიდვა-გაყიდვის აღრევე დაწყებული პროცესი უფრო უნდა გაძლიერებულყო, რაც ჩანს ასეც მომხდარა. მაგრამ დროებითვალდებულ გლესთა ყურადღება რეფორმის გამოცხადების წელსაც და ერთხანს შემდეგაც, უმთავრესად საწესდებო სიგლების შედგენის საქმეზე იყო მიქცეული. ამასთან ნაღლეების გამოსყიდვა ხდებოდა უფრო რთულ და მძიმე პირობებში, ვიდრე მემამულისგან ან სხვა რომელიმე პირისგან არასანადგლო მიწის რომელიმე ნაკვეთის ყიდვა. რეფორმის გამოცხადებიდან 40 წლის ვასელის შემდეგ (1865—1904 წწ.) დროებითვალდებულ გლესებს სულ გამოსყიდული ჰქონდათ 17452 დესეტ. მიწა (საკარმიდამო, სახნავე, ბალ-ვენახები), ხოლო გამოსასყიდი რჩებოდა ამ რაოდენობაზე 3-ჯერ მეტი—58866 დეს.¹⁵ ამ დროისათვის დროებითვალდებულ გლესთაგან მესაკუთრე გლესთა კატეგორიაში გადასული იყო 4595 კომლი.

1904 წლიდან ვიდრე 1912 წლის 20 დეკემბრის კანონის მიღებამდე, მესაკუთრე გლესთა რიცხვი, ისევე როგორც მათ მიერ გამოსყიდული მამულების ოდენობა, ცხადია, მატულობდა, ხოლო 1912 წ. 20 დეკემბრის კანონით 1913 წ. 1 იანვრიდან, ყველა დროებითვალდებული გლესი მესაკუთრე გლესთა კატეგორიაში გადაირიცხა და სანადგლო მიწები მათ სრულ საკუთრებად ჩაითვალა. ამ მიწების გარდა

¹⁴ Сельское хозяйство и аграрные отношения, составил проф. П. В. Гу-
гушвили (СХАО), т. IV, стр. 227.

¹⁵ Центральный государственный исторический архив СССР в Ленинграде (ЦГИАЛ), ф. 1405, оп. 107, д. 20573, л. 445—446, 1905 г.; Сборник стат. сведений о частном землевладении в Тифл. и Кут. губ., под ред. Ф. Гогичаишвили, 1910 (СССЧЗТКГ), стр. 430—431.

ამ მესაკუთრე გლეხების ხელში იმყოფებოდა სხვა საშუალებით შეძენილი საკუთარი მიწებიც, რომელთა ფართობს სათანადო მონაცემების უქონლობის გამო ვერ განვსაზღვრავთ.

რაც შეეხება კერძომფლობელთა მიწებზე მცხოვრებ სახელმწიფო გლეხებს (რომელთა მიწათმოწყობა 1870 წ. და 1877 წ. საქანონმდებლო აქტებით ჩატარდა). ისინი ფაქტიურად აგრეთვე დროებით სავალდებულო ურთიერთობაში იყვნენ, მათ განკარგულებაში მყოფი ნაღებების ფართობი (საკარმიდამო. სახნავი, ბაღები, სათიბი) 51550 დეს. უდრიდა¹⁶. ამასთან ამ კატეგორიის გლეხებს 1913 წლამდე მიწების გამოსყიდვა ფაქტიურად არ მოუხდენიათ და კვლავ სავალდებულო ურთიერთობების მძიმე პირობებში რჩებოდნენ¹⁷. მხოლოდ 1913 წელს ამ გლეხებს ნაღებები კერძო საკუთრებაში გადაეცათ.

ბატონყმობის გადავარდნამ კიდევ უფრო გააძლიერა გლეხთა მისწრაფება მიწების შეძენისადმი და მათ ხელში საკუთარი მიწების საგრძნობი რაოდენობა გროვდება. მაგრამ მიწის სყიდვის უამრავი აქტი არსად არ აღინუსხებოდა და არ არსებობს საშუალება სხვადასხვა კატეგორიის გლეხთა საკუთარი მიწის ზუსტი ფართობის დასადგენად. ამავე დროს ვერ დგინდება სხვადასხვა კატეგორიის გლეხთა იმ კომპლექსის რაოდენობა, ვისაც საკუთარი მიწები გააჩნდა. თუ დროებით-ვალდებულები გლეხი, რომელიც სანადელო მიწას გამოისყიდოდა მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში გადადიოდა, სახელმწიფო გლეხი, რომელიც, ვთქვათ, სახელმწიფო მიწასაც ჰქონდა, მაგრამ სხვა მიწაც ჰქონდა ნაყიდი, მესაკუთრეთა კატეგორიის არ მიეკუთვნებოდა და ის იურიდიულად კვლავ სახელმწიფო გლეხად ითვლებოდა. ამავე დროს ბევრ მათგანს საგრძნობი რაოდენობით გააჩნდა საკუთარი მიწა.

სახელმწიფო გლეხები განუწყვეტლივ ცდილობდნენ მიწების ყიდვას, რის დამადასტურებელი არა ერთი საბუთი მოიპოვება. მაგალითად, 1864 წლის დეკემბერში სახელმწიფო გლეხს შაბურ ედილაშვილს 7 დესეტ. მამული უყიდნია სოფ. ბრეთში თავად რაყდენ ივანეს ძე კვალიაშვილისგან 50 თუმან ვერცხლის ფულად¹⁸. კავთისხეველ სახელმწიფო გლეხს ესტატე მქედლიშვილს 1865 წ. ერთი დღიური სახნავი მიწა უყიდნია აზნაურ ნიკარლოზ და ელიზბარ მაღალაშვილებისაგან 200 მანეთად¹⁹ და სხვ.

¹⁶ Свод статистических данных о землевладении в Тиф. и Кут. губерниях, под ред. Е. Коидратенко, 1893 (ССДЗТКГ), Приложение III, стр. 1—17.

¹⁷ «Поселяне совершенно не выкупали наделов и выкупная операция провсалилась» (С. А в а л и а н и, Крестьянский вопрос в закавказье, т. IV, стр. 13).

¹⁸ საქ. ცსსა, ფ. 126, საქმე 997, ფურტ. 5 — 6; 1865.

¹⁹ საქ. ცსსა, ფ. 126, საქმე, 989, ფურტ. 3, 1865.

მიწების კონცენტრაცია მდიდარ გლეხთა ხელში სავსებით აშკარაა 70-იან წლებში და უფრო ადრე. მაგალითად, 1874 წლისათვის სოფ. მარტყოფის სახელმწიფო გლეხთაგან ზედაფენას საგრძნობი რაოდენობით გააჩნდა როგორც სანადელო, ისე საკუთარი მიწები. აქაური გლეხის ილარიონ ძამაშვილის სანადელო ნაკვეთები შეადგენდა 43 დეს. (40 დეს. სახნავი მიწადორი, 2,5 დეს. ბოსტანი და ვენახი, 0,5 დეს. საკარმიდამო), რომლის გარდა მას 5 დეს. საკუთარი მიწა ჰქონია. იოსებ სამკეჯაშვილს 31,5 დეს. სანადელო მიწა და 16,6 დეს. საკუთარი მიწა სჭერია. ადამ სამკეჯაშვილს 32 დეს. სანადელო და 7 დეს. მეტი საკუთარი მიწა და ა. შ.

ბორჩალოა მაზრის სოფ. ვორონცოვეკის რუს კოლონიატებს 1870 წ. თავად მაკარ ორბელიანისაგან შეუსყიდიათ 7 ათასი დეს. სახნავ-სათესი და საძოვარი მიწები. აგრეთვე 1000 დეს. ტყე. მიწის მთელი ფასი ხაზინის მიერ მიცემული სესხით გაუტუმრებიათ. სულ გადაუხდიათ 56 ათასი მანეთი, ანუ დესეტინაზე 7 მანეთი. 1882 წ. ვორონცოვეკელი მალაკნების 59 კომლს შეუძენია ვახტანგ ორბელიანისგან 3311 დეს. მიწა 52980 მანეთად. ანუ დესეტინაში 16 მანეთი გადაუხდიათ. 80-იანი წლებისათვის ვორონცოვეკელ სახელმწიფო გლეხთაგან ბევრი კომლი 200—350 დეს. მიწის პატრონი იყო. ეკატერინენფელდელ (ბოლნისი) გერმანელ კოლონისტებს. 1880—1885 წწ. თავად ორბელიანისა და კნენა მუხრანბატონისგან შეუსყიდიათ 2790 დეს. მიწა. რაშიც 60300 მანეთი გადაუხდიათ, ალექსანდერსგილფელ (წალკა), გერმანელებს კნენა ერისთავისგან შეუძენიათ 565 დეს. მიწა 7350 მანეთად. ამავე პერიოდში ადგილობრივი მემამულეებისგან ბევრი პატარ-პატარა ნაკვეთი შეუძენია 153 კომლ სახელმწიფო გლეხს, რომელთა შორის იყვნენ ქართველები, სომხები და „თათრები“²⁰.

XIX ს. 90-იანი წლების ცნობით ბორჩალოს მაზრის სოფ. ჭელალ-ოდლის 2 გლეხურ კომლს 712 დეს. საკუთარი მიწა ჰქონია. სოფ. სალამალეიქში ერთ გლეხს ეკუთვნოდა 2.000 დეს. საკუთარი მიწა (400 დეს. სახნავი, 1.000 დეს. სათიბი და 600 დეს. საძოვარი). ამავე ხნისთვის სოფ. დიდი შულაერის გლეხთა ამხანაგობებს შეძენილი ჰქონდათ 2.200 დეს. საკუთარი მიწა. სოფ. ბოლნის ხაჩინში 8 კომლს 300 დეს. მიწა შეუსყიდნია²¹.

XIX საუკ. 80-იან წლებში შიგნით კახეთის 646 სახელმწიფო გლე-

²⁰МДИЭВГКЗК, т. VII, стр. 473.

²¹ Район Тифлиско-Карсско-Эриванской железной дороги в экономическом и коммерческом отношениях. Тифлис, 1897, стр. 57—58.

ხურ კომლს 436,4 დეს. ვენახი ჰქონია საკუთრებად, ხოლო 555 კომლს 1226,77 დეს. სახნავი მიწა. კახეთის სახელმწიფო გლეხთაგან საკუთარი მიწები უფრო მეტი რაოდენობით გააჩნდათ სამ სოფელში (შილდა, ენისელი, კონდოლი). შილდაში სახელმწიფო გლეხთა 346 კომლს ჰქონდა 221,96 დეს. ვენახი საკუთარ მიწაზე. ხოლო 163 კომლს—257,27 დეს. საკუთარი სახნავი მიწა. ეს მაშინ, როცა შილდაში ამ დროს სულ ყოფილა სახელმწიფო გლეხთა 400 კომლი, რომელთაც სახელმწიფო სანადელო მიწაზე ვენახები 58,31 დეს. ფართობზე ჰქონიათ, ე. ი. თითქმის 4-ჯერ ნაკლები, ვიდრე საკუთარ მიწაზე. სახნავი მიწის საერთო ფართობი კი სახელმწიფო სანადელო მიწაზე შეადგენდა 1014 დეს., რაც თავის მხრივ თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა საკუთარი სახნავი მიწების ფართობს.

სოფ. კონდოლში სახელმწიფო გლეხთა 25 კომლს საკუთარ მიწაზე გაშენებული ჰქონია ვენახი 31 დეს. ფართობზე, ხოლო 47 კომლს გააჩნდა 151 დეს. საკუთარი სახნავი მიწა. ამ სოფელში სულ იყო 240 კომლი სახელმწიფო გლეხი, რომელთაც სახელმწიფო სანადელო მიწაზე ჰქონიათ 139 დეს. ვენახი, სახნავი კი 400 დეს. შეადგენდა

სოფ. ენისელში 15 კომლს ჰქონია ვენახი საკუთარ მიწაზე 10 დეს. ფართობზე, 111 კომლს კი 356 დეს. საკუთარი სახნავი. ამ სოფელში იყო სახელმწიფო გლეხთა 248 კომლი, რომელთაც სახელმწიფო მიწებზე გაშენებული ჰქონიათ 187 დეს. ვენახი, სახნავ-სათესს კი სჭერია 450 დეს.²²

დუშეთის მაზრაში სახელმწიფო გლეხთაგან ბევრს ჰქონდა შექმნილი საკუთარი მიწა საგრძნობი რაოდენობით. მაგალითად, სოფ. ბაზალეთში საკუთარი მიწა ჰქონიათ 120 დესეტ. ფართობის, ბოდორნაში — 20 დეს., გრემისხევში — 100 დეს., ყვავილში — 50 დეს., მისაქციელში — 50 დეს., საკრამულოში — 200 დეს. და სხვ.

გორის მაზრის მარტო 38 სოფელში 547 კომლს (1606 კომლიდან) საკუთარი მიწა ჰქონდა შექმნილი მემამულეებისაგან 840 დეს. ოდენობით. აქედან: საკარმიდამო ნაკვეთები — 8,04 დეს., ბალ-ვენახები — 70,71 დეს., სახნავი — 761,1 დეს., ამ სახნავი მიწებიდან სარწყავი იყო 527,85 დეს., ხოლო ურწყავი — 233,25 დეს.²³

ეს საკუთარი მიწები არათანაბრად ნაწილდებოდა საკუთრების მქონე სახელმწიფო გლეხთა შორის: კერძოდ, გორის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ზემოთ დასახელებულ 547 კომლთაგან ნახევარს (272

²² МДИЭБГКЗК, т. V, ч. I, стр. 144—148.

²³ МДИЭБГКЗК, т. V, ч. II, стр. 29—31.

კომლს) მხოლოდ თითო დესეტინა საკუთარი მიწა ჰქონდა. დანარჩენებისგან კი: 105 კომლს ეკუთვნოდა 1—2 დეს. თითოეულს, 120 კომლს — 2—5 დეს., 41 კ. — 5—10 დეს., 7 კ. — 10—20 დეს., 2 კომლს — 20 დეს. მეტი თითოეულს²⁴.

, სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის გამომკვლევთა მიერ შეგროვილი მასალა ასახავს მხოლოდ სახელმწიფო გლეხთა იმ საკუთარი მიწების რაოდენობას, რაც მმართველობის მიერ გლეხთა კანონიერ საკუთრებად იყო მიჩნეული. მოტანილი ციფრები არ შეიცავს მთელ იმ მიწებს, რაც სახ. გლეხებს ფაქტიურ საკუთრებაში ჰქონდათ. თვით მმართველობის თვალსაზრისით იურიდიულად სწორი ნაყიდობების გზით სახ. გლეხთა ხელში მოხვედრილი საკუთარი მიწების ფართობი მნიშვნელოვნად მეტი იყო ვიდრე ეს მოტანილი აქვთ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოხელეებს „მასალებში“²⁵.

სახელმწიფო გლეხებზე ნაანგარიშევი იყო მხოლოდ ის საკუთარი მიწები, რაც შეძენილი იყო უპირატესად მემამულეებისგან, რაც შეეხება სხვა გზით შეძენილ საკუთარ მიწებს, კერძოდ, ერთი სახელმწიფო გლეხისგან მეორის მიერ შეძენილ ე. წ. სანადელო მიწებს, მათ შესახებ აქ არაფერია ნათქვამი, ეს უბრალოდ აიხსნება იმ პრეტენზიით, რასაც სახელმწიფო აცხადებდა სახ. გლეხთა სანადელო მიწებზე, როგორც მხოლოდ და მხოლოდ სახაზინო საკუთრებაზე.

სახელმწიფო გლეხთა სახაზინო სანადელო მიწები ყიდვა-გაყიდვის ობიექტს წარმოადგენდა. რაზედაც ერთხმად მიუთითებენ სახ. გლეხთა ეკონომიური ყოფის მკვლევარები 80-იან წლებში. მაგალითად, „დღეშეთის მაზრის სახელმწიფო გლეხთა შორის სხვადასხვა სახის საფარგულების, უპირატესად სახნავი ნაკვეთებისა და ვენახების ყიდვა-გაყიდვა სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა“²⁶. ს. მაჩაბელი წერდა „თბილისის მაზრაში სახ. გლეხები სანადელო მიწებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ჰყიდვიან არამარტო თანასოფლელებზე, არამედ გარეშე პირებზეც. გლეხთა მიერ გაყიდული ყველა მიწის შესახებ ცნობების შეკრება ვერ შეეძელი, რადგანაც გაყიდული ნაკვეთების რიცხვი ძლიერ დიდია... მიუხედავად დიდი სურვილისა გლეხებს არ შეეძლოთ გაეხსენებინათ გაყიდვის ყველა შემთხვევა, რადგანაც გაყიდვა უძვე-

²⁴ МДИЭБГКЗК, т. VI, ч. I, стр. 156.

²⁵ ს. მაჩაბელი წერდა: „ზევრ სოფელში გლეხები მალავდნენ ან ამცირებდნენ ნასყიდი საკუთარი მიწების რაოდენობას, ამიტომ საჭიროა დაეუშვათ, რომ მათი სიდიდე მნიშვნელოვნად აღემატება ჩვენს მიერ შეკრებილი ცნობების საფუძველზე გამოყვანილ სიდიდეებს“ (МДИЭБГКЗК, т. VI, ч. I, стр. 158—159).

²⁶ МДИЭБГКЗК, т. V, ч. II, стр. 25.

ლესი დროიდან მომდინარეობს“²⁷. გორის მაზრის შესახებ აღინიშნებოდა, რომ „მიწის გადანაწილების შესახებ ხმების გავრცელებამდე მიწის სავარგულების ყიდვა-გაყიდვა მაზრაში ჩვეულებრივი მოვლენაა. სახაზინო მიწებს გლეხები ჰყიდდნენ როგორც სახ. გლეხებზე ისე სხვა პირებზე, ხოლო როცა ზოგიერთ სოფელში დაიწყეს მიწის გადანაწილება, რაშიც გაყიდული მიწებიც მოაქციეს, მას შემდეგ მყიდველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა“²⁸.

სახაზინო სანადელო მიწების ყიდვა-გაყიდვის იურიდიული მხარე შემდეგი სახით წარმოგვიდგება. დუშეთის მაზრაში „ყიდვა-გაყიდვა არავითარი საბუთებით არ ფორმდება ან იღება შინაური ხელწერილები, რომლებიც ხშირად ძალზე ბუნდოვანი ხასიათისანი არიან“²⁹. გორის მაზრაშიაც „სახაზინო მიწების გაყიდვაზე საბუთების უმეტესობა დამოწმებულია სოფლის თანამდებობის პირთა მიერ, რომლებიც ამჟამად უარს ამბობენ კვლავ დაამოწმონ ასეთი საბუთები. ასეთი ჯურის საბუთებს სასამართლო ორგანოები კანონიერ საბუთებად არ სთვლიან. ამიტომ სახაზინო მიწის შეძენის მსურველები სხვა გაძოსავალს ნახულობენ. ისინი მიწას კი არ ყიდულობენ, არამედ გირაოში იღებენ ისე, რომ ვალის გადახდამდე მიწა მათ სარგებლობაში რჩება. სოფლის მოხელეები ასეთი წესით შედგენილ საგირავნო ფურცლებს ამოწმებდნენ და ის საცხებით კანონიერ საბუთებად ითვლებოდა. გლეხების თქმით, ასეთ გირავნობის ფურცლებში, არა იშვიათად, ეალი ნამდვილზე ხუთჯერ მეტი ოდენობით აღინიშნებოდა. გასაგებია, რომ ასეთი სახის გირავნობა გაყიდვის თანასწორია, რადგანაც გლეხს არასდროს არ შეუძლია გადაიხადოს გირავნობის ფურცლებში ნაჩვენები თანხა“³⁰.

ასეთი წესი მიწის ყიდვისა გავრცელებული იყო უმთავრესად სახნავ მიწებზე. რაც შეეხება ბალ-ვენახებს და საკარმიდამო ნაკვეთებს, ეს სავარგულები თავისუფლად იყიდებოდა, რადგანაც, გლეხების თქმით, „იყიდება არა მიწა, არამედ მასზე გაწეული ამაგი“. გარდა აღნიშნულისა, ბალ-ვენახების გასხვისება ხდებოდა სასამართლოს დადგენილებითაც, სასამართლო გლეხის ვალის დასაფარავად მის ბაღს ან ვენახს ჰყიდდა“³¹.

მიწას ჰყიდდა უმეტესად წვრილი მამულის მფლობელი სახელმწი-

27 МДИЭБГКЗК, т. V, ч. I, стр. 208.

28 МДИЭБГКЗК, т. VI, ч. I, стр. 173.

29 МДИЭБГКЗК, т. V, ч. II, стр. 25.

30 МДИЭБГКЗК, т. VI, ч. I, стр. 173.

31 МДИЭБГКЗК, т. V, ч. I, стр. 208.

ფო გლეხი. რადგანაც ძალიან წვრილ მამულში „მეურნეობის მოწყობა თითქმის უაზროა და ასეთი ნაკვეთების მესაკუთრე ამჯობინებს ზოგჯერ მიჰყიდოს ის თავისი საზოგადოების უფრო მსხვილ მიწისმფლობელს, ვიდრე თვითონვე მისდიოს 'ხვანა-თესვას'“³². წვრილი მიწისმფლობელისგან მიწას ჩვეულებრივ მსხვილი მფლობელი ყიდულობდა, ე. ი. ხდებოდა მიწების თავმოყრა გლეხთა ზედაფენის ხელში. ამის გამო სახ. გლეხებზე სანადელო მიწები ძალზე არათანაბრად ნაწილდებოდა³³.

მიწების გამყიდველის როლში გვევლინებიან უმთავრესად მემამულეები, ბანკები (ბანკის ხელში თავს იყრის ვალის დაუფარაობის შედეგად დარჩენილი და მის მიერ გასაყიდად შექმნილი საგრძნობი ფართობის მამულები), აგრეთვე ცლენები (უმთავრესად წვრილი მამულების მფლობელები), ხაზინა (მცირე ზომის ზოგი სადალო მუხლის სახით), საუფლისწულო უწყება (რომელიც მისთვის მოუხერხებელ ადგილებში მდებარე ზოგიერთ ნაკვეთს ჰყიდდა) და სხვ. ხოლო მყიდველებად: გლეხები (უპირატესად ზედაფენა), ცალკეული პირები — ვაჭრების, მრეწველების, მემამულეების, მოხელეთა წრიდან და ზოგიერთი სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები. აგრეთვე საუფლისწულო უწყება და ბანკები (ეს უკანასკნელი შუამავლის როლში გამოდის).



XIX საუკ. 90-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი XX საუკ. დასაწყისიდან მნიშვნელოვნად ფართოვდება მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესი. უფრო მემამულური მიწების გაყიდვის ხარჯზე, რაც აგრარული მოძრაობის გაძლიერებითაც ყოფილა შეპირობებული. მოვიტანოთ ერთი დოკუმენტის (ბანკის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, შედგენილი 1907 წ. 14 ივნისს) მოკლე შინაარსი. საქმე ეხებოდა გორის მაზრის ბრეთის, რუისის, კარალეთის, თამარაშენის, წუნარის. ცხინვალის, შინდისის სასოფლო საზოგადოებებს (89 სოფელი, 5543 კომლი, 33398 სულით) და სხვა ახლო მდებარე დასახლებულ პუნქტებს. ბარათში ნათქვამია: „საერთოდ მიწის ყიდვა-გაყიდვა ამ ადგი-

32 МДИЭБГКЗК, т. V, ч. I, стр. 25.

33 მაგალითად, 1874 წლის ცნობით სოფ. საგარეჯოში სახ. გლეხთა 434 კომლზე მიწები ასე ნაწილდებოდა: 93 კომლს ჰქონდა 5 დესეტინამდე მიწა (თითოეულ კომლს), 87 კ. — 5-10 დეს., 149 კ. — 10-20 დეს., 74 კ. — 20-30 დეს., 24 კ. — 30-40 დეს., 6 კომლს — 40-50 დეს., ხოლო 4 კომლს 50 დეს. მეტი თითოეულს.

ლებში აგრარულ მოძრაობამდე შემთხვევითი და იშვიათი მოვლენა იყო (ეს აიხსნება მიწის მნიშვნელოვანი შემოსავლიანობით და მეურნეობის წარმართვის, უფრო ზუსტად მიწიდან შემოსავლის მიღების სიადვილით), მიწა ღალაზე გაიციმოდა“. შემდეგ დასახელებულია მიწის ყიდვა-გაყიდვის რამდენიმე მაგალითი. კერძოდ 1894 და 1895 წწ. ახალდაბაში გაყიდულა სამი ნაკვეთი (სხვადასხვა სახის საეარგული) დესეტინა 63, 65 და 66 მანეთად, სულ სამივე გარიგებით შეუსყიდათ 45 დესეტინა. 1898 წ. თავად ნ. ა. თუმანიშვილს იმავე ადგილებში შეუსყიდა 2 დეს. 1030 კვ. საე. სარწყავი, გაპატიებული მიწა, 340 მანეთად თითოეული დესეტინა. 1895 წ. საჯარო ვაჭრობით ვინმე ფაფიუსს ბრეთში უყიდა 150 დეს. სარწყავი მამული, 65 მანეთად დესეტინა. იქვე 1899 წ. თბილისის კერძო სათავადაზნაურო ბანკს გაუყიდა მამული, დესეტინა 58 მანეთად. 1906 წ. ქარელელ მღვდელს ოქროპირიძეს უყიდა 55 დეს. მამული ვარიანში (6 ნაკვეთი), თბილისის ბანკის მიერ გამართულ საჯარო ვაჭრობაზე; დესეტინა 94 მანეთად. დასახელებულ ადგილებში საგლეხო ბანკს 1906 წ. შეუსყიდა თავადი დიასამიძეების მამული 1.106 დეს. 1.664 კვ. საე., აქედან ვარგისი იყო 1.098 დეს. 960 საეენი. თითო დესეტინა ვარგის მიწაში გადაუხდია 62 მან. 72 კაბ. სულ კი 68.900 მან.

აგრარულ მოძრაობას და მით უმეტეს 1905—1907 წწ. რევოლუციას, ცხადია, გავლენა მოუხრდენია მემამულეთა მეურნეობაზე და გარკვეულად მემამულეთა შეხედულებებზეც. ამ პერიოდში და შემდეგაც მემამულეები სულ უფრო მეტ მიწას ჰყიდიან, რასაც ძირითადად გლეხები ყიდულობენ³⁴. ამასთან, შეიმჩნევა, რომ ამ დროს მიწის ფასი უმეტეს შემთხვევებში დაბალია, რაც აგრეთვე უნდა მიუთითებდეს მიწისმფლობელთა გაძლიერებულ მისწრაფებაზე რაც შეიძლება დაეჩქარებინათ მიწის გასხვისება. ხშირად მყიდველსა და გამყიდველს შორის შუამავლის როლს ბანკი ასრულებდა.

შესყიდვის საშუალებით გლეხთა ხელში მიწის გადასვლის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები გვხვდება ჩვენში მოქმედი ბანკების, განსაკუთრებით სათავადაზნაურო ბანკებისა და საგლეხო ბანკის საარქივო ფონდებში, რომელთა საქმეები შეიცავენ მასალას უმთავრესად XX საუკ. დასაწყისი ხანისათვის. არქივში დაცული ამ ფონდების უამრავი საქმეებიდან ჩვენ შევეცადეთ შეგვეჩინა ისეთი ფაქტები,

³⁴ «Зная с какою быстротою и в каких размерах частновладельческие земли стали, особенно за последние 5—6 лет, переходить путем продажи, в руки крестьян» (И. С. Сегаль, Крестьянское землевладение в Закавказье, 1912, стр. 87).

რომლებსაც უფრო მეტად გააჩნდა ის საერთო ნიშნები, რაც მიწების უიდეა-გაყიდვას, როგორც სოციალურ-ეკონომიური ხასიათის მოვლენას, ახასიათებდა აღებულ პერიოდში.

სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის წევრი-შემფასებელი ვ. ფირგუფი 1901 წლის სექტემბერში კენიან მარიამ ელიზბარის ასულ ბაგრატიონ-დავითაშვილის საამირაჯიბოს მამულის აღწერისას მიუთითებს, რომ ამ მხარეში „მსხვილი ერთიანი მამულების გაყიდვა ნაკლებად შეიმჩნევა“. სულ 1888—1895 წწ. ცნობილი ყოფილა ოთხი შემთხვევა, ოთხივე სავაჭრო გარიგებით გაყიდულა 323 დეს. (მასში 43 დეს. სანადელო მიწა ყოფილა) — 25900 მანეთად. ამასთან, საბუთში ვერ ვნახულობთ მითითებას თუ ვინ იყო ამ ოთხი მსხვილი მამულის მყიდველი. შემდეგში, 1899 წელს, ერთი მსხვილი მამული 898 დეს. ფართობით ერთი მემამულის ხელიდან მეორის ხელში გადასულა.

საბუთში მითითებულია, რომ „წვრილი ნაკვეთების გაყიდვის შემთხვევები ხშირია. ფასი დამოკიდებულია უმთავრესად სავარგულების ხარისხზე და განსაკუთრებით ნაკვეთის მდებარეობაზე. ყველაზე მეტად (დესეტინა 1200 მანეთი და მეტი) ფასობს წვრილი საკარმიდამო ნაკვეთები. გაყიდვის ცნობილ შემთხვევებში დესეტინა მიწის ფასი ირყევა 112—1200 მანეთამდე. გარიგებანი მოიცავდა ნაკვეთებს 300 კვ. საენიდან 8—9¹/₂ დესეტინამდე. ერთ შემთხვევაში გაიყიდა 25 დესეტინა. ურწყავი სახნავი მიწა იყიდებოდა დესეტინა 150 მანეთად, სარწყავი და გაპატიებული: 263—300 მანეთად. დანარჩენი გარიგებანი საკარმიდამო ნაკვეთებზე იყო: 200 მან., 400 მან., 720 მან., 1040 მან. და 1200 მანეთი დესეტინაზე. მაგრამ თითოეული საკარმიდამო ნაკვეთის ფართობი დესეტინაზე მცირე ფართობს შეადგენდა“³⁵. ბარათის ავტორი იმ მიწის ნაკვეთებს, რომელთა ფართობი 25 დესეტინას არ აღემატებოდა — წვრილ ნაკვეთებად სთვლის. დასახელებულ მიკრორაიონში (საამირაჯიბო) მიწის გაყიდვა უმთავრესად რამდენიმე დესეტინიანი ნაკვეთების სახით ხდებოდა. მიწის მაღალი ფასების დასახელებისას მითითებულია სულ ოთხი შემთხვევა. როცა ნაყიდი ყოფილა მცირე ზომის საკარმიდამო ნაკვეთები. დანარჩენი შემთხვევები მოდის სარწყავ და სასუქმეყრილ მიწებზე. მხოლოდ 25 დეს. ნაკვეთი ყოფილა ურწყავი. რამდენიმე დესეტინის მქონე ნაკვეთები, რომლებიც სავაჭრო ბრუნვაში იყო ჩაბმულა, ნაყოფიერ მიწებს

35 საქ. ცსსა. ფ. 395, საქმე 982, ფურც. 19—20.

წარმოადგენდნენ. ისე რომ საეპქრო ბრუნვაშია არა ყოველგვარი მიწა, არამედ უმეტესად ვარგისი და ნაყოფიერი მიწები. ხოლო მოცემულ რაიონში მიწის წვრილ ნასყიდობათა (25 დეს-მდე) სიხშირე მიუთითებს მიწის მობილიზაციის საქმეში გლეხობის ფართოდ ჩაბმის ფაქტზე.

გრაკალის მიდამოებში მიწების შესყიდვის თაობაზე შედგენილ საბუთში აღნიშნულია, რომ ათიოდე წლის განმავლობაში (90-იანი წლების შუახანებიდან 1906 წლამდე) ადგილი ჰქონია სამი შედარებით მსხვილი მასშტაბის ნასყიდობას. ორი ნაკვეთის ნაყიდობა მომხდარა 90-იანი წლების შუა ხანებში. 25 დეს. ფართობის მამული, რომელიც თავად რ. ამილახვარს ეკუთვნოდა, გრაკალელ გლეხებს ზაქარია მამაჯანაშვილს, მოსე და ფასპარა თათიაშვილებს შეუძენიათ 1600 მანეთად, ვენიერის მამული კი, რომელიც დაახლოებით 112 დეს. იყო, გაყიდულა 5000 მანეთად. ორივე ეს მამული ახალ პატრონებს ვალში დარჩენიათ. ნასყიდობის ბოლო შემთხვევა აგრეთვე 112 დეს. ნაკვეთს ეხებოდა.

1907 წელს საგლეხო ბანკს ბორჩალოს მაზრაში შეუძენია 1714 დეს. 1668 ყვ. საფ. მიწა, ე. წ. ყალამშა-მამიშლიარის ნაკვეთი, რაც მანამდე ანა ორდუხანოვას ეკუთვნოდა. ეს მიწები და ორი წისქვილი იჯარით ყოფილა გაცემული. იმავე წელს ამ მამულის ნაწილ-ნაწილად შექენის სურვილი გამოუთქვამთ მამულის მუდმივ მოიჯარეებს, სოფლების — ქადრი-ყულის (დალარი), მამიშლოს, მიჯის და პატარა ყარაკლისის მცხოვრებთ. ყველა ეს გლეხი, გარდა სოფ. მიჯის მცხოვრებლებისა, უმიწონი არიანო, დასკვნიდა ბანკის წარმომადგენელი³⁶.

მიწის ყიდვის სურვილს აცხადებდნენ პირველ რიგში ის გლეხები, რომლებიც ამ მიწებს მანამდე იჯარით იღებდნენ და მართლაც წარმომადგენდნენ „მუდმივ“ მოიჯარეებს.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ბევრ სხვა სოფელსა და მამულში. მიწის მყიდველი გლეხები, ჩვეულებრივ ამ მიწის მოიჯარეები არიან და ცხადია პირველი შესაძლებლობისთანავე ცდილობენ ეს მიწები თავის საკუთრებად აქციონ³⁷.

იყიდებოდა გორის მაზრის მემამულეების კალატოზიშვილების მამულები გომში, წვერში, ბრეთში, შაქშექეთში და არადეთში. ამის შესახებ საგლეხო ბანკის წარმომადგენელი ვ. ბანკოვსკი წერდა „რაკი ამ მიდამოებში მცხოვრები გლეხები ძალზე უმნიშვნელოდ არიან მიწით უზრუნველყოფილნი, ამიტომ გლეხებმა განაცხადეს მიწების შექენის სურვილი. სურვილი პირველმა გამოთქვა ქვენატკოცას გლეხთა

36 საქ. ცსსა, ფ. 390, ანაწერი 1, საქმე 261, ფურც. 89.

37 საქ. ცსსა, ფ. 393, საქმე 1 და სხვ.

საზოგადოებამ, რომელსაც უნდოდა გამსა და ნაწილობრივ არადეთში მდებარე მიწების შეძენა 435 ლეს. ფართობით, რაც ბანკმა შეაფასა 37.746 მანეთად. მაგრამ ნასყიდობა არ შემდგარა „მყიდველთა შორის მომხდარი უთანხმოების გამო“³⁸.

შაქშექეთში მდებარე მანულები დიდი ხნის განმავლობაში იჭარით ეკირათ ამავე სოფლის გლეხებს, რომლებიც აგრეთვე, გამოთქვამდნენ მიწების შეძენის სურვილს, მაგრამ ბანკმა მათ უარი უთხრა მიწის მიყიდვაზე იმ მოტივით, რომ მყიდველები არა სახარბიელო მდგომარეობაში იყვნენ და საშუალება არ ქონდათ შეეტანათ ბე—განსაზღვრული თანხის სახით. შაქშექეთის მიწების ყიდვის ნება მიეცა არადეთის გლეხთა ამხანაგობას, რომელიც 36 კომლი ჩამოსახლებული ოსისგან შედგებოდა.

საგლეხო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილების 1908 წ. 20 ივნისის დადგენილებით გათვალისწინებული იყო შემდეგი ნასყიდობანი: 1) არადეთის ამხანაგობაზე 785 ლეს. (74915 მანეთად). 2) შაქშექეთის საზოგადოებას 110 ლეს. (10336 მან.) და 3) ქვენატკოცის საზოგადოებას 324 ლეს. (29 287 მან.).

მაგრამ დაგეგმილი გარიგებანი არ შემდგარა სხვადასხვა მიზეზთა გამო. კერძოდ, არადეთის ამხანაგობას სურდა შეეძინა აგრეთვე ნაკვეთი: რაც ქვენატკოცის საზოგადოებისთვის იყო გათვალისწინებული. შაქშექეთის საზოგადოება არ კმაყოფილდებოდა მისთვის განკუთვნილი ნაკვეთებით, და სურდა შეეძინა მესამე ნაკვეთიც, რომელიც არადეთის ამხანაგობისთვის იყო განკუთვნილი. ქვენატკოცის საზოგადოებამ უარი თქვა შეეძინა საერთო მფლობელობაში 324 ლეს. მიწა და თხოულობდა, რომ გომის აგარაკი მიეყიდათ თითოეული მეკომურიანათვის ერთპიროვნულ მფლობელობაში.

კალატოზიშვილების ყოფილი მამულების ერთი ნაწილის შესყიდვის სურვილს აცხადებდა, აგრეთვე, ახალქალაქის მაზრის სოფ. ეშტიას სომეხ გლეხთა 50 კომლი.

საგლეხო ბანკის დაგეგმილი რიგი გარიგებანი არ განხორციელდა იმავე მიზეზით, რამაც გამოიწვია ამაზე უფრო ადრე დაპროექტებულ ნასყიდობათა ჩაშლა. სახელდობრ კი მყიდველებს არ აღმოაჩნდათ საჭირო თანხა. რაც საჭირო იყო წინასწარ შესატანად.

შემდეგში კალატოზიშვილის მიწების ერთი ნაწილი ქვენატკოცელ გლეხებს შეუსყიდათ. ბანკის წარმომადგენელი წერდა: „ზემოაღნიშნულ გარიგებათაგან არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ადგილობრივ

³⁸ საქ. ცსსა, ფ. 393, საქმე 236, ფურც. 211, 1907.

გლეხებისგან მიწის ყიდვას ყველაზე მეტად ცდილობდნენ სოფ. ქვენა-ტოცელი გლეხები, ესენია სახაზინო გლეხები, რომლებიც ვაცილებით უკეთ არიან უზრუნველყოფილი ნადელებით (სოფელში საშუალოდ კომლზე 3 დესეტინა), ვიდრე გასაყიდი მამულის ირგვლივ მდებარე სხვა სოფლები“.

კალატოზიშვილების ყოფილი მამული აგრეთვე შეუძენია 16 მეკომურ გლეხს, ერთპიროვნული ნასყიდობების სახით გომში (249 დეს. 306 კვ. საყ.), არადეთში (15 დეს. 120 საყ.) და ბრეთში (22 დეს. 690 საყ.), ხოლო ბანკის გამგებლობაში დარჩენილა 1.192 დეს. 1.720 საყ. კალატოზიშვილების ყოფილი მიწა.

1910 წ. ივნისში ბანკში კალატოზიშვილების ყოფ. მამულების შეძენა უთხოვია 115 მეკომურისგან შემდგარ ნაყრებ ამხანაგობაა. ეს ამხანაგობა შედგებოდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიების სხვადასხვა მაზრის მცხოვრებთაგან. ამხანაგობა თხოულობდა მიწას განსხვავებული სიდიდის ნაკვეთების სახით. სახელდობრ: 37 წევრი ყიდულობდა 6—6 დესეტ. ნაკვეთებს, 9 წევრი 8 დეს. ნაკვეთებს თითოეული, 54 წევრი — 10 დეს. თითოეული, 6 კაცი 12—12 დეს., 2 კაცი — 14—14 დეს., 3 წევრი — 15—15 დეს., 1 კაცი — 16 დეს. და 3 წევრი — 20 დეს. თითოეული. სულ კი ამხანაგობა ყიდულობდა 1.055 დეს. ამხანაგობამ წინასწარ თითოეულ დესეტინაზე 2—2 მანეთი ბე შეიტანა, რითაც გარანტიას იძლეოდა დასახელებული ფართობის მამულის შეძენაზე.

1912 წ. 14 თებერვალს წარდგენილ მოხსენებით ბარათში ბანკის წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი გლეხები რიგ სოფლებში მეტად ინდიფერენტულად ეკიდებოდნენ მიწის შესყიდვის საქმეს. მაგალითად, განაგრძობდა ბანკის მოხელე, სოფლების წვერისა და არადეთის გლეხებს, მიუხედავად მიწის უკიდურესი სიმცირისა (სოფ. წვერში 32 კომლზე მოდის დაახლოებით 55 დეს. მიწა და არადეთში 24 კომლზე დაახლოებით 40 დეს.) აქამდე არ გამოუჩენიათ დაჟინებითი სურვილი გასაყიდი მამულის ნაკვეთების შეძენისა. ამ მხრივ გამოჩნდნენ შეძლებული გლეხები, რომელთა სურვილია შეიძინონ ან თავისი საკარმიდამოს მახლობლად ან მიხდვრის სანადელო ნაკვეთებთან ახლოს მდებარე მიწები, რაც შეეხება სოფ. შაქშეკეთის გლეხებს (35 კომლს აქვს 20 დეს. საკარმიდამო, სანადელო და საკუთარი მიწა), რომლებიც სარეალიზაციო მამულიდან 5—5¹/₂ ვერსზე ცხოვრობდნენ, მათ უარი თქვეს ამ მამულის შეძენაზე იმ პირობით, რომელსაც ბანკი აყენებდა — მიწა გაიყიდებოდა ერთპიროვნულ მფლობელობაში მასზე დასახლების პირობით.

საქაშეთში (გორის მაზრა) საგლეხო ბანკისგან გლეხებს შეუძენიათ 1.096 დეს. მიწა. აქედან 608 დეს. უყიდა საქაშეთის გლეხთა ამხანაგობას 1909 წელს; ხოლო გლეხთა 43 კომლს ერთპიროვნულად უყიდნია 487 დეს., ეს მიწა ზოგს 1910 წ. შეუძენია, უმრავლესობას კი 1914 — 1915 წწ., ერთ კომლს 1916 წ. უყიდა მიწა. ერთპიროვნული წესით შეძენილი მიწის ფართობი კომლზე არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა 10 დეს. ნაკლები და 15 დეს. მეტი³⁹. გლეხთა ამხანაგობის წევრებზე კი ეს ნაყიდი მიწა შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 1 კომლს — 2 დეს., 2 კომლს — 3 დეს. თითოეულზე, 2 კ. — 4 დეს., 15 კ. — 5 დეს., 2 კ.—6 დეს., 5 კ. — 7 დეს., 2 კ. — 8 დეს., 10 კ.—10 დეს., 3 კ.—12 დეს., 1 კ.—13 დეს., 3 კ.—14 დეს., 7 კ.—15 დეს., 4 კ.—20 დეს. თითოეულს და 1 კომლს — 30 დეს.⁴⁰.

ბორჩალოს მაზრის სოფ. ქირაჩ-მულანლოს გლეხთა 3 კომლს 1906 წ. მიწათმფლობელ პოდპორუჩიკ ჰუსეინ-ბეგ ედიგაროვისგან უყიდა 70 დეს. ვარგისი მიწა. ნაყიდი მიწის ნახევარზე მეტი ერთ კომლს შეუძენია (36 დეს.), მეორე კომლს უყიდა 22 დეს., ხოლო მესამეს — 12 დეს.⁴¹ მიწის ეს მყიდველები გლეხთა ზედაფენას ეკუთვნოდნენ. პირველ კომლს ჰყავდა 4 ცხენი, 4 ხარი, 2 ხარკამეჩი, 11 ძროხა და ფურკამეჩი, 10 სული მოზარდი მსხვილფეხა საქონელი, 100 ცხვარი. ეს კომლი 60 დეს. საიჯარო მიწითაც სარგებლობდა. დანარჩენ ორ კომლსაც მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყავდათ საქონელი. ამასთან, მათ მიერ იჯარით აღებული მიწის ფართობი თითოეულ კომლზე 30 დეს. შეადგენდა.

ახლა განვიხილოთ ერთი საარქივო საბუთი, რომელშიც ასახულია გლეხთა ერთი (42 კომლიანი) ჯგუფის მიერ-505 დესეტ. მიწის ყიდვის ფაქტი, შიღნადის მაზრის ლაგოდეხის სასოფლო საზოგადოების ქიაურის სატყეო აგარაკში, თავად დიმიტრი ერასტისძე ჩოლოყაშვილისგან. გლეხთა ეს ჯგუფი, რომელიც ამხანაგობას შეადგენდა, „კავშირის“ სახელწოდებით ამ მიწის შესაძენად სესხსა სთხოვდა საგლეხო ბანკს 55½ წლის ვადით. „კავშირში“ შედიოდნენ, ერთი მხრივ თვით შიღნადის მაზრის სხვადასხვა საოფლის გლეხები, რომლებიც დიდი ხნის გადასული იყვნენ ლაგოდეხში (აქ ისინი იჯარით აღებულ მიწაზე ცხოვრობდნენ და მიწათმოქმედებას ეწეოდნენ), მეორე მხრივ შორაპნის მაზრის სოფლებიდან გადმოსული გლეხები. იმერეთიდან ეს გლეხები წარსული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში გადმოსულან. ეს უკანასკნელნი თავად ვაჩნაძისგან იჯარით აღებულ მი-

39 საქ. ცსსა, ფ. 393, ანაწერი 1, საქმე 254, ფურც. 411—412.

40 საქ ცსსა, ფ. 393, საქმე 235, ფურც. 21—22.

41 საქ ცსსა, ფ. 393, საქმე 4, ფურც. 4.

წებზე ცხოვრობდნენ. ჭაიჯარო მიწები მდებარეობდა ჩოლოყაშვილის იმ მიწების გვერდით. რომელსაც ახლა ყიდულობდნენ გლეხები.

ამხანაგობა „კავშირის“ ის ნაწილი, რომელიც კახელივე გლეხებისაგან შედგებოდა, 15 კომლი იყო. არც ერთ ოჯახს არ გააჩნდა არც სანადელო და არც საკუთარი მიწა. იჯარით აღებული ჰქონიათ 55 დეს. ახლა ჩოლოყაშვილისგან ყიდულობდნენ 134 დეს. მიწას.

რაც შეეხება „კავშირის“ მეორე ჯგუფს, ის იმერეთიდან გადმოსული 27 კომლისგან შედგებოდა. მათგან მხოლოდ 21 კომლის ეკონომიურ მდგომარეობაზე გაგვაჩნია მონაცემები. ამ 21 კომლიდან იმერეთში ჰქონია 163 დეს. საკუთარი მიწა — 9 კომლს, სანადელო მიწა — 2 კომლს, 3 დეს. ოდენობით. ყველა ეს 21 კომლი ახლა ჩოლოყაშვილისგან ყიდულობდა 292 დეს. მიწას. ამასთან, მიწის საერთო ფართობის 40%-ზე მეტს (122 დესეტინას) იძენს 5 კომლი (ე. ი. კომლთა მეოთხედზე ნაკლები). ეს კომლები ეკონომიურად სხვებზე ძლიერნი ყოფილან. სახელდობრ, გლ. ხარაიშვილს 20 ხარი ჰყავდა, იმერეთში ჰქონდა 25 დეს. მიწა, კახეთში კი იჯარით ჰქონდა აღებული 8 დეს. ახლა ყიდულობდა 28 დეს.; აბეს. შუბითიძეს 12 ხარი და 2 ცხენი ჰყავდა, ხოლო იჯარით ჰქონდა აღებული კახეთში 25 დეს. მიწა. ახლა ყიდულობდა 28 დეს. მიწას; უ. შუბითიძეს 6 ხარი და 1 ცხენი ჰყავდა, იმერეთში ჰქონდა 8 დეს. საკუთარი მიწა, კახეთში კი 3 დეს. იჯარით ჰქონდა აღებული; ახლა ყიდულობდა 26 დეს.; ივ. შუბითიძეს. რომელსაც აგრეთვე 6 ხარი და ერთი ცხენი ჰყავდა, იმერეთში 40 დეს. საკუთარი მიწა ჰქონდა, ხოლო კახეთში ყიდულობდა 20 დესეტინას; ამდენსავე მიწას ყიდულობდა იორამ ლომიძე, რომელსაც 5 სული მუშა საქონელი გააჩნდა.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს რომ თავის მშობლიურ კუთხეს სტოვებენ ის გლეხური კომლებიც, რომლებსაც იქ მიწა მნიშვნელოვანი რაოდენობით გააჩნდათ. კერძოდ, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იმერეთიდან გადმოსულთაგან 9 კომლს 163 დეს. საკუთარი მიწა ჰქონდა. მაგრამ საქმე უფრო სხვაგვარად ყოფილა. საგლეხო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილების 1906 წ. 11 ნოემბრის დადგენილებაში მოიპოვება პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე. აი რა არის აღნიშნული ამ დოკუმენტში „მყიდველები ნამდვილად საქაროებენ მიწას. კერძოდ, მათი ნაწილი სიღნაღის მაზრის ქართველების სახით დიდ რაზონა გადასახლდა ლაგოდეხში და ცხოვრობს იჯარით აღებულ მიწაზე, ხოლო საიდანაც წამოვიდნენ იმ სოფლებთან კავშირი ხანდაზმულობის გამო ვაწყვეტილი აქვთ და იქ არაერთი მიწები არ გააჩნიათ. ამხანაგობის მეორე ნაწილი შედგება ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზ.

რის იმერლებისაგან. ამათგან ზოგს სამშობლოში გააჩნია 10-დან 40-დე დესეტინა მიწა, რაც ნაყილია მათ მიერ თითო დესეტინა 10 მანეთად. ეს მიწები მდებარეობენ სურამის ქედის მდლობ ადგილებში, უნაყოფონი არიან და არ იძლევიან არსებობის საშუალებას. ამან აიძულა ისინი, უკვე 9 წლის წინად მიეტოვებინათ თავისი მიწები და გადასახლებულიყვნენ თავადი ვაჩნაძეებისგან იჯარით აღებულ მიწებზე“. „სამშობლოში მდებარე საკუთარი მიწებიდან კერძო მიწათმფლობელთაგან იჯარით აღებულ მიწებზე გადასახლების თვით ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ის მიწები ვერ უზრუნველყოფენ მათ არსებობას“⁴².

მიწის მყიდველ იმერელ გლეხთა სხვა ამხანაგობა „ლელიანი“ 25 კომლისაგან შედგებოდა⁴³. ის ყიდულობდა ალაზნის ვალა მხარეს მდებარე 200 დეს. მიწის ნაკვეთს, რომელიც თავად ზაქარია ილიას ძე აბაშიძეს ეკუთვნოდა. ეს მიწა მყიდველთა 19 კომლს იჯარით ჰქონია აღებული. ახლა კი ეს ყოფილი მოიჯარეები და კიდევ სხვა 6 კომლი ამ მიწას 14 ათას მანეთად ყიდულობდა. ამხანაგობა საგლეხო ბანკისგან სესხს თხოულობდა 10 ათასი მანეთის ოდენობით, დანარჩენი ფული, ე. ი. 4 ათასი მანეთი გლეხებსა ჰქონიათ. რასაც პირველ რიგში იხდიდნენ. ამასთან, ირკვევა, რომ ისევე როგორც თავად აბაშიძის სხვა მიწები, ეს ვასაყიდი მამულიც თბილისის სათავადაზნაურო ბანკში ყოფილა დაგირავებული. ამ სახით, ერთი მხრივ დგას მემამულე, თავადი აბაშიძე, რომელსაც დავალიანების გამო მამულები ბანკში დაუეგირავებია; ახლა კი 200 დეს. მიწასა ჰყიდის, მეორე მხარეს კი დგანან დასაველეთ საქართველოდან გადმოსული გლეხები, რომელთა უმრავლესობა გაპირებებს ფამოქცევი და ფიქრობს კახეთის ბარაქიან ველზე შრომით უზრუნველყოს თავისი არსებობა. ისინი მიწას ჯერ იჯარით იღებენ, შემდეგ კი ყიდულობენ მას. მყიდველთაგან 6 კომლს უკვე უყიდნია საკუთრებაში 9,4 დეს. მიწა, 8 კომლს იმერეთში ჰქონდა მხოლოდ სანადელო მიწა 11 დეს. რაოდენობით, დანარჩენი 11 კომლი სრულიად უმიწაწყლო იყო. მიწის მყიდველთა შორის საქონელი ჰყოლია 17 კომლს (13 კომლს 2—2 სული, 2 კ. --- 3—3 სული, 2 კომლს 4 სული თითოეულს). საქონლის შედარებითი სიმცირე იმითაც აიხსნება, რომ ამ გლეხებს გადმოსვლის დროს საქონლის ნაწილი გაუყიდიათ. ბანკი დაასკვნოდა, რომ „მყიდველები საქიროებენ შესასყიდ მიწას, რადგანაც მათმა უმეტესობამ შორაპნის მაზრაში უკვე გაყიდა თავისი სახლები ნაწილობრივ საქონელი და ხაბაკ-ხუბაკი. მყიდველე-

42 საქ. ცსსა, ფ. 393, ანაწერი 1, საქმე 5, ფურც. 49.

43 საქ. ცსსა, ფ. 393, საქმე 144, ფურც. 9—14, 15—17, 53—55.

ბი უკვე გადასახლდნენ შესასყიდ მიწებზე, რასაც ისინი შემდგომში არსებობის ერთადერთ წყაროდ მიიჩნევენ“.

მყიდველთა შორის აზნაურებიც ყოფილან. „თუმცა ამხანაგობაში აზნაურ-ლოლაძეთა სამი კომლია. მაგრამ ისინი, როგორც თავისი უმიწობით, ისე ცხოვრების წესით არაფრით არ განსხვავდებიან თავისი ამხანაგი გლეხებისგან. მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს შორაპნის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის გაცემული მოწმობიდან, ისინი აქამდე მისდევდნენ იჯარით აღებული სხვისი მიწების დამუშავებას“. მართლაც, კომლთა სიიდან ჩანს, რომ მათში მხოლოდ ერთ კომლს ჰქონდა საკუთარი მიწა 900 კვ. საე. ფართობით. ლოლაძეთა სამივე კომლს ორ-ორი ხარი ჰყავდა, ამასთან, ორ კომლს თითო ძროხა.

საარქივო საბუთში ნაჩვენებია ნაყიდი მიწის რაოდენობა მხოლოდ 18 კომლზე. რომლებიც საერთო ჯამში 148 დეს. მიწას ყიდულობდნენ. დანარჩენ 7 კომლზე მოდიოდა 52 დეს. მიწა. დასახელებული 18 კომლისაგან მიწას ყიდულობდა: ერთი კომლი—2 დეს., 1 კ.—3 დეს., 3 კომლი—ხუთ-ხუთი დესეტ., 1 კომლი—8 დეს. დანარჩენი 12 კომლი 10 დეს. თითოეული. იმათგან ვინც 10—10 დეს. ყიდულობდა, 9 კომლს (12 კომლიდან) მუშა საქონელი ჰყავდა, თითოეულ კომლს 2—4 ატლის რაოდენობით, მათზევე მოდის საკუთარი მიწის ძირითადი ფართობი (8 დეს. 9,4 დესეტონიდან). იგულისხმება, რომ ამ კომლებს ფულიც უფრო მეტი გააჩნდათ ვიდრე მიწის მცირე ფართობის მყიდველ გლეხებს. 2 დეს. მიწის მყიდველია დ. ხვედელიძე. რომლის ოჯახი სრულიად უსაქონლოა და არც არავითარი სხვა მიწა არ გააჩნია.

მოტანილი საბუთების განხილვა მოწმობს, რომ მშობლიურ კუთხეს სტოვებდა და ახალ ადგილებში სახლდებოდა უმეტესად საშუალო გლეხობა.

ჩვენს წინაშეა საარქივო საქმიდან ამოწერილი სია თბილისის მაზრის სოფ. ვაშლოვანის 73 გლეხისა. ეს გლეხები თავად ალ. ი. ჯამბაჯურ-ორბელიანისგან 177 დესეტ. მიწას ყიდულობდნენ, რისთვისაც საგლეხო ბანკისგან სესხს თხოულობდნენ და ამასთან დაკავშირებით, ბანკის მოთხოვნით, ვაშლოვანის სასოფლო-საზოგადოების მმართველობას შეუდგენია ეს საბუთი 1907 წელს. ამ დროს ვაშლოვანში სულ 113 კომლი ყოფილა, მათგან მიწას ყიდულობდა დასახელებული 73 კომლი. იგულისხმება, რომ მიწის მყიდველი გლეხობის უმეტესობა სხვებთან შედარებით ქონებრივად უფრო მაღლა უნდა მდგარიყო.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სოფ. ვაშლოვანი მდებარეობს გარდამავალ ეკონომიურ-გეოგრაფიულ ზონაში; თბილისთან შედარებით

ახლოს. აქ სარწყავი მიწები ცოტა იყო, ხოლო ჰავა ბართან შედარებით ნაკლებად უწყობდა ხელს ძვირფასი კულტურული მცენარეების მოშენებას. ვაშლოვანი, ისევე როგორც შუა ზონის სოფელთა უმეტესობა აღმოსავლეთ საქართველოში, ხასიათდებოდა მოსახლეობის ისეთი საქმიანობით, როცა მათი ეკონომიური უზრუნველყოფა დამოკიდებულია როგორც მიწათმოქმედებაზე ისე მესაქონლეობაზე.

ვაშლოვანელ გლეხთა სიის განხილვა ცხადყოფს, რომ შესასყიდი მიწის რაოდენობა არც ერთ შემთხვევაში კომლზე 3 დეს. მეტი არ ყოფილა, მაგრამ არც თითო დეს. ნაკლები. სახელდობრ, თითო დესეტ. მიწას ყიდულობდა 15 კომლი, ორ-ორ დესეტ.—25 კომლი, ხოლო სამსამ დესეტინას—29 კომლი. დანარჩენ 4 კომლზე აღნიშნული არ არას თუ მიწის რა რაოდენობას ყიდულობდნენ. ამასთან, 8—9 და 11 სული მუშა საქონლის პატრონები თითოეული არა ნაკლებ 3 დეს. მიწას ყიდულობდა. ასევე, ვისაც წვრილფეხა საქონელი მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყავდა. ისიც 3—3 დეს. იძენდა.

მიწის მყიდველთაგან საკუთარი მიწა არც ერთ კომლს არ გააჩნდა. ხოლო სანადელო მიწა 73 კომლიდან არა ჰქონდა 3 კომლს. რაც შეეხება დანარჩენებს მათ ჰქონიათ: 3 კომლს 1/4 დეს. თითოეულს, 10 კ.—1/2 დეს., 5 კომლს—3/4 დეს., 18 კ.—თითო დესეტინა, 13 კ.—1 1/2 დეს., 5 კ.—ორ-ორი დეს., 13 კომლს—3—3 დეს. და 3 კომლს 4 დესეტ. თითოეულს.

დასახელებული 73 კომლიდან იჯარით ჰქონია მიწა აღებული 5 კომლს 1/2 დეს. თითოეულს, 2 კ.—თითო დეს., 34 კ. — 1 1/2 დეს., 5 კ. — ორ-ორი დესეტ., 1 კ. — 3 დეს., რჩება 2 კომლი, რომლებიც იჯარით მიწას არ იღებდნენ.

ამ 73 კომლიდან სრულიად უსაქონლო იყო 2 კომლი, 2 კომლს არა ჰყავდა მუშა საქონელი. დანარჩენთაგან: თითო სული მუშა საქონლის (ცხენი ან ხარი) პატრონი იყო 11 გლეხი, 2—2 სული მუშასაქონელი ჰყავდა 11 კომლს, 3—3 სული—13 კომლს, 4—4 სული—11 კ., 5—5 სული—7 კ., 6—6 სული—11 კომლს, 8—8 სული—2 კომლს, 9 სული—1 კომლს. 11—11 სული—2 კომლს.

საქონლის მესაკუთრე გლეხთაგან 3 კომლს სხვებთან შედარებით მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყავდა წვრილფეხა საქონელი (ერთ კომლს ჰყავდა 120 ცხვარი, მეორეს—80 ღორი, ხოლო მესამეს—240 სული სხვადასხვა წვრილფეხა საქონელი). სხვა კომლებს წვრილფეხა საქონელი უფრო ცოტა ჰყავდათ და მისი რაოდენობა კომლზე საშუა-

ლოდ 2—5 სულს უდრიდა. ძროხების რაოდენობა კი საშუალოდ კომ-
ლზე 1—2 სული იყო.

ის გარემოება, რომ შუა ზონაში მდებარე სოფ. ვაშლოვანის
გლეხთა მიერ შესასყიდი მიწის ფართობი თითოეულ კომლზე 3 დეს.
არ აღემატებოდა, რომ მათ არა ჰქონდათ საკუთარი მიწები, ხოლო სა-
ნადელო და საიჯარო მიწებიც ნაკლებად გააჩნდათ, უნდა ნიშნავდეს
მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწების საერთო სიმცირეს (ანუ აქ
კომლზე საშუალოდ უფრო ნაკლები ფართობის ვარგისი მიწა მოდი-
ოდა ვიდრე ბარის ზონის სოფლებში და შუა ზონის ბევრ სხვა სო-
ფელში), კერძოდ გასაყიდი მიწის სიმცირეს. ამასთან, თუმცა გლეხთა
შორის არ ჩანან ისეთი კომლები, რომლებიც მათ მფლობელობაში მყო-
ფი მიწების ოდენობით მნიშვნელოვნად გამოირჩეოდნენ, მაგრამ გლებ-
თა ამ ჯგუფს შორის, უეჭველია, საგრძნობი რაოდენობით მოიპოვებო-
დნენ შეძლებული კომლები, რომლებიც თავის მეურნეობრივ სიძლი-
ერეს მიწის დიდ ფართობზე კი არ ამყარებდნენ, არამედ შედარებით
მცირე ფართობზე მოწყობილი ჰქონდათ რენტაბელური მეურნეობანი.
რომელთა პროფილი დიდი ქალაქის მოთხოვნილებების შესაბამისი
იყო.

მიწას არაიშვიათად საუფლისწულო უწყებაც ყიდდა. ამასთან
უმეტესად იმ ნაკვეთებს ყიდდნენ, რომლებსაც მანამდე იჯარით გას-
ცემდნენ ხოლმე. მაგალითად, ნაფარეულის საუფლისწულო მამულს
მარტო 1910 წლის პირველ ნახევარში გაუყიდა 39 ნაკვეთი, ადრე
უმთავრესად ე. წ. საღალაო მუხლებს, ანუ იჯარით გასაცემ მიწებს რომ
წარმოადგენდა. გაყიდული ნაკვეთების უმრავლესობა თითო დესეტი-
ნაზე ნაკლები ფართობისა ყოფილა. ამასთან ვხვდებით თითო დესეტა-
ნაზე მეტი ფართობის მქონე ნაკვეთებსაც, ხოლო ერთი ნაკვეთი 3
დესეტინას აღემატებოდა. ეს უკანასკნელი ნაკვეთი 9 ნაფარეულელ
გლეხს უყიდა. ამავე დროს დასახელებულ უწყებას გაუყიდა 222,85
დეს. ტყე, 38 ართანელ გლეხზე 8.914 მანეთად⁴⁴.

ზემოთ მოტანილი მასალის განხილვიდან ირკვევა, რომ აღმო-
საველეთ საქართველოში მიწის მყიდველი გლეხები მიზნობრივ საზო-
გადოებებსა და ამხანაგობებს ადგენდნენ ტერიტორიული ნიშნის მი-
ხედვით. ამასთან, არა იშვიათი იყო ნაკრები ამხანაგობები, რომლებ-
შიც როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ისე დასავლეთ საქართვე-
ლოს სხვადასხვა კუთხის გლეხები შედიოდნენ. ბევრ შემთხვევაში, ტე-
რიტორიულ ამხანაგობებთან შედარებით, ნაკრები ამხანაგობები უფრო
აქტიურ პოზიციებს იკავებენ.

⁴⁴ საქ. ცსსა, ფ. 358. საქმე 19, 1910, ფურც. 18—24.

მიწის შემსყიდველ ამხანაგობებში წამყვანი როლი ეკუთვნოდათ კულაკებს. რომლებიც ნაყიდი მიწის დიდ ნაწილს იგდებდნენ ხელთ. კულაკები ერთპიროვნულადაც ყოველგვარი ამხანაგობების გარეშე ახდენდნენ მიწების შესყიდვას.

ბევრ შემთხვევაში მიწის მყიდველებად გამოდიან ის გლეხები, რომლებსაც შესასყიდი მიწა აქამდე იჭარით ჰქონდათ აღებული. ამასთან. შეისყიდება უმთავრესად მიწები, რომლებიც მოცემულ პერიოდში სავსებით კულტურულ მიწებს წარმოადგენენ.

შესასწავლ პერიოდში მიწის ფასი ჩვენში განუხრელად მატულობდა. სახელდობრ, ერთი დესეტინა მიწის საშუალო ფასი შეადგენდა: 1889 წელს — 81 მანეთს, 1899 წ. — 112 მან., 1909 წ. — 165 მანეთს, 1912 წ. — 16 მან. ხოლო 1913 წლისათვის თითო დესეტინა მიწის საშუალო ფასი შეადგენდა: სახნავი მიწა: სარწყავი—325 მან., ურწყავი—128 მან., საძოვარი—59 მან., ვენახი: სარწყავი—636 მან., ურწყავი — 860 მან.; ხეხილის ბაღი: სარწყავი — 1415 მან., ურწყავი — 800 მან.⁴⁵.

ამგვარად, ორი ათეული წლის განმავლობაში, მიწის ფასი აღმოსვლეთ საქართველოში ორჯერ მეტად გაზარდილა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში სადაც მიწის სიმცირე უფრო საგრძნობი იყო, და მიწაც უფრო ძვირი. ამავე პერიოდში მიწის ფასი დაახლოებით 1,5-ჯერ გაზარდილა (1889 წ. — 297 მან., 1899 წ.—352 მ., 1909 წ.—429 მ., 1912 წ.—259 მ.).

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გლეხობის გარდა მიწას მოსახლეობის სხვა ფენებიც ყიდულობდნენ, ცხადი გახდება, რომ ასეთი კონკურენციის პირობებში მიწის შეძენა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფართობით მხოლოდ გლეხთა შეძლებულ ფენას შეეძლო. მიწის ფასის სწრაფი ზრდა ჩვენში ამ ფაქტსაც ადასტურებს.

1900 წ. „კვალი“ ეთანხმებოდა გაზ. „Северный курьер“-ში გამოქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ქუთაისის გუბერნიის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თუ 80-იანი და 90-იანი წლების პირველ ნახევარში სჭარბობდა წვრილ ნაყიდობათა რიცხვი, შემდეგ მათი რაოდენობა კლებულობს, კლებულობს შუათანა სიდიდის ნაყიდობათა რიცხვიც. ამავე დროს მსხვილ ნაყიდობათა რაოდენობა ერთი ორად

45 Сельскохозяйственный обзор по Закавказию (შესატყვისი წლები).

და ერთი სამად მატულობს. მაშასადამე, ახლა მიწას იძენს უმეტესად გლეხკაცობის შეძლებული ნაწილი, ე. ი. დღეს მიწას იძენს სოფლის ბურჟუაზია—დაასკვნინდა გაზეთი.

ამ მხრივ, ვფიქრობთ, ანალოგიური მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ საქართველოში.



ახლა შევეცადოთ მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ გლეხთა საკუთარი მიწების რაოდენობა ორი სხვადასხვა პერიოდის მიხედვით, სახელდობრ, გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის და 1914 წლისათვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს იგლეხთა მხოლოდ ის საკუთარი მიწები, რომლებიც მმართველობის მიერაც გლეხთა უდავო საკუთრებად იყო მიჩნეული. გლეხთა უდავო კერძო საკუთრებაში იყო ერთი მხრივ ღროებითვალდებულ გლეხთა მიერ გამოსყიდული ჭანადელო მიწები, მეორე მხრივ კი ნასყიდი ან სხვა გზით შეძენილი მიწები (ნაჩუქარი, მზითვეში პოყოლილი და სხვ.). აღმოსავლეთ საქართველოს გლეხთა საკუთარი მიწების ზუსტი აღრიცხვა არ მოიპოვება. არსებული მონაცემები მოვლენის სრულ მასშტაბს ვერ გვიღვენს. მაინც კი მათზე დაყრდნობით შესაძლებელი ჩანს ზოგიერთი სიდიდის განსაზღვრა, რომლებსაც, რა თქმა უნდა, აბსოლუტური სიზუსტის პრეტენზია არა აქვთ. მაგრამ განვითარების გარკვეულ ტენდენციაზე კი ნათლად მიგვანიშნებს.

მოვიტანოთ ჩვენთვის საინტერესო მაჩვენებლები. მათგან პირველყოვლისა დავასახელებთ მონაცემებს ღროებითვალდებულ გლეხთა მიერ სანადელო მიწების გამოსყიდვის თაობაზე 1865—1890 წწ. ეს მონაცემები საგლეხო საქმეთა თბილისის საგუბერნიო საკრებულოსი და ზოგიერთი სხვა წყაროს მიხედვით არის შედგენილი. სულ მემამულეებისგან ღროებითვალდებულ გლეხებს 1890 წლამდე გამოუსყიდიათ 13.585 დეს. მიწა (მთავრობის სესხის გამოყენებით 12.265 დეს. 2.777 კომლს და მხოლოდ საკუთარი სახსრებით 961 თანამონაწილეს—1.314 დეს.)⁴⁶.

შემდეგი ცნობა ასახავს სახაზინო მიწებზე მცხოვრებ სახელმწიფო გლეხთა არასანადელო საკუთარი მიწების ოდენობას. ამ ცნობას იძლევიან სახ. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის გამოძკვლევნი

⁴⁶ ССДЭТКГ, Приложение II, стр. 143—145.

80-იანი წლების შუახანებისათვის. ამ დროს გლეხთა ამ კატეგორიის ხელში ნაჩვენებია სულ 9758 დეს. საკუთარი მიწა⁴⁷.

ზემოთ უკვე მივუთითეთ იმ ფაქტზე, რომ თვითონ სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობის შემსწავლელებს, მათ მიერ შეკრებილი ცნობები საკუთარი მიწების რაოდენობაზე, არასრულ მონაცემებად მიაჩნდათ, მონაცემები არა სრულია აგრეთვე იმითაც, რომ მასში არ შედის ახალციხის, ახალქალაქისა და თიანეთის მაზრების სახ. გლეხთა არასანადგლო საკუთარი მიწების რაოდენობა.

შემდეგ, ადგილობრივი ადმინისტრაციის მონაცემთა მიხედვით თბილისის გუბერნიის 8.363 გლეხს ეკუთვნოდა 99.921 დეს. საკუთარი მიწა⁴⁸.

დაბოლოს, თბილისის საოლქო სასამართლოს ნოტარიალური არქივის მონაცემების მიხედვით 1879—1888 წწ., თბილისის გუბერნიაში გაყიდულა 35173 დეს. მიწა, 904777 მანეთად, სულ შემდგარა 2477 ნასყიდობა⁴⁹. არ ჩანს რამდენი მიწაა ნაყიდი საკუთრივ გლეხთა მიერ, თუმცა იგულისხმება, რომ ამ მიწების უდიდესი ნაწილი გლეხებს უნდა შეეძინათ⁵⁰. „ჩვენი გლეხის მიდრეკილება მამულის ყიდვისადმი ძლიერი და დაუძინებელია“ — წერდა ი. ჰავკავაძე 1877 წელს, „რასაც გლეხი იმეტებს მამულის სასყიდლად, იმოდენას თავის-დღეში სხვა კაცი ვერ გაიმეტებს“⁵¹.

ასეთია გლეხთა საკუთარი მიწების ოდენობის ძირითადი მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც უნდა დადგინდეს გლეხთა საკუთარი მიწების საერთო ფართობი XIX ს. 80-იანი წლებისათვის.

ერთი შეხედვით ჩვენ დავგრჩენია მხოლოდ მოტანილი რიცხვების შეკრება, რათა მივიღოთ შესაფერისი მონაცემი. მაგრამ ამ ცნობებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ციფრთა მექანიკური შეკრება სწორ შედეგს ვერ მოგვცემს. საქმე იმაშია, რომ ნოტარიალური კანტორის არქივის ცნობები მოიცავენ მიწის ნასყიდობათა რაოდენობას მხოლოდ

47 ССДЗТКГ, стр. 9. Материалы по вопросу и распространении действия крестьянского поземельного банка на закавказский край (МВРДКПБЗК), СПб, 1904, стр. 107.

48 ССДЗТКГ, стр. 13; МВРДКПБЗК, стр. 107.

49 ССДЗТКГ, стр. 20.

50 მკვლევარი ნ. შველიძე ამის გამო საფუძვლიანად შენიშნავს; „თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითეულ ნასყიდობაზე საშუალოდ 14 დესეტინაზე ცოტა მეტი მოდიოდა, ცხადი გახდება, რომ მიწის მყიდველი ძირითადად წერილი მწარმოებელი, გლეხია“ (ნ. შველიძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, 1967, გვ. 104).

51 ი. ჰავკავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 26.

ერთ ათწლეულში. ამავე დროს მიწის ის ფართობები, რომელიც ნას-
ყიდი იყო რეფორმამდე ან რეფორმის შემდეგ (1879—წლამდე) ამ
მონაცემში ასახული არ არის. ამასთან, გვაქვს მეორე, უფრო სრული
ცნობა (ადმინისტრაციის ცნობით თბილისის გუბერნიის 8.363 სულს
ეკუთვნოდა 99.921 დესეტ.), რომელშიც ვფიქრობთ, შედის დასახელე-
ბულ ათწლეულში გლეხთა მიწის ნასყიდობანიც, რაც ნოტარიალუ-
რად იყო გაფორმებული. ამის გამო, რათა ერთი და იგივე ფართობი
ორჯერ არ იქნეს აღრიცხული, ნოტარიალური კანტორის არქივის ამ
მაჩვენებელს ამჟამად ანგარიშში არ შევიტანთ.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ადმინისტრაციის მონაცემებზე, რომლას
მიხედვითაც გლეხთა 8.363 სულს (მამაკაცს) კერძო საკუთრებაში
ჰქონია 99921 დეს. მიწა.

ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ ეს მონაცემები 90-იანი წლების
მდგომარეობას ასახავს. სინამდვილეში ეს მონაცემები 80-იანი წლები-
საა, უფრო ზუსტად 1889 წელზე გვიანდელი პერიოდისა არ უნდა
იყოს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ სტატისტიკური კრებული, რომელშიც
პირველად დაიბეჭდა ეს მონაცემები, უკვე 1890 წ. დასაწყისისათვის
მთლიანად იყო გამზადებული დასასტამბად⁵².

სტატისტიკურ კრებულში მოთავსებულ ამ ცნობას სათანადო
კომენტარი არ ახლავს. არ ჩანს, მაგალითად, ეს გლეხები რომელი კა-
ტეგორიიდან იყვნენ გამოსული. ზოგიერთ სხვა საბუთში გვხვდება
მეტ-ნაკლები ღირებულების ცნობები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც
შუქს ფენენ ზოგიერთ ბუნდოვან საკითხს. სტატისტიკურ კრებულე-
ბში 99.921 დეს. მფლობელ გლეხად დასახელებულია ერთგან 8.363
სული, სხვაგან მითითებულია რომ ეს არის 8.363 მამაკაცი, ამასთან
კომლთა რაოდენობა ნაჩვენები არ არის. მაგრამ ერთ საარქივო საბუ-
თში ნაჩვენებია აგრეთვე კომლთა რაოდენობა (2.091 კომლი, 8.363
მამაკაცი)⁵³. აქვეა მითითება, რომ ეს მესაკუთრეები დროებით—
ვალდებულთა წრიდან არ ყოფილან გამოსული⁵⁴. აგრეთვე ჩანს რომ
ეს 99.921 დეს. მიწა არა სანადელო მიწებია⁵⁵. ამასთან ბანკის მმარ-
თველის ამხანაგის (მოადგილის) სოსნოვსკის ხელმძღვანელობით შე-
დგენილ წიგნში საკუთარი მიწების აღმნიშვნელი ეს ციფრი (99921

52 ССДЗТКГ, стр. V.

53 ЦГИАЛ, ф. 391, оп. 2, д. 592, л. 39.

54 «Крестьяне частные собственники, не из бывших временнообязанных
крестьян, составляющие в тиф. губ. 8.363 душ м. п.» (იქვე).

55 «Собственники, приобретших вненадельные земли дым — 2.091 м. п.
— 8.363» (იქვე).

დეს.) შეტანილია გრაფაში, რომლის მიხედვითაც გამოდის, რომ ეს მიწები გამოსყიდული სანადელო მიწები⁵⁶. თუ ეს მექანიკური შეცდომა არ არის, მაშინ საქმე გვაქვს აშკარა უზუსტობასთან. ცნობილია, რომ საქართველოში სახ. გლეხებს სახაზინო სანადელო მიწების გამოსყიდვის უფლება არ მიუღიათ არც 80-იან წლებამდე და არც შემდეგ. 1900 წ. 1 მაისის კანონითაც სანადელო მიწები სახ. გლეხებს მხოლოდ სამუდამო სარგებლობაში დაარჩათ, რისთვისაც სახელმწიფოსათვის ღალა უნდა ეხადათ⁵⁷. ხოლო ე. წ. მუსლიმანური პროვინციებს სახ. გლეხებს, რომლებიც კერძო მფლობელთა მიწებზე სახლობდნენ აგრეთვე ნადელების არავითარი გამოსყიდვა არ მოუხდენიათ⁵⁸. რაც შეეხება დროებითვალდებულ გლეხებს, მათ შესახებ დასახელებული წიგნის იმავე გრაფაში ცალკეა მოტანილი მაჩვენებელი იმ სანადელო მიწებისა, რაც მათ უკვე გამოსყიდული ჰქონდათ.

სტატისტიკურ კრებულებში 99.921 დეს. საკუთარი მიწის მქონე გლეხები მესაკუთრე—გლეხებად (Крестьяне — Собственники) იწოდებიან⁵⁹. წყაროების ეს ჩვენება ზოგიერთ მკვლევარს ისე გაუგია, თათქო ეს გლეხები მესაკუთრე გლეხთა კატეგორიას შეადგენდეს. მაგრამ ძნელია იმის გადაჭრით თქმა, რომ ყველა ეს გლეხები მესაკუთრე-გლეხთა კატეგორიაში შედიოდნენ. საქმე იმაშია, რომ საკუთარი მიწის მფლობელ გლეხს თუ კი სანადელო მიწა (სახ. გლეხთა ნადელები, დრ. ვალდებულ გლეხთა ნადელები) გამოსყიდული არ ჰქონდა ის იურიდიულად მესაკუთრე — გლეხთა კატეგორიაში არ ჩაითვლებოდა. ამასთან თვით სტატისტიკურ კრებულებშიც გარკვევით არის გამიჯნული 99.921 დეს. საკუთარი მიწის მქონე გლეხობა იმ ყოფილ დროებითვალდებულ გლეხთაგან, ვინც ნადელები უკვე გამოისყიდა და ვინც შეადგენდა ჩვენი მესაკუთრე-გლეხთა კატეგორიის ძირითად ნაწილს. მაგრამ რჩება ერთი შესაძლებლობა იმ აზრის სასარგებლოდ, რომ ეს 8363 გლეხი მესაკუთრე-გლეხთა კატეგორიას მივაკუთვნოთ და ეს იმ შემთხვევაში თუ ყველა მათგანი უნადელო გლეხთაგან იყო წარმომდგარი. მაგრამ უნადელო გლეხთა შორის ასეთი ელიტა არ გვეგულება. თუმცა ცალკეული გლეხები, რომლებზეც ნადელი არ ირიცხებოდა, ვფიქრობთ, ამ 99.921 დეს. მფლობელთა შორისაც იყვნენ.

56 МВРДКПБЗК, стр. 107.

57 И. Г. Антелава, Госуд. крестьяне Грузии, т. II, стр. 221.

58 С. А в а л л а н и, крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, стр. 140.

59 Сборник статист. данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказья, под ред. Е. Кондратенко, 1899, стр. 13.

დასახელებული 99.921 დეს., ჩვენის აზრით, მხოლოდ ამ 8.363 სულს საკუთრება არ უნდა ყოფილიყო, არამედ ცალკეულ შემთხვევებში მათთან ერთად შესაკუთრენი სხვა გლეხებიც უნდა ყოფილიყვნენ. მაგალითად, ბორჩალოს მაზრაში 30 ათასი დესეტ. მიწის შესაკუთრედ 18 სულია დასახელებული, ხოლო ახალციხის მაზრაში 928 დეს. შესაკუთრედ—2 კაცი, რაც სწორი არ უნდა იყოს. გლეხთა რაოდენობის აღმნიშვნელი ეს ციფრები, რომელსაც წყაროში ვხვდებით ცალკეულ მაზრებში ერთდროულად მიწის შემსყიდველ იურიდიულ მხარესაც უნდა აღნიშნავდეს, რომელთა უკან ზოგჯერ გლეხთა მთელი ჯგუფი იდგა. არაიშვიათად გლეხთა ამხანაგობა თავისი რწმუნებულის სახით გამოდიოდა და ეს უკანასკნელი, როგორც იურიდიული მხარე, ერთეულს წარმოადგენდა და სტატისტიკის მიერაც მთელი მიწის მყიდველად ის აღირიცხებოდა⁶⁰.

ამასთან ეს ციფრები, თბილისისა და ბორჩალოს მაზრების გლეხთა ხელში რამდენიმე ათეულ ათას დესეტინა მიწას რომ აღნიშნავს სრულიადაც არ უნდა იყოს გაზვიადებული. ა. ერიწოვი მიუთითებდა, რომ ორბელიანებს, არღუთინსკის, მელიქოვებს, ბარათაშვილებს რამდენიმე ათეული წლის წინათ მარტო ბორჩალოს მაზრაში 60—70 ათასი დესეტინა მიწა ეკუთვნოდათ. ხოლო 1864 წლისათვის 15 ათას დესეტ. ნაკლები დარჩათ⁶¹. შემამულეებმა ათეულ ათასობით დესეტინა მიწა გაასხვისეს, ხოლო ამ მიწების დიდი ნაწილი სწორედ რომ გლეხებმა ჩაიგდეს ხელში.

შესაძლოა ექვი დაგვებადოს: სახელმწიფო მიწებზე მცხოვრები სახ. გლეხების ნადელს გარეშე საკუთარი მიწები, 9.758 დეს. რაოდენობით, ხომ არ შედიოდა იმ 99.921 დესეტინაში, რაც 2.091 კომლს (8.363 სულს) ეკუთვნოდა. ვფიქრობთ, ასეთი ექვი ნაკლებად საფუძვლიანია. რიცხვით 9.758 დეს. აღინიშნება გუბერნიის სახ. გლეხების განკარგულებაში მყოფი საკუთარი მიწები. ამავე დროს ცნობილი არ არის თუ ეს მიწა რამდენ კომლზე მოდიოდა. ხოლო ადმინისტრაცია გლეხთა საერთო მასიდან (დროებითვალდებულთა გამოკლებით) გამოჰყოფს გლეხთა იმ 8.363 სულს, რომელთაც 99.921 დეს. საკუთარი

⁶⁰ ასე იყო 80-იან წლებში, ასევე ყოფილა შემდეგაც. მაგალითად, შეფისხაველ ვორონცოვ-დაშკოვი 1910 წ. აღნიშნავდა, რომ გლეხთა მიერ შექენილი 52 ათას დესეტ. მეტი მიწიდან „Русскими приобретено 34% всей продаваемой площади, но всего по 18 сделкам, что указывает на преимущественную покупку общинами и товариществами; почти столько куплено грузинами, но — по 172 мелким сделкам единоличного владения». (Всепод. Отчет за пятилетие управлений кавказом гр. Воронова-Дашкова, 1910 г., стр. 54).

⁶¹ МДИЭБГКЗК, ч. VII, стр. 471.

მიწა გააჩნდათ. ამ ორ სიდიდეს წყაროები ნათლად გამოიჩვენენ. მაგალითად საგლეხო ბანკის მიერ 1904 წ. გამოცემულ ნაშრომში ცალკეა დასახელებული „Собственники выкупившие наделы“ (16. 416 დეს.) და ცალკე „Крестьяне — собственники“ (99.921 დეს.). ამის შემდეგ კი ნათქვამია „ამის გარდა სახაზინო მიწებზე მცხოვრებ სახელმწიფო გლეხებს აქვთ საკუთარი არასანადგლო მიწები თბილისის გუბერნიისში 9.758 დეს.“⁶².

ამგვარად, წყაროში მითითებული 99.921 დეს. საკუთარი მიწა შედგებოდა არასანადგლო მიწებისაგან, ხოლო მფლობელები გამოსული იყვნენ არადროებითვალდებულ გლეხთაგან. შეუძლებელი ჩანს იმის მტკიცება, რომ ამ მფლობელთა მთელი რაოდენობა მესაკუთრე-გლეხთა იურიდიულ კატეგორიაში შედიოდა, რამდენადაც იგულისხმება, რომ ბევრი მათგანი (უმეტესობა) სანადგლო მიწებსაც ფლობდა, რაც გამოსყიდული არა ჰქონიათ.

მაშასადამე გლეხთა საკუთარ მიწებად XIX საუკ. 80-იანი წლებისათვის მიგვაჩნია: 1) სანადგლო მიწები, რაც დროებითვალდებულმა გლეხებმა (ამიერიდან მესაკუთრე-გლეხებმა) გამოისყიდეს და რომლის ფართობი უდრიდა 13.585 დეს.. 2) სახ. მიწებზე მცხოვრები სახ. გლეხების საკუთარი არასანადგლო მიწები 9.758 დეს. ფართობით. 3) ის 99.921 დეს. მიწა, რომელიც 8.363 სულის საკუთრებად ითვლებოდა.

ამგვარად მოცემულ პერიოდში გლეხთა კერძო საკუთრებაში სულ დაახლოებით 123 ათასი დესეტინა მიწა ივარაუდება. აქედან მარტო სყიდვის გზით შეძენილი იყო არანაკლებ 110 ათასი დესეტინისა.

ხოლო გლეხთა ხელში საკუთარი მიწების თავმოყრის როგორი სურათი გვაქვს 1914 წლისთვის? ფაქტიური მასალა იმას მოწმობს, რომ 80-იანი წლების მთელ მომდევნო პერიოდში განუწყვეტლივ იზრდებოდა გლეხთა საკუთარი მიწების ფართობი, რომლის ზუსტად განსაზღვრა გაძნელებულია რამდენადმე სრული მონაცემების უქონლობის გამო. ამ გარემოებაზე მიუთითებდა ჩვენი ქვეყნის აგარარულ ურთიერთობათა გამოჩენილი მკვლევარი ს. ავალიანი⁶³.

მაინც კი არსებული მასალა ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის გლეხთა ხელში დაგროვილი საკუთარი მიწების რაოდენობაზე. როგორც ცნობილია, მიწა საკუთრებად გლეხთა ხელში რამდენიმე არხის საშუალებით ხვდებოდა. ასეთი არხი იყო, მაგალითად, საგლეხო ბანკი, რომლის მეშვეობით ჩვენ გლეხებს მიწის მნიშვნელოვანი ფართო-

⁶² МВРДКПБЗК, стр. 106—107.

⁶³ ს. ავალიანი, მიწისმფლობელობა საქართველოში, 1920, გვ. 12.

ბი შეუძენიათ. კერძოდ, კავკასიის ადმინისტრაციის ცნობით, საგლეხო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილები გახსნიდან (1906 წ.) 1910 წლამდე გლეხებს ამ განყოფილების დახმარებით 52.700 დესეტი. მიწა შეუძენიათ⁶⁴. ხოლო ს. ავალიანის გაანგარიშებით საგლეხო ბანკისავე შემწეობით 1914 წლისათვის ამიერკავკასიის გლეხებს შეძენილი ჰქონიათ 114.717 დეს. მიწა. აქედან: 103.199 დეს. — თბილისის გუბ. გლეხებს, 2.068 დეს.—ქუთაისის გუბ. გლეხებს, ხოლო 8.450 დეს. — დანარჩენ გლეხებს⁶⁵. საკუთრივ თბილისის გუბერნიის გლეხთა მიერ შეძენილ მიწებში სოფლის საზოგადოებებს უყიდიათ — 21.883. დეს., ამხანაგობებს—74.229 დეს., ხოლო ცალკეულ გლეხებს—7.056 დეს.⁶⁶ ამგვარად, საგლეხო ბანკის საშუალებით შეძენილი მიწების ძირითადი რაოდენობა (თითქმის 90%) თბილისის გუბერნიის გლეხებზე მოდის.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მიწის ყიდვა-გაყიდვის მაჩვენებლები, რომლებიც ამოკრეფილია სანოტარო კანტორის რეესტრებიდან, სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილებისა და თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის საქმეებიდან, აგრეთვე, ადგილზე მოპოვებული სხვადასხვა ცნობებიდან. ამ მაჩვენებლების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში გაყიდული მიწის ფართობი შეადგენდა, 1895—1897 წწ. — 22.520 დეს. (641 ნასყიდობა), ხოლო 1899—1901⁶⁷ წწ.—11.947 დეს. (95 ნასყიდობა). სულ კი აღნიშნულ წლებში გაყიდული მიწის ფართობს 34.467 დეს. შეუდგენია⁶⁸. ეს მიწა მხოლოდ გლეხების მიერ არ იყო ნაყიდი. არამედ მისი ერთი ნაწილი არაგლეხური ფენის მყიდველებზე მოდის, მაინც კი, გაყიდული მიწის დაახლოებით 2/3 ნაწილი, ანუ თითქმის 23 ათასი დეს. მიწა, ვფიქრობთ, გლეხების მიერ უნდა ყოფილიყო შეძენილი.

შემდეგ, თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო კომისიის მეშვეობით მარტო 1907 წლის 1 მარტიდან 1914 წლის 1 იანვრამდე აღმოსავლეთ საქართველოს გლეხებს 41.893 დეს. მიწა მიჰყიდიათ, 2.081.539 მანეთად⁶⁹.

64 Воронцов—Дашков, Всепод. отчет за пятилетие управления Кавказом, стр. 54.

65 ს. ავალიანი, მიწისმფლობელობა საქართველოში, გვ. 21.

66 ს. ავალიანი, იქვე.

67 1901 წლის 1 ოქტომბერი.

68 МВРДКПБЗК, стр. 283.

69 Отчет о деятельности земельной комиссии дворянства Тифлисской губернии за 1913 год.

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს გლეხებს 80-იანი წლებს მომდევნო პერიოდში ყიდვის გზით შეუძინიათ დაახლოებით 168 ათასი დეს. მიწა მანც.

გლეხთა საკუთრებაში მოხვედრილი სხვა რიგის მიწებიდან მნიშვნელოვანია 1913 წლისათვის სანადელო მიწების გადასვლა გლეხთა სრულ საკუთრებაში. სანადელო მიწები საკუთრებად გადაეცათ დროებითავალდებულ გლეხებს (ყოფ. საბატონო გლეხები) და კერძო მფლობელთა მამულებში მცხოვრებ სახ. გლეხებს (რომელთა მიწათ-მოწყობა განხორციელდა 1870 წ. და 1877 წ. აქტებით).

იმის შესახებ თუ სანადელო მიწების რა ფართობი ჰქონდათ დროებითავალდებულ გლეხებს, წყაროებში განსხვავებული მაჩვენებელია. ამჟამად ჩვენ ავიღებთ ფ. გოგიჩაიშვილის მიერ შედგენილ სტატისტიკურ კრებულში დატულ მონაცემს, რომლის მიხედვითაც დროებითავალდებულ გლეხების სანადელო მიწებს 76.454 დეს. სჭერიათ⁷⁰. ზემოთ უკვე აღენიშნეთ, რომ 80-იანი წლებისათვის გამოსყიდული იყო 13.585 დეს. მიწა. მომდევნო ხანაში ნადელების გამოსყიდვა გრძელდებოდა, ხოლო 1913 წ. დარჩენილი ნადელები გლეხთა საკუთრებაში გადავიდა. ამ გზით გლეხთა საკუთარი მიწების ფონდი 1913 წლისათვის 80-იან წლებთან შედარებით გაზრდილა დაახლოებით 53 ათასი დესეტინით.

რაც შეეხება კერძო მფლობელთა მამულებში მცხოვრებ სახ. გლეხების 6.902 კომლს, საგლეხო საქმეთა თბილისის საგუბერნიო საკრებულოს ცნობით, მათ 1886 წლისათვის ჰქონიათ 51.550 დეს. სანადელო მიწა (საკარმიდამო, სახნავი, ბალები, სათიბი)⁷¹. 1913 წლამდე ამ კატეგორიის გლეხებს მიწების თითქმის სრულიად არ გამოუსყიდიათ*, ხოლო 1913 წელში ეს სანადელო მიწები მათ სრულ საკუთრებაში გადავიდა.

მამასადამე 1914 წლის დამლევისათვის აღმოსავლეთ საქართველოს გლეხთა კერძო საკუთრებაში ყოფილა დაახლოებით 405 ათასი დეს. მიწა (123 ათასი დეს. პლუს 168 ათასი დეს., პლუს 63 ათასი დეს. პლუს 51 ათასი დეს), საიდანაც მარტო ნაყიდი მიწები შეადგენდა არანაკლებ 278 ათას დესეტინას.

ამ სიდიდის მიახლოებითი სისწორე სხვა წყაროების მონაცემებთან დასტურდება. მაგალითად, ფ. გოგიჩაიშვილის სტატ. კრებულში დატული ცნობით კერძო მიწათმფლობელთა შორის არათავადაზნა-

⁷⁰ СССРЗТКГ, стр. 431.

⁷¹ СССРЗТКГ, Приложение III, стр. 16.

* С. А в а л и а н и, Крест. вопрос в зак., т. IV, стр. 13.

ურულ ფენას (გლეხები, ვაჰრები, სასულიერო წოდება, „მეშხანები“) ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში საკუთრებაში. ჰქონია 293 ათასი დეს. მიწა. მიწის ამ ფართობის ძირითადი ნაწილი სწორედ რომ გლეხებს უნდა სჭეროდათ.

გლეხთა საკუთარი მიწების ფართობის ამ განსაზღვრისას ჩრუ-ლიადაც არ ვფიქრობთ, რომ ეს მონაცემები მთლიანად შეიცავენ გლეხთა ხელში მყოფ საკუთარ მიწებს. მასში გლეხთა მიერ ნაყიდი არასანადგლო მიწების რაოდენობაც კი, არასრულად არის წარმოღ-გენილი, რომ არაფერი ვთქვათ სახ. სანადგლო მიწების ყიდვა-გაყიდ-ვაზე, რაც არსად არ აღინუსხებოდა. მაშასადამე, ჩვენს მიერ დადგე-ნილი სავარაუდო სიდიდე არის გლეხთა საკუთარი მიწების მინიმალუ-რი ოდენობის აღმნიშვნელი მონაცემი, სინამდვილეში გლეხთა ხელში ფაქტიურად მნიშვნელოვნად მეტი ფართობის საკუთარი მიწები იყო.

ახლა საჭიროა განსაზღვროს საკუთარი მიწების ხვედრითი წო-ნა გლეხთა მფლობელობაში მყოფი მიწების საერთო რაოდენობაში. ამასთან გლეხთა მფლობელობაში ჩვენ ვგულისხმობთ სანადგლო და საკუთარ მიწებს.

თანახმად სტატისტიკური მონაცემებისა, ყველა კატეგორიის გლეხთა მფლობელობაში ყოფილა 1.053.501 დეს. სანადგლო მიწა⁷². ეს მიწები სავარგულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: საკარმიდამო ნაკვეთები—12.900 დეს., ბალ-ვენახები—16.900 დეს., სახნავ-სათესი მიწები—398. 300 დეს., სათიბი—60.011 დეს., ტყე—43.725 დეს., საძოვარი და სხვა მიწები—521.665 დეს. აქედან ჩვენ გამოვეყოფთ კულტურულ მიწებს (საკარმიდამო, ბალ-ვენახები, სახნავი, სათიბი), რომელთა ფართობი დაახლოებით 488 ათას დესეტ. უდრი-და. ვფიქრობთ, შესაძარებლად უნდა ავიღოთ არა ყოველგვარი მიწე-ბი, არამედ მხოლოდ გლეხთა მფლობელობაში მყოფი კულტურული მიწები. სახელდობრ, ერთი მხრივ, სანადგლო კულტურული მიწები, და მეორე მხრივ, გლეხთა საკუთარი მიწები, რამდენადაც ეს საკუთა-რი მიწები, რომლებიც გლეხთა ხელში შესყიდვის გზით მოხვდა, ძი-რითადად კულტურული სავარგულებისგან შედგებოდა. ამ სახით კი, 80-იანი წლებისათვის გლეხთა მფლობელობაში 611 ათასი დეს. სანა-დგლო და საკუთარი მიწა აღმოჩნდება. ამ ფართობში 123 ათასი დეს. გლეხთა საკუთარი მიწა ივარაუდება. აქედან, არანაკლებ 110 ათასი დეს. მიწისა სყიდვის გზით იყო შექმნილი. ამგვარად, გლეხთა მფლო-ბელობაში მყოფი კულტურული მიწების ფართობში, დაახლოებით

⁷² МВРДКПБЭК, стр. 120—121.

20% საკუთარი მიწები ყოფილა. 1914 წლისათვის საკუთარი მიწების ხვედრითი წონა გლეხთა მიწათმფლობელობაში საგრძნობლად გაზარდილა და 50% გადაუჭარბებია⁷³.

ზემომოტანილი მასალა შესასწავლ პერიოდში მიწის მობილიზაციის განუწყვეტელ ხასიათზე მიგვანიშნებს. მიწებს იძენდა უმთავრესად გლეხობა და აგრეთვე საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლები (ვაჭრები, მრეწველები, მოხელეები, ბურჟუაზიულ უაიდაზე მოსაქმე მემამულეები). მიწის ყიდვა-გაყიდვისას ადგილი ჰქონდა კონკურენციას, რაც მიმართული იყო მიწის მონოპოლიური საკუთრების, პირველ რიგში მიწის მემამულური საკუთრების წინააღმდეგ. თუშკა აღინიშნება წვრილგლეხურ (პარცელურ) მესაკუთრეთა რიცხვის ზრდა (აგრეთვე სანადელო მიწების საკუთრებაში გადასვლის გზით), მაგრამ ნაყიდი მიწები ძირითადად გლეხთა ზედაფენის ხელში გროვდებოდა.

შესასწავლ პერიოდში მიწა სულ უფრო მეტად ებმებოდა სასაქონლო ბრუნვაში, ხოლო სყიდვის ფზით გლეხთა კერძო საკუთრებაში მიწების მნიშვნელოვანი ფართობების შექმნა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის პროცესისა და სავაჭრო (და კაპიტალისტური) მიწათმოქმედების განვითარების თანამგზავრად გვევლინება.

ამასთან, სოფლად კაპიტალისტური მიწათმფლობელობა მხოლოდ სოფლის ბურჟუაზიის საკუთარი მიწების ფართობით არ გაიზომება, არამედ მიწის, როგორც მეურნეობის ობიექტის სიდიდით. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „კაპიტალისტური მიწათმფლობელობა არის მიწისმფლობელობა იმის მხრივ, ვისაც კაპიტალი აქვს და ყველაზე უკეთ ეგუება ბაზარს, ვისი საკუთრებაც უნდა იყოს მიწა, ძველი მემამულის, სახელმწიფოსი თუ მონადელე გლეხისა სულ ერთა, მიწა ვერ ასცდება მეპატრონის ხელს, რომელიც ყოველთვის შესძლებს მის იჯარით აღებას“⁷⁴.

⁷³ ეს პროცენტი ასეა გამოყვანილი: გლეხთა მფლობელობის საერთო ფართობი 1914 წლისათვის, 80-იან წლებთან შედარებით, გაზარდილა სულ ცოტა 168 ათასი დესეტ. ნაყიდი მიწით და შეუღგენია დაახლოებით 780 ათასი დესეტინა. (611 ათასი დეს. პლუს 168 ათასი დეს.). ამ მიწებში საკუთარი მიწები იყო დაახლოებით 405 ათასი დეს. (ნაყიდი — 278 ათასი დეს., გამოსყიდული — 127 ათასი დეს.), რაც რეფორმიდან დაწყებული ვიდრე 1914 წლამდე მოხვდა გლეხთა ხელში. ამასთან, რაკი გლეხთა საკუთარ მიწებში ე. წ. არა კულტურული მიწების ერთი ნაწილიც იყო, მითომ გლეხთა საკუთარი მიწებიდან გამოვრიცხავთ დაახლოებით იმდენს, რამდენიც ჩვენი ვარაუდით გლეხთა ნაყიდ მიწებში არაკულტურულ მიწებს უნდა სკეროდათ.

⁷⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 164.

ცხადია, კაპიტალისტურ მეურნეობათა და საკუთარი მიწების ფართობი ერთი და იგივე არ არის. კაპიტალისტური მეურნეობები ჩვენში მოწყობილი იყო როგორც საკუთარ, ისე იჯარით აღებულ მიწებზე. ამასთან, კაპიტალიზმის განვითარებისათვის იდეალური პირობები მაშინაა შექმნილი, როცა მიწის ნაციონალიზაციაა განხორციელებული და ეს იმიტომ, რომ მიწის კერძო საკუთრება აფერხებს მიწათსარგებლობის შეგუებას ბაზრის ინტერესებთან, აძნელებს მიწის გადასვლას ერთი პიროვნებიდან მეორე პიროვნების ხელში, ხოლო მიწის ყიდვაზე დახარჯული კაპიტალი აგრიკულტურისათვის დაკარგული კაპიტალია⁷⁵.

მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამდე ჩვენს ქვეყანაში მიწის ნაციონალიზაცია არ განხორციელებულა, ხოლო გლეხობის ხელში კერძო საკუთრების სახით მიწის თავმოყრის ფართო ხასიათი დადასტურებული ფაქტია. მიწის მობილიზაციის მნიშვნელოვანი მასშტაბები მით უფრო საყურადღებოა, რომ გლეხთა მიერ მიწის კერძო საკუთრებაში ყიდვა წმინდა ბურჟუაზიულ მოვლენას წარმოადგენს⁷⁶. ჩვენი ქვეყნის მოცემულ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მიწის ყიდვა-გაყიდვის გაცხოველებას, მიწის თავმოყრას სოფლის ბურჟუაზიული ელემენტების ხელში. სოფლის მეურნეობის რიგი მაღალშემოსავლიანი დარგების განვითარების სპეციფიკა საკუთრებაში მიწის ქონას გულისხმობდა. ეს ეხება კერძოდ, მევენახეობას და მეხილეობას. ამ დარგებში პლანტაციების საკუთარ მიწებზე მოწყობა უდავოდ სასარგებლო ჩანს. მართალია კაპიტალისტური ტიპის მეურნეობებს მევენახეობასა და მეხილეობაში იჯარით აღებულ მამულებშიც არა იშვიათად ვხვდებით, მაგრამ ზვრებისა და ხეხილის ბაღების საკუთარ მიწაზე მოწყობა მეურნეობის გაფართოება-წარმატების ინტერესებს უკეთ პასუხობდა. ისე რომ მიწის მსხვილი ფართობების ყიდვა, ჩვენს პირობებში, დადებით მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. რამდენადაც ადგილი აქვს მფლობელთა მიერ წარმოების კონცენტრაციას მამულების ყიდვის საშუალებით, ხოლო ამ მიწებზე მოწყობილი მსხვილი მეურნეობანი კაპიტალისტური მიწათმოქმედების ერთ-ერთი მაღალი და თვალსაჩინო ფორმის წარმოებებია. ამასვე ვერ ვიტყვიტ წვრილ გლეხთა ხელში ყიდვის გზით, მცირე ფართობების შექმნის მნიშვნელობაზე, ვთქვათ XIX საუკ. ბოლოსა და XX საუკ. დასაწყისი ხანისათვის. წვრილ გლეხთა ხელში მიწის მცირე ინაკვეთები გამიზნული ვერ იქნებოდა კაპიტალის-

75 მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2, გვ. 432.

76 ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 15, გვ. 85.

ტური ტიპის მეურნეობათა მოსაწყობად, ასეთ მეურნეთა ხელში საკუთარი მიწების ქონა კაპიტალისტურ ურთიერთობათა დაწინაურებასაც არ ნიშნავდა. საქმე იმაშია, რომ მიწის წვრილი საკუთრება თავისი ბუნებით გამოირიცხავს შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების განვითარებას, შრომის საზოგადოებრივ ფორმებს, კაპიტალის საზოგადოებრივ კონკურენციას, მეურნეობის მსხვილ მასშტაბებს, მეცნიერების პროგრესულ გამოყენებას⁷⁷.

რაც შეეხება ნადელების გლეხთა ხელში სრულ საკუთრებად გადაცემას, ეს იყო გარკვეულად პროგრესული მოვლენა, რამდენადაც ისპობოდა გლეხთა დროებითსავალდებულო ურთიერთობა, ანუ ბატონყმობის ძლიერი გადმონაშთი, ისპობოდა ის დაბრკოლება, რაც ხელს უშლიდა ჩანადელო მიწების თავისუფალ, სავაჭრო ბრუნვაში ჩაბმას. ყოველივე ეს საბოლოო ჯამში აჩქარებდა მიწაზე ბურჟუაზიული საკუთრების განმტკიცება-გაფართოების სტიქიურ პროცესს.

უდავოდ დიდი მნიშვნელობისაა XIX საუკ. მეორე ნახევრისა და XX საუკ. დასაწყისის ხანის საქართველოს სოფელში მიწის მობილიზაციის საკითხების შესწავლა, კერძოდ კი გლეხთა ხელში საკუთარი მიწის ფონდის ზრდის გათვალისწინება. ეს იმიტომ რომ გლეხთა ხელში საკუთარი მიწების თავმოყრა ნიშნავდა, ერთი მხრივ, წვრილ მესაკუთრეთა ფენის შექმნას და, მეორე მხრივ, მიწაზე ბურჟუაზიული საკუთრების ჩამოყალიბებას.

77 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2, გვ. 432.

ბ. ბაზრინაშვილი

ქართული ბანკანატობლური აზროვნების ზოგიერთი საკითხი სიმონ ხუნდაძის შრომაში*

სიმონ ხუნდაძის თანამედროვენი იგონებენ: როცა ივანე ჯავახიშვილს მისევიან დოგმატიკოსი კრიტიკოსები. ვითომ მარქსისტული პლატფორმიდან,—მისი შრომები არა მარქსისტულიაო,—სიმონ ხუნდაძეს, რომელსაც, როგორც ანლა ცხადია, მოწინააღმდეგეებზე უკეთ თუ არა, უარესად არ ესმოდა მარქსიზმი, — საჯაროდ განუცხადებია: დიახ, ივანე ჯავახიშვილს არ დაუწერია მარქსისტული ისტორია, მაგრამ საქართველოს მეცნიერულ-მარქსისტული ისტორია მისი შრომების გარეშე ვერც ვერასოდეს დაიწერება!

ეს იყო 30-იანი წლების დამდეგს. ლახვარჩაყემული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსამარებელი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ გააფთრებული და, რაღა დასამალია, ზოგჯერ განუჩვეული შეტევის შაშინდელ ვითარებაში ამის თქმა გვიბრძანებს თუ არა, დიდი გამბედაობა იყო და სიმონ ხუნდაძის ეს გამბედაობა ემყარებოდა მის ადამიანურ უანგარობას, მეცნიერულ ობიექტურობას და პრინციპულობას. ასე მოიქცეოდა მხოლოდ კეთილშობილი, პრინციპული, მაღალნიჭიერი, დიდად განათლებული და დაუღალავად მშრომელი მეცნიერი, რომელსაც თავის იმედიც ჰქონდა და ქვეშაობების გამარჯვების უსაზღვრო რწმენაც.

შეუმცდარი არავინ არის და სიმონ ხუნდაძეც ზოგჯერ ცდებოდა, მაგრამ ობიექტურობა და გულწრფელობა არასდროს არ ტოვებდა გამოჩენილ მეცნიერს. გულწრფელი იყო იგი, როცა, როგორც მემარცხენე სოციალ-ფედერალისტი, 1911—1912 წლებში საქართველოს

* მოხსენა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილებაში 1965 წლის აპრილში.

ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებელი დემოკრატიული გან-
ვითარების იდეას იცავდა. არანაკლებ გულწრფელი იყო იგი, როცა,
როგორც კომუნისტმა, საბჭოური პატრიოტიზმისა და კომუნიზმის
გზით ქართველი ხალხის ძლევამოსილ მსვლელობას აუბა მხარი. ასე-
ვე გულწრფელი და ობიექტური იყო იგი, როცა მეცხრამეტე საუკუ-
ნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის
მტვერწაყრილი ისტორიის კვლევას შეუდგა.

ისიც სათქმელია, რომ საკუთარი ღვაწლის საჩუკლამოდ გამოფე-
ნის მოძულე სიმონ ხუნდაძეს სიცოცხლეში ბევრმა ვერ გაუგო, ვერც
რევოლუციამდე და, მგონი, ზოგჯერ რევოლუციის შემდეგაც. მემარჯ-
ვენე სოციალ-ფედერალისტებს იგი კომუნისტად მიაჩნდათ, მემარც-
ხენე კომუნისტებს — სოციალ-ფედერალისტად. მერმინდელმა ამ-
ბებმა, განსაკუთრებით, მკვლევარის ამასწინანდელმა იუბილემ ნათ-
ლად გვიჩვენა, რომ მისი მეცნიერულ-ლიტერატურული მემკვიდრეო-
ბის შეფასებაში მემარჯვენენიც ცდებოდნენ და მემარცხენენიც. დიდა
შეცნიერი და მოქალაქე, მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადო-
ებრივი აზროვნების და ლიტერატურის დაუღალავი მკვლევარი, უან-
გარო მოღვაწე და პატრიოტი, — ასე ახასიათებენ ახლა სიმონ ხუნდა-
ძეს².

და მაინც სიმონ ხუნდაძის ღვაწლის შეფასებისას არ შეიძლება
არ მოვიგონოთ, რომ იყო დრო, როცა ზოგი კრიტიკოსი დაბეჯითებით
ამტკიცებდა: ს. ხუნდაძის შრომები ანტიმარქსისტულია, „არაფერს
მატებსო პროლეტარულ ლიტერატურას“.

ხოლო იმ მეცნიერებს, რომლებსაც დიდ ქართველ განმანათლე-
ბელთა რეაქციონერობა არა სჯეროდათ, უწოდებდნენ „ფეოდალურ —
ბურჟუაზიული საქართველოს ლიტერატურულ აგენტურას“, „გე-
ლერტულ—შარლატანურ სახელწოდებებს და გონება ჩლუნგი უპარ-
ტიობის სამოსელში გამოხვეულ იდეალისტებს, შოვინისტებს, ეკლექ-
ტიკოსებს“ და „ინტელიგენტურ-ნაციონალისტური ფაფის მზარეუ-
ლებს“³. ასეთები „იყვნენ“, თურმე, უპარტიოთაგან კორნელი კეკე-
ლიძე და შალვა ნუცუბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი და პავლე ინგო-
როყვა, ჭერგო დანელია და მიხეილ ზანდუკელი, კონსტანტინე კაპა-
ნელი და მათი დამცველი კომუნისტი... სიმონ ხუნდაძე.

უნდა ვაღიაროთ, რომ სიმონ ხუნდაძე მართლაც იცავდა, უფრო
სწორად, მიუდგომლად აფასებდა შემოსხენებულ მეცნიერებსაც და
მათი კვლევის ობიექტსაც, ე. ი. ქართულ მწერლობას და აზროვნებას.
მაგალითად, 1927 წელს ვაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე მან გა-
ნიხილა კ. კაპანელის ნაშრომი „ქართული სული ესთეტიკურ სახეებ-

ში“, მარქსისტული თვალსაზრისით გააკრიტიკა კაპანელის ორგანო-ტროპიზმი, მთლიანად არ დაეთანხმა დებულებას ილია ქავჭავაძის რე-ვოლუციონერობისა და სოციალისტობის შესახებ, მაგრამ საერთოდ კაპანელის ნაშრომი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორი-ის ორიგინალური, თუმცა არც თუ მთლად სწორი, ფანზილვის საინ-ტერესო ცდად მიიჩნია. იქვე ს. ხუნდაძემ უბრალოდ დაასახელა კ. აბა-შიძის, კ. კეკელიძის და ვ. კოტეტიშვილის ფუნდამენტური ნაშრომები, რომლებშიც, მისი თქმით, გაშუქებულია უფრო ქართული მხატვრუ-ლი ლიტერატურის, ვიდრე აზროვნების ისტორია⁴. და ეს საკმაო სა-ბაბი გახდა იმისათვის, რომ ფსევდონიმს ამოფარებულ კრიტიკოსს ერთი დარტყმით „გაენადგურებინა“ ილია ქავჭავაძეც, კაპანელიც, აბა-შიძეც, კეკელიძეც, კოტეტიშვილიც და მათი დამცველი სიმონ ხუნდა-ძეც: „კაპანელი მარქსიზმს ეარშიყებოდა და ილიას თვლისო მშრომელ-თა განთავისუფლების უდიდეს მებრძოლად, სოციალიზმის და რევო-ლუციის პირველ მოციქულად საქართველოში“, თუმცა ილია „სოცი-ალისტი ყი არა, ლიბერალიც არ იყო“. ხოლო სიმონ ხუნდაძე კაპა-ნელის დომხალს, მის „ურაპატრიოტულ და გადამლაშებულ“ შეზღ-დულებებს სერიოზულ შრომად ასაღებს და რეკლამას უკეთებს კ. აბა-შიძის, კ. კეკელიძის, ვ. კოტეტიშვილის ნაშრომებს, რომლებშიც გა-შუქებული კი არა, დაბნელებულია ქართული ლიტერატურის ისტო-რიაო.⁵

ეს რბილადაა ნათქვამი იმასთან შედარებით, რაც შემდეგ ითქვა: ს. ხუნდაძის ტექსტოლოგიურ მუშაობაშიც იდეოლოგიური დამახინ-ჯება დაინახეს, — გიორგი წერეთელი ასეთი კომენტარებით არ უნდა გამოეცაო, — ხოლო თვით შეუფერავი რეალისტის ხუნდაძისეული კლასობრივი შეფასება სხვა მის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშ-რომებთან ერთად „დამპალი ლიბერალიზმის აქტივიზაციის ერთ-ერთ სახეობად“ გამოაცხადეს.

გამოუცდელ და, უნდა ითქვას, მარქსიზმ-ლენინიზმისა და საზო-გადოებრივი აზროვნების ისტორიის ცუდად მცოდნე ახალგაზრდა კრიტიკოსთა ამ ლაშქრობას, სამწუხაროდ, დიდი ცოდნის, გამოცდი-ლებისა და დამსახურებული ავტორიტეტის მქონე ზოგი ხანდაზმული მარქსისტიც შეუერთდა და წიგნაკში „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“ (უფრო სწორი იქნებოდა: კლასიკოსების წინააღმდეგ!) ერთხელ კი-დეც იქნა გამოცხადებული, რომ ს. ხუნდაძე საბჭოთა ხელისუფლები-სა და სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი უცხო ელემენტების გავლენის ქვეშ მოექცა და ამიტომ ვერ ახერხებს დაიცვას „მცირეო-დენი ობიექტიობაც კი ისტორიული სინამდვილის მიმართ, ე. ი. რამ-

დენიმედ მაინც მიუდგომლად წანმარტოს და გააშუქოს ისტორიული ფაქტები“ და გაიგოს, რომ ილია ჭავჭავაძე „მუდამყამ ტიპიური თავადი და მემამულე იყო თავიდანვე და ბოლომდეც ასეთივე დარჩა“... იგი იყო „მუშებისა და გლეხების ექსპლოატატორი. როგორც მწერალი ილია ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების უერთგულესი დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი“⁶.

ამ ტენდენციური, არამეცნიერული დასკვნის წინააღმდეგ გამოსვლა ს. ხუნდაძეს გარდაცვალების შემდეგაც არ აპატიეს და ნეკროლოგში მისი მოღვაწეობის დადებითი დახასიათების გვერდით ისიც ჩაუწერეს, რომ „მის შრომებში ხშირია მკდარ შეხედულებათა ნიადაგზე აღმოცენებული შეცდომები“ და „ანტიპროლეტარული იდეოლოგიის ცალკე გავლენებით“.

არც ისე დიდი დრო გასულა სიმონ ხუნდაძის გარდაცვალების შემდეგ, რომ ჩვენმა პარტიამ და მეცნიერებამ ბოლო მოუღეს რევოლუციამდელი კულტურული მემკვიდრეობისადმი რაპპულ-ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. ამ დროიდან დიდი ხნის განმავლობაში ყველა მკვლევარი, ვინც მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების პრობლემებს იკვლევდა, ამა თუ იმ სახით სარგებლობდა ს. ხუნდაძის მიერ (აგრეთვე მის წინამორბედთა და თანამედროვეთა მიერ) დაუღალავი შრომით მოპოვებული მდიდარი ფაქტობრივი მასალით და არაიშვიათად დასკვნებითაც, ოღონდ ყველაფერი ეს თავსდებოდა ცნობილი თუ ყბადაღებულ წიგნაკის ბოლოს მინაწერი თრიოდე უთავბოლო შენიშვნის პროკრუსტეს სარეცელზე, რომელზე გაკიმვის შემდეგ ქართული განმანათლებლური აზროვნება ან მხოლოდ თავადაზნაურული ჩანდა, ან არა და, რეაქციულ-ბურჟუაზიული. აზროვნების ისტორიის საკითხებზე დაწერილი არაერთი შრომა ზემოხსენებული დოგმატური შენიშვნებით იწყებოდა და თავდებოდა, ნაშრომებში წინამორბედთა ღვაწლის ისტორიოგრაფიული ბიბლიოგრაფიული დახასიათებაც მოდიდან გავიდა და ამიტომ იოლი როდია ზოგ მაშინდელ ნაშრომში სხვისი და საკუთრივ ავტორისეული აზრის გარჩევა. სიმონ ხუნდაძის და მისი ზოგი თანამედროვის ნაშრომები თითქოს აღარც არსებობდა. ზოგჯერ მათზე აღარც ავს ამბობდნენ, აღარც კარგს, მხოლოდ იყენებდნენ. შემთხვევითი როდია, რომ ს. ხუნდაძის მიერ წამოყენებულ და რაპპელთა მიერ 30-იანი წლების დამდეგს გაბიაბრუებულ თეორიულ მოსაზრებათაგან 50-იანი წლების გეორე ნახევრამდე ბევრს დუმილით უვლიდნენ გვერდს, ბევრსაც ასევე დუმილით ითვისებდნენ. არც ისაა შემთხვევითი, რომ მკვლევარნი

მხოლოდ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ახერხებენ ს. ხუნდაძის, როგორც აზროვნების ისტორიკოსის, კონკრეტულ შეფასებას. მანამდე კი მისი შრომების ისტორიოგრაფიული მიმოხილვა უმთავრესად ბიოგრაფიული და ლიტერატურულ-ტექსტოლოგიური, თავისთავად ფრიად საჭირო და საინტერესო, მაგრამ მაინც არასაკმაო დაკვირვებებით შემოიფარგლებოდა⁷.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლა მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაღრმავდა. სავსებით ბუნებრივია, რომ გაძლიერდა აზროვნების ახლანდელ მკვლევართა ინტერესი წინამორბედთა ისტორიოგრაფიული შესწავლისა და შეფასებისადმი. ამ ინტერესის გამოჩნატველია ცოტად თუ ბევრად ვრცელი ისტორიოგრაფიული დახასიათება სიმონ ხუნდაძის (აგრეთვე. ა. ხახანაშვილის, ა. ჯორჯაძის, კ. აბაშიძის, ი. გომართელის, ვ. კოტეტიშვილის, კ. კაპანელის) სამეცნიერო კვლევისა, რომელიც მოცემულია, მაგალითად, აბელ კიკვიძის, ლეო გორგილაძის, ვალერიან ბახტაძის, იური კაჭარავას, პროკოფი რატიანის, გერმანე ზაქარიასის, ფაბრიელ მეგრელიშვილის, დავით გამეზარდაშვილის, ვახტანგ ვაგოიძის, ზაქარია შველიძის და სხვათა ნაშრომებში⁸. ეს ავტორები ს. ხუნდაძეს, მართალია, სხვადასხვაგვარად აფასებენ, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ მისი შრომები წინამორბედთა შრომებთან შედარებით და საერთოდაც თავისი დროისათვის წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლაში, რა დიდად წინწასულიც არ უნდა ჩანდეს ეს საქმე ახლა, ს. ხუნდაძის გარდაცვალებიდან 38 წლის შემდეგ. ს. ხუნდაძემ გამოაქვეყნა დაუღალავი კვლევის შედეგად მოპოვებული მდიდარი მასალა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, თუმცა საკმარისიც, ცხადია, უკვე აღარაა. ს. ხუნდაძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცადა მარქსისტულ-ლენინური თეალსაზრისის მომარჯვება ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესასწავლად, თუმცა მისი ეს ცდა ყოველთვის წარმატებითი არ იყო. მიუხედავად ცალკეული შეცდომებისა, რაც მის შრომებში გვხვდება მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია მსოფლმხედველობის კონკრეტულ თავისებურებათა და განსაკუთრებით იდეურ-კლასობრივი ბუნების შესახებ, მაინც უდავოა, რომ

ს. ხუნდაძემ მოგვცა მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების თავისი დროისათვის ყველაზე სწორი, თუმცა არცთუ უნაკლო, ზოგადი სურათი, რამაც დიდი როლი შეასრულა ქართული განმანათლებლობის უფრო ფართოდ და ღრმა-მეცნიერულად შესასწავლად აუცილებელი პირობების მომზადებისათვის. ისიც სათქმელია, რომ ს. ხუნდაძე კი არა, ზოგ რამეში დრო ცდებოდა: იმ დროს, როცა გაბატონებული შეხედულება ილია ჭავჭავაძეს რეაქციონერად აჯლიდა, მისი ლიბერალად მიჩნევა აუცილებელი და მართებული თუ არა, ერთგვარად გასაგები მაინცაა. და თუ მაშინდელ ვითარებასთან ერთად იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ცალკეულ მოაზროვნეთა მთელი მემკვიდრეობის შეუსწავლელობის გამო მათი მსოფლმხედველობის კონკრეტულ თავისებურებათა ვრცელი, ყოველმხრივი, ამომწურავი დახასიათება მაშინ თითქმის შეუძლებელი იყო, — არ შეიძლება გადაჭარბებულად არ მოგვეჩვენოს ვულგარიზატორთა წინააღმდეგ მებრძოლი სიმონ ხუნდაძის გამოცხადება ვულგარიზატორად და ეკლექტიკოსად, ხოლო მისი თვალსაზრისის მიჩნევა „ვულგარული სოციოლოგიზმის წინააღმდეგ“. ვფიქრობთ, მყარ საფუძველს არ უნდა ემყარებოდეს აგრეთვე ლოზუნგი — „გამოვამქდავნოთ და დაუნდობლად გავაკრიტიკოთ“ იმ მკვლევართა შეხედულებანი, რომელნიც, ზოგიერთი პატივცემული ავტორის აზრით, „ერთგვარ ხარკს უხდიან ს. ხუნდაძის დრომოკმულ თეორიას“⁹ (ხარკს კი არ უხდიან, ცდილობენ ობიექტურად შეათასონ!).

წინამორბედთა კრიტიკა საჭიროა, მაგრამ უფრო სასარგებლოა მათ სწორ დებულებათა შეთვისება, როგორც ამას მოწმობს, მაგალითად, ავტორთა კოლექტივის ნაშრომი, — „საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო“, რომელშიც ძველი ტერმინოლოგიისაგან განწყმენდილი, დაზუსტებული და განვითარებული სახით გაზიარებულია ს. ხუნდაძის და მის წინამორბედთა და თანამედროვეთა არა ერთი დებულება.¹⁰

ყველასათვის უდავოა, რომ სიმონ ხუნდაძეს არ დაუწერია მეცხრამეტე საუკუნის ქართული აზროვნების ყველა დროისათვის დაუზუსტებლად და უშენიშვნოდ გამოსადეგი ისტორია. მაგრამ, ჩერებით, ასეთი ისტორია არც ახლანდელ მკვლევარებს დაგვიწერია. მეორე, ქართული აზროვნების მეცნიერული ისტორია სიმონ ხუნდაძის და მის წინამორბედ და თანამედროვე ისტორიკოსთა შრომების გარეშე ვერც ახლა დაიწერება. და, მესამე, ხომ ცნობილია, რომ „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ

იმის მიხედვით, თუ რა მოგვეცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“¹¹.

სიმონ ხუნდაძემ კი, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, თავის წინამორბედებთან შედარებით ბევრი ახალი და ახლებურად გამოიკვლია. რაც შეეხება მის დამოკიდებულებას ვულგარულ ზოციოლოგიზმთან, მარქსიზმთან და ფედერალიზმთან, ამ საკითხზე დასკვნის გაკეთებამდე ჩვენ მოვალე ვართ შევისწავლოთ მისი არა მარტო ისტორიული შეხედულებანი, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მსოფლმხედველობაც. რომელიც გადმოცემულია მეცნიერის მრავალრიცხოვან, მკვლევართათვის თითქმის სრულიად უცნობ პუბლიცისტურ წერილებში.

სიმონ ხუნდაძე მარტო მეცნიერი როდი იყო. ამასთანავე იგი იყო თავისი დროის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი და მოაზროვნე, სოციოლოგი, რომელსაც გარკვეული მსოფლმხედველობა ჰქონდა. ჩვენ ამჯერად ს. ხუნდაძის მეცნიერულ-ისტორიული შეხედულებანი გვინტერესებს და არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, მაგრამ მის ვრცელ ლიტერატურულ მექვიდრობაში მეცნიერება და პოლიტიკა განუყრელად უკავშირდებოდა ერთმანეთს და ამდენად მისი ზოგადი მსოფლმხედველობის შესწავლა მისივე სამეცნიერო მოღვაწეობის დახასიათების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ხდება. ამიტომ მეცნიერის ობიექტური და ყოველმხრივი დახასიათებისათვის ვერც ყველა მისი ნაწერის გაცნობას ვერ დავიზარებთ, რა სიძნელეებიც არ უნდა ახლდეს ამას. სიძნელეს კი არა მარტო ის ქმნის, რომ მისი ყველა ნაშრომი (მაგალითად, მონოგრაფიები ი. ჭავჭავაძის და ს. მესხის შესახებ) გამოუქვეყნებელია, არამედ ისიც, რომ 1924 წლამდე მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული პუბლიცისტური და სამეცნიერო წერილები გაფანტულია სხვადასხვა ყურნალ-გაზეთებში. ს. ხუნდაძის ეს, დღემდე თითქმის სრულიად უცნობი ნაწერები, რომლებიც სულ ცოტა 4—5 მოზრდილ ტომს მაინც შეადგენს, ხშირად დაბეჭდილია ხელმოუწერლად ან ფსევდონიმებით, რომლებიც მეცნიერებისათვის აგრეთვე უცნობია. დამახასიათებელია ასეთი ფაქტი. 1955 წელს გამოქვეყნებულ ქრესტომათიაში „ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“ ერთმანეთის გვერდითაა დაბეჭდილი თითქოს სხვადასხვა ავტორის სიმ. ნარდიონის და სიმონ ხუნდაძის წერილები—„ვაჟა-ფშაველა“ და „მთების ამაყ შვილს ვაჟას ხსოვნას“¹², — სინამდვილეში კი ორივე წერილის ავტორი ერთია — ს. ხუნდაძე, რომლის ფსევდონიმი იყო სიმ. ნარდიონი. ამას გარდა, როგორც ნანა ხუნდაძემ გვაცნობა, ს. ხუნდაძე წერილებს აქვე-

ყნებდა სხვა ფსევდონიმებითაც: ს. ნარ-ნი, ს. ნაროდინი, ს. დევიანი, სან-დონი, ს. ხ., Sannus, მოსული, მო-ლი, ს. დე-ნი, S (?)¹³. ჩვენ თერთონ მივაკვლიეთ მის შემდეგ ფსევდონიმებს. სიმ. ნ.-იონი, სიმ. ნ.-ონი, ნარდიონი, სიმ. ნ.-ნი, ს. ნ.-ი, NeNe¹⁴.

სიმონ ხუნდაძის ერთ-ერთი პირველი წერილი გამოქვეყნდა 1915 წელს გაზეთ „მეგობარში“, რომელიც ქუთაისში ი. მახვილაძის რედაქტორობით გამოდიოდა.¹⁵ ამ დროს ს. ხუნდაძე მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა და უნივერსიტეტთან არსებული ქართული კულტურისმოყვარეთა ილია ჭავჭავაძის სახელობის წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. კულტურასთან ერთად წრის წევრები პოლიტიკისადმიც დიდ ინტერესს იჩენდნენ და ს. ხუნდაძის მაშინდელი წერილებიც უმთავრესად რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას ეხება. დიდად საყურადღებოა, რომ უკვე იმ დროს ქართული აზროვნების მომავალი ისტორიკოსი საზოგადოებრივ მოვლენებს მუშათა კლასისა და მშრომელი დემოკრატიის თვალთ უყურებდა. ზემოხსენებულ წერილში ს. ხუნდაძე ამბობს: „საერთო მიზნებითა და საერთო იდეალებით დარაზმული მუშათა კლასი, მშრომელი დემოკრატია რუსეთში ერთ უდიდეს და უმშვენიერეს ძალას წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია თავისი მისწრაფებები... აქტიურად გამოსთქვას და... სიტყვა საქმითაც დაამტკიცოს!“ ამასთან ს. ხუნდაძე ძველი ქართველი განმანათლებელივით მსჯელობდა ინტელიგენციის როლზე — თუ ინტელიგენციას „ევროპიზმსა“ და საზოგადოების „სრულ და ღრმა რეორგანიზაციაში“ მესვეურობა სურს, ხალხი უნდა გაანათლოს, და მთავრობის პოლიტიკა არა მარტო სოციალური ჩაგვრის, არამედ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგაც აქტიური ბრძოლის გზით უნდა წარმართოსო¹⁶. სხვა წერილში ს. ხუნდაძე კაცობრიობის და განსაკუთრებით ჩაგრულ ერთა გამანადგურებელი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ილაშქრებს და ყველა მშრომელი დემოკრატიის თვალსაზრისით განიხილავს მიმდინარე ომში საქართველოს ინტერესებს და ამოცანებს: „ცხადზე უცხადესია, — ამბობს იგი, — რომ ქართველი ერის ერთ უდიდეს რეალურ მოთხოვნილებას (ეროვნული დამოუკიდებლობა) შეადგენს... ეროვნულ მართველობას ითხოვს მშრომელი დემოკრატიის, მუშათა კლასის ინტერესები. მშრომელ დემოკრატიას, ჩვენი ეროვნული ორგანიზმის ამ უმაღლეს და უძვირფასეს ნაწილს საკუთარი ეროვნული თვითმართველობის ქვეშ ფართოდ შეეძლება... მტკიცეთ და შეუდრეკლათ აწარმოოს კლასთა ბრძოლა.“¹⁷ ს. ხუნდაძე საზიანოდ თვლიდა ევროპისა და რუსეთის მუშათა პარტიების გათიშვას ობორონცებად, ბოიკოტისტ-ნეიტრალისტებად და პორაჟენცებად, მაგრამ ვერ ახერხებ-

და უკანასკნელთა პოზიციაზე დადგომას.¹⁸ იგი ფიქრობდა, რომ ევროპის სოციალისტთა დიდი უმრავლესობა „ეროვნულ ნიადაგზე იდგა და ამ გზით იბრძოდა მომავალ ბედნიერებისათვის... ამ საშუალებით ცდილობდა განწყობილებინა და დაევიკრავინებინა ინტერნაციონალიზმი—საერთაშორისო სოლიდარული განწყობილება. ნაციონალური გზით ინტერნაციონალიზმისაკენ (ეროვნული დამოუკიდებლობის გზით მსოფლიო ფედერაციისაკენ),—აი... საშვალეა, რომელიც შეიძლება... ევროპის სოციალისტურმა წრეებმა. და ამ ატმოსფეროში აღზრდილმა მიუშათა კლასმა თავისი კლასიური დარაზმვა ეროვნულ ნიადაგზე მოახდინა და გარკვევით შეითვისა სალი პატრიოტიზმი, რომელიც კი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმს, არამედ მის დამატებასა და აუცილებელ გზას წარმოადგენს“¹⁹. იმის გაააგებად. თუ რას გულისხმობდა ს. ხუნდაძე „საღ პატრიოტიზმსა და დემოკრატიზმში“, შეიძლება მოვიგონოთ მისი შეხედულება, გამოთქმული, როგორც თვითონ წერს, „შრომის შეილთა დღესასწაულის“—პირველი მაისის დღესთან დაკავშირებით 1916 წელს. „მშრომელი დემოკრატია ერთადერთი კლასია,—ამბობდა ს. ხუნდაძე,—რომლის აქტიურ მოქმედებას შეუძლია მხოლოდ თანამედროვე ცხოვრების აფორიაქებულ მიმდინარეობას ყველასათვის სასურველი და სასარგებლო შედეგები მისცეს. ასეთ მომენტში დემილი და პასიუობა მომავალდინებელი იქნება მთელი კაცობრიობისათვის... საერთაშორისო მშრომელი... მომენტს უცდის... საერთაშორისო მშვიდობისა და ბედნიერების დასამყარებლად; იგი კვლავ შეძლებს გაფანტული ძალების ხელახალ მობილიზაციას, შეერთებასა და ერთი საერთო მიზნით დარაზმვას ახალი ბრძოლისა და ახალი მოქმედების საწარმოებლად და გაწყვეტილ ინტერნაციონალური ძალების აღსადგენათ და გასამარჯვებლად. ჩვენ გვწამს, რომ კვლავ ერთსულოვნური მოსწრაფებებით და იდეალებით დარაზმული... პროლეტარიატი მხნეთ შეეცდება ჩაიგდოს ხელში საერთო მიმდინარეობის საქმე და კაცობრიობას ააშოროს ის მწვავე ტვივილები, რომელსაც ის განიცდის დღეს... ეს იქნება უდიდესი დღესასწაული მთელი კაცობრიობისათვის და ჩვენ აღფრთოვანებით მოველით მას...“²⁰ ასე წერდა ს. ხუნდაძე მაშინ, როცა მისგან მარჯვნივ მდგომ ნაციონალისტ-ფედერალისტებს პირველი მაისი თამარ მეფეს უფრო აგონებდა. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციამდე და განსაკუთრებით შემდეგ ს. ხუნდაძე მშრომელთა დემოკრატიის პოზიციიდან აკრიტიკებდა მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტებსაც, ნაციონალ-დემოკრატებსაც და სოციალ-დემოკრატ მენშევიკებსაც. რომლებსაც იგი თავად-აზნაურობის, ბურჟუაზიის

და გამდიდრებული წვრილი ბურჟუაზიის დამცველებად თვლიდა²¹. ფრიალ საინტერესოა, რომ ს. ხუნდაძის რევოლუციამდელ ნაწერებში ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ვერც ერთ წერილს, რომელშიც თუნდაც უბრალო სიმპათია იქნებოდა გამოთქმული ქართველი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიისადმი, თვითმპყრობელურ-მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების კრიტიკა კი თითქმის ყველა მის წერილში გვხვდება.

თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, ს. ხუნდაძის აზრით, რუსეთის საზოგადოებრივ წყობილებაში არ მომხდარა ძარეული ცვლილება, გლეხობამ, კერძოდ ქართველმა გლეხობამ, ვერ მიიღო მიწა, ჩაგრულმა ერებმა თავისუფლება, „ბიუროკრატიული იმპერიალიზმის ადგილი დემოკრატიულმა იმპერიალიზმმა დაიკი-რა“²². კორნილოვის შეთქმულების დღეებში იგი წერდა, რომ „რევოლუციონურ და კონტრრევოლუციონურ ძალთა კიდილში უნდა გამოირკვეს და ჩამოყალიბდეს სახე მომავალი რუსეთისა... დაჩაგრულ ერთა ხსნა რუსეთის რევოლუციონური მოძრაობის განმტკიცებაში და გაღრმავებაშია. რუსეთის თავისუფლება დაჩაგრულ ერთა თავისუფლებაა“. ამასთან ს. ხუნდაძე ებრძოდა რევოლუციური (საბჭოთა) რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორების მენშევიკურ-ნაციონალისტურ ტაქტიკას და აყენებდა ლოზუნგებს: „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთში მასთან ავტონომიურად შეკავშირებულ თავისუფალ საქართველოს“; „მთელი ძალაუფლება (ერთ კლასს) რევოლუციონურ დემოკრატიას“; „დღესვე უნდა მიეცეს ხალხს მიწა და თავისუფლება... რუსეთის ხსნა ერთა თავისუფალ კავშირშია. რომელიც მოითხოვს გარკვეული შინაარსი მიეცეს ერთა თვითგამორკვევის უფლებას“²³.

ს. ხუნდაძე დასცინოდა მენშევიკების პარლამენტურ-დემოკრატიულ რესპუბლიკას და ასაბუთებდა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა შეიძლება არა პარლამენტური რესპუბლიკით, რომელიც მხოლოდ კაპიტალიზმს განამტკიცებს, არამედ მშრომელთა დემოკრატიის მტკიცე რევოლუციური დიქტატურით. მშრომელთა დემოკრატიაში იგი მუშებსა და გლეხებს გულისხმობდა, მათ შორის არსებულ განსხვავებას დედ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და, თუმცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური გაგება ჯერ კიდევ არ ჰქონდა, მაინც ახალი ერის დასაწყისად თვლიდა და მხარს უჭერდა მას. ამასთან ს. ხუნდაძე ფიქრობდა, რომ მენშევიზმისა და მემარჯვენე ფედერალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მემარცხენე ფედერალისტთა ჯგუფმა შეძლო „რევოლუციისა და ერის ინტერესების შეთანხმება და მათი პრაქტიკული შედეგება“ და აღიარა, რომ ქარ-

თული ენის საქართველოს სახელმწიფოებრივ ენად გამოცხადების და ქართული ეროვნული კულტურის დაცვის მოთხოვნის განხორციელება შეუძლია მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციას, საქართველოს პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ დიქტატურას და სოციალისტურ წყობილებას²⁴. ს. ხუნდაძე უარყოფს კაპიტალიზმის, როგორც ქართველი ერის აღორძინების საშუალების, მენშევიკური იდეის დასაბუთებას ა. ჯორჯაძის მიერ და აცხადებს: „კაპიტალიზმმა მონებად გაგვხადა, სოციალიზმმა უნდა გვიხსნას ყოველი ჩაგვრისაგან“²⁵. ასეთ შეხედულებათა დაცვის გამო მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა მიმდინარეობა, რომლის ერთ-ერთი აქტიური ლიდერი ს. ხუნდაძე იყო, როგორც ფილიპე მახარაძე აღნიშნავდა, ჯერ კიდევ 1919—1920 წლებში გამოეთიშა მემარჯვენეებს, ხოლო 1921 წლის დასაწყისიდან საბოლოოდ გაფორმდა დამოუკიდებელ პარტიად, დაადგა სოციალისტური რევოლუციის გზას და უყოყმანოდ მიემხრო საბჭოთა ხელისუფლებას²⁶. ამის შემდეგ ს. ხუნდაძე თანდათანობით სძლევდა თავის აღრიხედელ, შეიძლება გარკვეული აზრით რევოლუციურ და დემოკრატიულ, მაგრამ უდავოდ არამარქსისტულ შეხედულებებს და 1923 წლისათვის უკვე მივიდა „მშრომელთა დიქტატურის“ ნაცვლად პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე, ეროვნულის და სოციალურის სინთეზის ნაცვლად ეროვნული საკითხის პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის მთავარი საკითხისადმი დაქვემდებარებას, ბრესტის ზავის, ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და ამიერკავკასიის ფედერაციაში საქართველოს გაერთიანების უცილებლობის აღიარებამდე. მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას, „რომელიც სცარცავს როგორც მუშათა კლასს, ისე ჩამორჩენილ ერებს, — წერდა ს. ხუნდაძე, — (ძალდატანებით) სპობს პროლეტარული რევოლუცია და სოციალისტური წყობილება. უკანასკნელი სწორად და სამართლიანად წყვეტს ეროვნულ საკითხს. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ყოველი ეროვნული მოძრაობა უნდა დაექვემდებაროს სოციალურ მოძრაობას და მისი დირექტივებით უნდა ხელმძღვანელობდეს“. ეს დებულება ს. ხუნდაძემ ყოველმხრივ განიხილა ვრცელ ნაშრომში „მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში“ და საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა მოგვცეს არა მარტო მშრომელთა სოციალური განთავისუფლების; არამედ აგრეთვე ჩაგრულ ხალხთა ეროვნული განთავისუფლების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, რომლის განხორციელების შედეგად საბჭოთა ხელისუფლების მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი განთავისუფლდა ეკონომიურად, პოლიტიკურად, ეროვნულად²⁷.

ზოგიერთი პარტიული თანამოღვაწე, მაგალითად, სერგი ამალლობელი. რომელიც კვლავ ძველ შეხედულებას იცავდა — ვითომ ევროპელი. რუსი და ქართველი მარქსისტების მსოფლმხედველობას ყოველთვის ეროვნული ნიჰილიზმი ახასიათებდაო, — შეედავა ს. ხუნდაძეს. მაგრამ ს. ხუნდაძემ ამჯერად უკვე ისე ნათლად დაიცვა ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომ მემარცხენე ფედერალისტთა ლიდერები იძულებული გახდნენ ელიარებინათ, რომ სან-დონმა (ს. ხუნდაძემ) აშკარად მოუგო ბრძოლა ა. ამალლობელს და, თუ ს. ხუნდაძე თავის ნაშრომს გააფართოებს, მისი შრომა თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს ეროვნულ საკითხზე დაწერილ მთელ სოციალისტურ ლიტერატურაში²⁸. ს. ხუნდაძემ კი დისკუსია ამ სიტყვებით შეაჯამა: ა. ჯორჯაძის და ნ. უორდანიას ეროვნული კაპიტალიზმის თეორია გაკოტრდა. ლენინიზმმა ეროვნულ საკითხშიც გაიმარჯვა. „კაპიტალიზმის სიკვდილით და ახალი სოციალისტური წყობილების შექმნით გზა ეხსნება ყოველი ერის თავისუფალ არსებობასა და თავისუფალს სოციალურ შემოქმედებას. ამიტომ არის, რომ ქართველმა მშრომელმა ერმა სხვა ერებთან ერთად (ლენინიზმის) სკოლაში დაინახა თავის ეროვნულ მიწვრთვებათა რეალური განადღების გარანტიები და სრულიად შეგნებულად თავის პატარა იალქანი დიადი რევოლუციონური მოძრაობის გემს გამოაბაო“²⁹.

ს. ხუნდაძის მიერ მარქსისტულ-ლენინური შეხედულებების აღიარებამ და დაცვამ გარკვეული როლი შეასრულა იმაში, რომ 1923 წლას ბოლოს მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა პარტიამ თავი გაიუქმა და 1924 წლიდან საქართველოს კომუნისტურ პარტიას შეუერთდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა კი იმას ჰქონდა, რომ საბჭოთა საქართველომ იმ დროისათვის დიდ წარმატებებს მიაღწია, ხოლო ჩვენი პარტიის XII ყრილობაზე ერთხელ კიდევ გაიმარჯვა დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლენინურმა გენერალურმა ხაზმა. ფილიპე მახარაძე ამბობდა, რომ ადრეც კომუნისტებთან ახლო მყოფ მემარცხენე ფედერალისტებს ჩვენგან ეროვნული საკითხი აშორებდაო. პარტიის XII ყრილობის შემდეგ მათ აღიარეს ეროვნული საკითხის ლენინური პოლიტიკის სისწორე და ამას შემდეგ ფედერალისტთა პარტიის ცალკე არსებობას აზრი და საფუძველი დაეყარაო. თვით მემარცხენე ფედერალისტთა ლიდერებიც ასე წერდნენ: „საბჭოთა ხელისუფლების წყალობით განთავისუფლდა ქართველი მშრომელი ხალხი ეკონომიურად, ეროვნულად, პოლიტიკურად. ჩვენმა პარტიამ შეასრულა თავისი მოვალეობა ქართველი მუშისა და გლეხის წინაშე. დამშვიდებული გრძნობით და სინდისით გადავიღი-

ვართ რევოლუციური სასამართლოს სრულ განკარგულებაში. დეე ისტორიის პირუთვნელობამ სთქვას უკანასკნელი გადამწყვეტი მიუღ-გომელი სიტყვა“.

ისტორიამ უკვე თქვა მიუღგომელი სიტყვა საქართველოს არა მარქსისტული პარტიების პოლიტიკის მკდარობის შესახებ. კონკრეტულად მემარცხენე სოციალ-ფედერალიზტთა პარტიის მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდზე. მის თვითგაუქმებასა და მისი წევრების კომუნისტურ პარტიაში შესვლაზე სპეციალისტები არაფერს ამბობენ²⁰.

რაც შეეხება სიმონ ხუნდაძეს, მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ზემოთმოტანილი მოკლე გადმოცემა გვარწმუნებს, რომ 1921 წლამდე იგი განიცდიდა მარქსიზმის იდეურ გავლენას, მაგრამ არსებითად რადიკალური ეროვნული დემოკრატიზმის გულწრფელ. მაგრამ არამეცნიერულ მსოფლმხედველობას იზიარებდა, 1921 წლის შემდეგ კი მან თანდათანობით დაძლია არამარქსისტული შეხედულებანი და მარქსისტულ-ლენინური მეცნიერული კომუნიზმის მსოფლმხედველობა აღიარა. 1926 წლისათვის, როცა ს. ხუნდაძემ კომუნისტური აკადემია დაამთავრა, იგი უკვე საბოლოოდ ჩაპოყალიბებული მარქსისტ-ლენინელი ჩანს.

ასე განვითარდა ს. ხუნდაძის სოციოლოგიურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა 1915 წლიდან 1925 წლამდე. ამის შესაბამისად ვითარდებოდა მისი მეცნიერულ-ისტორიული კვლევის მეთოდიც. მან სცადა, და ზოგ შემთხვევაში წარმატებითაც, გამოსულიყო „სოციალური და ეროვნული მომენტების სინთეზის“ უბრალო ქრონოლოგიურ-ისტორიულ ძიებათა ვიწრო ჩარჩოდან მარქსისტული დიალექტიკური მეთოდით ისტორიულ მოვლენათა კვლევის ფართო გზაზე. თვითონვე წერდა მეცნიერი: „ჩვენ ვიხილავთ ისტორიულ-ობიექტურად ყველა იმ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ცხოვრების საზოგადოებრივ ფონზე. მაგრამ ჩვენი მეთოდი არის არა უბრალო ქრონოლოგიურ-ისტორიული, არამედ ისტორიულ-დიალექტიკური, მარქსისტული სოციოლოგიის მკვეთრი მეთოდი. ჩვენ გვანტერესებს არა მარტო ის, რაც გარეგნული ფორმით ხდება საზოგადოებრივ ფონზე, არამედ ისიც, თუ როგორი არის მისი სოციოლოგიური ბუნება, როგორი მიზეზობრივი კავშირი არსებობს მოვლენასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას (კლასებს) შორის და როგორ გადადის ერთი მოვლენა „მემკვიდრეობის გზით“ მეორეში. ასეთი სწორი მარქსისტული მიდგომა საკითხისადმი სულ სხვაგვარ გაშუქებას აძლევს მას, ვიდრე დღემდე იყო ჩვენში გამეფებული... ჩვენ ვცდარდობთ, რო-

ვორც... ისტორიული ფაქტების აღნუსხვას, ისე მისი ისტორიულ-სოციოლოგიური საფუძვლების გამოძებნას³¹.

ორგანოტროპიზმსა და გეოგრაფიულ სოციოლოგიზმს როა აკრიტიკებდა, ს. ხუნდაძე მოკლედ ასე აყალიბებდა მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის ძირითად დებულებას: „მარქსიზმი არ უარყოფს გეოგრაფიული პირობების გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე, მაგრამ ეს არის ბუნებრივი ფარგალი, საზღვარი, რომლის ფარგლებშიაც გადაიმკრელი და პირველი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიურ ფაქტორს... გარკვეულ ეკონომიურ სტრუქტურის ნიადაგზე ყალიბდება კლასობრივი საზოგადოება. ხოლო ამ ეკონომიურ და სოციალური სტრუქტურის საფუძველებზე მუშავდება იდეოლოგიური ზედნაშენი, საზოგადოებრივი აზროვნება და სხვა. რასაკვირველია, აქედან სრულიად არ გამომდინარეობს ის, რომ ვითომც იდეოლოგიას თავის მხრით არავითარი გავლენა არ ჰქონდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებაზე. იდეოლოგია ახდენს გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, მაგრამ ამ ურთიერთგავლენის პროცესში მთავარი საფუძველი ეკონომიური სტრუქტურაა. განსაზღვრული იდეოლოგია გარკვეული ეკონომიურ-სოციალური სტრუქტურის ნიადაგზე მუშავდება და თავის მხრით გავლენას ახდენს, როდესაც ამისთვის ეკონომიურად და სოციალურად ნიადაგი არის მომზადებული“³².

სხვაგანაც ს. ხუნდაძეს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „იდეოლოგია ანარეკლია სოციალურ-ეკონომიური სინამდვილისა“; რომ „საზოგადოებრივი აზროვნების ვითარება დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებაზე, მის ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ამ უკანასკნელის შესწავლა ნათელს ფენს და გასაღებს გვაძლევს პირველის შესასწავლად“³³.

ს. ხუნდაძე სათანადოდ აფასებდა და იყენებდა მისი წინამორბედების — ა. ხახანაშვილის, ა. ჯორჯაძის, კ. აბაშიძის, ნ. ჟორდანიას, ფ. მახარაძის ნაშრომებს, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ მათარ, თუ ვერ გამოიყენეს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლაში მეცნიერული (მარქსისტული) მეთოდი. „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას, — წერდა იგი, — ნ. ჟორდანია ხსნის თაობათა ბრძოლის მიხედვით, მისთვის სრულიად გაუგებარი დარჩა მარქსისტული სოციოლოგია, რომელიც ყოველგვარ აზროვნებისა და პარტიულ მიმდინარეობათა საფუძვლებს სოციალური ცხოვრების სიღრმეში ეძებს“³⁴. რაც შეეხება ჩვენს ნაშრომებს, — ამბობდა ს. ხუნდაძე, — „60-იან წლებში ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების სფეროში

მომხდარი ცვლილებების ძირეულ მიზეზებს ჩვენ ვეძებთ ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ სფეროში მომხდარ ცვლილებებში, ახალი სამეურნეო ფაქტორების განვითარებაში. ინტელიგენციამ, როგორც განათლებისა და განვითარების მატარებელმა, არსებითად ასახა ის, რაც ცხოვრების სიღრმეში ხდებოდა. ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ აამოძრავა მისი ცნობიერება, გააცხოველა მისი აზროვნება და გამოიყვანა იგი სქოლასტიური აზროვნების სივიწროვიდან. უდავოა, რომ რუსეთის და ევროპის პროგრესულმა აზროვნებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ინტელიგენციაზე, ასე ვთქვათ დაეხმარა მას აზროვნების შემუშავებაში, მაგრამ ეს გავლენა უნაყოფო იქნებოდა, რომ ამისათვის ნიადაგი არ მომზადებულიყო ჩვენი ცხოვრების პირობებში: უცხო გავლენამ შესაფერისი გავლენა მოახდინა უკვე მომზადებულ ნიადაგზე“. სწორ მოსაზრებას იცავდა ს. ხუნდაძე წარსული კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების შესახებ: „საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუცია ობიექტურ-ისტორიული საზომით უნდა იქნას განხილული“, იმის მიხედვით, თუ რა იყო მისი არსებითი ისტორიული დანიშნულებაო. რევოლუციამდელი „ქართული ინტელიგენციის ნამოღვაწარს ზელალებით არ უარყოფს პროლეტარიატი. იგი აფასებს ამ მოღვაწეობას ისტორიული საზომით და ჰკრეფს... მემკვიდრეობიდან მას, რაც ცხოვრების წინწამწევი და პროგრესული იყო“³⁵.

ასე გამოიყურება ს. ხუნდაძის კვლევის მარქსისტული მეთოდი, მისი სოციოლოგიური მიდგომა ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის შესწავლისადმი. უნდა ვალიაოთ, რომ მის ნაშრომებში სწორ თეორიულ პრინციპებთან ერთად შეინიშნება ამ პრინციპების პრაქტიკულად არასწორი, ცალმხრივი გამოყენების ცალკეული მომენტებიც, რამაც განაპირობა მისი შეცდომები, თუმცა უფრო მეტად ლიტერატურის, ვიდრე აზროვნების ისტორიის საკითხებში. მაგალითად, იგი ფიქრობდა, რომ „მხატვრული ლიტერატურის ევოლუციის შესწავლა შესაძლებელი არის მხოლოდ და მხოლოდ სოციოლოგიური პრინციპის გამოყენებით“³⁶. საერთოდ ს. ხუნდაძის ნაშრომებში ზოგჯერ შეინიშნება იდეოლოგიის კლასობრივი განპირობებულობის მარქსისტული დებულების ზომამდე მეტად გამოყენება, იმის ფაუთვალისწინებლობა, რომ აზროვნების და განსაკუთრებით ლიტერატურის ისტორიაში გვხვდება მოვლენები, რომლებიც ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში პირდაპირ, უშუალოდ არ უკავშირდებიან ამა თუ იმ ერთი კლასის ინტერესებს. ეს შეცდომები გარდუვალიც იყო იმ დროს, როცა რაკველ ვულგარიზატორთა თუ რუსული აზროვნების სოლიდურ ის-

ტორიკოსთა გავლენით (ხოლო ეს გავლენა მაშინ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ქართული აზროვნების ზოგ ისტორიკოსზე ახლანდელ რუს ისტორიკოსთა გავლენაა) ბატონობდა შეხედულება, რომლის მიხედვით ევროპისა და რუსეთის თვით დიდი უტოპისტ-სოციალისტები სენ-სიმონიდან გერცენამდე „არ იყვნენ წმინდა წყლის სოციალისტები, არამედ ლიბერალები, რეფორმისტები, თავდაზნაურობის და ბურჟუაზიის თავისებური იდეოლოგიები“³⁷. საკვლევი ობიექტის მაშინდელ ამომწურავად შეუსწავლელობასთან ერთად ამითაც აიხსნება ს. ხუნდაძის მიერ ქართველ განმანათლებელთათვის სხვადასხვა, არაიშვიათად მცდარ კლასობრივ იარაღთა მიკერება, რაც ჯერ კიდევ ს. ხუნდაძის დროს აღნიშნეს მაშინდელმა ისტორიკოსებმა. მაგალითად, ს. ხუნდაძის ერთი ნაშრომის რეცენზიაში გრ. გიორგაძე წერდა: „60—80 წლების დასაახასიათებლად არ კმარა ამ ხანას ვუწოდოთ ლიბერალური. ან ამა თუ იმ მოღვაწეს „ლიბერალი“, „რადიკალი“ ან „კონსერვატორი“. საჭიროა მათი სამოქმედო პროგრამის აღნიშვნა და მაშინ ცხადი იქნება, ვინ რა იყო“³⁸. ს. ხუნდაძის შრომების ზოგი უარყოფითი მხარე შემდეგ უფრო მკვეთრად და ზოგჯერ არცთუ საესებით ობიექტურად აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ მეცნიერებამ, როგორც ზემოთ ითქვა, მისი თვალსაზრისის არაერთი დადებითი მხარეც გაიზიარა. ეს ითქმის, კერძოდ, ქართული განმანათლებლური აზროვნების ეპოქის, ეტაპების, იდეურ წყაროთა, მიმდინარეობათა და კლასობრივი ბუნების ბევრი მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ.

სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, ორი რამ უნდა შევნიშნოთ. ჯერ ერთი ის, რომ განმანათლებლისა და განმანათლებლობის ცნებები ს. ხუნდაძის შრომებში მხოლოდ აქა-იქ გვხვდება. განმანათლებელს უწოდებს იგი, მაგალითად, ს. დოდაშვილს, დ. ყიფიანს, გ. წერეთელს, „საქართველოს მოამბის“ ზოგიერთ თანამშრომელს, ნ. ჩერნიშევსკის და მისი ჯგუფის წარმომადგენლებს და სხვა.³⁹ მაგრამ საერთოდ ს. ხუნდაძე ამჯობინებდა თერგდალეულობის, ქართული ლიბერალიზმის, რადიკალიზმის, დემოკრატიზმის და სოციალიზმის ცნებათა ხმარებას. ამასთან თერგდალეულობის და ქართული ლიბერალიზმის ცნებებს იგი უმთავრესად პროგრესულის და რევოლუციურის სინონიმებად მიიჩნევდა. ამ ოცი წლის განმავლობაში განმანათლებლობის ცნება ნელა, მაგრამ მტკიცედ მკვიდრდება შეცხრამეტე საუკუნის ქართველ პროგრესულ მოაზროვნეთა შემსწავლელ სამეცნიერო ლიტერატურაში⁴⁰. განმანათლებლობის ცნება ჩვენ ყველაზე სრულ, ყველაზე ამოწურავ და, მამასადამე, სწორ ცნებად მიგვაჩნია ფეოდალიზმის წინააღმდეგ მიმართული, არსებითად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინა-

არსის ქართული ლიბერალურ-პროგრესული და რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების დასახსიათებლად. ს. ხუნდაძის გამოკვლევებში მოტანილი მდიდარი მასალაც არსებითად განმანათლებლობის ცნებას უფრო უკერძო მხარს, ვიდრე ქართული ლიბერალიზმ-დემოკრატიზმის და სოციალიზმის ცნებებს, რაც იმის მაჩვენებელიცაა, რომ პირველად ფაქტობრივად მან ჩაუყარა მეკიდრი საფუძველი ქართული განმანათლებლობის მეცნიერულ-მარქსისტულ კვლევას. თუმცაღა მარტო-დამყოფმა და დამწყებმა ვერ შეძლო განმანათლებლობის და განმანათლებლურ ეპოქაში დემოკრატიზმისა და სოციალიზმის განუყოფლობის მარქსისტულ-ლენინურ დებულებათა მარჯვედ და ყოველმხრივ გამოყენება ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლაში.

მეორე შენიშვნა. გვიკვირს ხოლმე, როგორ მოაქწრო ს. ხუნდაძემ ათ წელიწადში იმდენის გაკეთება, რაც მკვლევართა მთელი ჯგუფისათვისაც ერთი წელიწადის მანძილზე. 1926 წლიდან 1927 წლის შემოდგომამდე, ძველი ჟურნალ-გაზეთების ხელახლა გადათვალიერების და შესწავლის შედეგად თვლიდა. ყველასათვის ცნობილია, რომ სინამდვილეში მისი შრომები უამრავი წყაროებისა და ლიტერატურის უბრალო გადათვალიერებას კი არა, საფუძვლიან მეცნიერულ გამოკვლევას ემყარება. ამის გაკეთება კი უდავოდ ხანგრძლივ შრომას მოითხოვდა. და მართლაც, ჯერ კიდევ 1926 წლამდე დიდი სწრაფად, ყოველ შემთხვევაში 1915 წლიდან მაინც, ს. ხუნდაძე არა მარტო სწავლობდა მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას, არამედ უაღრესად საყურადღებო წერილებსაც აქვეყნებდა ცალკეულ მოაზროვნეებზე. სოციოლოგ და პოლიტიკოს ს. ხუნდაძის ამ რევოლუციამდელ წერილებში ჩანასახის სახით უკვე მოცემულია თვალაზრისი, რომელიც მკვლევარმა რევოლუციის შემდეგ ვრცლად და საბუთიანად განავითარა. მაგალითად, უკვე იმ დროს ნ. ბარათაშვილის და ვაჟა-ფშაველას აზროვნების მთავარ შინაარსად

ხუნდაძეს მიაჩნია „ხალხის კოლექტიური სული“, მისი ცხოვრების „მუდმივი მოძრაობა, განუწყვეტელი აქტიური მოქმედება“, „ჯანსაღი ინდივიდუალიზმი“, „მშობელი ერის შორეულ განთიადი“. ვაჟაზე მეორე წერილში ს. ხუნდაძე ამბობს, რომ ქართული აზროვნების მკვლევარი ეკერძს ვერ აუვლის იმას, რომ ვაჟა-ფშაველა მაშინ გამოვიდა ასპარეზზე, როცა ჩვენში გაჩნდა „ახალი ლიტერატურული ჯგუფი თუ მიმართულება, რომლის იდეა და მიზანი იყო მშრომელი ხალხი... მშრომელი დემოკრატიის ტკივილების“ განკურნება. „ვაჟა უპირველეს ყოვლისა ერის მგოსანია... პატრიოტულმა გრძობამ, ნაზმა და მომხიბლავ-

მა ტრფიალმა მშობელ ერისადმი მეტად დიდი და ფართო ადგილი დაიკირა ვაჟას მხატვრულ შემოქმედებაში“. იგი უხმობდა „მშობელი ერის შორეულ განთიადს“, მისი უმაღლესი იდეალი იყო „განახლებული... ყოველმხრივ აყვავებული საქართველო“⁴¹.

1916 წელს გამოქვეყნებულ ლიტერატურულ-ისტორიულ წერილებშიც ს. ხუნდაძე მეოცე საუკუნის ქართული დემოკრატიული მწერლობის, კერძოდ, იროდიონ ვედოშვილის პოეზიის საგანად მიიჩნევს სამართლიან სოციალურ საფუძველზე აშენებულ, თავისუფალ, განახლებულ და განმტკიცებულ საქართველოს, „მშრომელ ხალხს და მშრომელ ერს“. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მეოცე საუკუნის ქართულ რევოლუციურ მწერლობას ს. ხუნდაძე მეცხრამეტე საუკუნის ქართული დემოკრატიული მწერლობისა და აზროვნების უშუალო მემკვიდრედ, ხოლო მაშინდელ ქართველ მოაზროვნეებს, მაგალითად, ილია ჭავჭავაძეს მშრომელი დემოკრატიის იდეოლოგებად მიიჩნევს. „ჩვენი მშრომელი ხალხის, დემოკრატიის სოციალური მდგომარეობა, — წერს ს. ხუნდაძე, — ძლიერ დიდ გამოძახილს პოულობდა ჩვენი მწერლების მხატვრულ ნაწერებში. დემოკრატიულ მისწრაფებებსა და მიდრეკილებებს ჯერ კიდევ 60-ე წლებში ჩაეყარა მტკიცე საფუძველი; ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი უკვე 60-იან წლებშივე ეზიარა დემოკრატიული მისწრაფებებით. ჯერ კიდევ 60-იან წლებშივე უგალობა... მშრომელ ხალხს... ილია ჭავჭავაძემ... დიდი მგოსანი ღრძად ჩააწვდა მშრომელ ხალხს..., შეიგნო მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, მისწვდა მის მისწრაფებებს და მხნეთ და შეუდრეკლათ უმღერა იმ ცხოველმყოფელ ეპოქაზე, როცა „განახლებისა გრიგალთა ქროლვაში“ დაიმსხვრეოდა „კაცთა ცხოვრების შემფერხებელი“ ძველი მონური ცხოვრება და „ახალ ნერგზე აყვავდებოდა ეს ქვეყანა“ ილიამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიულ აზროვნებას ჩვენს ლიტერატურაში. 80 წ. აღმოცენებულმა ხალხოსნურ-დემოკრატიულმა („ტეტიათა მოტრფიალენი“) მიმართულებამ, 90 წ. დასელების პროლეტარიატულმა იდეოლოგიამ და XX ს. ს.—ფედერალიზმმა ძირიანათ შეარყია და განადგურების გზაზე წაიყვანა ძველი რეაქციონურ-თავადაზნაურული მისწრაფებანი და, მშვენიერათ დაავგირგვინა ის დემოკრატიული მიდრეკილებანი, რომელსაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ილიამ თავის მხატვრულ ნაწერებში. ამგვარი ევოლუცია განიცადა დემოკრატიულმა აზროვნებამ ჩვენი და ამ დემოკრატიული აზროვნებითა და მისწრაფებით იყო შეპყრობილი მრავალი ჩვენი მგოსანი და ბელეტრისტი; მშრომელ ხალხთან დაახლოვებით, მათი მისწრაფებითა და გულისტკივილით იკვებებოდნენ ჩვენი მწერლები, ამ დიდი საკითხით საზრდოობდა მათი შემოქმედება“⁴².

სიმონ ხუნდაძის მეცნიერული კონცეფციის ამ პირველი მონახაზიდან ნათლად ჩანს, თუ რა სწორად ვითარდებოდა მისი შეხედულება სამოციანელ ქართველ განმანათლებელთა მსოფლმხედველობის კლასობრივი ბუნების შესახებ, რაპველ ვულგარიზატორებს რომ მისთვის ხელი არ შეეშალათ და იძულებული არ გაეხადათ იგი წამდაუწუმ, ზოგჯერ თითქმის ყოველ ფურცელზე ელაპარაკნა ი. ჰავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ლიბერალურ-თავადაზნაურული თუ ლიბერალურ-ბურჟუაზიული ხასიათის შესახებ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლებოდა მოგვეტანა მრავალი ციტატა ს. ხუნდაძის ნაშრომებიდან, საყოველთაოდ ცნობილი რომ არ იყო ქართველ განმანათლებელთა ჩვეულებრივ ლიბერალურად მიჩნევის აშკარა მცდარობა⁴². შეიძლებოდა მოგვეტანა სხვაგვარი ციტატებიც, რომლებიც გვიჩვენებდნენ, რომ ს. ხუნდაძე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიაში ხედავდა არა მარტო ლიბერალურ-პროგრესულ, არამედ აგრეთვე რადიკალურ-დემოკრატიულ და თვით სოციალისტურ ნაკადსაც კი, რომლებიც ხალხის უმრავლესობის, მშრომელი დემოკრატიის, მესამე წოდების მისწრაფებებს გამოხატავდა და არა ცალკე აღებული პროგრესული თავადაზნაურობის, ბურჟუაზიის თუ გლეხობისას⁴⁴. მაგრამ თუ ყოველნაირ ციტატებს ღრმად ჩავხედავთ, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ს. ხუნდაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა სწორად განსაზღვრა მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მშრომელი დემოკრატიის, მესამე წოდების უტოპიურ ოცნებათა და რეალურ მისწრაფებათა ამსახველი აზროვნების პროგრესული, რევოლუციური და არსებითად ბურჟუაზიული შინაარსი. სწორედ ეს იყო ქართველ განმანათლებელთა მსოფლმხედველობის კლასობრივი ბუნების შესახებ ს. ხუნდაძის თვალსაზრისის ის ძირითადი რაციონალური მარცვალი, რომელიც ჩვენმა ისტორიოგრაფიამ გაიზიარა. განაეითარა და ახლაც ავითარებ⁴⁵.

ს. ხუნდაძემ სცადა მოეცა მეცხრამეტე საუკუნის ქართული აზროვნების პერიოდების და მიმდინარეობათა კლასიფიკაცია. მისი აზრით, ეს მიმდინარეობანი ხუთი იყო: თავადაზნაურულ-კონსერვატიული (დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი და სხვები), თავადაზნაურულ-ლიბერალური (მ. თუმანიშვილი, ა. ორბელიანი, კ. მამაცაშვილი და სხვები), რადიკალურ-დემოკრატიული ბურჟუაზიული შინაარსით (დ. კონჭიაძე, ი. ჰავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვები). ნაროდნიკულ-უტოპიურ-სოციალისტური წვრილბურჟუაზიულ-გლეხური გადახრით (ნ. ნიკოლაძე, ან. ფურცელაძე, გ. რ. თარხანმოურავი, მ. ქიქოძე

და სხვები) და მარქსისტულ-სოციალისტური (ნ. ჟორდანი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ს. ჯიბლაძე და სხვები). სხვა შრომაში ს. ხუნდაძე ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუციის ისტორიას მეტვრამეტე საუკუნიდან იწყებს და მას მანამდელი ქართული რენესანსის ანუ ჰუმანიზმის გაგრძელებად თვლის. ს. ხუნდაძე იმოწმებს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ძველი ქართული კულტურა XI—XIII საუკუნეებისა იყო ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული სინთეზი დასავლური და აღმოსავლური კულტურებისა, რომ ამ სინთეზით დაიწყო ქართული რენესანსი, რომელიც, XIII—XIV საუკუნეებში დამპყრობთა შემოსევებით გამოწვეულ შეფერხების მიუხედავად, სუბტად, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა XVI—XVIII საუკუნეებში, — და შემდეგ ამბობს: „მე-18 საუკუნის ჩვენი კულტურა კვლავ წარმოადგენს ევროპისა და აღმოსავლეთის კულტურული ნაკადების სინთეზს“, მაგრამ ევროპეიზმი, ახალი ძალით იჩენს თავს მეტვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის და მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის შწერალ-მოაზროვნეთა (დ. გურამიშვილის, ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ს. დოდაშვილის, დ. ყიფიანის, ნ. ბარათაშვილის) მსოფლმხედველობაში, თუმცა „სამოციან წლებამდე ქართველი ინტელიგენცია ერთ მთლიან პატრიარქალურ ოჯახს წარმოადგენდა, რომელსაც უმთავრესად რეაქციული წოდებრივი ინტერესები ასულდგინულესო“. შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ჭვეყნის ევროპეიზაციის მოთხოვნა პროგრესულ მოღვაწეთა უმთავრეს მოთხოვნად იქცა, ეს მთლიანი ოჯახი, ს. ხუნდაძის აზრით, ორ — კონსერვატიულ და დემოკრატიულ ბანაკად, ხოლო უკანასკნელი სამ—ლიბერალურ-პროგრესულ, რადიკალურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მიმდინარეობად დაიშალა, რაც ქართული აზროვნების ახალი რენესანსის მაჩვენებელიაო. ამ მრავალფეროვან ახალ ქართულ აზროვნებას ს. ხუნდაძე თერგდალეულობას უწოდებდა და ამბობდა: „თერგდალეულობა თავისი ისტორიული მნიშვნელობით არსებითად ნიშნავს ახალი იდეების და ახალი საზოგადოებრივი აზროვნების შემოტანას საქართველოში. თერგდალეულებმა ჩვენში განამტკიცა ეს ახალი საზოგადოებრივი მიმდინარეობა“⁴⁶.

სიმონ ხუნდაძის ამ დებულების გამო შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაკი სამოციანელებმა განამტკიცეს ახალი იდეოლოგია, მაშასადამე, იგი ადრეც არსებებდა და შემთხვევითი არ იყო, რომ ახალი, ევროპული აზროვნების იდეურ ჩანასახებს, შეიძლება ითქვას, ადრინდელ თერგდალეულობას, როგორც ზემოთ ვნახეთ, ს. ხუნდაძე მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის და, მეტიც, თვით მეტვრამეტე საუკუნის

მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებაში ეძებდა. ს. ხუნდაძეს არაერთგზის აღუნიშნავს, მშობლიურთან ერთად რუსულს და დასავლეთ-ევროპული რევოლუციურ-დემოკრატიული, სოციალისტური და განმანათლებლური აზროვნების, როგორც ქართული განმანათლებლობის თეორიული წყაროს, დიდი როლი⁴⁷.

კიდევ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა ს. ხუნდაძე ქართულ განმანათლებლობის წარმოშობისა და განვითარების განმსაზღვრელი საქართველოს ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესწავლას. მისი აზრით, მეცხრამეტე საუკუნე საქართველოში პირველ ყოვლისა იყო ბატონყმობის კრიზისისა და თანდათანობითი ლიკვიდაციის და კაპიტალიზმის — პირველ ნახევარში სავაჭრო, ხოლო მეორე ნახევარში ამასთან ერთად სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისა და გამარჯვების ეპოქა. ფეოდალურმა საქართველომ საკუთარი ძალებით ვერ შეძლო გაერთიანება და ახალი გზით განვითარება და რუსეთთან მისი შეერთების პროგრესულობა სწორედ იმით გამოიხატა, რომ მძლავრმა ცენტრალიზებულმა ბიუროკრატულმა სახელმწიფომ წარმატებით გადაწყვიტა ეს ამოცანა ობიექტურად და საბოლოო ანგარიშით ქართველი ხალხის სასარგებლოდ. როგორც ნიკო ბერძენიშვილი ამბობს, „მრავალსაუკუნოვანი დაჩიხულობიდან ქართველი ხალხის თავდასაღწევი ერთადერთი გზა „ხალხთა საპყრობილეზე“ გადიოდა“⁴⁸. მსგავსი მოსაზრება გამოთქვა ს. ხუნდაძემაც: ქართველ ხალხს არასოდეს არ გადაუგდიაო ეროვნული ჩავგრის წინააღმდეგ ბრძოლის დროში. მისი „რეალური ინტერესი მოითხოვდა ამ ორ (მუსულმანურ ქვეყნებსა და ქრისტიანულ რუსეთს შორის) აერჩია ის, რომელიც ნაკლებ ბოროტებას მოუტანდა მას“. არჩევანი ობიექტურად სწორი აღმოჩნდა, მაგრამ „ქართველმა ერმა პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვით შეძლო თავისი ეროვნული მთლიანობის აღდგენა და სწორედ ამ ნომენტიდან ჩაეყარა საფუძველი ჩვენი გარკვეულ ეროვნული შინაარსის მოძრაობას, რომელიც თაობიდან თაობას გადმოეცა და ბოლოს თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია დიდი რევოლუციის წყალობით“⁴⁹.

ამის შესაბამისად ს. ხუნდაძე პატრიოტიზმს და დემოკრატიზმს მეცხრამეტე საუკუნის ქართული განმანათლებლური აზროვნების უმთავრეს პრინციპებად თვლიდა. ერთი შეხედვით, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, თითქოს იგი გადაჭარბებით აფასებდა ეროვნული საკითხის მნიშვნელობას. ეროვნული „საკითხი,—წერდა მეცნიერი, — ცენტრალურ რპრობლემად გადაიქცა მე-19 ს. ჩვენი მოაზროვნე თაობისათვის: მან დადრღნა ჩვენი პოეზია, დატვირთა მძიმე მოვალეობით ჩვენი პუბლიცისტიკა, შებოროკა ჩვენი აზროვნება, დააქ-

192

ლექიანა ჩვენი ინტელიგენცია⁵⁰. სინამდვილეში კი იმ დროს, როცა პარტიოტიზმი ზოგის მიერ დაგმობილი იყო, როგორც ვითომდა მუშათა კლასის საწინააღმდეგო, ს. ხუნდაძემ ვერ შეძლო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებათა ჯეროვანი სისრულით გათვალისწინება ქართული განმანათლებლობის დახასიათებაში. იგივე უნდა ითქვას ქართველი გლეხობის რევოლუციური მოძრაობის შესახებაც. მიუხედავად იმისა, რომ ს. ხუნდაძის შრომებში მოცემულია არაერთი ფრიად საინტერესო მოსაზრება XVIII—XIX საუკუნეებში ბატონყმობის გაუმჯობესების თუ მისი სრული მოსპობისათვის ქართველ გლეხთა ბრძოლის ფორმებისა და პერიოდების შესახებ⁵¹, მან ვერ შეძლო, და იმ პირობებში არც შეეძლო კონკრეტულად ეჩვენებინა გლეხურ განწყობილებათა ასახვა ქართულ განმანათლებლურ აზროვნებაში და იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო ზოგადი განცხადებით — „გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობას თითქმის გადაშკრელი მნიშვნელობა ჰქონდა და ამ კლასის ინტერესები მეტად დიდ გავლენას ახდენდა ქართველი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების შემუშავებაზე მე-19 ს. მეორე ნახევრიდანო“.

ასეთია მოკლედ ს. ხუნდაძის მოსაზრებანი ქართული განმანათლებლური აზროვნების ზოგიერთი ძირითადი საკითხის შესახებ. როგორც ვნახეთ, გარკვეული ვითარებით გამოწვეული უსრულობის და უზუსტობის მიუხედავად ს. ხუნდაძის გამოკვლევებში ჩანასახის სახით მოცემულია ქართული განმანათლებლური აზროვნების ეპოქის, ეტაპების, იდეურ წყაროთა; მიმდინარეობათა და კლასობრივი ბუნების მეცნიერული დახასიათება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლის საქმეში და რომლის რაციონალური მარცვლების ათვისებით და ნეგატიური მხარის მეცნიერული კრიტიკით ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ შემდგომ განავითარა ს. ხუნდაძის თვალსაზრისი. ჩვენი აზრით, თუ ჩვენი ისტორიოგრაფიის ახლანდელ მდგომარეობას და მონაპოვარს გავეითავალისწინებდით, აი-მონ ხუნდაძის თვალსაზრისი, მისი ცალკეული მეცნიერული იდეები, განვითარებული თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიერ, ჩამოყალიბდებოდა ზოგად ისტორიულ-თეორიულ დებულებათა მწყობრ სისტემად, რომლის მიხედვით ქართული განმანათლებლობა, როგორც ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გარდამავალი საქართველოს საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების, ბატონყმობის კრიზისისა და კაპიტალიზმის განვითარების, ეროვნული და გლეხური რაობის გაძლიერების, აგრეთვე მრავალსაუკუნოვანი ქართული ჰუმანიზმის და ევროპა-რუსეთის განმანათლებლურ-უტოპიურ-სოციალის-

ტური აზროვნების ქართულ ნიადაგზე ათვისების პროდუქტი, ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიშვა. ეს იყო ადრინდელი ქართული განმანათლებლობა, რომლის შინაარსი შეიცავდა რეაქციული თავადაზნაურობის კონსერვატიული იდეოლოგიის საწინააღმდეგო თავადაზნაურობის თუ ვაჰარა პროგრესული ფენის და გლეხობის ლიბერალურ და დემოკრატიულ იდეებს (არა იშვიათად კონსერვატიულთან ერთად). ადრინდელი ქართული განმანათლებლობის საწყისი ეტაპის დიდი წარმომადგენლები იყვნენ ვახუშტი ბაგრატიონი, ანტონ ბაგრატიონი და დავით გურამიშვილი, შუა ეტაპისა — იოანე ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონი, ბოლო ეტაპისა — სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჰავეკავაძე, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი.

მეცხრამეტე საუკუნის 50—70-იან წლებში საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების გაშლისა და გაფართოების შედეგად დიდად განვითარდა მისი კულტურაც, კერძოდ, განმანათლებლური აზროვნება, რომელიც უკვე აშკარად დაუპირისპირდა რეაქციული ცარიზმისა და თავადაზნაურობის არამარტო კონსერვატიულ, არამედ ლიბერალურ იდეოლოგიასაც. 60—70-იანი წლების ქართულ განმანათლებლობაში შეინიშნება ჰუმანისტურ-დემოკრატიული (ი. ჰავეკავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი), რადიკალურ-დემოკრატიული (გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი) და ბუნტარულ-დემოკრატიული იდეური მიმდინარეობანი, რომელთა არსებითად ბურჟუაზიული დემოკრატიის (გლეხობის, ხელოსნების, საშოვარზე გასული მუშების, წვრილი ვაჭრების, წვრილი ბურჟუაზიის და წვრილი აზნაურობის), მესამე წოდების ინტერესების გამომხატველ პროგრამაში დემოკრატიზმისაგან გაუთიშავ სოციალიზმთან ერთად არაიშვიათად ლიბერალიზმიც იჩენდა თავს.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში შეინიშნება გვიანდელი განმანათლებლობაც, რომლის წარმომადგენლნი სამოციანელ განმანათლებელთა პირდაპირი მემკვიდრენი იყვნენ (ა. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა).

90-იან წლებში ცარიზმის, მსხვილი მემამულეების და კაპიტალისტების ინტერესების გამომხატველი რეაქციული იდეოლოგიის პირისპირ გამოდიოდნენ თავადაზნაურობულ-ლიბერალური, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული (მესამე დასი) იდეური მიმდინარეობანი. რაც შეეხება პარტიებს, ისინი საქართველოში ფაქტიურად მეოცე საუკუნის დამდეგიდან ყალიბდებიან (მაგალითად, სოციალ-ფედერალისტები — 1904 წელს, სოციალ-დემოკრატები-მენშევიკები

და ბოლშევიკები — 1903 წ.). სოციალ-ფედერალიზმმა უშუალოდ გააგრძელა და შეავსო ქართული განმანათლებლობის ზომიერ-პროგრესული პრინციპები, რაც 1905—1921 წლების ვითარებაში დემოკრატიული ბურჟუაზიის ინტერესების დაცვასაც ნიშნავდა. მათზე ბევრად შორს არც ქართული რევოლუციური მარქსიზმი — მენშევიზმი წასულა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფორმალურად სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობას წარმოადგენდა. ქართული რევოლუციური მარქსიზმიც განმანათლებლობის მემკვიდრეა, ოღონდ მან, მუშათა კლასის იდეოლოგიის — მეცნიერული სოციალიზმის თეორიით შეიარაღებულმა, უბრალოდ კი არ აითვისა და გააგრძელა ქართული განმანათლებლობის თუნდაც საუკეთესო ტრადიციები, არამედ მეცნიერულად დაასაბუთა იგი და უდიდესი რევოლუციური გადატრიალებაც მოახდინა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

ამ მომენტამდე კი განმანათლებლურ იდეათა თანდათანობითი ევოლუცია, რომელიც აღნიშნულ რევოლუციას უძღოდა წინ, დემოკრატიზმის რაოდენობრივი, თანდათანობითი ზრდით გამოიხატებოდა. ამას ნათლად გვიჩვენებს შედარება განმანათლებლობის არა მარტო ადრინდელი და, ასე ვთქვათ, კლასიკური ფორმებისა, არამედ თვით კლასიკური, დასრულებული განმანათლებლობის სხვადასხვა მიმდინარეობებისა. ჰუმანისტი დემოკრატი ი. ჭავჭავაძე განსხვავდება რადიკალურ დემოკრატ გ. წერეთლისაგან, ეს უკანასკნელი კი რომელიმე ბუნტარ ხალხოსნისაგან. მაგრამ ეს განსხვავება დემოკრატიზმის რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელია და არა თვისობრივი ცვლილებებისა და სხვადასხვაობისა. ყველაფერი, რაც პროგრესული და რევოლუციური გააჩნდათ დასახელებული სამივე მიმდინარეობის მოაზროვნეებს ობიექტურად, თავისი თეორიულ-პრაქტიკული დანიშნულებით ბურჟუაზიული დემოკრატიის, მესამე წოდების ინტერესებს გამოიხატავდა. ისინი იყვნენ განმანათლებლები, ბურჟუაზიული ეროვნული დემოკრატიის იდეოლოგები, ხოლო პროლეტარული სოციალ-დემოკრატიის პირისპირ დგომის პერიოდში დემოკრატიული და ლიბერალური ბურჟუაზიის თუ აზნაურობის ინტერესების გამომხატველნიც.

ბუნებრივია, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართული განმანათლებლური აზროვნების ეტაპები და მიმდინარეობანი ჰგავს ქართველი ხალხის იმავე ეპოქის ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რევოლუციური-დემოკრატიული მოძრაობის ეტაპებს და მიმდინარეობებს. განმანათლებლობა ამ მოძრაობის იდეოლოგია იყო. შობილი მშობელს უხდა ჰგვანებოდა, თუმცა მათ შორის სრული იგივეობაც არ იგრძნობა.

ასეთი ზოგადი დასკვნის გაკეთებისათვის ცალკეულ ფაქტებს და

მოსაზრებებს უკვე ვხვდებით ს. ხუნდაძის და მის წინამორბედთა და თანამედროვეთა შრომებში. ასეთი ფაქტები და მოსაზრებანი სულ უფრო და უფრო იჩენს თავს უკანასკნელი დროის ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ ზემოხსენებული ზოგადი დასკვნა ბევრი მხრით ჯერ კიდევ ჰიპოთეტური მოჩანს. ბევრი მკვლევარის კოლექტიური შრომა დაკირდება მის ყოველმხრივ დასაბუთებას. და სიმონ ხუნდაძეც ხომ ამასვე ოცნებობდა და ამბობდა — ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ყოველმხრივ შესასწავლად მეცნიერთა კოლექტიური შრომათა საჭირო.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1 ალ. ბარამიძის მოგონებიდან საქართველოს მწერალთა კავშირში გამართულ ს. ხუნდაძის საიუბილეო სხდომაზე.

2 ივ. ლ. გორგილაძე, ქართული, საზოგადოებრივი აზრისა და სოციალიზმის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, „ლიტერატურული საქართველო“, № 47, 20—11; გ. ჯიბლაძე, გამოჩენილი მეცნიერი, „კომუნისტი“, 1964, № 273; ს. ხუციშვილი, საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის დაუცხრომელი მკვლევარი, „მნათობი“, 1964, № 12; Н. Такашвили, Большой учёный, патриот, „Заря востока“, 1964, № 274. მ. გაფრინდაშვილი, დიდი მეცნიერი და მოქალაქე. თბილისი, 1964, № 272, 17, 10.

3 ვ. ლუარსაშიძე, მღვთმარეობა ლიტერატურის ფრონტზე, „პროლეტარული მწერლობა“, 1931, № 1—2, გვ. 132, 114.

4 მო-ლი (ს. ხუნდაძე), მწერლობა და ცხოვრება, „კომუნისტი“, 1927, № 19.

5 კ. ბ-ლი, ილია ქაეკავაძე, კ. კაპანელი და „კომუნისტის“ კრიტიკოსი მო-ლი, „პროლეტარული მწერლობა“, 1927, № 1, გვ. 114, 115.

6 ფ. მახარაძე, მღვთმარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში, „კომუნისტი“, 1931, № 248.

7 ივ., მაგალითად, მ. ზანდუქელი, სიმონ ხუნდაძე, როგორც კლასიკოსების გამომცემელი—რედაქტორი („ლიტერატურული შემკვიდრება“, 1, 1935), მისივე, სიმონ ხუნდაძე, როგორც ქართული ლიტერატურის მკვლევარი („ლიტერატურული პორტრეტები“, 1, 1957/1953). ბ. ჯდენტო, სიმონ ხუნდაძე (ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1941). ა. აბაშელი, უკანასკნელი მგზავრობა („მნათობი“, 1959, № 2). რ. კუსრაშვილი, სიმონ ხუნდაძე, როგორც რედაქტორ-გამომცემელი („ლიტერატურული ძიებანი“, 13, 1960).

8 ივ. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, 1 (მე-19 საუკუნე), 1954. II (მე-19—20 საუკუნეები), 1959. ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1961. ვ. ბახტაძე, Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли (60—80 год. XIX столетия), 1960. ი. კაქარაძე, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, 1962. პრ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, 1962. გ. ზაქარიაძე, ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1955. გ. მეგრელიშვილი

Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, I, 1960, II, 1959, III, 1963. დ. გამეზარდაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი (წიგნში—ვ. კოტეტიშვილი. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959); მისივე—
„ქრთა აბაშიძე და მისი ეტიუდები“ (წიგნში—ვ. აბაშიძე, ეტიუდები, 1962).
ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, 1962; ზ. შველიძე, რევო-
ლუციურ-ხალხოსნური ზოძრაობის ისტორიიდან ამიერ-კავკასიაში, 1964. მ. გაფ-
რინდაშვილი, ნარკვევები ქართული საზოვადოებრივ აზროვნების ისტორიი-
დან, 1, 1959.

9 პრ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორი-
იდან, 1962, გვ. 85.

10 ნ. ბეძენიშვილი, ვ. დონდუა მ. დუმბაძე, გ. მელ-
ქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია. 1, 1958, გვ.
533, 540, 541, 50, 551, 552, 554, 556, 11, 1962, გვ. 110—203.

11 ვ. ი. ლენინი, ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის, თბზ., 2.
შე-4 გამოცემა, გვ. 217.

12 ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, ქრესტომათია. „შეადგი-
ნა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ი. ბოცეაძემ, 1955, გვ. 375, 379.

13 ს. ხუნდაძის ფსევდონიმების სია, იხ. მისი საოჯახო არქივი (მიგვიითა ნ. ხუნ-
დაძემ).

14 ეს ფსევდონიმები ჩვენ მივაცვლიეთ გაზეთებში „ჩვენი მეგობარი“ და
„ტრიბუნა“.

15 სიმ. ნ.-იონი, წერილები მოსკოვიდან, 1, „მეგობარი“, 1915, № 32, 7 ნოემ-
ბერი.

16 სიმ. ნ.-იონი, წერილები მოსკოვიდან, I, II, „მეგობარი“, 1915, № 47. აგ-
რეთვე, 18, „ჩვენი მეგობარი“, 1916, № 31, 2.

17 ნაროდინი, თანამედროვე ომი და საქართველოს ინტერესები, „მეგობა-
რი“, 1915, № 69.

18 სიმ. ნ.-იონი, წერილები მოსკოვიდან, III, „მეგობარი“, 1915, № 63. აგრეთ-
ვე, ს. ნ.-ი, წერილები მოსკოვიდან, ნ. თანამედროვე ომი და რუსეთის მუშათა
კლასი, „ჩვენი მეგობარი“, 1916, 31. III, № 26.

19 ს. ნაროდინი, თანამედროვე ომი და სოციალისტები, III, „ჩვენი მეგო-
ბარი“, 1916, № 48.

ს. ხუნდაძე, ყრილობის შედეგები, „ტრიბუნა“, 1921, № 67.

20 ს. ნაროდინი, დემოკრატიის დღესასწაული, „ჩვენი მეგობარი“, 1916.
№ 49. მოწინავე სტატია „ორი სიმბოლო“.

21 ს. ნაროდინი, ჩვენი ნაციონალისტები, „ჩვენი მეგობარი“, 1916, № 67.
იხ. იქვე, Sanus, ვაზ. „სოციალისტ-რევოლუციონერის“ მეპრესე და მისი შვი კბი-
ლები, აგრეთვე: № 18, დემოკრატიზმი და სოციალიზმი, „სახალხო საქმე“, № 1019.

22 ს. ნაროდინი, მოსკოვის თათბირი და დაჩაგრულ ერთა ინტერესები,
„ჩვენი მეგობარი“, 1917, № 429.

23 ს. დევიანი, კონტრრევოლუცია და ეროვნული ტაქტიკა, „ჩვენი მეგობა-
რი“, 1917, № 436. ს. ხუნდაძე, ჩვენი მოწინააღმდეგენი, II, „ჩვენი მეგობარი“,
1917, № 304. ს. დევიანი, პეტროგრადის თათბირი, „ჩვენი მეგობარი“, 1917,
№ 449. ს. დევიანი, ეროვნული მომენტი პეტროგრადის თათბირზე, „ჩვენი მე-
გობარი“, 1917, № 451.

24 № (ს. ხუნდაძე), დემოკრატიზმი და სოციალიზმი, „სახალხო საქმე“, 1919,

„ტრიბუნა“, 1922, № 273, 274, 276, 278. ს. ხუნდაძე, დამოუკიდებელი პოლიტიკის გამო, „ტრიბუნა“, 1922, № 271—294.

25 ს. (ხუნდაძე), ვალოცინაცია, „ტრიბუნა“, 1922, № 175.

26 ფ. მახარაძე, მემარცხენე სოციალ-ფედერალისტებზე „ტრიბუნა“. 1923, 6. 12, № 639.

27 სან-დონი, მარქს-ენგელსი ნაციონალური საკითხის შესახებ, „ტრიბუნა“, 1923, № 470, 485, 487, 489, 491, 492, 494, 495, 497, 500, 505, 507, 508, 516.

28 სან-დონი, აი პასუხი, „ტრიბუნა“, 1923, №№ 580, 582, 588, 591, 594, 596. თ. ლონტი, საგულისხმეო კამათი ეროვნული საკითხის გარშემო, იქვე, № 548.

29 სან-დონი, ეროვნული საკითხი ლენინიზმის სკოლაში, „ტრიბუნა“, 1923, №№ 535, 537, 539, 541, 543.

30 Авторский коллектив, Очерки истории Коммунистической партии Грузии, I, 1963, ч. II, гл. I, стр. 46—47.

31 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, II, 1927, გვ. 320.

32 მო-ლი (ს. ხუნდაძე), მწერლობა და ცხოვრება (ე. კაპანელი, ქართული სული ესთეტიკურ სახეებში), გაზ. „კომუნისტი“, 1927, № 19.

33 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, I, 1927, გვ. 59, 4.

34 ს. ხუნდაძე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში, 1927, გვ. 105.

35 ს. ხუნდაძე, ნარკვევები ქართული აზროვნების ევოლუციიდან, III, 60-იანი წლების ჩვენი საზოგადოებრივი მიმდინარეობანი, „პროლეტარული მწერლობა“, 1927, № 4, გვ. 138—139. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, I, 1927, გვ. 5. მისივე, ქართული ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში, 1927, გვ. 71.

36 მო-ლი, მწერლობა და ცხოვრება, „კომუნისტი“, 1927, № 19.

37 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, I, 1927, გვ. 10—13. მისივე, ლევ ტოლსტოი და სოციალიზმი, 1928, გვ. 10. მისივე, ნ. გ. ჩერნიშევსკი, 1929, გვ. 109—117. 140, იხ. აგრეთვე: К. Пожитнов, Развитие социалистических идей в России, I, 1924, стр. 39, 44. М. Покровский, Русская история, 4, стр. 140. М. Балабанов, История революционного движения в России, 1925, стр. 78; Б. Горев, Белинский и социализм, «Печать и революция», 1923, № 4; его же, Развитие социалистической мысли в России; გრანატის ლექსიკონი, ტ. 43, გვ. 541.

38 გრ. გიორგაძე, ხუნდაძე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში, „ქართული მწერლობა“, 1927, № 2, გვ. 123.

39 იხ. ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყოფიანი, 1936, გვ. 79, 99. მისივე, ნ. გ. ჩერნიშევსკი, ცხოვრება, მოღვაწეობა, აზროვნება, 1929, გვ. 4—6. მისივე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949, გვ. 15, 103.

40 იხ. მაგალითად, ლ. გორგოლაძის „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“. 1926, მ. ვაფრონდაშვილის „ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, 1959, და სხვა.

41 სიმ. ნარდიონი, ვაჟა-ფშაველა, „სამშობლო“, 1915, № 143, 144, იხ. აგ-

რე თ ე ე. ი. ბოცეაძის მიერ შედგენილი ქრესტომათია მისივე შესავალი წერილით და შენიშვნებით, ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, I, 1955, გვ. 375—378.

42 მისივე, იროდონ ედოშვილის ხსოვნას, „ჩვენი მეგობარი“, 1916, № 51. ზებლოგრაფიული შენიშვნები, „ჩვენი მეგობარი“, 1916, № 53.

43 იხ., მაგალითად, მისი შრომა „ქართული ინტელიგენციის პროფილი მეცხრატე საუკუნეში“, რომელშიც ს. ხუნდაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ 60-იანი წლების თაობათა ბრძოლა ძველი და ახალი, ე. ი. რეაქციული და პროგრესული თავადაზნაურობის ფენების შეტაკება იყო, ხოლო ახალ აზროვნებას: — „ქართულ ლიბერალიზმს“ — „თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული შინაარსი“ ჰქონდა. „ქართულ ლიბერალიზმში. — ამბობს იგი, — თავს იყრის, როგორც თავადაზნაურები ნაჟღი, ისე ამოძეული კლასის ბურჟუაზიის აზროვნებაც. მე-60 წლებს ქართული ლიბერალიზმის საუკეთესო წარმომადგენელი არის ილია ჭავჭავაძე. ილია... ეერ იშორებს თავიდან საესებით თავადაზნაურულ იდეოლოგიას, მაგრამ ცდილობს შეუთანხმოს იგი ახალი ცხოვრების ქროლეს და შეარჩოს მიმავალი წოდება ახლად მომავალ პროგრესულ ძალას“ (გვ. 49, 52). „იგი ბოლომდე დარჩა, — განაგრძობს მკვლევარი — ნახევრად პროგრესისტი, ნახევრად ლიბერალი და ნახევრად კონსერვატორი“ (გვ. 54). ამრიგად, ქართული ლიბერალიზმი „იყო მიმდინარეობა ნახევრად თავადაზნაურული და ნახევრადბურჟუაზიული; უკეთ, ქართული ლიბერალიზმის დოქტრინა აესვბული იერ თავადაზნაურული მემარცხენეობის და ბურჟუაზიული აზროვნების პროგრესული შინაარსით“ (გვ. 105). ილიას მსოფლმხედველობა მაინც უადრესად პროგრესული იყო, — დასძენს ს. ხუნდაძე, — მაგრამ რადიკალური დემოკრატების გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის და ს. მესხის მსოფლმხედველობა მას-კიდევ უფრო პროგრესულად მიაჩნდა (გვ. 55).

44 გარდა იმისა, რომ ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას საერთოდ პროგრესულად თვლიდა, ს. ხუნდაძემ მისი მოღვაწეობა ორ პერიოდად გაყო და სცადა დაემტკიცებინა, რომ ილია არც მხოლოდ კონსერვატორი და რეაქციონერი (ნ. კორდანი, ფ. მახარაძე) და არც მხოლოდ დემოკრატი ლიბერალურ-მონარქისტული გადანხით (ა. ჭორჭაძე), არამედ იგი არის რადიკალური დემოკრატი პირველ პერიოდში (70-იანი წლების მეორე ნახევარმდე) და ლიბერალი მეორე პერიოდში (80-იანი წლებიდან). იხ. იქვე (გვ. 53). სხვა ადგილას ეს აზრი ს. ხუნდაძემ კიდევ უფრო ნათლად გამოთქვა: „ილია ჭავჭავაძის შესახებ ჩვენს მარქსისტულ ლიტერატურაში ერთობ ყალბი აზრი არისო გავრცელებული, თითქოს იგი მომხრე არ ყოფილიყოს ბატონყმობის მოსპობის და თითქოს მხოლოდ მის შეკეთებას მოითხოვდა და არა სრულ განთავისუფლებას გლეხობისა ბატონყმურ უღლისაგან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძე იმ პერიოდში რუსეთის 60-იანი წლების განმანათლებლური მოძრაობის დიდ გავლენას განიცდიდა და მასთანვე დემოკრატიულ-რადიკალურად იყო განწყობილი. ამ დემოკრატიულ-რადიკალურ აზროვნების გავლენის ქვეშ იდგა ილია 70-იანი წლების პირველ ნახევარშივე, ხოლო შემდეგში იგი ჩაითრია თავადაზნაურობამ თავის საბანკო საქმეებში და აქედან დაიწყო მისი თავადაზნაურული ლიბერალიზმის ნიადაგზე გადასვლა... ილია 60-იან წლებში არ იდგა თავადაზნაურობის ნიადაგზე და რადიკალური მოაზროვნე იყო. ვიმეორებთ, დღეს ამაში ეჭვის შეტანაც კი შეუძლებელია“ (ს. ხუნდაძე, ნაკვეთები ქართული აზროვნების ევოლუციიდან, III, 60-იანი წლების საზოგადოებრივი მიმდინარეობანი, „პროლეტარული მწერლობა“, 1927, № 4, გვ. 132). ეს აზრი ს. ხუნდაძემ კრცლად დაასაბუთა მონოგრაფიაში ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომლის ერთი ნაწი-

ლის გამოქვეყნება მხოლოდ 1939 წელს გახდა შესაძლებელი (იხ. ს. ხუნდაძე, „ი. ჭავჭავაძე და ბატონყმობის საკითხი“, საიუბილეო კრებულში „ილია ჭავჭავაძე“, 1939, იხ. აგრეთვე, მისივე „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, I, II, 1927).

ს. ხუნდაძე ცდებოდა 60—70-იანი წლების საქართველოში წმინდა წყლის სოციალისტებს და ბურჟუაზიულ დემოკრატებს, გლეხობის ნამდვილ და არანამდვილ დამცველებს რომ ეძებდა, რადგან წმინდა წყლის ბურჟუაზიული დემოკრატი ს. მესხი იმავე დროს თვით ლასალიანურ სოციალიზმს ემხრობოდა (იხ. მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, I, 1959, გვ. 228—229. ს. ხუნდაძე სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, II, 1927, გვ. 14, 27, 79—80). მაგრამ ს. ხუნდაძემ სამართლიანად მიიჩნია ქართული უტოპიური სოციალიზმი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინაარსის, მაგრამ თეორიულად შინი „უადრესად რევოლუციონური და უადრესად პროგრესული როლის“ შემსრულებლად (ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, 1927, გვ. 64).

45 იხ. ი. კაკაბაძე, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, გვ. 251, 254—255.

46 ს. ხუნდაძე, ნარკვევები ქართული აზროვნების ევოლუციიდან, „პროლეტარული მწერლობა“, 1927, № 4, გვ. 126—133. მისივე, ნარკვევები, 1941, გვ. 167, 205. მისივე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, II, 1927, გვ. 218, I, გვ. 25—217. მისივე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში, 1927, გვ. 30, 35, 46. მისივე, ნარკვევები, 1941, გვ. 154.

47 იხ. მაგალითად, მისი „ნ. გ. ჩერნიშევსკი“, 1928, და „ნ. გ. ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების ქართული ინტელიგენცია“ წიგნში „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“, გვ. 3—25. „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, I, გვ. 66.

48 ნ. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი (თეზისები), 1964, გვ. 13.

49 სან-დონი, ეროვნული საკითხი ლენინიზმის სკოლაში, „ტრიბუნა“, 1923, № 533—543.

50 ს. ხუნდაძე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში, 1927, გვ. 105.

51 ს. ხუნდაძე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში (კონსპექტური ნარკვევი). წიგნში „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“, გვ. 237—271.

ლ. წინამძღვრის მიხედვით

ფურცელი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან

(ხომელი — ისტორიოგრაფიული მიმოხილვა)

გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს გამოჩენილ პუბლიცისტს, კრიტიკოსს და ჟურნალისტს რომანოზ ფანცხავას, რომელიც ლიტერატურაში ხომელის ფსევდონიმიცაა ცნობილი.

ქართველი პუბლიცისტის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევა არ დაწერილა, მაგრამ მისი მოღვაწეობის შესწავლის საქმეში, გვეხმარება ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოქვეყნებული რიგი მნიშვნელოვანი წერილები.

ხომელის პირველი კრიტიკოსი და შემფასებელი, სახელოვანი საბჭოთა ისტორიკოსი სიმონ ხუნდაძე იყო. 1928 წელს ხომელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა წერილი (ნეკროლოგი) „ხომელი“¹.

ხუნდაძემ ხომელი მიაკუთვნა მოღვაწეთა იმ თაობას, რომელიც სამოქმედო ასპარეზზე 80-იან წლებში გამოვიდა, ხოლო თვით ეპოქა ორი მნიშვნელოვანი მოვლენით დაახასიათა: ერთი მხრივ, ალექსანდრე მესამის სასტიკი რეაქციით, მეორე მხრივ, ნაროდნიკთა იდეოლოგიისა და რევოლუციური მოღვაწეობის კრიზისით. ამ ორ გარემოებას, — წერს ხუნდაძე, — არ შეეძლო თავისი დალი არ დაესვა ჩვენი ახალი თაობის საქმიანობასა და აზროვნებაზე. ხომელმა პოლიტიკურად იმ პერიოდში გაახილა თვალები, როდესაც ჯერ კიდევ უღრეკი ენერგიით იბრძოდა „ნაროდნაია ვოლიას“ რევოლუციურ-ტერორისტული პარტია, ხოლო პუბლიცისტის პოლიტიკური დავაჟაკება დაემთხვა პერიოდს, როდესაც რუსეთში ნაროდნოვოლცების იდეოლოგი-

1 ს. ხუნდაძე, „ქართული მწერლობა“, 1928, № 4, გვ. 91 — 94.

ის და ტაქტიკის კრიზისი ნათელი შეიქნა და საფუძველი ჩაეყარა მარქსისტულ მიმდინარეობას რუსეთის ნიადაგებზე.

ავტორს მოჰყავს ხომლეღის რამდენიმე საინტერესო წერილი, მიწერილი ზ. კიკინაძისადმი, სადაც კრიტიკოსი, როგორც ნაროდნიკული აზრების მიმდევარი, საქართველოს ხსნას და აღორძინებას მშრომელი გლეხის ბედნიერებაში ხედავს: რევოლუციური ახალთაობა და მშრომელი გლეხობა, ესაა ორი განუყრელი მოკავშირეო—ამბობს კრიტიკოსი—ამრიგად, ხუნდაძის აზრით, ხომლეღი თავდაპირველად ნაროდნიკული იდეოლოგიის მიმდევარი იყო. მკვლევარი მოკლედ ეხება ხომლეღის ბიოგრაფიას. მის თავდაპირველ სწავლა-განათლებას, სტუდენტობის წლებს, კრიტიკოსის მოღვაწეობას გაზეთებში „შრომა“, „ივერია“, „თეატრი“ და განსაკუთრებით „კვალში“. აგი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში კრიტიკოსის წერილებს ეტყობა მარქსიზმის გავლენა. ახლა უკვე ხომლეღი თვითონ აკრიტიკებს ქართველ ნაროდნიკებს, რომლებმაც თავი შეაფარეს გაზეთ „ივერიას“, ააშკარავეს მათ ყალბ შეხედულებებს. 1890—1892 წლებში იგი უახლოვდება ე.გ. ნინოშვილს და მონაწილეობას ღებულობს ყვირილაში გამართულ ცნობილ კრებაზე. ხუნდაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირველი ოფიციალური მარქსისტული წერილი ქართულ ლიტერატურაში ხომლეღის მიერ იყო გამოქვეყნებული. შემდეგ, ავტორი იხილავს 1893 წელს ხომლეღის მიერ „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილების სერიას: „ჩვენი ლიტერატურული მდგომარეობა“², რომელშიაც ახალგაზრდა პუბლიცისტი იკვლევს რიგ იმდროისათვის საჭირობოროტო საკითხს, ხომლეღი აღნიშნავს ჩვენი ცხოვრების ვითარების შინაარსს და ასაბუთებს, თუ კაპიტალისტური წყობილება როგორ არღვევდა მათი დროის ნატურალური მეურნეობის ფორმებს. ეს საკითხი სადავო საკითხად გადაიქცა ნაროდნიკებსა და მარქსისტებს შორის. ხომლეღსავე ეკუთვნის, — წერს ს. ხუნდაძე, — ნაროდნიკობის პირველი ოფიციალური მკვეთრი კრიტიკა მარქსიზმის საზომით. დასახელებულ ნაშრომში კრიტიკოსმა პირველად ქართულ ლიტერატურაში გამოააშკარავა ნაროდნიკების რეალური საფუძველები და მათი წვრილბურჟუაზიული რაობა. მან ნაროდნიკებს „ტეტიათა მოტრფიალენი“ უწოდა. ხუნდაძე აღნიშნავს, რომ ხომლეღი იმ პერიოდში, სოციალიზმის საქმეს პირდაპირ უკავშირებდა ახალგაზრდა ქართველი პროლეტარიატის განვითარებისა და გაძლიერების საქმეს. მაშინდელი ლიტერატურულ მიმდინარეობათა და პოლიტიკურ შეხედულებათა დასახასიათებლად ს. ხუნდაძეს მოყავს ერთი ადგილი ხომლეღის წერილიდან: „ჩვენ არ უნდა ვემსახურებოდეთ

² „კვალ“, 1893, „ჩვენი ლიტერატურული მდგომარეობა“, № 16, 17, 20, 21.

ანტერესებს იმ კლასისა (ბურჟუაზიის — ლ. წ.), რომელიც ამ ახლო მომავალში აპირებს ჩვენში გაბატონებას და გაძლიერებას, იგი უჩვენოდაც კარგად გაიკაფავს გზას, რადგან დღევანდელი ცხოვრება, საზოგადოდ სულ ერთიანად მისია. ჩვენ ფრთხილად და დიდის გამოცდილებით უნდა გამოვსახოთ და ვუჩვენოთ თანამედროვე ბატონის წინააღმდეგი ელემენტები (ე. ი. პროლეტარიატი—ლ. წ.) თვით საქართველოშივე, რომელიც თანდათან ბურჟუაზიის ზრდასთან უჩინრად იმალება დღეს ჩვენში და რომლის ხელით და მეოხებით უნდა დამკვიდრდეს და განხორციელდეს ჩვენნი ქვეყნის არემარაზე უკეთესი და უმაღლესი მერმისი ჩვენი ერისა“³.

დაბოლოს, ხუნდაძე ხომლელს იხილავს, არა მხოლოდ როგორც პუბლიცისტს, არამედ უმთავრესად, როგორც ლიტერატურულ კრიტიკოსს, რომლის კალამსაც ეკუთვნის მთელი რიგი კრიტიკული წერილებისა; ს. ხუნდაძის აზრით, ავტორი ახალი მარქსისტული თვალთახედვით იკვლევდა ჩვენი ლიტერატურის ვითარებასა და მისი საუკეთესო წარმომადგენლების შემოქმედებას.

ს. ხუნდაძე, ხომლელს, როგორც კრიტიკის დარგში, ისე პუბლიცისტისთვის სფეროში, პირდაპირ მემკვიდრედ სთვლის უდროოდ დაღუპული ბოსლეველისა.

მკვლევარი იხილავს ხომლელის მოღვაწეობას „კვალის“ შემდგომ პერიოდშიაც, მაგრამ არ მიიჩნევს საინტერესოდ, რადგან სთვლის, რომ ხომლელი, მართალია, ბოლომდე დარჩა მარქსისტი, მაგრამ თანდათან ნაციონალიზმისა და ოპორტუნიზმისაკენ გადაიხარა-ო.

ამრიგად, ს. ხუნდაძე საპატიო ადგილს უთმობს ჩვენს წარსულ მოღვაწეთა რიგებში ნიჭიერ კრიტიკოსს და შემდგომი კვლევის საგნად უსახავს ქართული აზროვნებისა და ქართული ლიტერატურის მკვლევართ, ხომლელის ლიტერატურული მოღვაწეობის შესწავლის საქმეს.

1941 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ შ. რა დ ი ა ნ ი ათავსებს წერილს ხომლელზე, სადაც წერს, რომ მე-19 საუკუნის 80—90-იან წლებში სხვადასხვა ქანრის განვითარებასთან ერთად აღორძინდა მხატვრული კრიტიკაც, რომ ამ ქანრის მწერალთა შორის თვალსაჩინო წარმომადგენელია .რ. ფანცხავა. ხომლელი განსაზღვრული მსოფლმხედველობისა და მეთოდების საფუძველზე ცდილობდა გაერკვია და გაეთვალისწინებინა ჩვენი ლიტერატურის აწმყო და წარსული-კრიტიკულ შეხედულებათა სხვადასხვაობა საკმაოდ აცოცხლებდა მაშინდელ ლიტერატურას და ხელს უწყობდა კრიტიკის განვითარებასო — გადმოგვცემს რადიანი.

3 „კვალი“, 1895, № 39.

ავტორი ეხება ხომლელის მოღვაწეობის პირველ პერიოდს, რადესაც ახალგაზრდა პუბლიცისტი განიცდიდა ნაროდნიკული იდეოლოგიის გავლენას, ეხება მის სარედაქციო მუშაობას და ნაყოფიერ ლიტერატურულ და კრიტიკულ მოღვაწეობას. მკვლევარი, უპირველეს ყოვლისა, რ. ფანცხაევას კრიტიკული სტატიებიდან ასახელებს „კვალში“ მოთავსებულ წერილს: „ჩვენი ლიტერატურული მდგომარეობა“, საყურადღებოდ მიიჩნევს, აგრეთვე, წერილებს: „ქართველი გლეხის შვილი“ (რომელშიც ხომლელს განხილული და შეფასებული აქვს ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლის, ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის, ეკ. გაბაშვილის, ალ. ყაზბეგის, ეგ. ნინოშვილის, შიო არაგვისპირელის, მელანიას, დ. მეგრულის და სხვათა შემოქმედება), სადაც მეტად დაკვირვებული აზრები აქვს გამოთქმული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის განვითარების გზებისა და ხასიათის შესახებ. რადიანი ეხება ხომლელის ნაშრომს „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“, რომელშიც კრიტიკოსს განხილული აქვს ქართული რომანტიზმის ეპოქა, და ამ მონოგრაფიას მიიჩნევს საინტერესო შრომად.

შ. რადიანი რ. ხომლელს ლიტერატურისა და ხელოვნების სოციალური დანიშნულების აპოლოგეტად სახავს. რადიანის აზრით, ხომლელი რუსული კრიტიკული აზროვნების სახელოვანი წარმომადგენლების ბელინსკის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკის და სხვათა დიდ გავლენას განიცდიდა, იგი ებრძოდა მათ, — სწერს ავტორი, — ვინც ცდილობდა ბელინსკის შეხედულებებში დაენახა მხოლოდ ტენდენციურობა. ხომლელი ლიტერატურულ მოვლენებსა და პროცესებს ყოველთვის უკავშირებდა საზოგადოებრივი ხასიათის ფაქტებსო — აღნიშნავს ავტორი.

რადიანის აზრით, ხომლელის კრიტიკული წერილების საგრძნობ ნაწილს დღესაც არ დაუჯარგავს მნიშვნელობა. ამიტომაც მიიჩნევს მკვლევარი ფრიად სასარგებლო და საჭირო საქმედ, რომ სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლების წერილებთან ერთად გამოიცეს ხომლელის ნაწერების კრებულიცო.

ხომლელის ხსოვნას მიეძღვნა რამდენიმე საყურნალო და საგაზეთო სტატია. მათ შორის 1948 წელს, გარდაცვალებიდან 20 წლის თავზე, „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაიბეჭდა ნ. ასლახიშვილის სტატია, სადაც მოკლე ბიოგრაფიული ცნობის შემდეგ, ავტორი ეხება ხომლელის იდეურ მრწამსს და იხილავს ქართველი კრიტიკოსის თვალსაზრისს. იგი გადმოგვცემს, რომ ხომლელი მტკიცედ იცავდა იმ რეალურ ესთეტიკურ შეხედულებებს, რომლებიც ჩვენში 60-იანი წლების მოღვაწეებმა დაამყვიდრეს. ავტორს მოჰყავს ხომლელის სიტყვე-

ბი, რომ ლიტერატურა საზრდოს უნდა იღებდეს მეცნიერებისა, საზოგადო ლიტერატურისა და რეალური ცხოვრებიდან, რომ გულაცრუებულ საზოგადოებას გული მოუნახოს, გული გაუხსნას, ასე ვთქვათ სულში ჩაუძვრეს და ჭკუა-გონებას მარგებელი საზრდო მიაწოდოს და თუ ამ ძალებს ერთი წუთით დასცილდა, მაშინ იგი ცხოვრებიდან წამოყენებულ სხვადასხვა მოვლენებს და საგნებს ვერ განსკვრეტს და გაზომავს გონებისა და ზნეობის გამჭირაბი თვალთ, ჰკარგავს არსებობის აზრს და სიკვდილის გზაზე დამდგარი სამარის კარს მიადგებაო—ამ ციტატაში გადმოცემული თვალსაზრისი ლიტერატურაზე, ამბობს ასლანიშვილი, გამოსთქვა ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ საქართველოს მოამბის (1868 წ. 1/XI) სახელმძღვანელო საპროგრამო წერილშიო.

ზომლელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საყურადღებოდ ნ. ასლანიშვილი მიიჩნევს ნარკვევს „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“-ს, სადაც მკვლევარი ბევრ საყურადღებო მოსაზრებას ხედავს.

1954 წელს „ახალგაზრდა სტალინელში“ გ. მიქაძემ გამოაქვეყნა წერილი — „ზომლელის უცნობი წერილები“, ავტორი გასცნობია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ, თვით რედაქტორ-გამომცემლის (ზომლელის) ჟურნალებს. „განთიადს“ და „ცხოვრების“ პირად კომპლექტებს, მასში რედაქტორის ხელით გაკეთებული იყო შესწორება-ცვლილებანი, აღდგენილი იყო ცენზორის მიერ ამოღებული ადგილები. კომპლექტები საყურადღებო იყო იმიტაც, რომ მათი საშუალებით ავტორისათვის ცნობილი გახდა ამ ჟურნალებში ხელმოუწერლად დაბეჭდილი ზოგიერთი ავტორი და გაირკვა რამდენიმე ფსევდონიმი. ამრიგად, მიქაძემ დაადგინა, რომ ჟურნალ „განთიადში“ დაბეჭდილი ხელმოუწერელი წერილებიდან რ. ფანცხავას ეკუთვნის შემდეგი: „ომის მატთან“⁴, „ნიკო ლომოური“⁵, „სოლომონ კიპროზოვი“⁶, „ვაჟა ფშაველა“⁷, „ბიბლიოგრაფია“⁸ და ზოგიერთი სხვა სტატია: ჟურნალ „ცხოვრებაში“ გამოუქვეყნებელი ხელმოუწერელი წერილებიდან მიქაძე ფანცხავას კალამს აკუთვნებს შემდეგ წერილებს: „ბიბლიოგრა-

4 „განთიადი“ № 2, 20, 21, № 4, გვ. 91, 32; № 6, გვ. 30—32; № 7, გვ. 32.

5 „განთიადი“ № 9, გვ. 12.

6 „განთიადი“ № 12, გვ. 30—31.

7 „განთიადი“ № 13, გვ. 1—5.

8 „განთიადი“ № 13, გვ. 18.

ფია“⁹, „ელისაბედ ჩერქეზიშვილი“¹⁰, „შიო მღვიმელი“¹¹, „იროდიონ ევლოშვილი“¹², ალექსანდრე ფრონელი“¹³, „ალექს. ნათაძე“¹⁴, „ვლადიმერ სტაროსელსკი“¹⁵, „რედაქტორისაგან“¹⁶, „თევდორე ჟორდანიას“¹⁷, „გიორგი ხირსელი“¹⁸. „ალექსანდრე გარსევანისძე ჭავჭავაძე“¹⁹, „პენრის სენკევიჩი“²⁰, „ემილ ვერჰარნი“²¹, „ჯეკ ლონდონი“²², „მიხეილ ყიფიანი“²³, „სტეფანე თევდორეს-ძე ჭრელაშვილი“²⁴, „ალექსი ბესარიონის-ძე ჭიქინაძე“²⁵, ოქტავ მირბო“²⁶.

ამავე ჟურნალების ეგზემპლარებიდანვე მიქაძე ადასტურებს რ. ფანცხავას სალიტერატურო ფსევდონიმებს: „გულკეთილი“ და „ალესილი“²⁷, მისივეა „პროვინციელის“ ხელმოწერით დაბეჭდილი წერილი „პროვინციელი შენიშვნები“ („განთიადი“, 1915 წ., № 3, გვ. 20, 21), ჟურნალ „ცხოვრებაში“ (1916 წლის № 8, გვ. 24—27) რომანოზ ფანცხავას გამოუქვეყნებია ფელეტონი ასეთი ხელმოწერით „დრამატული საზოგადოების ერთი წევრთაგანი“. მისივე ყოფილა „მიჯნურის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი ლექსი „პირველი და უკანასკნელი“ (როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ჟურნალების „განთიადისა“ და „ცხოვრების“ კომპლექტების გაცნობამ მიქაძეს საშუალება მისცა ამოეხსნა საზოგადო მოღვაწის რ. ფანცხავას—ხომელის უცნობი წერილები და ფსევდონიმები).

⁹ „ცხოვრება“ № 2, გვ. 28.

¹⁰ „ცხოვრება“ № 4, გვ. 22—24.

¹¹ „ცხოვრება“ № 5, გვ. 20, 21.

¹² № 9, გვ. 1—2.

¹³ № 11, გვ. 1—5.

¹⁴ № 12, გვ. 1.

¹⁵ № 13, გვ. 5—7.

¹⁶ № 19, გვ. 1, 9.

¹⁷ № 16, გვ. 2—3.

¹⁸ № 16, გვ. 3—4.

¹⁹ № 16, გვ. 4, 5.

²⁰ № 16, გვ. 5—6.

²¹ № 16, გვ. 6—9.

²² № 16, გვ. 9.

²³ № 2, 1917 წ., გვ. 2.

²⁴ № 2, „ —

²⁵ № 2, გვ. 2—3.

²⁶ № 4, გვ. 3—5.

²⁷ № 4 გვ. 7 — 8.

1956 წელს გამოვიდა იპოლიტე ვართაგავას წიგნი²⁸, სადაც განსაზღვრული ნაწილი დათმობილი აქვს რომანოზ ფანცხავას, როგორც საკმაოდ ცნობილ კრიტიკოსს. ვართაგავა შემდეგი სიტყვებით ახასიათებს ხომლელს: „იგი ცდილობდა შეგნებულად ეპოქის დამახასიათებელი, მოწინავე აზრები და იდეები გამოეთქვა თავის წერილებში — თანამედროვეობის მოწინავე აზრების მომარჯვებით იგი ცდილობდა შეეთასებინა მხატვრული ნაწარმოები და გაეშუქებინა რომელიმე საზოგადოებრივი საკიბროტო საკითხი“.

ი. ვართაგავა ახასიათებს ხომლელის პიროვნებას, ხატავს მას, როგორც უბრალო, ყველასთან და ყველგან თავმდაბალს და უეფექტო მოსაუბრეს. ხომლელს ახასიათებდა ისეთი აზრებისა და შეხედულებების მტკიცება, რომელიც საერთო საზოგადოებრივი, უეჭველად და უდავოდ აღიარებული შეხედულებების წინააღმდეგ იყო მიმართული-ო.

ვართაგავა გადმოგვცემს, რომ ხომლელს, როგორც სასულიერო სემინარიის მოწაფეს, უეჭველად ახასიათებდა „რაზნოჩინელების“ ზოგიერთი თვისება; რომ, მაგალითად, ის იყო ათეისტი, არ უყვარდა თავდაზნაურობა, მიდრეკილება ჰქონდა „ნიპილიზმისაკენ“. შემდეგ, ვართაგავა ეხება მოკლედ ხომლელის ბიოგრაფიას, გადმოგვცემს, თუ როგორ დაუმეგობრდა კრიტიკოსი ცნობილ მწიგნობარ ზ. ჰიქინაძეს, რომელიც იმ დროს არა მარტო რომანოზსა და სხვა რჩეულ სემინარიელებს აძლევდა საკითხავ წიგნებს, არამედ ყველა მსურველთ.

შემდეგ ვართაგავა იხილავს ხომლელის წმინდა კრიტიკული ხასიათის საყურადღებო წერილებს. როგორც ვიცით,—წერს მკვლევარი, პოეტ იოსებ დავითაშვილის გასვენებაზე ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც მან დადებითად დაახასიათა გლეხი პოეტის შემოქმედება. ხოლო ახალგაზრდა კრიტიკოსმა ხომლელმა „კვალში“ (1893 წ. № 43) უძღვნა წერილი იოსებ დავითაშვილს და ამასთან ვაკრიტიკა ილია ჭავჭავაძე მისი გამოსვლისათვის დავითაშვილის დაკრძალვაზე. ხომლელის ამ სიტყვებს იპ. ვართაგავა უკიდურესი ნიპილიზმის ნიმუშად მიიჩნევს. „მან ვერ გაიგო დიდი ილიას შეხედულება მშრომელთა წრიდან გამოსული ნიჰიერ პოეტზე,—წერს ვართაგავა, — როდესაც სრულიად დაუმსახურებლად უარყოფს ი. დავითაშვილის მხატვრულ ნიჭსა და გარკვეულ მნიშვნელობას ქართული

²⁸ იპ. ვართაგავა, ქართული მწერლების სილუეტები, თბილისი, 1956 წ., ხომლელი, გვ. 143 — 162.

ლიტერატურის ისტორიაში“²⁹. ვართაგავას ხომლეღის ასეთი მარცხის მიზეზად მიაჩნია კრიტიკოსის იდეოლოგიური საფუძველი და მცდარი თეორიული შეხედულებანი. „გასული წლის 80-იანელნი, — მოყავს ვართაგავას ხომლეღის ციტატა, — გაიტაცა სოფლის იდეალიზაციამ, გლეხობის იდეოლოგიამ, გლეხობის უცოდველ, უმანკო არსებად დახახვამ... ჩვენში დაიბადნენ „ტეტიათა მტრფიალენი“, ეს ამონაწერი ვართაგავამ იმისათვის მოიყვანა, რომ ნათელყოს თავისი აზრი, რომ ხომლეღი არ წყალობს „მუჟიკურ ლიტერატურას“, საერთოდ და „ტეტიათა მტრფიალებს“ — კერძოდ, რომ გლეხობა მას მიაჩნია პროგრესის, რევოლუციური მოძრაობის შემფერხებელ ძალად-ო. ავტორი დაბეჭითებით ლაპარაკობს, რომ ხომლეღი თავის წერილში ყოველნაირად ცდილობდა დაემცირებია არა მარტო დავითაშვილი, არამედ დაემცირებინა და სახელი გაეტეხა დიდი ილიასათვის. ხომლეღი ილიას უკიყინებდა რუსული ლიტერატურის მიბაძვას, თვითონ კი, — სწერს ვართაგავა, პისარევის ყურმოჭრილ მონად გვევლინებო.

შემდეგ ვართაგავა იხილავს ხომლეღის სტატიას ილიას შესახებ დაწერილს 1915 წელს, სადაც კრიტიკოსი ჭედს იხრის ილიას წინაშე და მის საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას სამართლიანად, სრული ობიექტურობით, ახასიათებს. მაგრამ, საერთოდ, ი. ვართაგავას აზრით, ხომლეღმა ილიას შეფასებაში ვერ გამოიჩინა ობიექტურობა, მიუდგომლობა და კრიტიკისათვის აუცილებელი საჭირო მხატვრული გემოვნება. მან ვერ იგრძნო დიდი ეროვნული შემოქმედი-ო.

ასევე უსაყვედურებს ვართაგავა ხომლეღს მეორე დიდი მხატვრის ვაჟა-ფშაველას გაგებაში. ასევე მცდარად მიაჩნია ავტორს ხომლეღის შეხედულებები ნ. ლომოურის, ეკ. გაბაშვილის, ს. მგალოშლიშვილის, ირ. ვედოშვილის შემოქმედების შესახებ. მისი აზრით, კრიტიკოსს ერთი აკვიატებული მეთოდი ჰქონია: ქართველი მწერლების შემოქმედების შეფასების დროს, მუდამ ცდილობდა რუსული ლიტერატურისადმი წაბაძვა დაენახა. ამრიგად, ი. ვართაგავამაც ხომლეღის შემოქმედება მხოლოდ ლიტერატურულ-კრიტიკული პოზიციებიდან განიხილა და არ ცდილა ქართველი პუბლიცისტის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების შესწავლა-გაანალიზებას.

1957 წელს გამოვიდა ი. კ. ენიკოლოპაშვილის „დიდუბის პანთეონი“, სადაც რომანოზ ფანცხავასაც აქვს ადგილი დათმობილი. შრომა მოკლე ბიოგრაფიული ხასიათისაა.

²⁹ ი. ვ. ა. თ. ა. ვ. ა. ვ. ა. ქართველი მწერლობის სილუეტები, I, თბილისი, 1956 წ., ხომლეღი, გვ. 151.

1959 წელს გამოვიდა გ. აბზიანიძის წიგნი³⁰ „ნარკვევები XIX-ის ქართული აზროვნების ისტორიიდან“. აბზიანიძე თავის ნაშრომში ხომლელს მიიჩნევს ქართული ლიტერატურის კრიტიკის მეტად საინტერესო პიროვნებად, რომელმაც თავისი ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილებით მალე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. გ. აბზიანიძის აზრით, ხომლელის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი მკიდრო კავშირშია ლეგალურ მარქსიზმთან. გ. აბზიანიძე არჩევს ქართველი კრიტიკოსის შრომებს და აღნიშნავს, რომ თავის ლიტერატურულ კრიტიკულ წერილებში ხომლელი ესთეტიკის მატერიალურ პრინციპებს ატარებს. მის ყოველ კრიტიკულ სტატიაში წამოყენებულია რეალობის გაბატონება ხელოვნებაში-ო.

ხომლელის აზრით, ცხოვრების ჩვენება არის ლიტერატურის მუდმივი საგანი. შემოქმედებითი ძალა იმით გაიზომება, თუ რამდენად შეძლო მან თავის ნაწარმოებში გადმოეცა სიღრმე და ტიპიურობა მხატვრული სახეების საზოგადოებრივი შინაარსისა, რამდენად შეძლო მათი მოქმედების დასაბუთება და გამოყვანა სინამდვილის ძირითადი კანონზომიერებიდან. მკვლევარის აზრით, ხომლელი დიდად აფასებს ისეთ რომანისტებს, მოთხრობების დამწერთ და დრამატურგებს, რომელთა მიერ დახატული პირობის მოქმედება ცხოველის სინამდვილით მიმდინარეობს და ცხოვრების აუცილებელი მიზეზებისგან უეჭველად მოსალოდნელია რომ მოხდეს.

გ. აბზიანიძე განიხილავს ხომლელის დამოკიდებულებას მხატვრული ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულებისადმი. ხომლელის შეხედულებით, წერს მკვლევარი, მწერლის ვალია ცხოვრებიდან აღებული მოვლენა ღრმად შეისწავლოს და მკითხველს ნათლად დაუხატოს მისი ავი და კარგი მხარეები.

აეტორს მოსწონს, რომ ხომლელი თანაგრძნობას გამოხატავს ქართველი გლეხის მიმართ და დიდ ადგილს უთმობს მეღანოს მოთხრობების სოციალ-პოლიტიკური შინაარსის ინტერპრეტაციას. მაგრამ მკვლევარი იქვე აღნიშნავს ხომლელის არასწორ შეხედულებას ილიას მიმართ, რომელსაც კრიტიკოსი ხალხოსნებს მიაკუთვნებდა. გ. აბზიანიძე უჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში ხომლელის მცდარი შეხედულებანი, უშუალოდ დაკავშირებული იყო მესამე დასის უმრავლესობის ლიტერატურულ პროგრამასთან და წარმოადგენდა გამოძახილს იმ ცხარე კამათისას, რომელიც 90-იან წლებ-

30 გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, გამომცემლობა „საბჭოთა საქარაველი“, თბილისი, 1959.

ში გამართული იყო „კვალსა“ და „ივერიას“ შორის. ავტორი ხაზს უსვამს ქართველი ლეგალური მარქსისტების ილია ჭავჭავაძისთან კამათის დროს განვითარებულ უაღრესად მცდარ შეხედულებებს მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ. მათ დაამცირეს „კაცა-ადამიანის?!“-ს ავტორის პროგრესული როლი ქართულ ლიტერატურაში და მხედველობიდან გაუშვეს გამოჩენილი ქართველი მწერლის ისტორიული დამსახურება მე-19 საუკუნის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში-ო, — წერს გ. აბზიანიძე. ამასთან მკვლევარი უჩვენებს, რომ ლეგალური მარქსისტების ასეთ ტენდენციურ დამოკიდებულებას ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართ გმობდა „მესამე დასის“ რევოლუციონერ-ისკრელთა ფრთა. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ხომლეღმა, ძირითადად, გამოასწორა 90-იან წლებში გამოთქმული თავისი მცდარი შეხედულებანი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. შემდეგ წერილში მან სწორად შეაფასა ილიას სიდიადე და ის განუზომელი ღვაწლი, რაც ილიამ სამშობლოს დასდო. საბჭოთა მეცნიერი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ ხომლეღი ამ სტატიაში გმობს პ. გელეიშვილის ცილისმწამებლურ გამოსკლებს ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ და „აჩრდილის“ ავტორს სახავს დემოკრატიული აზროვნების მედროშედ საქართველოში.

აბზიანიძეს აღწერილი აქვს, თუ რა შესანიშნავად ახასიათებს ხომლეღი ი. ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოებების მნიშვნელობას ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების გამოფხიზლებაში. ხომლეღი ხაზს უსვამს ი. ჭავჭავაძის, როგორც ბატონყმური უსამართლო ინსტიტუტის წინააღმდეგ უშიშარი მებრძოლის, უდიდეს დამსახურებას და მისი ჰუმანური იდეების ძალა მშრომელი ხალხის წინსვლაში³¹.

გაცილებით ღრმად და მრავალფეროვნად მიიჩნევს ავტორი ხომლეღის კრიტიკულ თხზულებებს, რომელშიაც აანალიზებს ქართული ლიტერატურის მეორე კორიფეს—აკაკი წერეთლის შემოქმედებას. ახალგაზრდა კრიტიკოსი ჯერ კიდევ „კვალში“ 1893 წ. აღფრთოვანებული წერდა აკაკის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ქართულ მხატვრულ აზროვნებაში, რის შემდეგ მას მიუძღვნა მთელი რიგი სპეციალური სტატიებისა.

ახალი ლირიკის მგოსანთა რიგებს ხომლეღი აკუთვნებს მხოლოდ ნ. ბარათაშვილს და აკაკი წერეთელს. ამ მგოსანთა ლექსები იმდენად

³¹ ილიას შესახებ ხომლეღი სტატიებს ბეჭდავს „განთიადში“, 1915, № 12. 15. 16 და 1916, № 16.

მოსწონს მას, რომ მისი გამოთქმა რომ ვიხმართ — წერს ავტორი — „პატიოსან კაცის გულს ღრმად ატოკებს და სრულიად იმორჩილებს-ო“³².

აკაკის პოეზიის ძალას ხომლელი მისი შემოქმედების ღრმა ნაცო-ნალურ ხასიათში ხედავს. იგი განსაკუთრებულად აღნიშნავს აკაკის შემოქმედების დემოკრატიულ და მეგრძოლ ხასიათს, მის შეუღრეკელ პრინციპებს, პოეტის ეროვნულ ოპტიმიზმს.

შემდეგ აბზიანიძე ჩერდება ხომლელის შემდგომ 1897 წელს „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილზე „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი ღრო“ და მიიჩნევს მას ამ ღროს რეალისტური ლიტერატურული კრატიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად.

ხომლელი ბარათაშვილის შემოქმედებას იხილავს ქვეყნის ისტორიულ-საზოგადოებრივ პირობებთან უშუალო კავშირში და სწორად მიუჩენს მას ადგილს ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

ავტორი ეხება ხომლელის დამოკიდებულებას რუსი რევოლუციონერი დემოკრატი მწერლების წარმომადგენლებთან, არჩევს ხომლელის სტატიას ბესარიონ ბელინსკის შესახებ, რომელსაც ხომლელი „რუჟეთის ლიტერატურის ერთ ბრწყინვალე და დიდ შემოქმედთაგანს“ უწოდებს. ავტორის აზრით, ქართველი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკის ესთეტიკურ ნააზრევს ღრმა ანალიზს უკეთებს და მაღალ შეფასებას აძლევს.

განსაკუთრებით ხაზს უსვამს ბელინსკის უდიდეს დამსახურებას რეალისტურ ხელოვნებასა და რევოლუციური იდეებისათვის ბრძოლაში. ხომლელის მტკიცებით, ბელინსკიმ მახვილი ჩასცა წმინდა ხელოვნების იდეას. ავტორს მოჰყავს ხომლელის აზრი: „სახელოვანი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ აზრი ხელოვნებაზე, რომელიც დაშორებულია ცხოვრების სინამდვილეს, არის განყენებული აზრი, ჰაერში მოყიადე, რომელიც განყენებული აზროვნების და უნიადაგო ფანტაზიის სფეროში დაძრწის და მოკლებულია ვრცელს და ცხოველს საზოგადოებრივს მოქალაქეობას. წმინდა ხელოვნება არსად არ ყოფილა. პოეტი მოქალაქეა თავისი ქვეყნის, შვილია თავისი ღროს“³³. გ. აბზიანიძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხომლელის ზოგიერთი ღრმა დაკვირვება „მშფოთვარე ბესარიონის“ ესთეტიკურ მემკვიდრეობაზე ყურად-

32 გ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, გვ. 413.

33 ი ქ ე ე, გვ. 417.

ღების ღირსია არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, არამედ იგი დღესაც ცხოველ ინტერესს იწვევს.

გ. აბზიანიძე, სრულიად სამართლიანად, ხომლელში ხედავს დემოკრატიულად განწყობილ პიროვნებას, რომლის პატრიოტულ იდეას არ წარმოადგენს მშრომელი მასების ინტერესებისაგან განცალკევება, მას ღრმად სწამს, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ნიშნავს ბრძოლას სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის და მშრომელთა მონობის ბორკილების დამსხვრევისათვის.

74 В «Воспоминаниях А. С. Гангеблова». «Карвицкий ошибочно указан Оржицким (см. «Воспоминания», стр. 187).

75 ЦГВИА, ВУА, д. № 1142, л. 7.

Аносов «добросовестно» выполнил поручение начальства⁷⁶, сообщив обстоятельные сведения о контактах Н. Н. Раевского с разжалованными декабристами во время его пребывания в Гумрах, а также указал на конкретную личность — участника злополучного «генеральского» обеда, местного врача Штаубе, который мог дополнить сведения гумринского коменданта. Неизвестно был ли Штаубе допрошен в оязи с этим, но, как видно, «информация» Аносова сама по себе оказалась достаточной для того, чтобы на Кавказе разразился погром на политических ссыльных. Наказание, прежде всего, понес сам Н. Н. Раевский, который был подвергнут сперва домашнему аресту, а затем и вовсе удален со службы в Грузию⁷⁷. В связи с этим показательна политическая изворотливость Паскевича, который незадолго до происшествия в Гумрах самым лестным образом отзывался о Раевском, как наделенном завидными качествами боевом командире кавалерийских частей Отдельного кавказского корпуса, в какой-то мере даже незаменимом в период войны с Турцией⁷⁸. Но как только на Раевского пало

76 Характерно, что за свою подлость Аносов попросил впоследствии соответствующую мзду. Попад в затруднительное материальное положение, Аносов 11 февраля 1835 года написал рапорт военному министру Чернышеву, в котором намекал на свою услугу оказанную ему в 1829 году, уязвывая ее с настоящим его тяжелым материальным положением. Намек был правильно понят Чернышевым и, чтобы не дать повода Аносову для разглагольствований о выполненном им в 1829 году секретном поручении, согласно резолюции военного министра 18 февраля 1835 года в канцелярии министерства Аносову была выдана «единовременная сумма — 300 руб.» (см. ЦГВИА, ВУА, д. № 1142, л. 1).

77 По прибытии в Петербург вслед за удалением от службы в Грузию за Н. Н. Раевским был учрежден строгий тайный надзор. Согласно содержанию одного жандармского документа, о поведении Раевского в Петербурге Бенкендорфу непосредственно докладывал дежурный генерал Главного штаба (см. ЦГАОР, ф. 109, 1 экспед., 1831, д. № 586, лл. 1—3).

78 В конце января 1829 года Паскевич писал начальнику Главного штаба буквально следующее: «По предположению вашего сиятельства Нижегородский драгунский полк должен быть увеличен в 10 эскадронов, почему и обращаюсь с покорнейшей просьбой об исходатайствовании высочайшего соизволения на оставление генерал-майора Раевского в звании полкового командира, ибо сей полк составом своим будет соответствовать бригаде в других частях войск, а генерал-майор Раевский по званию своей части, прилежному усердию и опытности в здешнем крае будет командовать опытным с существовою пользою для службы. Если же не последует на сие высочайшего соизволения, то покорнейше прошу ваше сиятельство представить на благоумотрение Е. И. В., что весьма полезно оставить здесь генерал-майора Раевского по крайней мере на военное время, для командования обоими полками регулярной кавалерии, драгунским и сводным уланским» (см. ЦГВИА, ф. № 90, д. № 28, л. 1—1—об.).

подозрение в общении с декабристами. Паскевич отвернулся от него и поспешил использовать даже его «проступок» для обобщающих выводов о «нездоровом» духе среди подчиненных ему политических ссыльных, конечно же, в целях не только выгородить себя, но и прослыть в глазах Николая I бдительнейшим стражем его интересов на Кавказе. По горячим следам происшествия в Гумрах, Паскевич 21 ноября 1829 года писал царю, в частности, следующее: «Поступок генерал-майора Раевского мне сделался известен, прежде получения высочайшего повеления вашего императорского величества, и я не оставил его без внимания, предоставив только до возвращения моего в Тифлис, чтобы самому более во всем удостовериться. Поступок сей хотя в злоумышленности не обнаружен, но тем не меньше есть признак, что дух сообщества существует, который по слабости не действует, но помощью связей между собой живет. Сие с самого начала командования моего здесь не было упущено от наблюдений моих, и я тогда же просил графа Дибича снабдить меня хотя несколько другого рода генералами, которые с добрыми правилами соединяли и способности. Но не получив их должен был действовать теми, какие были и по их военным действиям и способностям отдавать им справедливость. По множеству здесь людей сего рода, есть главное к наблюдению, чтобы они не имели прибежища в людях высшего звания и так сказать пункту соединения. В сем отношении удаление отсюда генерал-майора Сакена, есть полезно; удаление генерал-майора Раевского также; весьма полезно удалить и генерал-майора Муравьева. В прочем предмете сей столь много имеет соотношений, что мне трудно действовать, и найти меру действиям моим. — Вот одна из причин, которая заставила меня просить из Арзерума соизволения вашего императорского величества прибыть в Санкт-Петербург»⁷⁹.

Остальные декабристы-участники происшествия в Гумрах были разосланы по свидетельству современников по различным полкам, квартировавшим на Кавказе. З. Г. Чернышев, для очернения которого, главным образом, и был сделан донос Бутурлиным⁸⁰, видимо настолько хорошо разбирался в мотив-

⁷⁹ ЦГВИА, ВУА, д. № 1006, лл. 8—9.

⁸⁰ Существует мнение, что Бутурлин, делая донос, наряду с конфиденциальным поручением военного министра, был движим стремлением «свесить счеты» кое с кем из сосланных на Кавказ декабристов. Автор «Воспоминаний из Кавказской старины» В. Андреев, например, пишет об этом: «Павел Бестужев говорил мне, что адъютант Б(утурлин), будучи аристократом, не мог играть в перетбургском обществе такую видную роль, как Александр (Бестужев-Марлинский — Д. В.) и потому из зависти был с ним в дурных отношениях. Этому обстоятельству Павел приписывал причину погрома декабристов на Кавказе» (см. Кавказский сборник, 1876 г., т. I, стр. 92).

вах повышенного интереса к его личности со стороны своего могущественного однофамильца, что вел себя на Кавказе очень осторожно, осмотрительно⁸¹. Это отчасти видно и из доноса Аносова, который, должно быть, вопреки ожиданиям недоброжелателей З. Г. Чернышева, не послужил основой для его более сурового наказания — он был переведен рядовым¹ из Нижегородского драгунского полка в 41-й егерский полк, также расположенный в Грузии⁸². Что касается майората графов Чернышевых, ради завладения которым столько подлостей совершил тогдашний военный министр, судя по архивным

⁸¹ Весьма интересен в связи с этим приводимый в воспоминаниях А. С. Гагбелова вскользь высказанный З. Г. Чернышевым в беседе с ним отзыв о тогдашнем военном министре. Вспомнивая о встречах и беседах с З. Г. Чернышевым вскоре после происшествия в Гумрах, в частности, при строительстве крепости Новые Закаталы, Гагбелов писал: «Беседы наши были подолги, так как мой собеседник не решался отлучаться из своего лагеря иначе как на короткое время; по всему заметно было, что ближайшее начальство Захара Григорьевича наблюдало за ним не спуская рукава. Раз как-то разговор коснулся прошлых наших «ненастных дней». Когда я рассказал ему каким маневром добил меня Чернышев (А. И. Чернышев — Д. В.) в заседании комиссии (имеется в виду правительственная следственная комиссия 1826 г. — Д. В.), он заметил «O. Александр Иванович, *Dieu confonde!* (Помутит его бог!), большой мастер в подобных делах; не забудьте, что ему удалось надуть даже величайшего из надувал (намек, как нам кажется, на царя — Д. В.)» — см. «Воспоминания А. С. Гагбелова», М., 1888, стр. 216).

⁸² Институт рукописей АН Груз. ССР, ф. Вейденбаума № 24, стр. 115. В дальнейшем З. Г. Чернышев, постоянно находясь под секретным надзором, служил в Закавказском линейном батальоне № 7, где в 1833 году из унтер-офицеров был произведен в прапорщики. Летом того же года ему был предоставлен 2-месячный отпуск, во время которого женился на дочери сенатора Теплова Екатерине. В 1837 году З. Г. Чернышев в чине подпоручика «по растроенному здоровью был уволен от службы (военной — Д. В.) с тем, чтоб безвыездно жить в имении своей сестры графини Чернышевой-Кругликовой (в Волоколамском уезде — Д. В.)», опять-таки с учреждением секретного надзора. Впоследствии З. Г. Чернышев находился на гражданской службе, в 1844 году он являлся провинциальным секретарем дворянского депутатского собрания в г. Орле (см. ЦГАОР, ф. 109, 1 экспедиция, оп. 1826, д. № 61, ч. 98, лл. 1—2, 8, 11, 15, 30). Согласно сведению Е. Г. Вейденбаума, З. Г. Чернышев «скопчался в 1862 г., в Риме» (Институт рукописей АН Груз. ССР, ф. Вейденбаума № 24, стр. 115).

данным, он не был возвращен З. Г. Чернышеву, но не достался и столь откровенному его соискателю⁸³.

Из других разжалованных декабристов — участников «генеральского» обеда в Гумрах С. Карвицкий был переведен из Нижегородского драгунского полка в Грузинский линейный № 8 батальон⁸⁴. В какие именно войсковые части были распределены Ворцель, Пашков и другие, нам не известно. Известно однако, что некоторые историки различные меры наказания, которым подверглись тогда и другие декабристы, сосланные

⁸³ Сохранился архивный документ, из которого видно, что в январе 1831 года зять З. Г. Чернышева штальмейстер И. Г. Кругликов по данному вопросу обратился с письмом к Бенкендорфу. Как видно, домогание военного министра А. И. Чернышева завладеть майоратом графов Чернышевых было настолько активным, что оно вынудило Кругликова к некоторым решительным действиям. Он сообщал в связи с этим Бенкендорфу, что «возложенная на меня обязанность завещанном г. фельдмаршала графа Чернышева поставили меня в необходимость по точному содержанию 4-го пункта оного подать от себя в надлежащем присутственном месте письменное обязательство в том, что «фамилию и герб графов Чернышевых обязуюсь принять себе и наследникам моим». Далее в письме излагалась просьба Кругликова, которую он через посредство Бенкендорфа хотел довести до сведения царя, о том, что «если когда, по беспредельному милосердию Е. И. В. благоугодно ему будет оживить всешедрым прощением несчастливца (З. Г. Чернышева — Д. В.), владшего в преступление, то да возвратится с оим всеблагим прощением имя отца его и завещанное покойным фельдмаршалом достояние, которое жена моя и я возвратим ему тогда, проливая слезы благодарности и благословляя милующею, всемогущую десницу». В ответном письме Бенкендорфа содержалось весьма характерное решение царя по данному вопросу. Шеф жандармов сообщал Кругликову: «Я имел счастье представить государю-императору всеподданнейшую просьбу вашего превосходительства... касательно шурина вашего, бывшего графа Захара Чернышева, в отношении к известному духовному завещанию его деда. Е. И. В. изволил полагать, что возвращение ему прав, уничтоженных законами было бы противно оным и что если бы он, со временем мог быть возвращен в прежнее свое звание, то и в таком случае следовало бы считать его как бы новорожденным, но не принадлежащим фамилии, коей он сделался недостойным. Изъявленную же вам, милостливый государь, просьбу сестре его, равно как и их супругов, его величество изволили принять как убедительное доказательство благородства их чувствования» (см. ЦГАОР, ф. 109, I экспедиция, оп. 182б, д. № 61, ч. 98, лл. 1—2, 4 об.)

⁸⁴ О жизненном пути С. Карвицкого до его зачисления в названный выше линейный батальон дает представление небольшая справка из жандармского документа, в котором говорится: «Бывший председатель Во-

на Кавказ⁸⁵, в определенном смысле увязывают с происшествием в Гумрах в 1829 году.

Но, казалось бы, какая может быть конкретная связь между описанным выше происшествием в Гумрах и арестом Сухокурова? Нам кажется, самая непосредственная. Во-первых, именно такого рода связь между данными происшествиями хочет подчеркнуть в своих воспоминаниях один из современников и участников этих событий, М. Юзefович, когда пишет, что «Расвский был арестован домашним арестом, а декабристы разосланы по полкам. Тогда же увезли и Сухо-

лынской гражданской палаты, отставной польских войск поручик граф Стаинслав Карвицкий, по принадлежности к делу о польских тайных злоумышленных обществах, лишен по высочайше подтвержденному в 1829 году миенно государственного совета графского достоинства и разжалован в рядовые до выслуги в Нижегородский драгунский полк» (см. ЦГАОР, ф. 109, оп 86, д. № 47, л. 116—116-об). На примере С. Карвицкого, в частности, можно составить представление о том, какими незуитскими методами пользовался Николай I ради мищения своим политическим недругам даже по мелочам. Так, из письма шефа жандармов царю, датированного августом 1830 года, узнаем, что помещица Воьинской губернии Житомирского повета Вероника Карвицкая, обратилась к воьинскому гражданскому губернатору с прошением о выдаче ей паспорта на следование с двумя дочерьми, крепостным человеком и горничною девкой в Грузию и Имеретию сроком на шесть месяцев для свидания и совещания по разным хозяйственным и тяжбыным делам с мужем своим Стаинславом Карвицким, определенным за участие в тайных польских обществах, рядовым до выслуги, в Кавказский Отдельный корпус» (см. там же, I экспозиция, оп 221, д. № 22, л. 133). Резолюция царя, наложенная 21 августа, 1830 г. в Царском селе, гласит: «Не иначе дозвоить, как ехать одной с тем, чтоб поступить в солдате солдатских жён» (см. там же).

⁸⁵ Конкретные поводы для ареста или высылки декабристов, проживавших в то время в Грузии или других местностях Кавказа, подыскивались разные, однако связующим эти отдельные репрессивные меры была одна общая причина, о которой царю наиболее внятно стало известно благодаря доносу Бутурлина о «вопиющем» происшествии в Гумрах. Причина эта заключалась в том, что «в настроении духа декабристов несколько замечалось, чтоб они приуныли, чтоб выражали сожаление о том, что жизненные надежды каждого из них им изменили. Где ни сходились они, начиная с Арзрума, всегда они казались веселыми, приветливыми как между собою, так и с другими» (см. «Воспоминания А. С. Гангблова», М., 1888 г., стр. 204—205). Подобное настроение декабристов на Кавказе, объясняемое живучестью «духа сообщества» между ними, разумеется, не было оставлено без последствий. Гангблов весьма метко передает ту обстановку политической напряженности на Кавказе, когда вслед за наказанием Н. Н. Раевского и его гумришских «гостей» — декабристов, в Грузии прокатилась волна репрессий. Описывая инцидент с арестом и высылкой в Дербент

укова»⁸⁶. Во-вторых, как уже отмечалось выше, существует предположение о доносе на Сухорукова, посланном из Тбилиси в Петербург о том, что он «использует в своих исторических работах официальные документы»⁸⁷. Нисколько не исключено, что источником этого доноса явился тот же Бутурлин, который, побывав в Грузии со специальным заданием от военного министра, уж, конечно, заинтересовался бы тем, куда предельно и чем занят Сухоруков. Не исключено и то, что первый негласный обыск в бумагах Сухорукова был произведен собственно по инициативе Бутурлина. Это предположение представляется тем более реальным, что нахождение Бутурлина в Грузии по времени совпадает с вероятной датой поступления доноса на Сухорукова по назначению. В-третьих, А. И. Ернышеву не составляло, должно быть, особого труда убедить императора, разгневанного общими внутривосточными юридическими делами на Кавказе, в том, что на самом деле безобидное, нисколько не из ряда вон выходящее полемическое выпущение Сухорукова в «Тифлисских ведомостях», является не чем иным, как повторно совершенным одним и тем же лицом «тяжким государственным преступлением»⁸⁸.

А. Бестужев-Марлинский, послуживший началом «погрома» ссылкам декабристов в Грузию, Гагбелов пишет: «всех живших в Тифлисе декабристов разослали по разным местам с жандармами, что произвело Тифлисе заметное впечатление. Пушкина, меня и Коповницкую не тронули, как и мы в Тифлисе находились при своем саперном батальоне. Кожеников спасен каким-то чудом: как видно, о нем просто забыли (Он от меня ехал к своему полку, в Шушу, гораздо уже после описанного переполоха). Прошел день. К нам ни кто ни гугу; но мы могли думать, что до нас еще добралась и ожидали, что вот-вот и к нам налетит гроза... Одновременно с Александром (А. А. Бестужев-Марлинский) из Тифлиса выслали как же сказано и прочих декабристов, проживавших здесь «неизвестно по какому праву», а с ними вместе и Петра Бестужева» (см. там же, стр. 207—09).

⁸⁶ Институт рукописей АН Груз. ССР, ф. Вейденбаума № 24, стр. 98 оп.: «Русский архив», 1880, книга III, стр. 431—446). Разрядка наша.

⁸⁷ М. О. Косвен, Этнография и история Кавказа. М., 1961, стр. 179.

⁸⁸ Высланный из Тбилиси в Новочеркасск Сухоруков недолго там содержался: вскоре последовал приказ «сотника Сухорукова употребить на службу в Донском полку, в Финляндии находящемся, и уведомить сн(ерал)-ад(ьютанта) Закревского, чтобы за ним учрежден был строгий надзор» (см. ЦГВИА, ф. 36, оп. 7/850, д. № 117, л. 1). Как сложилась дальнейшая жизнь Сухорукова видно из жандармского досье на него, где говорится, что «с января 1830 по 16 ноября 1831 г. состоял на службе с полком в Финляндии; а в 1834 году опять выкомандирован с Дона на службу в Отд(ельный) Кавк(азский) корпус, где и находился до августа 1839 года, произведен в есаулы на вакансию 21 сентября 1833 года. По высочай-

Такова в общих чертах история ареста заместителя главного редактора «Тифлиссских ведомостей», который за время своего полуратодичного сотрудничества в тбилисской русской газете способствовал ее превращению в печатный орган, борющийся с охранительной журналистикой николаевского режима, за просвещение народа в духе передовых идей того времени.

шему соизволено в 14-й день апреля 1841 года последовавшему, есаул Сухоруков, согласно прошению, вместе с другими штаб и обер офицерами Донского войска уволен от службы за выслугу узаконенных 25 лет, тем чином но без всякого ограничения; о прикосновенности же его к делу о тайных обществах, не упоминалось ни в представлении наказного атамана об увольнении его от службы, ни в докладе государю-императору. Сухоруков по формуляру за 1840 год аттестован одобрительно и по отставке обязался жить в г. Новочеркасске. Вместе с тем, по сделанному сношению генерал-лейтенант барон Корф отзывался, что вверенный ему департамент военных поселений не имел ввиду высочайшего повеления 13 июля 1826 года о тайном надзоре за Сухоруковым и не получал достаточных донесений о его поведении; в делах департамента 1839 года находится только записка генерал-лейтенанта Хомутова, которую он спрашивал: может ли быть употреблен при нем (по званию начальника штаба) на службе есаул Сухоруков, находившийся при г. военном министре и удаленный за прикосновенность к неизвестному ему генералу Хомутову делу? И отрицательный на эту записку ответ генерал-адъютанта графа Клейнмихеля, что Сухоруков такого рода чиновник, за которым нужно иметь особенный надзор», (см. ЦГАОР, ф. 109, 1 экспедиция, оп. 1826, д. № 61 ч. 247, лл. 2—3-об). В. Д. Сухоруков скончался в 1841 году.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ი. ანთელავა

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნეში¹

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა შესწავლას საქმოდ მდიდარი ტრადიცია აქვს. ამ საქმეს დიდი ამაგი დასდეს მარი ბროსემ, ს. ბელაკუროვმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ნ. ვესელოვსკიმ, მიხეილ პოლიევქტოვმა, ნიკოლოზ ბერძენიშვილმა, იასე ცინცაძემ, ვ. მაქარაძემ, გიორგი პაიჭაძემ და სხვ. დასახელებულმა მეცნიერებმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა სხვადასხვა პერიოდს მიუძღვნეს არაერთი საყურადღებო ნაშრომი და დოკუმენტალურ მასალათა კრებულები და მაინც შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ დასახელებული პრობლემის შესწავლა ამოწურული არ არის და ბევრი მასთან დაკავშირებული საკითხი დიდ საკვლევადიებო მუშაობას მოითხოვს მომავალშიც. ასეთია, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს კავშირ-ურთიერთობის ის პერიოდი, რომელიც მოიცავს XVII საუკუნის პირველ ნახევარს. არ შეძლება ითქვას, რომ დროის ეს მონაკვეთი აქამდე საერთოდ უყურადღებოდ იყო დატოვებული. ამ ყურადღების დამადასტურებელია მარი ბროსეს, ს. ბელაკუროვის, ნ. ვესელოვსკის, მიხეილ თავის დროზე. ამათ რიცხვს ეკუთვნის მაგალითად, მ. პოლიევქტოვის რამდენიმე კვლევითი ხასიათის ნაშრომიც — დაიწერა და გამოქვეყნდა თავის დროზე. ამათ რიცხვს ეკუთვნის მაგალითად, მ. პოლიევქტოვის „К вопросу о сношении Ростова картлийского с Москвою“ (ენიშის შობაშიე, V—VI, 1939), მისივე — „Экономические и политические разведки

¹ ნოდარ ნაკაშიძის წიგნის — „Русско-грузинские политические отношения в первой половине XVII века“ (Тб., 1968.) — გამოსვლის გამო.

Московского государства в XVII веке на Кавказе“ (Тиф., 1932 წ.), ი. ჯავახიშვილის—„ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის („ქართველი ერის ისტორია“, V, 1953, წ. გვ. 46—58), შ. მესხიას და ი. ცინცაძის—„Из истории русско-грузинских взаимоотношений“ (Тб., 1958) და სხვ. ყველა აქ დასახელებულმა ნაშრომმა, რა თქმა უნდა, თავისი წვლილი შეიტანა ჩვენთვის საინტერესო თემის კვლევის საქმეში, მაგრამ არც ერთ მათგანს საკითხის ამომწურავად, მონოგრაფიულად შესწავლის პრეტენზია არა აქვს. ან როგორ შეიძლება, მაგალითად, ასეთი პრეტენზია წარუყენოს. კაცმა ივანე ჯავახიშვილის დასახელებულ ნარკვევს, რომელიც სულ რაღაც 12 გვერდს შეიცავს და დაიწერა მხოლოდ საქართველოს ისტორიის საერთო კურსის გამართვასთან დაკავშირებით. მეტნაკლებად იგივე ითქმის სხვა ავტორთა შესახებაც.

ყოველივე ამაზე ასე დაწვრილებით იმიტომ ვწერ, რომ აღვადგინო მკითხველთა მესხიერებაში სურათი იმ მდგომარეობისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში რომ არსებობდა სარეცენზიო ნაშრომის გამოქვეყნებამდე. ეს მდგომარეობა კი, მოკლედ რომ ვთქვათ, არცთუ ძალიან სახარბიელო იყო — XVII საუკუნის პირველ ნახევარის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მხოლოდ ცალკეული საკითხები და ეპიზოდები იყო შესწავლილი. რაც შეეხება აღნიშნული ხანის ურთიერთობათა მონოგრაფიულ შესწავლას—ეს პირველად ნოდარ ნაკაშიძემ წააგო და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მან ეს ცდა წარმატებით დააგვირგვინა. სადღეისოდ ჩვენ უკვე გვაქვს აღებული ხანის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის სრული და მკაფიო სურათის ამსახველი, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომი, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი სპეციალისტი და საქმით დაინტერესებული პირი. სწორედ ეს არის ავტორის დიდი დამსახურება, რისთვისაც მას მადლობა ეკუთვნის.

მაგრამ ნოდარ ნაკაშიძე ქების ღირსია არა მარტო იმიტომ, რომ მან მონოგრაფიულად შეისწავლა XVII საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, არამედ იმიტომაც, რომ ახლებურად გაიზრა საკვლევ თემასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი. მას არ ზღუდავს სამეცნიერო ლიტერატურაში თითქოს მტკიცედ დამკვიდრებული შეხედულებები და იძლევა მათ გაბედულ კრიტიკას. და ამას იგი აკეთებს მაშინაც, როდესაც ამ შეხედულებათა ავტორები ცნობილი სპეციალისტები არიან (ივ. ჯავახიშვილი, მ. პოლიევქტოვი და სხვ.).

ახლებურადაა გააზრებული, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის პერიოდიზაცია. საერთოდ, სწორი, საიმედო

მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული პერიოდიზაციის დადგენა მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. ის მოითხოვს ფართო ზოგად განათლებასა და კონკრეტული მასალის ღრმად ცოდნას. ნოდარ ნაკაშიძე შესანიშნავად პასუხობს ორივე ამ პირობას. მას კარგი ზოგადი თეორიული მომზადება აქვს, საფუძვლიანად ფლობს საკვლევ თემასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ მასალას, მარჯვედ ერკვევა მსოფლიო ისტორიის ძირითად პროცესებში და ა. შ. სწორედ ამან განაპირობა რუსეთ-საქართველოს ისტორიის ავტორისეული პერიოდიზაციის სისწორე და ორიგინალობა, თუმცა ის უნაკლო არაა (ამაზე ქვემოთ). დისერტანტის მიერ გამოყოფილი ოთხივე პერიოდი² ძირითადად დამაჩერებლად გამოიყურება და წიგნში სათანადოდ დასაბუთებულია. მხედველობაშია მიღებული და მაქსიმალურად გათვალისწინებული ორივე ქვეყნის, რუსეთისა და საქართველოს, საშინაო და საგარეო მდგომარეობა, რაც ერთადერთი სწორი და უშეცდომო გზაა. ავტორის კარგად ესმის ორივე ფაქტორის მნიშვნელობა და კვლევის მთელ მანძილზე არ ავიწყდება ის, თუმცა, რატომღაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, პერიოდიზაციის საფუძვლების, მისი ძირითადი პრინციპების დროს საშინაო ფაქტორი ნაშრომში საერთოდ არაა მოხსენებული.

ახლებურადაა გააზრებული და შეფასებული ავტორის მიერ XVII საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხასიათი და მნიშვნელობა. იგი არ ეთანხმება და გაბედულად უტევს იმ ავტორებს (მაგ., ივ. ჯავახიშვილი), რომლებიც, მისი აზრით, გარკვეულად ამცირებენ ამ ურთიერთობათა მნიშვნელობას. ნოდარ ნაკაშიძეს მიაჩნია, რომ მკვლევართა ერთი ჯგუფი სათანადოდ არ (თუ ვერ) ითვალისწინებს რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობას და მისგან მოითხოვს გაცილებით მეტს, ვიდრე მას ნამდვილად შეეძლო. აქედან გამომდინარე, ზოგი მკვლევარი, ავტორის ღრმა რწმენით, ამცირებს საქართველოს რუსეთთან კავშირის მნიშვნელობას, ამცირებს მის დადებით როლს ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიაში დამოუკიდებლობისათვის. ნოდარ ნაკაშიძე, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, სხვაგვარად უდგება საკითხს და თავგამოდებით ამტკიცებს, რომ რუ-

2 ეს პერიოდებია: ა) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ჩანასახები (X — XII სს.), ბ) რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა დასაწყისი (XV — XVII საუკუნის პირველი ათეული წელი); ვ) რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარება (XVII ს. — XVIII საუკუნის პირველი მესამედი) და გ) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი XVIII — XIX სს.. საქართველოს რუსეთთან შეერთება.

სეთი, რომლის საგარეო პოლიტიკური ინტერესები აღნიშნულ პერიოდში ემთხვეოდნენ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს, გულწრფელად თანაუგრძობდა ჩვენს ქვეყანას და შესაძლებელ დახმარებას უწევდა მას. ამ დახმარებას მაშინდელ რთულ ვითარებაში შეიძლებოდა მხოლოდ დიპლომატიური ჩარევითა და ნაწილობრივ მატერიალური შემწეობის ხასიათი ჰქონოდა, რასაც რუსეთი თითქმის ყველა შემთხვევაში აკეთებდა. მე კარგად გავეცანი ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორის მიერ მოტანილ საბუთიანობას და მეჩვენება, რომ ის ნამდვილად ანგარიშგასაწევია. ავტორმა ძირითადად შეძლო ნათელეყო რუსეთთან კავშირის დადებითი შედეგები, მისი როლი ქართველი ხალხის ბრძოლაში ირან-თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ. ძირითადად მეთქი, — ვამბობ იმიტომ, რომ ნოდარ ნაკაშიძის ამ შეხედულებას სუსტი მხარეც გააჩნია, რაც რუსეთის მფარველობითი საქმიანობის რამდენადმე გადაქარბებულ შეფასებასა და ამ საქმიანობაში არაგულწრფელობისა და უარყოფითი მომენტების არდანახვაში გამოიხატება. მაგრამ ამაზე ჭევმოთ, რეცენზიის კრიტიკულ ნაწილში ვილაპარაკებ.

ასევე ახლებურადაა გააზრებული და შეფასებული მეფე თეიმურაზ I-ის მოღვაწეობა. ეს უკანასკნელი, ავტორის აზრით, გაცილებით მეტი ყურადღების ღირსია, ვიდრე მას დღემდე ჰქონდა დამსახურებული. ნოდარ ნაკაშიძის დახასიათებით, თეიმურაზი იყო ქართული საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, რუსეთთან კავშირ-ურთიერთობისა და ქვეყნის გაერთიანების იდეის დაუღალავი პროპაგანდისტი. ავტორის ღრმა რწმენით, ის იყო ჭკვიანი პოლიტიკოსი და დიპლომატი, რომელსაც არა მარტო ძალიან კარგად ესმოდა მოსკოვთან კავშირის მნიშვნელობა, არამედ უშეცდომო ნაბიჯებსაც აკეთებდა ამ მიმართულებით. მკვლევარი ფრიად ენერგიულად ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, უნიჭო დიპლომატად რომ თვლიან კახეთის მეფეს. ნოდარ ნაკაშიძეს მოყავს არაერთი საყურადღებო საბუთი, საიდანაც მართლაც ჩანს, რომ თეიმურაზი ერკვეოდა საერთაშორისო მდგომარეობაში და რომ მას ცალკეულ შემთხვევებს გარდა სწორი ინფორმაცია ჰქონდა მოსკოვის სახელმწიფოში შექმნილ ვითარებაზე. ამის საილუსტრაციოდ სარეცენზიო ნაშრომში მოტანილია ერთი ადგილი თეიმურაზის 1618 წლის წერილიდან მიხეილ რომანოვისადმი, სადაც ნათქვამია:

«А о людях мы тебе великому государю бити челом не смеем и тебе б над нами умелосердитца, велети б шаху хотя б отписать о нас» (სარეც. წიგნი, გვ. 61).

უკეთებს რა ამ ადგილს კომენტარს, ავტორი სამართლიანად წერს:

«Эта фраза совершенно ясно указывает на то, что Теймураз

реально оценивал возможности России... Он, очевидно, был осведомлен о конкретном положении Московского государства 1618 года и исходил именно из этого... Он просил (лишь) дипломатической поддержки» (стр. 61—62), а не военной помощи».

დასახელებული დებულების სასარგებლოდ ნაშრომში ბევრი სხვა საბუთიცაა მოტანილი, რომელიც უსათუოდ ყურადსაღებია და ანგარიშგასაწევი. მაგრამ არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო გადაკარბების ზოგიერთი მომენტი, რომელიც აშკარად იგარძნობა წიგნში თეიმურაზის პოლიტიკურ — დიპლომატიური მოღვაწეობის შეფასებისას. ავტორი საერთოდ არ ხედავს სუსტ მხარეებს კახეთის მეფის საქმიანობაში (ყერძოდ მის საგარეო პოლიტიკაში), არ უშვებს არაზუსტი ინფორმირების თითქმის არც ერთ შემთხვევას, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სინამდვილეს არ შეეფერება.

მე შემიძლია კიდევ ბევრი ვილაპარაკო სარეცენზიო მონოგრაფიის ძლიერ მხარეებზე (მაგალითად, დაზუსტებულია საქართველოს ისტორიის არაერთი მოვლენა და ფაქტი), მაგრამ, ვფიქრობ, ეს არაა საკმარისი. რაც ითქვა, ისიც სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველს საზოგადოებას სწორი წარმოდგენა შეექმნას ნაშრომზე, როგორც მე მაღალ შეფასებას ვაძლევ. მისმა ავტორმა კარგად გაართვა თავი მეტად რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეს და მოპოვებული წარმატებებით ნამდვილად მაღლობა დაიმსახურა.

მაგრამ სარეცენზიო ნაშრომი, როგორც მოსალოდნელიც იყო, არაა უნაკლო და არაერთ შენიშვნას იწვევს. ავტორის ზოგი მოსაზრება მცდარად გამოიყურება, ზოგი კი საკამათოა და მეტ დასაბუთებას მოითხოვს.

1. ჩემი პირველი შენიშვნა იმ პრინციპებს შეეხება, რომლებიც, მკვლევარის აზრით, საფუძვლად უნდა დაედვას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პერიოდიზაციას. ნოდარ ნაკაშიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ პერიოდიზაციის შემუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამ მომენტს: ა) საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას და ამ მდგომარეობით შეპირობებულ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანებს, ბ) რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას და ამ მდგომარეობით შეპირობებულ რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს ამოცანებს და გ) ზემო აღნიშნული ორი მომენტიდან გამომდინარე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა თავისებურებებს ამ ურთიერთობათა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე (სარეც. ნაშრომი, გვ. 8). მე ვფიქრობ, მართლ ამ სამი მომენტის გათვალისწინებით ჩვენ ვერ შევიშუშავებთ მეცნიერულად გამართულ პერიოდიზაციას. აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს

იმ ქვეყნების საშინაო მდგომარეობას, რომელთა შორის ურთიერთობის შესწავლაა მიზნად დასახული. არა მგონია საკამათო იყოს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებას გადამწყვეტი ზეგავლენა აქვს მის საგარეო პოლიტიკაზე. ამას თვით ავტორიც არ უარყოფს და ალაგ-ალაგ კიდევაც განაზღვრავს ამ უკანასკნელი ფაქტორის მნიშვნელობას, მაგრამ რატომღაც, ყოველშემთხვევაში ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო, არ შეაქვს მას იმ მოვლენების რიცხვში, პერიოდიზაციას რომ უდებს საფუძვლად.

2. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პირველ პერიოდად ავტორი X—XIII საუკუნეებს მიიჩნევს (იხ. გვ. 9), ხოლო მეორე პერიოდის ქრონოლოგიურ ჩარჩოებად მეთხუთმეტე საუკუნესა და XV—XVI საუკუნის პირველ ათეულს წლებს თვლის (გვ. 10). როგორც ვხედავთ, მთელი საუკუნე, კერძოდ მეთოთხმეტე, სთვალავში არაა მიღებული და იგი პერიოდიზაციიდან საერთოდ ამოგდებული აღმოჩნდა. რატომ? თურმე იმიტომ, რომ (ასე ჩანს წიგნის მთელი კონტექსტიდან), მონღოლების ბატონობის დამკვიდრებას რუსეთსა და საქართველოში ერთობ ბოლო მოუღია ამ ქვეყნებს შორის მანამდე არსებულ კავშირ-ურთიერთობათათვის. ეს მოსაზრება (მოსაზრება კი არა დებულება) მე მცდარად მიმაჩნია და აი რატომ. ჯერ ერთი, მონღოლების ბატონობის დროს, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მართლაც საგრძნობლად შესუსტდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, შეწყდა მათ შორის უშუალო და პირდაპირი კავშირი. მაგრამ ეს საკმარისი საბუთი არ არის იმისათვის, რომ მთელი ეს პერიოდი საერთოდ არ იქნეს გათვალისწინებული ჩვენთვის საინტერესო მოვლენის პერიოდიზაციის, ანთი ეტაპების დადგენის დროს. ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობათა შესწავლა (ისე როგორც საზოგადოდ ყოველი ისტორიული მოვლენის) გულისხმობს არა მარტო აღმავალი, არამედ დაღმავალი ეტაპების გამოყოფასაც. სწორედ ასეთი დაღმავლობით აღინიშნა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მონღოლური პერიოდი და მკვლევარიც ვალდებულია ის ცალკე, დამოუკიდებლად პერიოდად გამოყოს.

მონღოლთა ბატონობის ხანის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან ამოკვეთა იმიტომაც არაა გამართლებული, რომ მაშინ ეს ურთიერთობა, როგორც ზევით ვთქვით, მთლიანად კი არ შეწყვეტილა, არამედ საგრძნობლად შესუსტდა და უპირატესად არაპირდაპირი კავშირის ხასიათი მიიღო. ქართველი და რუსი პოლიტიკური მოღვაწეები ამიერიდან მონღოლთა ყაენის კარზე ზვდებოდნენ ერთმანეთს. რომის პაპის ელჩი პლანო კარპინი ყარაყორუმში ნახული

და გავიწილი ამბების გადმოცემისას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე წერს, — რომ იქ მან ნახა იაროსლავ სუზდალელი, მამა ალექსანდრე ნეველისა, და ორი ქართველი უფლისწული დავით ლაშას ძე და დავით რუსუდანის ძე (მსკი, ნაკ. II, 1942, გვ. 56). მოყავს რა ეს ცნობა, პროფ. ი. ცინცაძე სამართლიანად შენიშნავს: „ერთ ბედს ქვეშ მყოფი მართლმადიდებელი ქრისტიანი რუსი მთავარი და ქართველი მეფეები შეუძლებელია ერთმანეთს არ გაცნობოდნენ და თავიანთი ქვეყნების ამბები ერთიმეორისათვის არ მოეხსენებინათ...“ (ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან X—XV სს., თბ., 1956, გვ. 209).

სპეციალისტები ლაპარაკობენ არა მარტო პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხვედრებზე, არამედ მათ მოაქვთ საინტერესო ფაქტები რუსებისა და ქართველების ასევე არაპირდაპირი ურთიერთობისა კულტურისა და ეკლესიის სფეროში. ნიკონისეულ მატიახის ნუსხაში 1389 წლის თარიღით მოთხრობილია: «Сице же жы случися видети недостоинному и сущим с мною во святом граде Иерусалиме. Есть убо тамо церковь Воскресение Христово... служба тамо Грузинская, Гурзи служат... а под Голгофою низу на земли Иверская служба. Иверии служат» (Полное собрание русских летописей, т. XI, СПб, 1897, 104—105. მოყავს ი. ცინცაძის წიგნიდან, გვ. 223).

როგორც ამ კონტექსტიდან ჩანს, ქართველი და რუსი საეკლესიო მოღვაწენი ხვდებოდნენ ერთმანეთს მონღოლების ბატონობის დროსაც, თუმცა არა თავიანთ სამშობლოში, არამედ სხვაგან, ამ შემთხვევაში ქალაქ იერუსალიმში.

ამ და სხვა მისი მსგავსი ფაქტების შესწავლამ მკვლევარები მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე: “Как видим, русские и грузины в XII—XIV вв. встречались не только в сфере политической деятельности, но и только в торговых центрах, но и в очагах культуры того времени.. В рассматриваемый период (X—XIV вв.) русско-грузинские отношения по существу выражались в живом сотрудничестве в экономической, политической и культурных областях» (Ш. А. Месхиа и Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений, Тб., 1958, стр. 29).

ყოველივე ეს, რაც ზემოთ ითქვა, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში მეორე პერიოდად უნდა გამოიყოს XIII—XV საუკუნეები (80-იანი წლების ბოლომდე), როდესაც ხსენებულ ქვეყნებს შორის ჩადგა მონღოლთა ვეებერთელა სახელმწიფო. ამ დროს შესუსტდა ისედაც უსუსტი, ჩანასახურ მდგომარეობაში მყოფი რუსეთ-საქართვე-

ველოს ურთიერთობა, თუმცა კი ის სავსებით არ შეწყვეტილა, ოღონდ წინანდელი 'უშუალო კავშირის' ადგილი ახლა არაპირდაპირმა ურთიერთობამ დაიკავა. ასე თუ ისე მონღოლების ბატონობის დროინდელ ურთიერთობაში, რომელიც ქრონოლოგიურად XIII—XV საუკუნეებს მოიცავს (რუსეთში, როგორც ცნობილია, მათი ბატონობა 1480 წელს დაეცა), დაღმავლობა აღინიშნა და ეს უკვე თავისთავად პერიოდია და, რა თქმა უნდა, ცალკე გამოყოფის ღირსია. ამასთანავე, XIII საუკუნე, ნოდარ ნაკაშიძეს არ ვიცი რატომ, პირველ პერიოდში რომ აქვს მოქცეული, უნდა შეტანილ იქნას მეორეში და ეს უკანასკნელი სწორედ ამ საუკუნით უნდა დაიწყოს.

3. ეხება რა XII ს. საქართველოსა და რუსეთის დინასტიურ კავშირებს (იზიასლავის ქორწინება და თამარ მეფის საქმროდ გიორგი რუსის მოწვევა), ნ. ნაკაშიძე წერს: «Нельзя, конечно, отрицать, что подобные династические связи диктовались внутренними или внешне-политическими целями. Но нельзя и утверждать, что династическая связь между двумя государствами всегда обозначала совпадение их политических интересов. Во всяком случае, перечисленные факты и имеющиеся в нашем распоряжении материалы не дают сколько-нибудь твердой основы для того, чтобы считать их грузино-русскими политическими отношениями» (სარეც. ნაშრომი, გვ. 9).

მე არ მესმის რატომ არ არის ეს პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობის მაჩვენებელი ფაქტი? მაშ რა ვუწოდოთ ამგვარი ხასიათის მოვლენებს? ავტორმა ძალიან კარგად იცის, რომ პოლიტიკური ურთიერთობა არის სხვადასხვა ხარისხისა და სიღრმის, ის კავშირი, კი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოსა და კიევის სახელმწიფოს შორის XII საუკუნეში, ცხადია, იყო პოლიტიკური ურთიერთობა, მისი საწყისი ფორმების გამოვლინება. ის ასეცაა შეფასებული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში (შ. მესხია და ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15, 17, 20—21), რომელსაც, ეტყობა, ნ. ნაკაშიძე არ ეთანხმება, მაგრამ წიგნში ამ უთანხმოების საფუძველი, სამწუხაროდ, მკაფიოდ ნაჩვენები არაა.

4. ნოდარ ნაკაშიძეს, როგორც ზევითაც აღვნიშნე, საერთოდ ძალიან კარგად ესმის, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გან-

ვითარების საფუძველს ყოველ შემთხვევაში მისთვის საინტერესო XVII საუკუნის პირველ ნახევარში, წარმოადგენდა ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების დამთხვევა. მან იცის, რომ რუსი ხელმწიფეები ამა თუ იმ ფორმით ეხმარებოდნენ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა თხოვნას არა კატომოყვარეობის პრინციპებიდან გამომდინარე, არამედ შთაგონებულნი საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური თუ სხვაგვარი ინტერესებით. მაგრამ იგივე ინტერესები უკარნახებდნენ მათ ხშირად ოდნავ სარისკო ნაბიჯის გადადგმისგანაც შეეკავებინათ თავი, ყოფილიყვნენ (და არც თუ ისე იშვიათად) არაგულწრფელნი და ცბიერნიც კი. სამწუხაროდ, ნოდარ ნაკაშიძეს ყურადღების გარეშე რჩება საკითხის ეს მხარე და მეტად იდილიურ ფორმებში წარმოგვიდგენს ალებული ხანის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. წიგნის მკითხველს რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მეფეები მიხეილ თედორეს ძე და ალექსი მიხეილის ძე, სუბიექტურად ყოველთვის მზად იყვნენ მაქსიმალურად დახმარებოდნენ ერთმორწმუნე ქვეყანას, მაგრამ ობიექტურად მათ ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ და მათღა სამწუხაროდ მცირედით კმაყოფილდებოდნენ. ავტორი თითქოს ყოველთვის ამართლებს რუს პოლიტიკურ მოღვაწეთა უმოქმედობას (ან პასიურობას) საქართველოს საკითხში; მას ამაში არც ისეთი ფაქტები უშლის ხელს, როგორცაა ქართველი ელჩების წლობით გაჩერება მოსკოვში, აზარეალოვ დაპირებათა მიცემა სამხედრო ძალის გამოგზავნის შესახებ (გვ. 188) და უყოყმანოდ აცხადებს, რომ რუსეთი ყველა შემთხვევაში „Выступала в роли покровителя (Грузии)..., выступала в ее защиту“ (გვ. 75, შტრ. გვ. 35, 108).

მე თუმცა მესმის საქართველოს რუსეთთან დაახლოვების ობიექტური მნიშვნელობა, მაგრამ მესმის ამ დაახლოვების ნამდვილი მიზეზებიც და ამიტომ არ შემიძლია ხსენებული ქვეყნების მესვეურთა ცავშირ-ურთიერთობა მეტად იდილიურ ფორმებში წარმოვიდგინო, როგორც ამას, ჩემი აზრით, ნოდარ ნაკაშიძე აკეთებს.

5. ნოდარ ნაკაშიძე, როგორც უკვე ვთქვით, მალალ შეფასებას აქლევს თეიმურაზ I-ის ხანგრძლივ მოღვაწეობას როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში. მეც მეჩვენება, რომ თეიმურაზი ნამდვილად დიდი პოლიტიკური მოღვაწე იყო და რომ იგი უფრო მეტი ყურადღების ღირსია, ვიდრე დღემდე. მაგრამ მე ავტორისაგან განსხვავებით, ხსენებული მეფის საქმიანობა უნაკლოდ არ მიმაჩნია. არ იყო უნაკლო, კერძოდ, მისი საგარეო პოლიტიკა, მისი ნაბიჯები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სფეროში. იგი ყოველთვის ვერ იჩენდა საჭირო გამჭირაობას, მოვლენების სათანადო შეფასებისა და მოსა-

ლოდნელი შედეგების წინასწარ განსკვრეტის უნარს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება 1658 წლის მისი მეთაურობით მოწყობილი ელჩობა დავასახელოთ (იხ. გვ. 184). ძნელია ელჩობისათვის, ისიც მეფის ხელმძღვანელობით, უფრო უხეირო დრო მოიძებნოს, ვიდრე XVII საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარი. მაშინ რუსეთი, როგორც ცნობილია, მძიმე ომს აწარმოებდა პოლონეთისა და შვეციის წინააღმდეგ და, თავისთავად ცხადია, მას სხვისი სამხედრო დახმარების თავი არ ჰქონდა. თეიმურაზი კი, ჩანს, სწორედ ჭარბ დახმარებაზე ოცნებობდა და არა საქართველოს ინტერესების დამცველი წერილების გაგზავნაზე ირანის შაჰის სახელზე. ასეთი რამ რუსეთს არაერთხელ გაუკეთებია, მაგრამ არც ერთხელ ამას ქართველი მეფის უშუალო მონაწილეობა არ დასჭირებია. თეიმურაზის ელჩობა, როგორც მოსალოდნელი იყო. არსებითად უშედეგოდ დამთავრდა და იმედგაცრუებული, უკმაყოფილო, დაღლილ-დაქანცული და გაწამებული მეფე თავის სამშობლოში დაბრუნდა (გვ. 188—189).

ეს ფაქტი მართლაც ლაპარაკობს თეიმურაზ I-ის, როგორც დიპლომატის და პოლიტიკური მოღვაწის, გარკვეულ გულუბრყვილობაზე ცალკეულ შემთხვევებში.

6. ისეთი თემის დაძლევა, როგორც ნოდარ ნაკაშიძემ აიჩნია, გულისხმობს რუსეთისა და საქართველოს ისტორიის კარგად ცოდნას (მე არაფერს ვამბობ მსოფლიო ისტორიის ძირითადი პროცესების ცოდნაზე). სარეცენზიო წიგნის ავტორი ამ მხრივ თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. იგი კარგად იცნობს ორივე ქვეყნის ისტორიის წყაროებს. ლიტერატურას, საბჭოთა მეცნიერების უახლოეს გამოკვლევებს და მაინც ზოგ საკითხზე მისი წარმოდგენა მე არასწორად მეჩვენება. არაა სწორი, თითქოს XIII საუკუნე საქართველოსა და კიევის რუსეთისათვის იყო „ძლიერებისა და აყვავების“ საუკუნე (გვ. 9). არც ისაა მართალი, რომ თითქოს XVII საუკუნის რუსეთში „ростки нового явно и бурно „проявлялись““ (გვ. 28) და რომ ქვეყნის განვითარების ასეთი შეფასება „пока не вызывает разногласия у советских историков“ (იქვე). ადრეა ლაპარაკი რუსეთის ბურჟუაზიაზე (თუნდაც ახალგაზრდა ბურჟუაზიაზე) XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთის სინამდვილეში (გვ. 16) და სხვ.

7. უხეიროდაა დასათაურებული ნაშრომის ბოლო, VI თავი—„საქართველო და რუსეთი XVII საუკუნის 50-იან წლებში“ (გვ. 158). ამის წინარე მეხუთე თავი კი ასეა წიგნში შეტანილი — „დასავლეთ საქართველო და მოსკოვის სახელმწიფო“ იმავე საუკუნის სამოცი წლის მანძილზე (გვ. 139). ისე გამოდის, თითქოს მეხუთე თავში

განხილული დასავლეთ საქართველო „საქართველოს“ საერთო ცნებაში არ შედიოდეს.

ვამთავრებ რა კრიტიკულ შენიშვნებს, არ შემიძლია ნოდარ ნაკაშიძეს ერთი საყვედურიც არ ვუთხრა. შეეხება იგი სქოლიოებს. ამ უკანასკნელის ბოლოს მოქცევამ არა მარტო უსაშველო დღეში ჩააყენა და, პირდაპირ უნდა ითქვას, გააწამა რეცენზენტი, არამედ უარყოფიანი გავლენა მოახდინა მკითხველის შთაბეჭდილებებზე. მე როგორც რეცენზენტი ვალდებული ვიყავი ყურადღება მიმექცია სქოლიოსათვის, და დავრწმუნდი, რომ იქ მოცემულია ავტორის არაერთი ფრიად საყურადღებო და გონებაბამხვილური დაკვირვება, მაგრამ ჩვეულებრივი მკითხველი ხომ ასე არ გაიწამებს თავს და არ დაუწყებს ძებნას სადღაც წიგნის ბოლოს მოთავსებულ სამეცნიერო აპარატს.

ეს ჩემი შენიშვნები არ ცვლის ზემოთ გაკეთებულ დასკვნას. ნოდარ ნაკაშიძე კარგი მკვლევარი და განათლებული ისტორიკოსია. მისი ნაშრომი მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. შეიცავს მრავალ საყურადღებო, ანგარიშგასაწევ დასკვნას და ამდენად, ცხადაა, ხელს უწყობს ისტორიოგრაფიის შემდგომ წინსვლა-განვითარებას. ამჟამად ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ XVII საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია უკვე მონოგრაფიულადაა შესწავლილი. ეს კი ძალიან დიდი საქმეა.

ს ა რ ჩ ე ვ ი :

- ი. ანთელავა, ზოგი რამ XVIII—XIX სს. მიჯნაზე რუსეთში მოღვაწე ქართველ მხედართმთავართა შესახებ
 - ა. იოსელიანი, საქართველოში ახლადამკვიდრებული რუსული მმართველობისა და ქართული კულტურის სამსახურში
 - ე. ხოშტარია, ფეოდალურიდან კაპიტალისტურ საზოგადოებაში გარდამავალი ხანის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ
 - О. К. Жордания, объявление крестьянской реформы в Восточной Грузии. Ответ крестьянства на реформу (1864—1866 гг.)
 - თ. გიციბა, მიწის საკუთრებად მიღებისათვის გლეხთა ბრძოლის ისტორიიდან
 - ბ. კაკავეა, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის განწყობილებანი მე-19 ს. 60—70-იან წლებში
 - ი. უთურაშვილი, საკუთარი მცწების ხედრითი წონის ზრდა აღმოსავლეთ საქართველოს გლეხურ მიწათმფლობელობაში
 - მ. გაფრინდაშვილი, ქართული განმანათლებლური აზროვნების ზოგიერთი საკითხი სიმონ ხუნდაძის შრომებში
 - ლ. წინამძღვრიშვილი, ფურცელი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან
- Дж. Л. Ватейшвили, Декабристы на Кавказе. Дело Сухорукова

კ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი თ გ რ ა ფ ი ა

ანთელავა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნეში

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ი. ანთელავა
გამომცემლობის რედაქტორი ე. ფარქოსაძე
ტექნორედაქტორი ლ. ჭვებენავა
მხატვარი მ. თუშმალიშვილი
კორექტორი ლ. აშაშუქელი

გადაეცა წარმოებას 1.9.1970; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.V.71 წ.,
ქალაქის ზომა 60X091/16; ნაბეჭდი თაბახი 17.0; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 15.6; უე 01314; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 2277;
ფასი 1 მან. 76 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19.
Типография АН ГССР, Тбилиси, 380060, Кутузова, 19